ISSN—0132—6058

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4. 1984

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

# СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1984

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава *(зам. редактора)*, Р. К. Кикнадзе *(зам. редактора)*, Г. А. Меликишвили *(редактор)*, Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 5.IX.84; შეკვ. № 609; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.IV.85; ანაწყობის ზომა 7×11; ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_{16}$; პირობ. ნაბეჭდი თაბახი 16.8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,6;

უე 05158; ტირაჟი 900;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

•

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

•

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

# შინაარსი

## წერილები


ლ. ჯიქია, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის პირველი ნაბიჯები საქართველოში 5

მ. მებრელიშვილი, აჭარის პარტიული პრესის როლი მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში . . . . . . . 18

გ. ალასანია, რიცხვი და მისტიკა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში . . 28

ა. გამყრელიძე, პარტიის სახელმწიფო წყობის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 46

გ. მინდიაშვილი, ქონებრივი დიფერენციაციის ფაქტის დადგენისათვის მტკვარ-არაქსული ყორღანების მიხედვით (ძვ. წ. III ათასწლეული) . . . . . . 58


## ცნობები და შენიშვნები


გ. შენგელია, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობა 1910—1914 წლებში . . . . . . . . . . . . . . . . . 68

ლ. გორდეზიანი, „განგება დარბაზობისა“ როგორც საისტორიო წყარო . . . . 75

მ. ცინცაძე, საქართველო და ქართველები X—XI საუკუნეების სპარსულ წყაროებში . 84

ა. აბდალაძე, ჰოვჰანეს დრასხანაკერტცისეული ვურისა და გამრთა „ქვეყნების“ კვალდაკვალ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 95

გ. გაგოშიძე, XIII ს-ის დარბაზული ეკლესია ქვემო ქართლიდან . . . . . . 116

ნ. ბოგიბერიძე, ადრეანტიკური ხანის სამაჯურების ერთ-ერთი ტიპის დათარიღებისათვის 137

ი. სურგულაძე, კავკასიის ხალხების ემპირიული კოსმოგონია . . . . . . . 144

თ. მორჩაძე, ნატახტრის შუა და ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა . 152


## დისკუსია და განხილვა


ზ. რატიანი, უძველეს ქართულ სამართალთა შესახებ . . . . 156


## საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი


ი. ტაბაღუა, გ. შარაძე, უნგრელი ისტორიკოსის ლაიოშ ტარდის დაბადების 70 წლისთავი 173

ჩვენი მილოცვები . . . . . . . . . . . . . . 176


## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია


გ. მელიქიშვილი, ი. გლები, სამხრეთ შუამდინარეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის შესახებ ძვ. წ. III ათასწლეულში . . . . . . . . 180

ი. პოდოლაკი, ნ. ბრეგაძე, ნარკვევები საქართველოს აგროეთნოგრაფიისათვის 187


## ქრონიკა და ინფორმაცია


ლ. დავლიანიძე, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის „საისტორიო ფილოლოგიური ჟურნალი“ 1983 წელს . . . . . . . . . . 189

# СОДЕРЖАНИЕ

## СТАТЬИ

Л. ДЖИКИЯ, Первые шаги культурно-просветительной работы в Грузии . 5
М. МЕГРЕЛИШВИЛИ, Роль партийной прессы Аджарии в борьбе с вредными пережитками прошлого в период строительства социализма . . 18
Г. АЛАСАНИА, Число и мистика в древнегрузинской исторической письменности . . . . . . . . . . . . . . . . 28
Л. ГАМКРЕЛИДЗЕ, О некоторых аспектах социально-экономического строя парфянского государства . . . . . . . . . . 46
Г. МИНДИАШВИЛИ, К установлению факта имущественной дифференциации по курганам куро-аракской культуры . . . . . . . 58

## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Г. ШЕНГЕЛИЯ, Революционное движение учащихся Грузии в 1910—1914 гг. 68
Л. ГОРДЕЗИАНИ, «Распорядок приема при царском дворе» как исторический источник . . . . . . . . . . . . . . . 75
М. ЦИНЦАДЗЕ, Грузия и грузины в персидских источниках X—XI веков . 84
А. АБДАЛАДЗЕ, По поводу «стран» Вур и Гамров у Ованеса Драсханакертци . . . . . . . . . . . 95
Г. ГАГОШИДЗЕ, Церковь XIII века типа «дарбази» из Нижней Картли . 116
Н. ГОГИБЕРИДЗЕ, К вопросу датировки одного типа браслетов раннеантичной эпохи . . . . . . . . . . 137
И. СУРГУЛАДЗЕ, Эмпирическая космогония народов Кавказа . . 144
Т. МОРЧАДЗЕ, Натахтарская керамика эпохи ранней и средней бронзы 152

## ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

З. РАТИАНИ, О древнейших грузинских судебниках . 156

## ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

И. ТАБАГУА, Г. ШАРАДЗЕ, К 70-летию венгерского историка Лайоша Тарди 173
Наши поздравления . . . . . . . . . . 176

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. МЕЛИКИШВИЛИ, И. ГЛЕБ, О социальной структуре населения Южного Междуречья в III тысячелетии до н. э. . . . . . . 180
Я. ПОДОЛАК, Н. А. БРЕГАДЗЕ, Очерки по агроэтнографии Грузии 187

## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Л. ДАВЛИАНИДЗЕ, «Историко-филологический журнал» АН Армянской ССР в 1983 г. . . . . . . . . . . . . . 189

# წ ე რ ი ლ ე ბ ი

ლუიზა ჯიქია

## კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის პირველი ნაბიჯები საბჭოთა საქართველოში

ვ. ი. ლენინი სისტემატურად ზრუნავდა მუშებისა და გლეხების პოლიტიკურ გათვითცნობიერებასა და თვითგანვითარებაზე. საჭიროდ თვლიდა უპირველეს ყოვლისა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარებას. „...ვიდრე ჩვენს ქვეყანაში არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა წერა-კითხვის უცოდინარობა, — აღნიშნავდა ის, — პოლიტიკურ განათლებაზე ძალიან ძნელია ლაპარაკი... წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე დგას“[1].

მშრომელთა ზელადი მოითხოვდა ქოხ-სამკითხველოების, ბიბლიოთეკების, მოზრდილთა სკოლების, სახალხო უნივერსიტეტებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართოდ მოწყობას, რადგანაც „მუშათა და გლეხთა მასები უაღრესად ეტანება ცოდნას, რომ მძლავრია, „სახალხოა“.. მისწრაფება განათლებისაკენ“[2].

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ამ მიზანს ემსახურება სასკოლო და სკოლისგარეშე განათლება, პრესა, თეატრები, კინო, რადიო და სხვა დაწესებულებები. გაზ. „პრავდა“ აღნიშნავდა, რომ ქოხ-სამკითხველოები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, კლუბები, მოძრავი კინო, ადგილობრივი რადიომაუწყებლობა ეხმარება ჩვენს ხალხს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში[3].

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება ითვალისწინებდა ბიბლიოთეკების მუშაობაზე პარტიული გავლენის გაძლიერებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საჭიროებისათვის ადგილობრივი სახსრების გამოყენებას[4].

პარტიის XIII ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს პროფკავშირებთან შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილება, რომელიც მიზნად ისახავდა წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლასა და მთავარ პოლიტგანთან ერთად მოსახლეობაში კულტმასობრივი ღონისძიებების გატარებას.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მომენტში მარტო თბილისში აღრიცხულ იქნა პროფკავშირის წევრებიდან 6278 წერა-კითხვის უცოდინარი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 72.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 118.

[3] Газ. «Правда», 19 августа 1951 г.

[4] „КПСС о культурно-просветительной работе, Сборник документов», М., 1972., გვ. 46—47.

და 5556 მცირემცოდნე[5], ხოლო 1923 წლის აღწერით საქართველოში (ავტონომიური ერთეულების გარდა) წერა-კითხვის უცოდინარი 15—40 წლამდე ასაკისა იყო სულ 369 248 კაცი[6].

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა II ყრილობაზე (1923 წ. ოქტომბერი) მამია ორახელაშვილმა აღნიშნა — „თუ ჩვენ გვაქვს სერიოზული ფრონტი, — ეს არის კულტურისა და განათლების ფრონტი. დღეიდან ამ დარგის მუშაკები ჩვენი დახმარებით უფრო შეუტევენ საერთო მტერს, — უკულტურობას... დღეს ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს ერთად, ხელიხელჩაკიდებული თანამშრომლობა წყვდიადში შუქის შესატანად, კულტურის ფრონტზე საბრძოლველად“ და შემდეგ ხაზი გაუსვა, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გზაზე გადაიდგა პირველი ნაბიჯები, როცა თბილისში გაიხსნა განათლების მუშაკთა სახლი წიგნსაცავ-სამკითხველოთი, საჭიროა ამ მუშაობის გავრცელება მაზრებშიც[7].

პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის პირველ ხანებში იყენებდნენ აგიტპუნქტებს, სააგიტაციო მატარებელს, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებს, ქოხ-სამკითხველოებს, კლუბებს, წიგნსაცავ-ბიბლიოთეკებს და სხვ.

1922 წელს საქართველოში იყო 129 მასობრივი ბიბლიოთეკა 204,7 ათასი ცალი წიგნით, ხოლო 1932 წელს 784 და წიგნადი ფონდი უდრიდა 1014,7 ათასს[8].

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას საქართველოში აფერხებდა მოსახლეობის დიდი ნაწილის წერა-კითხვის უცოდინარობა (მაშინ წერა-კითხვის მცოდნეთა საშუალო პროცენტი არ აღემატებოდა 19%-ს[9]), სახსრების, სახელმძღვანელოების, სასწავლო ნივთების და სხვ. საკმარისი რაოდენობით უქონლობა და ზოგიერთ რაიონში უგზოობაც.

ქალაქებში ადრე დაიწყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სამუშაოები, რაც განპირობებული იყო მუშა-მოსამსახურეთა სიჭარბით და ქალაქის ცხოვრების სხვა თავისებურებებით; სოფელი კი ჩამორჩა, რადგან აქ ამ მიმართულებით მუშაობას დიდი დაბრკოლებები ეღობებოდა — არ იყო კადრები და კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით 1924 წლის 28 მაისს შეიქმნა „წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების ცენტრალური გამგეობა“ („წერკუმსი“)[10], რომელსაც პროფკავშირულ, კომკავშირულ და კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულება-ორგანიზაციებთან ერთად უნდა დაემთავრებინა რესპუბლიკის მოზრდილ მოსახლეობაში (18—40 წლამდე) წერა-კითხვის უცო-

---

[5] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, თბ., 1931, გვ. 132.

[6] ც. კალანდაძე, კულტურული მშენებლობის ისტორიისათვის საბჭოთა საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1955, გვ. 59.

[7] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წლის 8 ოქტომბერი.

[8] «Грузинская ССР за двацать лет, Статистико-экономический сборник», Тб., 1941, გვ. 103.

[9] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, თბ., 1913, გვ. 167.

[10] ოქტომბრის რევოლუციის არქივი (თბილისი), ფ. 598, საქ. 29, ფურც. 73.

დინარობის ლიკვიდაცია 1931 წლის 25 თებერვლისათვის, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 10 წლისთავზე. საქართველოს სახკომსაბჭოს 1924 წლის 5 ივნისის დადგენილებით სალიკვიდაციო სკოლების საჭიროებისათვის შეიძლებოდა გამოეყენებინათ ფაბრიკების, ქარხნებისა და დაწესებულება-ორგანიზაციების შენობები[11].

წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო ავტონომიურ ერთეულებშიც. ასე მაგალითად, აფხაზეთში 1923/1924 წელს შეიქმნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 21 პუნქტი, ხოლო 1932—1933 წელს მოქმედებდა 305 ასეთი პუნქტი და აერთიანებდა 7625 მსმენელს[12].

აჭარაში 1925 წელს დაარსდა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება, რომელმაც მოაწყო დასაყრდენი პუნქტები მაზრებში და მომდევნო წელს ამ საზოგადოების 45 უჯრედში გაერთიანებული იყო 2743 წევრი.

სამხრეთ ოსეთში 1921 წელს იყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 6 პუნქტი, 1926 წელს — 111 და მიმაგრებული ჰყავდა 4144 მსმენელი[13].

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1925 წლის 13 იანვარს მიმართა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს დახმარება გაეწიათ „წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების ცენტრალური გამგეობისათვის". მათ უნდა შეექმნათ ამ საზოგადოების განყოფილებები, საინიციატივო ჯგუფები და გაეშალათ მუშაობა ადგილებზე[14].

პარტიის ლოზუნგის „არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი საბჭოთა რესპუბლიკაში!" განხორციელება მოითხოვდა წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების ადგილობრივი უჯრედების შექმნას, მათში თითოეული მუშისა და გლეხის, ყოველი პატიოსანი მოქალაქის მონაწილეობას პირადი საქმიანობით და მატერიალური დახმარებით, რაც ხელს შეუწყობდა წარსულის მძიმე მემკვიდრეობის — წერა-კითხვის უცოდინარობის — ლიკვიდაციას.

წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა, მიუხედავად მიღებული ღონისძიებებისა 1926 წელს მაინც დიდი არ იყო — შეადგენდა საქართველოს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 53 პროცენტს[15].

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში სიძნელეებს ქმნიდა რესპუბლიკის მაზრებსა და სოფლებში მოსახლეობის მრავალეროვნობა, დაქსაქსულობა, შემორჩენილი ზოგიერთი მავნე ზნე-ჩვეულება, ქალების მძიმე მდგომარეობა, ამას გარდა, პარტიულ ორგანიზაციებს და საბჭოთა აპარატს სოფლად არ ჰყავდა გამოცდილი მუშაკები და სუსტი იყო ქალაქსა და სოფელს შორის კავშირი.

---

[11] «Борьба за упрочение Советской власти в Грузии, Сборник документов и материалов 1921—1925 г., » Тб., 1959, გვ. 513.

[12] А. Э. Куправа, Ликвидация неграмотности населения в Абхазской АССР, Сухуми, 1977, გვ. 32.

[13] ე. ჯიოევა, ბრძოლა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, თბ., 1971, გვ. 26.

[14] გაზ. „კომუნისტი", 1925 წლის 15 იანვარი.

[15] ფ. ყურაშვილი, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განვითარება საქართველოში, თბ., 1978, გვ. 32.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან სოფლებში დაიწყო სკოლების, ქოხ-სამკითხველოების, გლეხთა სახლების შექმნა. ეს სამი უმთავრესი ჩირაღდანი იყო სოფლად, რომელთა კარგად მოწყობა და მუშაობა უზრუნველყოფდა გლეხობის სულიერ და კულტურულ გარდაქმნას[16].

ქოხ-სამკითხველოებში გლეხები სწავლობდნენ წერა-კითხვას, იღებდნენ საბჭოთა კანონებსა და დადგენილებებზე ახსნა-განმარტებას, ეცნობოდნენ მიწის დამუშავებისა და ბოსტნის მოყვანის აგროწესებს.

ქოხ-სამკითხველო ავრცელებდა პრესას. აქ ეწყობოდა სხვადასხვა წრე: სასოფლო-სამეურნეო, სანიტარულ-ჰიგიენური, კოოპერატორულ-ეკონომიკური, ქალთა შორის მუშაობის, დრამატიული, მუსიკალური და სხვ.

გლეხები სარგებლობდნენ ქოხ-სამკითხველოებში გაზეთებით, წიგნებით, საცნობარო ხასიათის (აგრონომიული და სხვ.) ლიტერატურით; ხდებოდა მათი გონებრივი განვითარება, პოლიტიკური და კულტურული შეგნების დონის ამაღლება. გლეხობა თანდათან გამოდიოდა თავისი ქოხის, თავისი სოფლის ფარგლებიდან და უერთდებოდა დანარჩენ მასას, მთელ კაცობრიობას[17].

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 18 სექტემბრის ცირკულარით რესპუბლიკის სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრად აღიარებულ იქნა სათემო ქოხ-სამკითხველო, რომელსაც „უნდა გაეერთიანებინა სოფლად მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა“[18].

ქოხ-სამკითხველოში ხმამაღლა კითხულობდნენ გაზეთს, საუბრობდნენ სხვადასხვა თემაზე, უსმენდნენ აგიტატორებს, ნ. კრუპსკაია წერდა, რომ მოსახლეობამ უნდა გამოიმუშაოს ჩვევა, რომ „ერთად იკითხონ გაზეთი, ერთად იკითხონ და გაარჩიონ საჭირო წიგნები...[19]

საქართველოში 1925 წლის თებერვლისათვის იყო 332 ქოხ-სამკითხველო, 157 ბიბლიოთეკა, წერა-კითხვის უცოდინარობის 2000 სალიკვიდაციო პუნქტი, 13 კლუბი, 53 სახალხო (გლეხთა) სახლი[20].

გ. ხაჭაპურიძის წერილში — „კულტურული მუშაობა სოფლად“ — მითითებულია, რომ პარტიის XIII ყრილობის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაფართოებას და ქოხ-სამკითხველოები გახდა პოლიტიკური და საგანმანათლებლო მუშაობის დასაყრდენი.

პოლიტიკური განათლების მთავარმა მმართველობამ, როგორც წერილიდან ჩანს, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს: მან იკისრა 60 ქოხ-სამკითხველოზე შეფობა — წიგნებით მომარაგება, სამეურნეო ხარჯების და გამგის შესანახად ფულის გაღება და სხვ.; ქოხ-სამკითხველომ, — წერდა გ. ხაჭაპურიძე, — თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს სოფლის მოსახლეობა, პარტიული და კომკავშირული უჯრე-

---

[16] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წლის 5 დეკემბერი.

[17] გაზ. „კომუნისტი“, 1924 წლის 28 მარტი.

[18] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1958, გვ. 432.

[19] ნ. კრუპსკაია, კულტურული მუშაობა კოლმეურნეობებში, თბ., 1932, გვ. 25.

[20] გაზ. „კომუნისტი“, 1925 წლის 20 თებერვალი.

დები, მისი მეშვეობით უნდა მუშაობდნენ მასწავლებლები და სხვა კულტურული ძალები[21].

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას საქართველოში დიდი ზიანი მიაყენა მენშევიკების ავანტურამ 1924 წლის ზაფხულში. საბჭოთა ხელისუფლების მტრები წვავდნენ ქოხ-სამკითხველოებს, გლეხთა სახლებს, კლუბებს, ბიბლიოთეკებს. მაგ., სენაკის მაზრის სოფელ სამიქაოში ბანდიტებმა ცეცხლი წაუკიდეს და გაანადგურეს სამკითხველო, რომელიც მდიდარი იყო წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით.

ამ დროს შეფერხდა მაზრებსა და სოფლებში წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლების მომარაგება საჭირო წიგნებით და ინვენტარით. შეწყდა წიგნებისა და გაზეთების გავრცელებაც, განსაკუთრებით შორეული სოფლების გლეხობა „ხშირად იკვებებოდა იმ ცნობების ნაწყვეტებით, რომლებიც დიდი დაგვიანებით აღწევდა ამ სოფლამდე"[22].

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები 1921—1924 წლებში მოეწყო სენაკის, ოზურგეთის, ზუგდიდის და სხვა მაზრებში.

ქუთაისსა და ხაშურში განათლების მუშაკთა სახლთან დაარსდა პედაგოგიური სექციები, ბიბლიოთეკებსა და საკითხველოებში ტარდებოდა ლექციები და საუბრები, თერჯოლის თემში იყო სამი ქოხ-სამკითხველო და წერა-კითხვის სალიკვიდაციო 4 სკოლა — თერჯოლაში, ღვანკითში, რუფორსა და სიქთარვაში.

დუშეთის სამაზრო პოლიტგანათლებას ჰქონდა 4 ქოხ-სამკითხველო, ცენტრალური კლუბი; სოფ. არტაანში წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლის დაარსებას ფშაველები აღტაცებით შეხვდნენ[23].

თელავისა და სიღნაღის მაზრებში მოქმედებდა 19 ქოხ-სამკითხველო და 7 კლუბი; ზოგიერთი მათგანი მოსახლეობის ხარჯზე იყო გახსნილი.

გორის მაზრაში 1924 წელს აღრიცხვაზე იყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 86 სკოლა, 41 ქოხ-სამკითხველო; სოფ. ტყვიავში გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი 65 მსმენელით; ლექტორთა ჯგუფი კითხულობდა ლექციებს პოლიტიკური, სოფლის მეურნეობის და ხელოვნების საკითხებზე[24].

სალიკვიდაციო სკოლების მსმენელთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ ღარიბი და საშუალო გლეხები, იყვნენ მოჯამაგირეებიც[25].

კულტურულ-საგანმანათლებლო და მასობრივ მუშაობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა წითელ კუთხეებსაც. თბილისში 1926 წელს იყო 155 წითელი კუთხე, აჭარის ასს რესპუბლიკაში 1930 წელს — 10 წითელი კუთხე.

---

21 გაზ. „კომუნისტი", 1925 წლის 24 თებერვალი.

22 იქვე, 1925 წლის 12 თებერვალი.

23 იქვე, 1924 წლის 29 მარტი.

24 იქვე, 1924 წლის 4 მარტი.

25 ი. ჩიქავა, საქართველოს გლეხობის კომუნისტური აღზრდის შესახებ (1921—1937 წწ.), თბ., 1979, გვ. 91.

ქოხ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების ზრდის სურათს ნათლად იძლევა მონაცემები აფხაზეთიდან[26].

| წლები | ქოხ-სამკითხველოები | წითელი კუთხეები |
|---|---|---|
| 1923 | 5 | 18 |
| 1924 | 10 | 23 |
| 1925 | 10 | 39 |
| 1926 | 21 | 47 |
| 1927 | 28 | 56 |

ჩანს, რომ 1925 წლიდან მნიშვნელოვნად მატულობს ქოხ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების რაოდენობა. სულ საქართველოში 1921/1922 წელს იყო 132 ქოხ-სამკითხველო — 1929/1930 წელს კი 551[27].

1927 წლის იანვარში საქართველოს პროფკავშირების ცენტრალური გამგეობის კულტგანყოფილებათა და მუშათა კლუბების ხელმძღვანელების თათბირზე, რომელიც მიეძღვნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობასა და საბიბლიოთეკო მუშაობის მდგომარეობას, აღინიშნა ამ მიმართულებით მუშაობის შენელება.

თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებით ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ქსელის გასაფართოებლად კულტფონდის სახსრებიდან უნდა გამოეყოთ 10—15% და თავისი წვლილი უნდა შეეტანათ აგრეთვე პროფკავშირებს ადგილებზე. ამასთან ბიბლიოთეკებში გაუქმდა პრაქტიკანტობის სისტემა და ბიბლიოთეკის მოსამსახურეთა გამოცდები, სამუშაოდ უნდა შეერჩიათ კვალიფიციური მუშაკები[28].

შემდეგ პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ შექმნა ბიბლიოთეკათა კომისია, რომელმაც გამოიკვლია პროფკავშირების (ე. ი. მუშათა) ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, მაზრებში პროფკავშირებს ჰქონდათ 58 ბიბლიოთეკა 120 ათასი წიგნით.

თბილისის მუშათა 30 ბიბლიოთეკიდან კომისიამ გამოიკვლია 25, აქედან სამი იყო ბაზა და ამარაგებდა საწარმოებსა და უწყებებს წიგნებით; სულ 18 ბიბლიოთეკასთან მოქმედებდა 171 მოძრავი ბიბლიოთეკა (წიგნების დროებით სარგებლობაში გასატანად), 14 ბიბლიოთეკას ჰქონდა მკითხველის მომსახურეობისათვის კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზი.

შედარებით დიდი იყო წიგნადი ფონდის მიხედვით განათლების მუშაკთა კავშირის ბიბლიოთეკა 17470 წიგნით, მუშათა ცენტრალურ კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკაში ინახებოდა 14700 წიგნი, ხოლო საბჭოთა მოსამსახურეთა ბიბლიოთეკაში — 10607 წიგნი.

თბილისის რკინიგზის ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა აწყობდა გამოფენებს, წიგნის დღეებს, მკითხველთა საღამოებს, ხმამაღლა კითხვას, უშვებდა კედლის გაზეთს და პლაკატებს[29].

ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მუშაობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო გარდამავალი დროშისა და ჯილდოს (500 მან.) დაწესებამ, რომელიც მკითხველთა საუკეთესო მომსახურებისათვის წელიწადში ერთხელ გადაეცემოდა მოწინავე სამკითხველოსა და ბიბლიოთეკას.

---

[26] ოქტომბრის რევოლუციის არქივი (თბილისი), ფ. 284, აღწ. საქ. 330, ფურც. 10.

[27] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", თბ., 1931, გვ. 186.

[28] გაზ. „კომუნისტი", 1927 წლის 6 იანვარი.

[29] იქვე, 1927 წლის 17 თებერვალი.

ყოფილი საზოგადოების „წერკუმსის“ ბაზაზე 1927 წლის სექტემბერში შეიქმნა საზოგადოება „წერა-კითხვა“[30]. ამ საზოგადოების სრულიად საქართველოს ყრილობაზე 1929 წლის 15 ოქტომბერს მოხსენებით გამოვიდა ფ. მახარაძე, რომელმაც გააშუქა კულტურული რევოლუციის მიმდინარეობა სოფლად და საზოგადოება „წერა-კითხვის“ ამოცანები, აღნიშნა რესპუბლიკის მოსახლეობის კულტურული განვითარების სხვადასხვა დონე და ყურადღება გაამახვილა მის მრავალეროვნულ შემადგენლობაზე.

ყრილობამ საზოგადოება „წერა-კითხვის“ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ფ. მახარაძე, ხოლო წევრებად — მ. ცხაკაია, მარიამ ორახელაშვილი, შ. ნუცუბიძე, კ. მარჯანიშვილი და სხვ.[31].

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა 1931 წლის დეკემბრის დადგენილებით ქალაქის საბჭოების განათლების განყოფილებასთან და რაიონულ კულტგანყოფილებებთან შექმნა კულტურის საბჭოები, რომლებსაც დაევალათ კულტურულ მშენებლობაში მონაწილე ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია და წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის გეგმების განხორციელებისათვის ხელისშეწყობა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებაზე ზრუნვა. კულტურის საბჭოს სათავეში იდგა პრეზიდიუმი და იყოფოდა სექციებად[32].

1931 წელს საქართველოში დაარსდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ფონდი, სადაც ყველა სამეურნეო ორგანიზაციას უნდა შეეტანა სათანადო თანხა[33].

საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობამ (1932 წ. იანვარი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პოლიტიკურ და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებას სოფლად[34] და კულტმასიური მუშაობის საკითხებზე მიღებულ რეზოლუციაში მოუწოდა ყველა პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დაემთავრებინათ 1932 წლის დასასრულისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა და ცენტრალურმა კომიტეტმა გარდუვალად მიიჩნია მთელ რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დამთავრებულიყო 1934 წლისათვის[35].

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კლუბები. პირველი კლუბი თბილისში 1921 წლის 24 აპრილს საზეიმო ვითარებაში გახსნეს ფ. მახარაძემ და ს. ორჯონიკიძემ. ეს იყო პროფკავშირთა საბჭოს მუშათა ცენტრალური კლუბი საზაფხულო და საზამთრო აუდიტორიებით. მის წევრებად ითვლებოდნენ სხვადასხვა ეროვნების 1090 მუშა-მოსამსახურე. კლუბში დაიწყო ლექციებისა და წარმოდგენების გამართვა, მოაწყვეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ქართული ენის კურსები, სა-

---

[30] ოქტომბრის რევოლუციის არქივი (თბილისი), ფ. 598, საქ. 29, ფურც. 73; ფ. 300, აღწ. 1, საქ. 1103, ფურც. 11.

[31] გაზ. „კომუნისტი“, 1929 წლის 19 ოქტომბერი.

[32] იქვე, 1930 წლის 31 დეკემბერი.

[33] იქვე, 1931 წლის 24 თებერვალი.

[34] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1971, გვ. 657.

[35] ი. ჩიქავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

ხალხო საკრავების სტუდია და დრამატული სექციები ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე.

1923 წელს ამ კლუბში ჩატარდა 23 ლექცია, 40 კინო-სეანსი, 3 წარმოდგენა, 13 კონცერტი, 19 საღამო, 27 სიმფონიური კონცერტი, ბიბლიოთეკიდან გაცემულ იქნა 7793 წიგნი, სამკითხველოთი ისარგებლა 29983 მკითხველმა[36].

კლუბების აუდიტორიებში მოხსენებებით გამოდიოდნენ პარტიისა და მთავრობის გამოჩენილი მოღვაწეები. მაგ., ორთაჭალის კლუბში 1924 წლის 12 მარტს მუშებმა მოისმინეს ს. ორჯონიკიძის მოხსენება „მშრომელი ადამიანის მდგომარეობა წინათ და საბჭოთა ხელისუფლების პირობებში“; ამის გამო გაზ. „კომუნისტი“ წერდა, რომ ს. ორჯონიკიძემ ჯერ ქართულად, მერე რუსული უბრალო, მდაბიო ენით, მასისათვის გასაგებად, ლამაზად და მწყობრად დაახასიათა ეს ორი მომენტი. დარბაზში ხალხი ვერ ეტეოდა. ბევრი გარეთ დარჩა და მაინც შინ არ მიდიოდა. მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს ს. ორჯონიკიძე. შემდეგ სცენის მოყვარულებმა ქართულ და რუსულ ენებზე უჩვენეს წარმოდგენები[37].

კლუბების მშენებლობა უსახსრობის გამო გაძნელებული იყო, ამიტომ იყენებდნენ ეკლესიებსაც. მაგალითად, თბილისში, ალექსანდრეს ბაღში მდებარე ეკლესიაში მოეწყო კლუბი, ლენინის კუთხე, წიგნსაცავი-სამკითხველო ტრანსპორტზე მომუშავე კავშირის წევრებისათვის. ხატების ნაცვლად კლუბს ამშვენებდა რევოლუციის ბელადებისა და შოთა რუსთაველის ბიუსტები[38].

ეკლესიების გამოყენებას კულტურულ დაწესებულებად წყვეტდნენ მშრომელთა მიტინგებსა და საერთო კრებებზე მიღებული დადგენილებით. სულ რესპუბლიკაში გაუქმებული 1200 ეკლესიიდან 1000 კულტსახლად იქნა გადაკეთებული[39].

სოფელ ზემო ჭალაში (ხაშურის რაიონი) ჭალის ეკლესია ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით მოაწყვეს კლუბად და უწოდეს ლენინის სახელი.

თიანეთის რაიონში ეკლესიის შენობაში კომკავშირლები ატარებდნენ კრებებს, წარმოდგენებს, ლექციებსა და საუბრებს[40].

სისტემატურად მუშაობდა პლეხანოვის სახელობის კლუბი ნაძალადევში, აქ მოქმედებდა ქართული და რუსული დრამატული წრეები და მომღერალთა გუნდები, სიმებიანი ორკესტრი, რადიო წრე და სხვ.

ავლაბარში თამბაქოს ფაბრიკა „მირის“ შენობა გადააკეთეს კლუბად.

რკინიგზელთა კლუბს ზესტაფონში (საექსპლუატაციოდ გადაეცა 1927 წლის დეკემბერში) ჰქონდა დარბაზი 400 მაყურებლისათვის, ხუთი ოთახი გამოყოფილი იყო წრეებისა და სექციების სამუშაოდ.

1929 წლის 13 იანვარს თბილისში პირველად საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქურთ-იეზიდების კლუბი (პლეხანოვის გამზ. № 52) და აჩვენეს სააგიტაციო პიესა „მეეზოვე“. კლუბის მიზანი იყო ქურთ-იეზიდების კულტურუ-

---

[36] გაზ. „კომუნისტი“, 1924 წლის 22 მარტი.

[37] იქვე, 1924 წლის 25 მარტი.

[38] ვ. თვალაძე, საქართველოს კომპარტია-რესპუბლიკაში კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზატორი, თბ., 1983, გვ. 99.

[39] იქვე, გვ. 104.

[40] გაზ. „კომუნისტი“, 1924 წლის 23 მარტი.

ლი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია და მათი ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში[41].

გლეხთა ცენტრალური სახლი, რომელიც გაიხსნა თბილისში 1925 წლის თებერვალში, უმასპინძლდებოდა თბილისში ჩამოსულ გლეხებს ლექციებით, საუბრებით. გლეხები უყურებდნენ კინო-სურათებს და ისვენებდნენ კიდეც. საწოლთა რაოდენობა თუ პირველად იყო 65, ერთი წლის შემდეგ გადიდდა 180-მდე. სულ ამიერკავკასიაში იყო გლეხთა სახლი 15, მათ შორის 9 საქართველოში: თბილისში, გორში, ახალქალაქში, ბორჯომში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ბათუმსა და სოხუმში[42].

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1932 წლის 19 აგვისტოს დადგენილებამ მიუთითა კლუბების მუშაობის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე, რომ კლუბები ვერ აკმაყოფილებენ მასების გაზრდილ მოთხოვნებს, ამიტომ დაევალათ პროფკავშირებს კულტმასიური მუშაობის გაძლიერება თვით საწარმოებში, საამქროებსა და ბრიგადებში; საწარმოს გარეთ — საერთო საცხოვრებლებში, მუშებით დასახლებულ ადგილებში და ა. შ.[43].

კლუბების მუშაობა სამტრედიაში, ონსა და სენაკის რაიონებში გაკრიტიკებულ იქნა პრესაში. მათ არ ჰქონდათ სამუშაო გეგმა, იშვიათად უშვებდნენ კედლის გაზეთს და არ იგრძნობოდა ზრუნვა მუშაობის გასაუმჯობესებლად[44].

გაზ. „კომუნისტი" მოწინავეში „კლუბების მუშაობა უმაღლეს დონეზე" წერდა — „საკლუბო მუშაობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება დასვენების ორგანიზაციას და მხატვრული გასართობების მოწყობას. მუშათა კლუბებში უნდა შევიტანოთ იდეოლოგიურად მტკიცე და მიმზიდველი მხატვრული ნიმუშები, რითაც კლუბებს ნამდვილად გადავაქცევთ მუშებისათვის ყველაზე უფრო მიმზიდველ კულტურული დასვენებისა და გართობის ცენტრად"[45].

მშრომელები დიდად დააინტერესა მოძრავმა კინომ მშობლიურ ენაზე. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა კინოსექცია, რომელიც 1923 წელს გამოეყო მას და გაფორმდა „საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის საზოგადოებად" („სახკინმრეწვი"), ამ უკანასკნელთან იმავე წელს შეიქმნა სარედაქციო კოლეგია, შემდეგ — „კინოკონტროლის" კომისია, რომლის ნებართვის გარეშე არ შეიძლებოდა ეკრანზე ყოფილიყო არც ერთი კინო-სურათი[46].

1921 წელს ი. პერესტიანის მიერ გამოშვებულ იქნა პირველი ქართული ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი" შ. დადიანის სცენარის მიხედვით[47].

საქართველოს კინოწარმოებამ შემდეგ ფართოდ გაშალა მუშაობა: 1922 წლის სექტემბერ-დეკემბერში გამოვიდა „სურამის ციხე", „მოძღვარი" „სა-

---

[41] გაზ. „კომუნისტი", 1929 წლის 15 იანვარი.

[42] იქვე, 1926 წლის 17 თებერვალი.

[43] იქვე, 1932 წლის 8 ოქტომბერი.

[44] იქვე.

[45] იქვე, 1931 წლის 16 ნოემბერი.

[46] ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს კომპარტია ქართული საბჭოთა კულტურის შექმნისათვის ბრძოლაში (1921—1931 წწ.), თბ., 1960, გვ. 139.

[47] ც. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, კულტურული მშენებლობის ისტორიისათვის საბჭოთა საქართველოში, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრ., №1, 1955, გვ. 72.

მი სიცოცხლე" და სხვ.[48], ხოლო „საქართველოს კინომრეწველობის სააქციო საზოგადოების" დაარსების შემდეგ, 1923 წლის აგვისტოში დამთავრდა სამოქალაქო ომისადმი მიძღვნილი კინო-სურათი „წითელი ეშმაკუნები", შემდეგ მაყურებელმა მიიღო „მამის მკვლელი", „ყაჩაღი არსენა" და სხვ. ამის გარდა, გამოშვებულ იქნა 50-მდე კინო-ქრონიკა, რომელიც ასახავდა პოლიტიკურ მომენტებს, საქართველოს ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა მხარეს[49].

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახკომსაბჭოს 1926 წლის 5 ივლისის ერთობლივი დადგენილებით მარტო საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის სააქციო საზოგადოება „სახკინმრეწვს" მიენიჭა კინო-სურათებისა და კინო-ქრონიკების გადაღების უფლება და ყველა არსებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, აგრეთვე კერძო პირს აეკრძალა „სახკინმრეწვის" ნებადაურთველად კინოგადაღების წარმოება. კინო-წარმოების ასეთმა ცენტრალიზაციამ ხელი შეუწყო მუშაობის გაფართოებას[50].

1925 წლის ზაფხულში საქართველოს პროლეტკულტმა მოაწყო მოძრავი კინოს ჩვენება თბილისის მაზრის სოფლებში — კოდაში, ასურეთში, ალბულაღში — აჩვენეს ოთხი კინო-სეანსი, კოჯორში — სამი, მუხრანში — ერთი. შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა სოფლებში მოსახლეობას უჩვენებდნენ სურათებს — „არსენა ყაჩაღს" და „არსენ ჯორჯიაშვილს". აგვისტოს განმავლობაში კინო-სურათები (ზოგან აჩვენებდნენ ღია ცის ქვეშ) ნახეს კახეთის 16 სოფელში — სართიჭალა, საგარეჯო, ხაშმი, გომბორი, გურჯაანი, ბაკურციხე, ანაგა და სხვ. გაიმართა 24 კინო-სეანსი, მათ შორის ერთი უფასო. სულ დასწრებია 6613 მაყურებელი.

1925 წლის შემოდგომაზე ქვემო იმერეთის სოფლებში — ბაღდათისა და სვირის რაიონებში მოძრავი კინო-სურათი ნახა 16 ათასზე მეტმა გლეხმა[51].

თუ წინათ გლეხობამ კინოს სახელიც არ იცოდა — წერდა კორესპონდენტი — დღეს საქართველოს პროლეტკულტის მოძრავი კინო მისი საინტერესო გასართობი გახდა[52].

1925 წლის ნოემბრის დამლევს კინო მესამედ ეწვია ველისციხეს (კახეთი) და უჩვენა სურათი „მამის მკვლელი". ბილეთები იყო იაფფასიანი.

კინოს მნიშვნელობა თანდათან იზრდებოდა, მაგრამ კინო-სურათების ჩვენება სოფელ ადგილებში მაინც ნაკლებად ხდებოდა, იგი სამაზრო ცენტრების იქით არ მიდიოდა[53].

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ხელს უწყობდა რადიო-გადაცემები. რადიომაუწყებლობას მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი. მას თვლიდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცოცხლების, მასების პოლიტიკური და კულტურული აღზრდის მძლავრ იარაღად.

---

48 ოქტომბრის რევოლუციის არქივი (თბილისი), ფ. 300, აღწ. 1, საქ. 50, ფურც. 1—15.

49 «Борьба за упрочение Советской власти в Грузии», გვ. 513—525.

50 ოქტომბრის რევოლუციის არქივი (თბილისი), ფ. 284, აღწ. 1, საქ. 262, ფურც. 5—6.

51 გაზ. „კომუნისტი", 1925 წლის 9 ოქტომბერი.

52 იქვე.

53 იქვე, 1925 წლის 20 ოქტომბერი.

სოფლად არ იყო რადიომიმღები აპარატი; რადიოს გავრცელების მხრივ ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველო, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს.

პირველად თბილისში შეიქმნა რადიო-უნივერსიტეტი (ეს იყო სსრ კავშირში მეორე — მოსკოვის შემდეგ). რადიო გადაცემები ხდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე ოთხი ციკლით — საერთო განათლების, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული და კოოპერატიული მუშაობის ხაზით[54].

რადიოგადაცემის პროგრამის სისტემატური გამოქვეყნება ჩვენი რესპუბლიკის პრესაში დაიწყო 1927 წლის მარტიდან, მაგრამ არ იყო საკმარისი უკვე მოქმედი რადიო „სტაციონარები" და 13 მოძრავი სადგური, რომელიც უნდა დაედგათ სხვადასხვა ქალაქში. საქართველოში ავტონომიურ ერთეულებთან ერთად ირიცხებოდა 400-ზე მეტი თემი. ამიტომ პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი — თითოეულ თემში მოეწყოს თითო რადიო მიმღები[55].

1927 წლის დასასრულს სვანეთში ამოქმედდა ოთხი რადიო სადგური, თელავის მაზრაში რადიომიმღები გააკეთეს შემდეგ სოფლებში — ყვარელში, ენისელში, ნაფარეულსა და ახმეტაში[56].

რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1929 წლისათვის პოლიტგანათლების მთავარმმართველობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივის შედეგად რადიომიმღები აპარატი დაიდგა 105 პუნქტზე.

1932 წლისათვის მსხვილი სამრეწველო რაიონებისა და სამაზრო ცენტრების უმრავლესობა რადიოფიცირებული იყო, პარალელურად დაიწყო რადიომიმღებების დადგმა მაღალმთიან დასახლებულ ადგილებში.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ხელს უწყობდა სამხატვრო-სააგიტაციო ექსპედიციები. ერთ-ერთი ასეთი ექსპედიცია 1923 წლის 29 აგვისტოს გაემართა თბილისიდან მაზრებში სანდრო ეულის ხელმძღვანელობით, მისი მონაწილენი აწყობდნენ საღამოებს და კითხულობდნენ ქართველი და რუსი პროლეტარული მწერლების ნაწარმოებებს, დგამდნენ წარმოდგენებს, მღეროდნენ რევოლუციურ რომანსებს.

საღამოები ჩატარდა გორში — 2, სურამში — 1, ბორჯომში — 1, ჭიათურაში — 1, შორაპანში — 1, სამტრედიაში — 1, ფოთში — 4, ბათუმში— 2, სენაკში — 2 და ა. შ. დასწრებია 10 ათასზე მეტი მაყურებელი — მუშები, გლეხები და ახალგაზრდობა, რკინიგზის მუშებისათვის საღამო უფასო იყო[57].

ამ მიზანს ემსახურებოდა „მოსავლის დღესასწაული", მას აღნიშნავდნენ ოქტომბრის შუა რიცხვებში. კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებში ამ დროს გამოფენები ეძღვნებოდა სოფლის მიღწევების ჩვენებას; სამაზრო ცენტრებიდან და ქალაქებიდან ჩამოდიოდნენ სააგიტაციო ბრიგადები; იმართებოდა საუბრები, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების ხმამაღალი კითხვა, დღესასწაულში მონაწილეობდნენ აგრონომები, მასწავლებლები და მოსწავლეები[58].

---

[54] გაზ. „კომუნისტი", 1929 წლის 22 იანვარი.

[55] იქვე, 1927 წლის 22 მარტი.

[56] იქვე, 1928 წლის 1 თებერვალი.

[57] იქვე, 1923 წლის 9 ოქტომბერი.

[58] იქვე, 1923 წლის 16 ოქტომბერი.

„მოსავლის დღესასწაულის“ პოლიტიკური მნიშვნელობა იყო ისიც, რომ ხელს უწყობდა ქალაქსა და სოფელს შორის, მუშებსა და გლეხებს შორის კავშირის განმტკიცებას.

კოლექტივიზაციის პერიოდში ფართო გაქანება მიიღო პროფკავშირების თაოსნობით დაწყებულმა საბჭოთა სოფლის ახალმა კულტურულ-შრომითმა დღესასწაულმა „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღემ“ (იგი ტარდებოდა ოქტომბრის მეორე ნახევარში). ამ დროს პროფსაბჭო აგზავნიდა სოფლებში მომხსენებლებსა და აგიტატორებს, დრამატულ წრეს, მოძრავ კინოს, სიმებიან ორკესტრს, მომღერალთა გუნდს და სხვ.

„კულტურული ლაშქრობაც“ ხელს უწყობდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარებას. კომკავშირის ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციამ 1928 წლის ზამთარში მოაწყო „კულტურული ლაშქრობა“ 450-მდე კომკავშირული აქტივისტის მონაწილეობით. მათ წერა-კითხვის სალიკვიდაციო პუნქტების მუშაობაში ჩააბეს ადგილებზე კომკავშირული ახალგაზრდები; აღწერეს მაზრაში დარჩენილი წერა-კითხვის უცოდინარი (15—35 წლის ასაკამდე და მიამაგრეს ისინი სალიკვიდაციო პუნქტებს: ჩაატარეს ჟურნალ-გაზეთებზე ხელისმოწერა, გაავრცელეს მოსახლეობისათვის საჭირო წიგნები და მოამზადეს პირობები საბჭოების მომავალი არჩევნების კამპანიის ჩასატარებლად[59].

საქართველოს ცაკ-თან შექმნილმა ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ნაყოფიერმა მუშაობამ განამტკიცა ადამიანებს შორის ძმობა და მეგობრობა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ეს კომისია — წერდა ფ. მახარაძე — ავითარებს და ამტკიცებს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნებათა შორის მშვიდობიან ურთიერთობასა და მჭიდრო თანამშრომლობას. ამასთან წინ წევს ეროვნულ უმცირესობათა გონებრივ და კულტურულ წარმატებებს. „რამდენადაც ჩვენ მოვახერხებთ ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობის გარკვევას და შესწავლას და რამდენადაც ჩვენ წარმატებით ვაწარმოებთ მათში საბჭოთა აღმშენებლობას, იმდენად ჩვენ უფრო ფართოდ და ღრმად განვავითარებთ საერთოდ საბჭოთა, ე. ი. სოციალისტურ აღმშენებლობას ჩვენს ქვეყანაში“[60].

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე საქართველოში ფართოდ გაიშალა მუშაობა მოსახლეობის პოლიტიკური გათვითცნობიერებისა და კულტურული დონის ასამაღლებლად. პირველ რიგში ყურადღება მიექცა წარსულის მძიმე მემკვიდრეობის — წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროში პირველი ნაბიჯები წარმატებით გადაიდგა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის (წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების, ქოხ-სამკითხველოების, ბიბლიოთეკების, კლუბების და სხვ.) შექმნამ და გაფართოებამ.

---

[59] გაზ. „კომუნისტი“, 1928 წლის 25 დეკემბერი.

[60] იქვე, 1927 წლის 16 თებერვალი.

ახალი ცხოვრების მშენებლობა დიდ ენთუზიაზმს იწვევდა მშრომელებში. მუშათა და გლეხთა მასებს სწყუროდათ ცოდნა, მათი მისწრაფება განათლებისაკენ იყო მძლავრი და ნამდვილად სახალხო.

Л. В. ДЖИКИЯ

## ПЕРВЫЕ ШАГИ КУЛЬТУРНО-ПРОСВЕТИТЕЛЬНОЙ РАБОТЫ В ГРУЗИИ

**Резюме**

После победы Советской власти в Грузии широко развернулась культурно-просветительная работа.

В статье показано, что культурно-просветительная работа являлась важным средством коммунистического воспитания трудящихся, роста их политической и трудовой активности, кроме того, охарактеризованы трудности культурно-просветительной работы в Грузии — многонациональность населения, некоторые отсталые вредные обычаи, бесправие и тяжелое положение женщин, нехватка опытных, квалифицированных работников в деревнях и уездах.

В первую очередь особое внимание было обращено на ликвидацию неграмотности населения. Большую роль в этом играло создание и расширение таких культурно-просветительных учреждений, как школы ликбеза, избы-читальни, библиотеки, клубы и др.

Строительство нового советского общества вызвало большой энтузиазм трудящихся. Рабочие и крестьяне стремились к знаниям, и стремление это было сильным, могучим и действительно народным.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

მერაბ მეგრელიშვილი

# აჭარის პარტიული პრესის როლი მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს ორგანიზებული, გეგმაზომიერი გაერთიანებული პარტიული მუშაობის შემადგენელი ნაწილი[1]. რკპ (ბ) VIII ყრილობამ თავის რეზოლუციაში „პარტიული და საბჭოთა პრესის შესახებ ბეჭდვითი სიტყვის მთავარ ამოცანად აღიარა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა მიმდინარე პოლიტიკის და პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა ყოველდღიური პროპაგანდის საფუძველზე[2].

საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის 28 აპრილის დადგენილება გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს ავალებდა, რომ სისტემატურად გაეშუქებინათ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც წარმოებდა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, კადრების დენადობის შემცირებისათვის, წარმოებაში სამუშაო დროის გამოყენების გაუმჯობესების, შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და წესრიგის დამყარებისათვის.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს გაზეთებმა „უწყებები“, „ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლა“, „იზვესტია“, „ტრუდოვოი ბათუმი“, „ტრუდოვოი აჭარისტანი“, „ფუხარა“, „საბჭოთა აჭარისტანი“ და ა. შ.

სოციალისტური შრომის დისციპლინის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა აჭარის პრესამ. მის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა სტატიები შრომის დისციპლინის დამრღვევი ფაქტორების წინააღმდეგ. გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანში“ დაბეჭდილი წერილი „სად იკარგება შრომის ნაყოფიერება? ეხმაურებოდა აჭარის საოლქო კომიტეტის დადგენილებას შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ დისციპლინის ყველაზე საშინელი მტერია ლოთობა. მუშათა უბნებში არ უნდა იყოს სამიკიტნო. საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1926 წლის 28 აპრილის დადგენილებაში „სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ“, აღნიშნულია, რომ ლოთობა უარყოფით გავლენას ახდენს და სცემს შრომის ნაყოფიერებას[3]. სამუშაო დღის გაცდენის შესახებ ხშირად მუშათა ჩამორჩენილ წრეებში არასწორი შეხედულება არსებობს, — წერდნენ გაზეთები, — გაცდენილი დღის ხელფასს ადმინისტრაცია არ იძლევა, მაშ მუშა სამუშაო დღის გაცდენით თვითონ ზარალობს, ქარ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 36.

[2] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი I, თბ., 1954, გვ. 579.

[3] პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ (დოკუმენტების კრებული), თბ., 1956, გვ. 480.

ხანას არაფერი არ ეკარგებაო. სწორია თუ არა ასეთი მსჯელობა? რასაკვირველია არ არის სწორი. ასეთი მსჯელობისას ავიწყდებათ, რომ ჩვენი მეურნეობა გეგმობრივი მეურნეობაა, ხოლო ქარხანას თავისი სამუშაო გეგმის შესრულება არ შეუძლია ისე, თუ მისი მუშები მთელი სამუშაო დღის განმავლობაში არ მუშაობენ. დროის გაცდენა დაასკვნის გაზეთი — ანგრევს ქარხნის სამუშაო გეგმას[4].

გაზეთის რეაგირების გარეშე არ რჩებოდა დისციპლინის დარღვევის არც ერთი ფაქტი. ხშირად პარტიის წევრს პარტიული დისციპლინის დარღვევისათვის მიცემულ საყვედურს გაზეთში უცხადებდნენ.

20—25-იან წლებში მიმდინარეობდა დიდი კამპანია შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. გაზეთების კორესპონდენტებს თავიანთ წერილებში საშკარაოზე გამოქონდათ შრომის დისციპლინის დარღვევის, სამუშაო დროის გაცდენის ფაქტები. ყველა ერთხმად მოითხოვდა სასტიკი ზომების მიღებას გამცდენების, ლოთების, მუქთახორების, დეზორგანიზატორების წინააღმდეგ. პრესა მოუწოდებდა მშრომელებს შრომის დისციპლინის ამაღლება-განმტკიცებისაკენ, სამუშაო დღეების გაცდენის აღმოფხვრისაკენ.

პრესა გაძლიერებულ აგიტაციას ეწეოდა ლოთობის წინააღმდეგ, მოაგონებდა საზოგადოებას მის მავნე შედეგებს, ასე მაგალითად, ერთ-ერთი გაზეთის წერილში „ქეიფობა უსაქმობის ნაყოფია“ ვკითხულობთ: „ამჟამად ბათუმში ხშირად გადაეყრებით მოქეიფე მამულიშვილებს. ზოგიერთები იქამდისაც კი მიდიან, რომ ქეიფობას და უშინაარსო ცხოვრებას პირველ რიგში აყენებენ. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ვაჟბატონები მუშტი-კრივზეც კი გადადიან და ერთიმეორეს თავპირს ამტვრევენ. ვინ არ იცის, რომ ასეთმა ფუქსავატურმა ცხოვრებამ თავისი დრო მოსჭამა და დღეს ყველა ეს სამარცხვინო საქმეთაა მიჩნეული. წინათ ის იყო ჩვენში კარგი ყმაწვილი, ვინც მეტ ღვინოს დალევდა და სუფრას ლაზათიანად შემოუჯდებოდა, დღეს კი, — ამბობს გაზეთი, — ისაა კარგი ვინც რაიმეს გააკეთებს საზოგადოებისათვის. აბა ვის შეუძლია დაუშალოს და აუკრძალოს ღვინის სმა და ამხანაგური თავყრილობა სუფრის გარშემო, მაგრამ ისეთი, როგორც ზოგიერთს სჩვევია, უთუოდ უნდა აიკრძალოს. საბჭოთა მოსამსახურენი, რომელნიც ასე იქცევიან, ისინი დაუყოვნებლივ უნდა დააპატიმრონ და გამოიძიონ, რომელი საშუალებით აქვთ მათ საქეიფო ფული, საიდან აქვთ ამდენი დრო? ყოველივე ამას, — დასძენს გაზეთი, — ახლავე უნდა მოეღოს ბოლო[5].

გაზეთი სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ლოთებს, მასში იბეჭდებოდა მათი კარიკატურები და კრიტიკული წერილები. 1923 წელს „ტრუდოვოი ბათუმი“ მოუწოდებდა აჭარის მოსახლეობას: „ჩვენი სადღეისო ამოცანაა ბრძოლა სიმთვრალესთან. ჩვენ გავიმარჯვებთ სიმთვრალეზე, ჩვენი ლოზუნგია ძირს კერძო დუქნები“[6].

1934 წელს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მთელი რიგი სამეურნეო, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების შემოწმებით დადგინდა, რომ ზოგჯერ ადგილი ჰქონდა კანონის დარღვევას. კერძოდ, სრულიად არასაჭირო და

[4] გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“, 1929 წლის 27 აპრილი.

[5] გაზ. „უწყებები“, 1921 წლის 4 აგვისტო.

[6] გაზ. „ტრუდოვოი ბათუმი“, 1923 წლის 7 ივნისი.

დაუშვებელ ხანგრძლივ მივლინებებს, მივლინებათა აღრიცხვის უქონლობას (ბრძანებათა წიგნებში), საგრძნობ გადახარჯვას მივლინებათა ანაზღაურებაში და სხვ.[7] უკანონო მივლინებებმა იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურო იძულებული გახდა 1934 წლის 28 აპრილის დადგენილებით მივლინებებზე მეთვალყურეობა და კონტროლი დაეკისრებინა აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის.

1932 წლის 15 ნოემბერს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღებულობს დადგენილებას „არასაპატიო მიზეზით გამცდენთა სამუშაოდან გამორიცხვის შესახებ". გაცდენა-დაგვიანების აღკვეთის მიზნით სამსახურში დროულად გამოცხადებულთათვის შემოღებული იქნა წიგნაკები. 10 წუთით დაგვიანება სამსახურში გამოუცხადებლობად ითვლებოდა.

1933 წლის 20 მაისიდან 10 ივნისამდე აჭარაში მიმდინარეობდა გაცდენებთან ბრძოლის მდგომარეობის მასობრივი შემოწმება. პრესამ მას ფართო ხასიათი მისცა. შემოწმების მასალები სისტემატურად ქვეყნდებოდა. მეტად საყურადღებო იყო და დიდ აღმზრდელობით დანიშნულებას ასრულებდა გაზეთის მიერ შემოღებული წითელი და შავი დაფები. პირველში მოწინავენი ხვდებოდნენ, მეორეში კი — შრომის დეზერტირები.

საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის სექტემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ სანიმუშო დისციპლინა იწყება ხელმძღვანელის მაღალი პასუხისმგებლობით და ორგანიზებულობით. ამიტომ გასაგებია, რომ აჭარის პარტიული პრესა დიდ მუშაობას ეწეოდა ხელმძღვანელის, თანამდებობის პირის ნამდვილი საქმიანი და პოლიტიკური იერსახის დადგენა-ჩამოყალიბებისათვის. ასე მაგალითად, სტატიაში „მასიური თვითკრიტიკა" ხელმძღვანელის შესახებ სწერია: — „ორგანიზაცია მთლიანად ჯანსაღია თუ ხელმძღვანელი თავის სიმაღლეზეა, მაგრამ თუ ხელმძღვანელი ამხანაგები გაიხრწნენ, მეშჩანობის ჭაობში ჩაეფლენ, ლოთობენ, ეწევიან გარყვნილ ცხოვრებას, ერთმანეთის ცოლებს ფარავენ, მაშინ ორგანიზაციაში დისციპლინა იშლება"[8]. არ შეიძლება,— ამბობს გაზეთი, — დავაშოროთ კომუნისტის პირადი ცხოვრება მის საზოგადოებრივ მუშაობას. წარმოიდგინეთ, მაგალითად ორგანიზაციის ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც გამოდის საჯარო მოხსენებით, ჰკიცხავს ლოთობას, ორგანიზაციის ნაკლს, მიუთითებს ამხანაგებს თუ როგორ მოიქცნენ, მაგრამ იგივე ამხანაგი კრებიდან მიდის საქეიფოდ, მიდის სადმე ყავახანაში, გალეშილი, ჩხუბს ასტეხს და ყველაფერი ეს იციან მისმა მუშებმა. რა ფასი აქვს მის სიტყვებს კრებაზე? ვინ დაიჯერებს მის მოწოდებას. გახრწნა უპირველეს ყოვლისა ყოფა-ცხოვრების ხაზით იწყება. ყოველ პასუხისმგებელ მუშაკს უნდა ახსოვდეს, — დაასკვნის გაზეთი, რომ მას თვალყურს ადევნებს მილიონობით მუშა. მშრომელ მასას ეკუთვნის მისი საზოგადო მოღვაწეობა და პირადი ცხოვრებაც"[9].

გაზეთი „ფუხარა", ეწეოდა რა კრიტიკას ყოფა-ცხოვრების გამხრწნელი მოვლენების წინააღმდეგ, დიდი სარგებლობა მოჰქონდა მშრომელთა ყოფის გაჯანსაღების საქმეში.

---

[7] საქართველოს კპ(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის არქივი, ფ. 1, აღწერა 4, საქ. 2, ფურც. 190.

[8] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 604.

[9] გაზ. „ფუხარა", 1928 წლის 16 მაისი.

ნაშრომში „სასურსათო გადასახადის შესახებ“ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ჩვენში მოსპობილია ძირითადი ფესვი, რომელიც ასაზრდოებდა ბიუროკრატიას, განადგურებულია ბურჟუაზია, რომელსაც ბიუროკრატია ესაჭიროება მუშათა კლასის დასათრგუნავად, მაგრამ დარჩა ბიუროკრატიის მეორე ფესვი „წვრილი მწარმოებლის დაქუცმაცება, მისი სიღატაკე, უკულტურობა, უგზოობა, წერა-კითხვის უცოდინარობა“[10].

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად საშუალებად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა მშრომელთა რაც შეიძლება ფართოდ ჩაბმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, მთელი მოსახლეობის კულტურის ამაღლებაში, პროლეტარული თვითკრიტიკის განვითარებაში.

პრესა ხელს უწყობდა მუშათა და გლეხთა ფართო მასების ჩაბმას სახელმწიფო მართვა-გამგეობაში, ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან მათ ბრძოლას. მუშკორები თავიანთ წერილებში ამხელდნენ ბიუროკრატიზმის გამოვლენის შემთხვევებს და მოუწოდებდნენ მასებს ეწარმოებინათ დაუნდობელი ბრძოლა აღნიშნულ დამახინჯებათა წინააღმდეგ. ზოგიერთ შემთხვევაში პრესის მუშაკები თვითონ იკვლევდნენ საქმეს. კორესპონდენციაში „ბიუროკრატიზმი ჩაქვის მამულში“, ასეთი შემთხვევა იყო აღწერილი: მუშა ქალმა ლიზა ცინცაძემ იმუშავა 9 დღე. ადმინისტრაციის სიაში კი ეს არ იყო აღნიშნული, როცა მუშკორი ამის შესახებ შეეკითხა ადმინისტრაციას, უკანასკნელმა იუკადრისა: როგორ თუ მუშამ მიჩივლა და მუშკორი მოდის საქმის გამოსარკვევადაო? ასეთი პასუხით ისტუმრებენ, — აღნიშნავს გაზეთი, — ჩაქვის მამულში ზოგიერთი ადმინისტრატორები მუშებს. მუშებისადმი თავხედური მოპყრობა საბჭოთა ქვეყანაში არავის ეპატიება[11].

უყაირათობისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების მიზნით 1928 წლიდან გაზეთ „ფუხარაში“ ცალკე გვერდი დაეთმო მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელს, რომელსაც ეწოდებოდა „მასების კონტროლის გზით“. აქ იბეჭდებოდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევები, სტატიები ქურდობის, გამფლანგველობის, ბიუროკრატიზმის და სხვა დანაშაულებრიობათა შესახებ. სტატია „კოოპერაციის წურბელები“ ეხებოდა ქობულეთის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის შემოწმების შედეგებს, ყოველგვარი საბუთების გარეშე უგზო-უკვლოდ გაფანტულ თანხებს. ჯიშიანი საქონლის შესაძენად ამხანაგობას მიეცა კრედიტი 1,500 მანეთი. ეს თანხა გლეხობას უნდა დარიგებოდა, როგორც მიზნობრივი სესხი ჯიშიანი საქონლის შესაძენად, სინამდვილეში კი იგი გაიფლანგა. ასეთ შემთხვევას, — დასძენს გაზეთი, — ბოლო უნდა მოეღოს[12].

მუშგლეხკორები გადამწყვეტ სიტყვას ამბობდნენ ბიუროკრატიული და სოციალურად უცხო ელემენტებისაგან პარტიული და საბჭოთა აპარატის გაწმენდის საქმეში, გაძლიერებულ ბრძოლას აწარმოებდნენ თვითკრიტიკის შეზღუდვის ბიუროკრატიულ ცდებთან.

---

[10] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ 32, გვ. 445.
[11] გაზ. „ფუხარა“, 1928 წლის 27 ნოემბერი.
[12] იქვე, 1928 წლის 15 ნოემბერი.

გაზეთი ცალკე განყოფილებაში — „მუშათა ცხოვრება“ — დიდ ადგილს უთმობდა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, გაფლანგვის, მექრთამეობის შემთხვევებს. გზეთში დაბეჭდილი მამხილებელი წერილი სპეციალური შემოწმების შემდეგ აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი ხდებოდა.

1933 წლის 21 აგვისტოს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა მამხილებელი წერილი „კოოპერატორი ბიუროკრატები“, მასში გაკრიტიკებული იყო აჭარის კოოპკავშირში გამეფებული ბიუროკრატიზმი. აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ იმსჯელა აღნიშნულ ფაქტებზე და მკაცრად დასაჯა დამნაშავეები. ამგვარად აჭარის პარტიული პრესა დიდ ადგილს უთმობდა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხებს, მოურიდებლად ამხელდა და საერთო მსჯელობის საგნად აქცევდა ბიუროკრატიზმის ცალკეულ შემთხვევებს[13].

ლენინური პარტიის XV ყრილობამ პრესის მუშაკებს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა. განსაკუთრებით ამის შემდეგ პრესის მუშაკები თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში კარგად იყენებდნენ კრიტიკის ბასრ იარაღს. გაზეთი კრიტიკულ წერილში „რა ხდება ბათუმის საბაჟოში?“, აღნიშნავდა, რომ აქ გაბატონებულია ყოველგვარი კომბინაცია: ფულების მითვისება, გამოძალვა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, კონტრაბანდა და სხვა სისაძაგლე; „სამწუხარო და სავალალო ისაა, მიუთითებდა გაზეთი, — რომ საბაჟოში მომუშავე კომუნისტებმა კონტრაბანდასთან მებრძოლი ორგანო გადააქციეს კონტრაბანდის ხელშემწყობ ორგანიზაციად. ბათუმის საბაჟოს ხელმძღვანელთა და პასუხისმგებელ მუშაკთა ყოფა-ცხოვრება დიდი ხანია იქცევდა ყურადღებას, — განაგრძობს გაზეთი, — ის ფაქტი, რომ ჩვეულებრივი ხელფასის მქონე საბჭოთა მუშაკები მუდმივ ქეიფში და ლოთობაში ატარებდნენ დროს. მერე რას აკეთებდნენ ამ დროს საბაჟოს მუშა-მოსამსახურეები? მათ ცხვირწინ ხდებოდა მთელი რიგი დანაშაულობანი, ხოლო მათ ამის შესახებ არაფერი არ იცოდნენ. რატომ? სვამს კითხვას გაზეთი და აქვე პასუხობს — იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ კარგად დაყენებული მუშური მასის კონტროლი, რომლის სისუსტემ გასაქანი მისცა ბოროტმოქმედებას[14].

რაც უფრო წინ მიდიოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება, მით უფრო ეცლებოდა ნიადაგი ისეთ ავადმყოფურ მოვლენას, როგორიც იყო ხულიგნობა. მთელი საზოგადოება დაირაზმა ამ მავნე სენის წინააღმდეგ. წარმოებებში დგებოდა ხულიგნობასთან მებრძოლი კომისიები, მუშათა რაზმები. ეწყობოდა მათი საჩვენებელი გასამართლება. გაზეთი თითქმის ყოველდღიურად აღნიშნავდა ხულიგნობის შემთხვევებს: „ბუდიონის და თბილისის ქუჩის კუთხეში მდებარე საპარიკმახერო ხულიგნების ბუდედ არის გადაქცეული. აქ ყოველდღე თავს იყრიან ხულიგნები და მთელი დღე-ღამის განმავლობაში გაისმის ყვირილი და ქუჩური ლანძღვა-გინება. სადალაქოში თავმოყრილი ძმა-ბიჭები გამკლავებასაც არ ივიწყებენ“, — იუწყებოდა გაზეთი და მოითხოვდა სადალაქოს დაკეტვას[15].

---

[13] საქართველოს კპ(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის არქივი, ფონდი, 1, აღწერა 3, საქ. 263, ფურც. 173.

[14] გაზ. „ფუხარა“, 1928 წლის 8 იენისი.

[15] გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“, 1929 წლის 27 აპრილი.

გაზეთ „ტიფლისკი რაბოჩის“ ინიციატივას მხარი აუბეს აჭარაში მოქმედმა გაზეთებმა და დააწესეს სპეციალური განყოფილება „პარტიის წევრებისა და კანდიდატების პირადი თვისებების ფურცელის“ სახელწოდებით. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე 1933 წლის 5 თებერვალს გაგზავნილ წერილში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მოითხოვდა, რომ „ფურცელში“ სისტემატურად ყოფილიყო მიცემული მასალები სამუშაოს გამცდენი კომუნისტების შესახებ. გაკრიტიკებული ყოფილიყო ის საწარმოო უჯრედები, რომლებიც შემარიგებლობას იჩენდნენ იმ კომუნისტების მიმართ, ვისაც არ ეკავა ავანგარდული, მოწინავე პოზიციები წარმოებაში, მხილებული ყოფილიყო აგრეთვე იმ დაწესებულებათა პარტიული და კომკავშირული უჯრედები, სადაც ადგილი ჰქონდა დატაცებას და გაფლანგვას[16].

გაზეთში დაწესებული ფურცელი დიდ ადგილს უთმობდა სოციალისტური საკუთრების დატაცების, გაფლანგვის შემთხვევებს. გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ აღნიშნული იყო, რომ სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა არასაკმაო სიფხიზლემ, პასუხისმგებელ თანამდებობებზე არასაიმედო პირების დაწინაურებამ გამოიწვია ის, რომ 1936 წელს, 9 თვის განმავლობაში აჭარკოოპკავშირის ხაზით ადგილი ჰქონდა დიდძალ გაფლანგვას. გაზეთი მოუწოდებდა: „ნურავინ ნუ შეეცდება ისარგებლოს ჩვენი კანონმდებლობის ჰუმანურობით და ნუ მიაყენებს ზიანს მუშათა კლასს, მის სახელმწიფოს, სოციალისტურ მშენებლობას. უნდა იცოდეს ყველამ, რომ ყოველი დანაშაული, მიმართული სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ სასტიკად იქნება დასჯილი“[17].

გაზეთი გაძლიერებულ აგიტაციას ეწეოდა სპეკულაციის წინააღმდეგ. 20-იანი წლების მიწურულს აჭარაში განსაკუთრებით გაძლიერდა პურით სპეკულაცია. მთელ რიგ დაწესებულებებში პურის ხარჯთაღრიცხვას არ აწარმოებდნენ, გაბატონებული იყო არამეურნეობრიობა, უკონტროლობა, პურის ნორმების არასწორი განაწილება. პური მაღალ ფასებში ეძლეოდათ კულაკებს.

1931 წლის 12 აპრილს აჭარის საოლქო კომიტეტი ღებულობს დადგენილებას „პურით სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ“. პურით სპეკულაცია გამოცხადდა მავნე დანაშაულად, რომელიც სასტიკად ისჯებოდა[18]. „ახალი ამბები“ — ამ სათაურით გაზეთში ქვეყნდებოდა სპეკულაციის შემთხვევები. გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ იუწყებოდა, რომ ქალაქის საავადმყოფოს, ოჩხამურის საბჭოთა მამულის, ბათუმის საგარეუბნო მამულის, ხულოსა და ქედის კოოპერატიული კავშირის გამგეობამ, პარტუჯრედებმა და ადგილკომებმა ვერ შეასრულეს აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს 1931 წლის 12 აპრილის დადგენილება, რითაც ხელი შეუწყვეს პურის საგრძნობ გადახარჯვას, ყალბი საბუთებით ზედმეტი პურის მიღებას და მიღებული პურის უსისტემოდ განაწილებას[19].

პარტიული და საბჭოთა პრესა ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა კონტ-

---

[16] გ. ჟ ვ ა ნ ი ა, საქართველოს პარტიული და საბჭოთა პრესა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, თბ., 1975, გვ. 255.

[17] გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1937 წლის 8 მაისი.

[18] საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის არქივი, ფონდი 1, აღწერა 3, საქ. 10, ფურც. 355.

[19] გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“, 1934 წლის 16 ოქტომბერი.

რაბანდის წინააღმდეგ. აჭარაში კონტრაბანდამ ერთობ ფართო ხასიათი მიიღო. „კონტრაბანდა უკან სწევს აჭარის მრეწველობას, ხელს უშლის სააღმშენებლო საქმეს და ფუხარა ხალხისათვის დამღუპველი შედეგები მოაქვს. აჭარის მოსახლეობამ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ამ მავნე სენს", — წერდა გაზეთი[20].

1926 წელს გაზეთში გამოქვეყნდა სსრ კავშირის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ბრძანება № 39, რომელმაც მოითხოვა გადამწყვეტი ზომების მიღება კონტრაბანდისტების წინააღმდეგ[21]. ამის შემდეგ გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად შუქდებოდა კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოების (საგანგებო ხუთეულები და სამეულები) მუშაობა.

დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა აჭარაში უზრუნველყოფილია ეროვნული მშვიდობიანობა და ძმური თანამშრომლობა. აჭარის მშრომელთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის პრესას, რომელიც შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ, ხელს უწყობდა ამიერკავკასიის ხალხებს შორის მეგობრული კავშირის განმტკიცებას. ასე მაგალითად, გაზეთი „უწყებები" მკაცრად აკრიტიკებს მეფის რუსეთის „დაჰყავი და იბატონეს" პოლიტიკას. მთელი საუკუნეების განმავლობაში, — აღნიშნავს გაზეთი, — იმპერატორული რუსეთი თავის ერთგული მოხელეების საშუალებით ამიერკავკასიაში აწარმოებდა ხალხთა გათიშვის პოლიტიკას. ამ პოლიტიკის წყალობით ამიერკავკასიის ხალხთა შორის გაჩაღებული იყო საშინელი ეროვნული შუღლი, რომლითაც ხელს ითბობდნენ ნაძირალები. ერთი ერის წასისიანება მეორე ერზე, მტრობისა და შურის ჩამოგდება ხალხებს შორის — აი რა იყო მათი ნაცადი იარაღი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამიერკავკასიაში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ეს სწორედ იმიტომ, რომ ერთ მშრომელ კლასს არაფერი არა აქვს სადავო მეორე ერის მშრომელ კლასთან. ამიერკავკასიის ხალხებს ამიერიდან ვერავინ დაჰყოფს და ვერ იბატონებს ამ დაყოფით[22].

აჭარის პრესა უდიდესი სიხარულით შეხვდა სსრ კავშირის შექმნის იდეას. გაზეთი „უწყებები" მიესალმა საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას.

ვ. ი. ლენინის აზრით, შეუძლებელი იყო სოციალიზმის აშენება, თუ ქალები მამაკაცებთან ერთად არ ჩაებმებოდნენ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში, ხოლო ამას ქალი მაშინ შეძლებდა, როცა ის შეიმსუბუქებდა ოჯახურ ტვირთს.

მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობას აჭარის პარტიული პრესა წარმართავდა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის 1 მარტის დადგენილების საფუძველზე, რომელშიც გამახვილებული იყო ყურადღება შემდეგ საკითხებზე: 1. ქალთა უფლებრივი მდგომარეობის და მათი ცხოვრების გაშუქება; 2. ქალთა სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმა; 3. ქალთა ორგანიზაციების მუშაობა და სხვ.

---

[20] გაზ. „ფუხარა", 1926 წლის 28 ოქტომბერი.

[21] იქვე.

[22] გაზ. „უწყებები", 1922 წლის 5 მარტი.

პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა მასალები მუშა და გლეხ ქალთა საყოფაცხოვრებო პირობებზე, პარტიულსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ქალთა ჩაბმის მნიშვნელობაზე, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ქალთა დაწინაურების, სადელეგატო კრებებში ქალთა აქტიურობის საკითხებზე.

გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ აჭარელი ქალის უფლებრივ მდგომარეობას და გამოდიოდნენ მისი ხელყოფის წინააღმდეგ. პრესა იბრძოდა რა ჩადრის ტარების წინააღმდეგ, ებრძოდა მისი ტარების მომხრეებს, რომლებიც „ამტკიცებდნენ“, რომ ჩადრის ახდა უპატიოსნო ცხოვრებას შეუწყობს ხელსო. „ეს არ არის მართალი. თუ ქალი პატიოსანია, უჩადრობა მას ვერაფერს დააკლებს“-ო, აღნიშნავდა აჭარის პარტიული და საბჭოთა პრესა.

გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა აჭარელი ქალების ლექსები, რომელშიც თავისუფლების სურვილი იყო გამოხატული. აი ერთ-ერთი მათგანიც: „სახე პირბადით ჩამობურვილებს, სიცოცხლე გვქონდა გამწარებული, გულში ვიკლავდით ყველა სურვილებს ჩადრით მოსილნი, დამონებულნი. ჩვენს ირგვლივ მხოლოდ სიბნელე იყო და დღე მზიანი გვენატრებოდა, დარდი და სევდა ვისთვის გაგვეყო ახლოს არავინ გვეკარებოდა და ა. შ.[23]

„აჭარელ ქალთა ზეიმი!“ ამ რუბრიკით გაზეთი ჩადრის ახდის კამპანიის შესახებ გვესაუბრებოდა: 1928 წლის 12 ივლისი, ხულო მორთულია წითელი დროშებით. კლუბთან თავი მოუყრია აუარებელ ხალხს. ნამდვილი ზეიმია. ტრიბუნაზე ადის ორატორი, რომელიც ლაპარაკობს ჩადრის მავნებლობაზე და მოუწოდებს ყველა მშრომელ ქალებს მოიშორონ მონობის ეს ნიშანი. ამ დროს სცენაზე ადის ორატორის დედა 60 წლის, მოხუცი ქალი. მან დემონსტრაციულად აიხადა ჩადრი. ეს იყო პირველი მაგალითი, რომელსაც მიბაძეს დანარჩენმა ქალებმაც[24].

1928 წლის 31 ივლისი ქედაში გამოცხადდა ქალთა განთავისუფლების — ჩადრის ახდის დღედ. ამ დღესაც, კომკავშირელი გოგონას ნ. იმედაშვილის მოწოდებით, ბევრმა აჭარელმა ქალმა აიხადა ჩადრი[25].

პრესა ყოველდღიურად უხსნიდა მასებს მავნე ტრადიციების დამკვიდრების მიზეზებსა და შედეგებს, შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა მასებში მეცნიერული ცოდნის გავრცელებას. ასე მაგალითად: გაზეთი „ფუხარა“ 1928 წელს ჩადრის ტარების შესახებ შემდეგს სწერდა: ჩადრის ტარება ეს არის ჩვეულება, ადათი, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს კანონთან, შარიათთან. ადათი სხვაა და შარიათი სხვა. ჩადრის ტარება შემოიღო ერთმა ფადიშაჰმა, რომელმაც რაღაც მიზეზების გამო უბრძანა თავის ქვეშევრდომ ქალებს პირსახის დამალვა. მოკვდა ეს ფადი-შაჰი, მაგრამ გაუნათლებელ ხალხს ჩვეულება დარჩათ. როცა ეს ჩვეულება ხალხმა მიიღო, მაშინ ყურანი უკვე დაწერილი იყო[26].

აჭარის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებობდა ქალთა შორის მუშაობის განყოფილება და შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია. პრესა სისტემატურად აშუქებდა მათ მუშაობას. გაზეთი „ფუხარა“ აჭარაში ქალთა შორის ჩატარებული მუშაობის შესახებ

---

[23] გაზ. „ფუხარა“, 1928 წლის 2 აგვისტო.
[24] იქვე.
[25] იქვე, 1928 წლის 24 ივნისი.
[26] იქვე, 1928 წლის 2 აგვისტო.

ამბობდა: აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ შეძლო გაედვიძებინა ისეთი ჩამორჩენილი მასა, როგორიც არის აჭარელი ქალები. აჭარელი ქალი დღეს ხედავს თუ როგორ მუშაობას აწარმოებს ჩვენი პარტია. იბ მთელი თავისი შეგნებით მოდის ჩვენთან და უერთდება სოციალისტურ მშენებლობას.

პრესამ დიდი როლი შეასრულა აჭარელი ქალის გათვითცნობიერების საქმეში. უკვე 1937 წელს საბჭოთა აჭარისტანს მრავლად მოეპოვებოდა ქალი — მასწავლებელი, აგრონომი, ექიმი, ინჟინერი, ლაბორანტი, საბჭოს წევრი, მეცნიერი და ა. შ. აჭარელი ქალი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საკოლმეურნეო მშენებლობაში. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ქალები დამკვრელური მუშაობის მაგალითს იძლეოდნენ.

1935 წლის 1-ლი სექტემბრისათვის ქარხნებში მუშაობდა 2372 ქალი. ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებული იყო 37 ქალი. 30-იან წლებში ქალების მიერ შემოტანილი იყო მრავალი რაციონალიზატორული წინადადება[27].

გაბატონებული კლასები, როგორც ცნობილია, ეკლესიის საშუალებით იმორჩილებდნენ ქალაქისა და სოფლის მშრომელ მასებს და არარსებულ „სამოთხეზე" ქადაგებით ჰკლავდნენ მათში ბრძოლისა და წინააღმდეგობის ძალას. მაგრამ დიადმა ოქტომბერმა ბოლო მოუღო ეკლესიის გაბატონებულ მდგომარეობას, ჩამოაშორა სკოლა ეკლესიას და ეკლესია სახელმწიფოს, რელიგია გამოცხადდა თითოეული მოქალაქის კერძო საქმედ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხანებში რესპუბლიკის სკოლებში სჯულის კანონის სწავლება დაშვებული იყო ტაქტიკური მოსაზრებით (ხოჯები და მოლები ატყუებდნენ ხალხს კომუნისტები რელიგიას წაგართმევენო და ამით ცდილობდნენ გამოეწვიათ ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ).

პრესის ორგანოები მორწმუნეებთან ინდივიდუალურ მუშაობაში იყენებდა დაჯერების, ახსნა-განმარტების მეთოდს და ამით ხელს უწყობდა პარტიისადმი მასების კეთილი განწყობილების შექმნას. გაზეთი „უწყებები" აჭარის მცხოვრებთ მოუწოდებდა „არავითარ დევნას და შევიწროებას სარწმუნოებისა და ეროვნების მხრივ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილი არ ექნება. საბჭოთა მთავრობა სრულ თავისუფლებას აძლევს ყველას ირწმუნოს როგორც სურს, არ ერევა სხვადასხვა ეროვნების ზნე-ჩვეულებებში. ქ. ბათუმისა და მისი ოლქის მცხოვრებთ შეუძლიათ სრულიად უზრუნველყოფილად იგულონ თავი სარწმუნოების მხრივ[28].

პრესა კრიტიკული წერილებით გამოდიოდა რელიგიის საკითხში ადმინისტრაციული დაწოლის წინააღმდეგ. 1929 წელს გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი" იუწყებოდა, რომ აჭარის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ბიურომ დასაჯა რიგი კომუნისტები, რომლებმაც რელიგიურ გადმონაშთებთან ბრძოლის დროს დაარღვიეს პარტიული მიდგომის ლენინური პრინციპი[29].

პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა ანტირელიგიურ პროპაგანდას. გაზეთის ფურცლებზე საპატიო ადგილს პოულობდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა

---

[27] აჭარის ასსრ. სახელმწიფო არქივი, ფ. h—4, აღწერა 1, საქ. 832, ფურც. 3.

[28] გაზ. „უწყებები", 1921 წლის 20 მარტი.

[29] გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი", 1929 წლის 20 სექტემბერი.

შეხედულებები რელიგიის შესახებ, ანტირელიგიური ხასიათის მოთხრობები, პარტიული ორგანიზაციების ათეისტური მუშაობის მოწინავე გამოცდილება და ა. შ.

გაზეთ „ფუხარას“ ჰქონდა „ულვთოთა კუთხე“, სადაც იბეჭდებოდა ეკლესიიდან განდგომილი მორწმუნეების საუბრები. „რაც მახსოვს, — წერდა გაზეთში 43 წლის ყოფილი მორწმუნე, — მედრესეში ვსწავლობდი, მაგრამ ვერაფერი ვერ ვისწავლე. 2 წლის უკან დავიწყე ლიკსკოლაში მეცადინეობა და ეხლა გაზეთსაც თავისუფლად ვკითხულობ და წერილსაც ვწერ“-ო[30].

პრესა დიდ ადგილს უთმობდა ათეისტების პირად შეხედულებებს, შეუწყვეტლივ აწარმოებდა მორწმუნეებში განმანათლებლურ მუშაობას, რის წყალობითაც შესაძლებელი გახდა სრულებით გაქარწყლებულიყო ძველი რელიგიური სკოლების მედრესეების გავლენა და მცხოვრებთა კულტურული დონე ისე გაიზარდა, რომ მოსწავლეებმა თვითონ დაიწყეს სიარული საბჭოთა სკოლებში.

ამრიგად, სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში აჭარის პრესა მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საინტერესო სურათს იძლევა და დღეს მის შესწავლას მეცნიერულთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

М. Н. МЕГРЕЛИШВИЛИ

## РОЛЬ ПАРТИЙНОЙ ПРЕССЫ АДЖАРИИ В БОРЬБЕ С ВРЕДНЫМИ ПЕРЕЖИТКАМИ ПРОШЛОГО В ПЕРИОД СТРОИТЕЛЬСТВА СОЦИАЛИЗМА

### Резюме

В период строительства социализма против вредных пережитков энергичную борьбу провели газеты: «Уцкебеби», «Брдзола», «Пролетариатис брдзола», «Известия», «Трудовой Батуми», «Трудовой Аджаристани», «Пухара», «Сабчота Аджаристани» и т. д. Целью опубликованных в газетах писем являлось не только описание вредных пережитков прошлого, но и, что главное, призыв к борьбе против них.

Газеты вели усиленную агитацию против таких вредных пережитков, как ношение чадры, многоженства, женитьбы на несовершеннолетней, бандитизма, контрабанды, воровства, безделья, хищения общественного — народного имущества, взяточничества и их непосредственных причин — бюрократизма, карьеризма и т. д.

Газеты подробно и обоснованно знакомили читателей с работой партийных и советских органов в этом направлении. В статье показана роль аджарской партийной прессы в освобождении трудового населения от вредных пережитков прошлого.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრამ.

[30] გაზ. „ფუხარა“, 1928 წლის 20 სექტემბერი.

გიული ალასანია

# რიცხვი და მისტიკა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში

შუა საუკუნეთა ძეგლების ტიპოლოგიური დახასიათებისათვის მოსამზადებელი სამუშაო პირველ რიგში უნდა გულისხმობდეს იმ ზოგადის გამოვლენას, რაც საერთოა ერთი და იმავე ეპოქის ყველა, ან ზოგჯერ ყველა ეპოქის ძეგლისათვის. სტერეოტიპების შესწავლა, რაც ამ ხანის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია. კერძოდ, მათი ხვედრითი წილისა და მათ მიმართ დამოკიდებულების ცვლის გათვალისწინება სხვადასხვა ძეგლში, მნიშვნელოვან მასალას იძლევა საკლასიფიკაციო ნიშნების დადგენის თვალსაზრისით. ამ კუთხით იწვევს ინტერესს რიცხვებთან დამოკიდებულებაც სხვადასხვა ძეგლში, რაც მრავალ სხვა პარამეტრთან ერთად შესაძლებელია მიღებულ იქნეს მხედველობაში ძეგლთა კლასიფიკაციის კრიტერიუმების შემუშავებისას.

განვითარების ადრეულ საფეხურზე კაცობრიობისათვის დამახასიათებელი წინალოგიკური აზროვნება სხვადასხვა სფეროში ვლინდება. აღნიშნულის ერთ-ერთი გამოხატულებაა დამოკიდებულება რიცხვების მიმართ, რასაც საზოგადოების განვითარების პარალელურად თავისი ისტორია აქვს. დასაბუთებულად არის შესწავლილი ის ფაქტი, რომ პირველი ათეულის ყველა რიცხვს (ათის ან ზოგჯერ თორმეტის ჩათვლით) მინიჭებული აქვს მისტიკური მნიშვნელობა სხვადასხვა საზოგადოებაში[1], რაც თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა საფუძველს ემყარება (ასტროლოგიურ ან რელიგიურ წარმოდგენებს, ადამიანის სხეულის ნაწილთა რაოდენობას და სხვ.) და, გამომდინარე კონკრეტული ადგილობრივი ან შეთვისებული რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან, სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა რიცხვების დაწინაურებას იწვევს. პირველი ათეულის რიცხვები, რომლებიც ბუნებრივია მისტიკური აზროვნებისათვის, ძალზე გვიან გადაიქცნენ მხოლოდ მათემატიკის კუთვნილებად და, რადგან საკმაოდ მაღალი განვითარების საფეხურზეც მისტიკური აზროვნების კვალი არაიშვიათად შეიმჩნევა, რიცხვებიც დიდხანს არ კარგავენ მაგიურ ძალას.

რიცხვებისათვის მისტიკური მნიშვნელობის მინიჭება გაცილებით უფრო ადრინდელი მოვლენაა, ვიდრე დამწერლობა, მაგრამ მისი კვალი საკმაოდ მკაფიოა წერილობითი ძეგლების საფეხურზეც. თითოეულ რიცხვს თავისი ისტორია აქვს, მაგრამ გავრცელების განსაკუთრებით ფართო არეალი ახასიათებთ „სამს“ და „შვიდს“. უძველეს ძეგლებში სწორედ აღნიშნულ რიცხვთა დაწინაურების ფაქტებს ვხვდებით. მაგალითად, ინდური კულტურის ერთ-ერთ უძველეს ძეგლში, ჰიმნოგრაფიულ კრებულში „რიგვედა“[2],

---

[1] Л. Леви-Брюль, Первобытное мышление, М., 1930, (пер. с французского), გვ. 120—146; А. И. Бородин, Число и мистика, Донецк, 1975.

[2] Ригведа, Избранные гимны, перевод, комментарии и вступительная статья Т. Я. Елизаренковой, М., 1972.

რომელიც ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის დამდეგით თარიღდება, „სამი“ და „შვიდი“ გამორჩეული რიცხვებია, თუმცა აქვე სხვა რიცხვებიც შეინიშნება — „ორი“, „ხუთი“, „ათი“ და სხვ.: სამადგილიანი, სამნაწილიანი ეტლი, სამბორბლიანი, სამმაგ ზეცაზე, სამი ნათელი სამყარო, სამი მეოთხედი, სამმაგი ციური სივრცე, სამი ზეცა, სამი მიწა, სამი აღთქმა, შვიდპირიანი, შვიდი ფაშატი და სხვ. შუმერულ მითებში გილგამეშზე „შვიდი“ განსაკუთრებული რიცხვია, ხოლო ძველი ბერძნები თავის ერთ-ერთ ღმერთს ჰერმესს ამკობენ ეპითეტით „სამჯერ დიადი“[3]. ზოგჯერ სხვადასხვა ტომები ერთსა და იმავე რიცხვებს სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ. მაგალითად, თუ ერთგან რიცხვი „შვიდი“ ბედნიერების მომტანია, იაპონიაში ან ასურულ-ბაბილონურში „შვიდი“ და ყველა მისი ჯერადი უბედურ რიცხვებად ითვლება. ამავე დროს ხშირად ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელ ტომებში შეინიშნება ერთი და იმავე რიცხვებისათვის ერთნაირი მნიშვნელობის მინიჭება.

ქრისტიანობა მრავალ სხვა ადრეულ ტრადიციათა შორის რიცხვთა სიმბოლიკის მემკვიდრეც ხდება. საკრალური რიცხვები დამახასიათებელია ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმისათვის. ქრისტოლოგიურ ლიტერატურაში პირველ ოთხ რიცხვთან ერთად განსაკუთრებით დაწინაურდება „შვიდი“, „თორმეტი“ და „ორმოცი“. ჩამოთვლილ რიცხვებში გაბატონებულია „სამი“, რომლის გვერდით საკმაო სიხშირით გვხვდება „შვიდი“. ჯერ კიდევ ბიბლიის ძველ აღთქმაში, სადაც მრავალი რიცხვებია წარმოდგენილი, ზოგჯერ თვალში საცემია „სამისა“ და „შვიდის“ სიხშირე, ძეგლისათვის ტიპიურია გამოთქმები „შვიდწილ“, „შვიდგზის“ ან „სამგზის“. აღნიშნული ორი რიცხვი განსაკუთრებით დამახასიათებელია ბიბლიის ზოგიერთი მონაკვეთისათვის. აქ მაგალითად გამოდგება „სჯული“, „რიცხუთაჲ“ და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ფსალმუნებში რიცხვები არ გვხვდება, ამ უკანასკნელში არის გამოთქმები: „შვიდგზის“, „შვიდწილად“[4]. მკვლევრები ყურადღებას აქცევენ ბიბლიის ახალი აღთქმის დასასრულს მოთავსებულ „აპოკალიპსისსა“ ან „იოანეს გამოცხადებაში“ „შვიდის“ სიმბოლიკას, რომლის გამოყენების ოცდაათამდე შემთხვევას ითვლიან[5].

მისტიკური აზროვნების საფეხური, ბუნებრივია, გავლილი აქვთ ქართველურ ტომებსაც, რისი გადმონაშთებიც საკმაოდ არის შემონახული, როგორც წერილობით ძეგლებში, ასევე ზეპირსიტყვიერებასა და ყოფაში. ის, რომ ქართველები ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ კაცობრიობის განვითარების საერთო პროცესში, კარგად ჩანს ქართულ ისტორიოგრაფიაში

---

[3] Hermes Trismegistus ერთ-ერთი უძველესი რელიგიურ-ფილოსოფიური ძეგლია, რომელსაც, სხვათა შორის, „ქართლის ცხოვრების“ ავტორი ჯუანშერიც იმოწმებს (ქართლის ცხოვრება, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1956, გვ. 230) Corpus Hermeticum, Texte établi par A. D. Nock prof. a l'université Harvard et traduit par A. S. Festugière. I—II, Paris, 1945.

[4] დავითნი 118, 164; 11,7.

[5] А. И. Бородин, დასახ. ნაშრომი, გვ. 116; ნ. ნახუცრიშვილი, რიცხვი „შვიდი“ ირანულ ენებში — კრ. „ჯევანმარდი“, 11, თბ., 1979, გვ. 21—27.

ჩატარებული გამოკვლევებისა და დაკვირვებების შედეგადაც[6]. ადგილობრივ წარმართულ ტრადიციებს შემდგომში უთუოდ ერთვის ლიტერატურული გავლენებიც. კერძოდ, გამოთქმულია ვარაუდები, რომ ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმების ზოგიერთი მონაკვეთი ადრევე ითარგმნა ქართულ ენაზე[7]. ასევე თითქმის მათი შექმნისთანავე (როგორც ვარაუდობენ, VII ს. შუა წლებამდე) გაეცნო ქართველი მკითხველი ქრისტიანობის ჰიმნოგრაფიულ კრებულებსაც[8], სადაც მკაფიოდ იკვეთება პირველი ოთხეულისა და შვიდის სიმბოლიკა სამის განსაკუთრებული სიხშირის ფონზე. ყოველივე აღნიშნულს შეუძლებელია არ მოეხდინა გავლენა ისტორიულ მსოფლმხედველობაზეც, რომელიც შუა საუკუნეებში უხვად იკვებებოდა ზეპირსიტყვიერი და საეულიერო ტრადიციებით. ამ ხანის ისტორიოგრაფიის საყრდენი პრინციპები — დუალიზმი და პროვიდენციალიზმი, რომლებიც ყოველგვარ მოვლენას წინასწარ განსაზღვრული ზებუნებრივი კანონზომიერებით ხსნიან, განაპირობებენ ალბათ ისტორიკოსის დამოკიდებულებას რიცხვების მიმართაც. რადგან ყოველი ფაქტი, ან მოვლენა წინასწარ განსაზღვრულია, მათ გამომხატველ ყოველგვარ რიცხვებში (დათარიღება[9], გამეფების ასაკი, ლაშქრის რაოდენობა და სხვ.), ბუნებრივია, ყოფილიყო დანახული აგრეთვე ღვთიური განგება, რომელიც მართავს ისტორიულ პროცესს. რა ვითარებაა ამ მხრივ საისტორიო მწერლობაში?

წინამდებარე ნაშრომში, რომელშიც განზოგადებულია ძველი ქართული ისტორიოგრაფიის რიცხვებთან დამოკიდებულებაზე დაკვირვების შედეგები, შემდეგ მასალას ემყარება: „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებს, ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს, არსენ საფარელის პოლემიკური ხასიათის თხზულებას „განყოფისათვს ქართველთა და სომეხთა“, საგვარეულო მატიანეს „ძეგლი ერისთავეთა“, გათვალისწინებულია გარდა ამისა XVII—XVIII სს-თა საისტორიო მწერლობა, ხალხური შემოქმედება და მხატვრული ლიტერატურა.

დავუშვათ, რომ გვაქვს რაღაც შემთხვევითი მოვლენები, რომელთა შო-

---

[6] ი. ჯავახიშვილი, ქართული-წარმართული პანთეონის უფროსი ღვთაებანი: მნათობ-ღვთაებათა შვიდეული.—„ქართველი ერის ისტორია“, წ. 1, ტფ., 1928, გვ. 108—119; საინტერესო დაკვირვებანი „შვიდი“ რიცხვის გავრცელების შესახებ უძველეს ქართველურ ტომებში წარმოადგინა ნ. ხაზარაძემ მოხსენებაში სკვითინების (იგივე ჰეპტაკომეტების) და სკვიდისის მთის სახელწოდებების განმარტებასთან დაკავშირებით, რაც მან. ი. ჯავახიშვილისა და თ. მიქელაძის მსგავსად, „შვიდის“ მეგრულ სახელწოდებას „შქვით“-ს დაუკავშირა. მდიდარი მასალის ანალიზის საფუძველზე მომხსენებელმა აღნიშნულ სახელწოდებებში წარმოდგენილი „შვიდი“ ქართველური ტომების უძველეს სოლარულ რწმენა-წარმოდგენებს დაუკავშირა (თ. ოჩიაური, ვ. ბარდაველიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სესია., „მაცნე“, ისტორიის სერია, 1980, №1, გვ. 219—222),

[7] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1960, გვ. 411; ა. შანიძე, წინასიტყვაობა, გამოცემაში ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მზ. შანიძემ, I ტექსტი, სერიაში „ძველი ქართული ენის ძეგლები“, II თბ., 1960, გვ. 09; მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979, გვ. 7; კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983, გვ. 186—187.

[8] უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ე. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1960, გვ. 688.

[9] ანალოგიური ვითარებაა ამ ხანის ყველა ხალხების ლიტერატურაში. მაგალითად, რუსი მემატიანისათვის ქრონოლოგიას აგრეთვე რელიგიური მნიშვნელობა აქვს, რასაც ის ღვთიურ განგებაში ხედავს (В. Г. Мирзоев, Былины, летописи-памятники русской исторической мысли, М., 1978, გვ. 126.)

რისაც არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი და მათი გამოჩენა ქაოტიური და შემთხვევითი ხასიათისაა. ცნობილია, რომ ასეთ მოვლენათა ალბათობა ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეულ მასივში თითოეული მოვლენის სიხშირე, ან მისი პროცენტული შემადგენლობა თანაბარია პირიქით, თუ ნაჩვენებია მათი სხვადასხვაგვარი ალბათობა, სიხშირის არაერთგვაროვანი სპექტრი, ან არათანაბარი პროცენტული შემადგენლობა, ეს მკაცრად მიუთითებს იმაზე, რომ მოვლენები არ არის შემთხვევითი, გამოწვეულია მიზეზობრივი კავშირით, სუბიექტურობით და ა. შ. თუ გამოვრიცხავთ, ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას გარკვეული რიცხვების მიმართ. მაშინ ტექსტებში რიცხვების გამოჩენა, რომლებიც შინაარსობრივად მრავალფეროვანია, შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევით მოვლენად და მათი განაწილებაც უნდა იყოს დამახასიათებელი შემთხვევითი რიცხვებისათვის, ე. ი. უნდა მიღებული იქნეს ერთგვაროვანი სპექტრი. ამ თვალსაზრისით ჩატარებულია ექსპერიმენტი, რომლის შედეგები ნაჩვენებია შემდეგ სურათზე, სადაც ორ-




სურ. 1

დინატაზე გადაზომილია ამა თუ იმ რიცხვის პროცენტული შემადგენლობა (100%-ად მიღებულია ყველა ტექსტში შემხვედრი რიცხვების საერთო რაოდენობა), ხოლო აბსცისაზე ნაჩვენებია შესაბამისი რიცხვები, კერძოდ ერთიდან ოცამდე. ოცის შემდეგ რიცხვების იშვიათობის გამო მასივის გაგრძელება საჭიროდ აღარ მივიჩნიეთ. ნახაზზე წყვეტილი ხაზით (a) ნაჩვენებია რიცხვები, რომლებიც გვხვდება ჰაგიოგრაფიაში. უწყვეტი ხაზი (b) აღნიშნავს საისტორიო თხზულებების შესწავლის შედეგებს, ხოლო მრუდი (c) აღნიშნავს ყველა ტექსტში რიცხვების შეხვედრის გასაშუალებულ ტენდენციას. მრუდი (c) მიუთითებს, რომ ამ ტიპის ტექსტებში პატარა რიცხვებისათვის დამახასიათებელია უკუპროპორციული დამოკიდებულება მათ სიხშირესთან და დიდი რიცხვებისათვის (5-ზე მეტი) მუდმივი სიხშირე. ნახაზზე, სადაც

გათვალისწინებულია „აღორძინების“ ხანამდელი ყველა ქრონიკა და ამავე ხანის გამოცემული თითქმის ყველა ჰაგიოგრაფიული ძეგლი[10] (12+19), მკვეთრად გამოხატული სარწმუნო მაქსიმუმი გვაქვს — 2—3, 7, 12, რაც მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს გარკვეული მიზეზი ამ რიცხვების შეხვედრისა, ე. ი. არსებობს რაღაც მიზეზობრივი კავშირი, ანუ ეს რიცხვები არ ემორჩილება შემთხვევით განაწილებას. ნახაზში გამორიცხულია თითქმის თავისუფალი მისტიკური რიცხვებისაგან XVII—XVIII სს-თა საისტორიო მწერლობა, გარდა ერთი გამონაკლისისა — „სწავლულ კაცთა“ ნაშრომისა, — რომელიც გავაერთიანეთ წინა ტექსტებთან მისი შედარებითი სიახლოვის გამო ძველ საისტორიო ტრადიციებთან. თუმცა ნახაზზე რამდენიმე მაქსიმალური რიცხვი გვაქვს, არ არის გამორიცხული ცალკეულ ავტორთა მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე სხვა რიცხვების მიმართაც, რაც არ იქნება ტიპიური. ამავე დროს შეცდომაა ყოველგვარ უზუსტობაში აზროვნების რაღაც სტერეოტიპის დანახვა.

რა შემთხვევაში გამოიყენება აღნიშნულ ძეგლებში რიცხვები და რა შინაარსობრივი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს თითოეულ მათგანს? რიცხვების გამოყენების მოსალოდნელი შემთხვევები ძირითადად შემდეგია:

1) დროის ჩვენება (დათარიღება, ქრონოლოგია); 2) პიროვნებათა რაოდენობა (მათ შორის შვილების, ლაშქრის და სხვ.); 3) ასაკის ჩვენება; 4) გეოგრაფიულ ობიექტთა ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა რაოდენობა (მთა, მდინარე, ქალაქი, ციხე, სახლი და სხვ.); 5) მნათობთა და კერპთა რაოდენობა (შვიდი მნათობი, შვიდი კერპი); 6) ღვთაების არსის გამომხატველი რიცხვები (ერთარსება, ქრისტეს ორი ბუნება, ქრისტეს სამი ჰიპოსტაზი); 7) სხვადასხვა მოვლენათა ან ფაქტთა რაოდენობა.

თითქოს, ერთი შეხედვით, ისტორიული თვალსაზრისით ყველა აქ დასახელებულ შემთხვევას თანაბარი შინაარსობრივი დატვირთვა არა აქვს, მაგრამ საკითხის ამგვარად დასმა მეთოდოლოგიურად არ იქნებოდა გამართლებული, რადგან კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე თითოეულ შემთხვევას გარკვეულ ვითარებაში შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს. მიუხედავად იმისა, რომ საშუალოდ ძეგლების შესწავლის შედეგები ემთხვევა. და ნახაზზე წარმოდგენილი სურათი ტიპიურია აღნიშნული ხანის საისტორიო მწერლობისათვის, თითოეული თხზულება თავისი გარკვეული ინდივიდუალობით ხასიათდება, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თავის ახსნას მოითხოვს. გასათვალისწინებელია აგრეთვე, თუ რა მოვლენათა ხარჯზე იზრდება ძირითადად რიცხვთა რაოდენობა ამა თუ იმ ტექსტში. მაგალითად, თუ ორისა და სამის ჭარბი სიხშირე არაიშვიათად (თუმცა არა მუდამ) გამოწვეულია შვილების რაოდენობის ჩვენებითაც (მაგ. „სწავლულ კაცთა“ ნაშრომში), აღნიშნული გამორიცხულია „შვიდისა“ და „თორმეტის“ შემთხვევაში. სხვაგან რომელიმე რიცხვის სიჭარბე აგრეთვე შეიძლება გამოწვეული იყოს რაიმე სპეციფიური მიზეზით. მაგალითად, არსენ საფარელის პოლემიკური თხზულება, რომლის ძირითადი მიზანია ქრისტეს ორბუნებოვნების მტკიცება, სწორედ „ორი“ რიცხვის სიხშირით ხასიათდება. რიცხვების სი-

---

[10] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I—III, თბ., 1963, 1967, 1971.

ჭარბის თვალსაზრისით განხილული თხზულებები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

1) რიცხვი „სამის“ უპირატესი სიხშირით ხასიათდება ჯუანშერის თხზულება „მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“ „ძეგლი ერისთავთა“, თითქმის ყველა ჰაგიოგრაფიული თხზულება მცირე გამონაკლისით; 2) რიცხვი „ორი“ გამოირჩევა ლეონტი მროველის, არსენ საფარელის, ჟამთააღმწერელის თხზულებებში; 3) „ორი“ და „სამი“ თანაბრად გვხვდება სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში. „ერთი“ და „ორი“ თანაბრად თამარის მეორე ისტორიკოსთან; 4) შვიდი — თამარის პირველ ისტორიკოსთან.

არაფერი გარკვეული არ შეიძლება ითქვას ამ მხრივ ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეზე რიცხვების სიმცირის გამო.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტი სიხშირით აღებულ ტექსტებში ხასიათდება რიცხვი „სამი“, რაც აშკარად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოვლენა არ არის შემთხვევითი ხასიათის.

განვიხილოთ „ქართლის ცხოვრების“ თხზულებები, სადაც ჭარბობს რიცხვი „სამი“. პირველი ასეთი ძეგლია ვახტანგ გორგასალის ცხოვრება, სადაც რიცხვი „სამი“ გვხვდება 31-ჯერ სხვადასხვა ფაქტის აღსანიშნავად (გარდა ამისა რიცხვი „სამი“ შედის ორ და მრავალნიშნა რიცხვების შემადგენლობაში — სამოცი, სამოცი ათასი, სამასი, სამი ათასი, სამასი ათასი და სხვ.); მათ შორის საკმაოა დათარიღებისა და ასაკის აღმნიშვნელი რიცხვები — „შემდგომად სამისა წლისა“ (I—139)[11], და სამის წლის ქალი“ (I,145), „სამ დღე განისუენეს“ (I,156) „და სამ წელ წარტყუენნა“ (I,157), „ბრძოდეს სამ თუე“ (I,160), „წარჯდა ამას შინა წელიწადი სამი“ (I,178) „შემდგომად სამისა წარმოემართა ბრძოლად“ (,I,178)“ „დღესა მესამესა მოვიდა გორგასალი მის თანა“ (I,182). განურჩევლად იმისა, რეალურია ეს რიცხვები თუ არა, რის შესახებაც უმეტეს შემთხვევებში საკონტროლო მასალის ნაკლებობის გამო თითქმის არაფრის თქმა არ შეიძლება, რიცხვი სამის სიჭარბე თხზულებაში ავტორის სტილის დამახასიათებელია, რაც თუმცა არ გამორიცხავს სიზუსტეს, ამავე დროს მკვლევრის ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს.

შემოწმების შედარებით მეტი საშუალებაა „ქართლის ცხოვრების“ შემდეგ თხზულებასთან დაკავშირებით ე. წ. „მატიანე ქართლისაში“, სადაც რიცხვი „სამი“ შესამჩნევად ჭარბობს სხვა დანარჩენ რიცხვებს და თავს იჩენს ყოველგვარ ვითარებაში, იქნება ეს ლაშქრის, პიროვნებათა თუ ციხეთა რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ წინა ავტორებთან შედარებით, ისტორიკოსს ქრონოლოგია შემოაქვს, რიცხვი „სამი“ აქ საკმაოდ ხშირად დასათარიღებლადაც გამოიყენება. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ავტორს საშუალება აქვს თავიდან აიცდინოს რიცხვები, როგორც იქცევა იგი ზოგიერთ სხვა შემთხვევაში, როდესაც არ იცის, ან არ სურს ზუსტი დროის მითითება: „ვითარ გარდაჴდეს წელნი რაოდენნიმე“ (I,264), „გარდაჴდეს ამას შინა ჟამნი“ (I,270). „ვითარ წარჴდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე“ (I,274, 278) „ამას ში-

[11] ქართლის ცხოვრების თხზულებათა გვერდები მითითებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით ქართლის ცხოვრება, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I—II, თბ., 1955—1959.

ნა გარდაჴდეს წელიწადნი რაოდენნიმე" (I,276) და სხვ. იგივე შენიშნება ზოგჯერ ვახუშტი ბაგრატიონთანაც. აღნიშნული ისტორიული მონაკვეთის გადმოცემისას, რომელიც თუმცა თითქმის უცვლელად იმეორებს „ქართლის ცხოვრების" თხზულებათა ცნობებს, შემოკლების დროს, ისტორიკოსი რიცხვებსაც ტოვებს, რადგან უკანასკნელთ, როგორც ჩანს, მისთვის აღარა აქვთ ის მნიშვნელობა, რასაც მათ ადრეული ხანის ავტორი ანიჭებდა. „მატიანე ქართლისას" ცნობები, სადაც გვხვდება რიცვი „სამი" ცალკე ან რომელიმე სხვა რიცხვის შემადგენლობაში, შეიძლება ასე დახარისხდეს: 1. ცნობები, რომელთა გაკონტროლება არ ხერხდება; 2. ცნობები, რომლებიც დასტურდება საკონტროლო მასალით, 3. შედარებით არაზუსტი ცნობები.

„მატიანე ქართლისას" ცნობები, რომლებშიც მითითებული რიცხვების ზუსტად შემოწმება არ ხერხდება:

1. ცნობა ეხება ხაზართა ერთ-ერთ თავდასხმას ქართლზე, რომლის ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის, ხოლო სავარაუდოდ 764 წლით ათარიღებენ[12]. „შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმან სპასალარი თჳსი ბლუჩან..." (I,294). ვახუშტისთან ამ შემთხვევაში რიცხვი მითითებული არ არის.

2. ცნობა ეხება ბუღა-თურქის შემოსევას: „აღიყვანა მთიულთაგან მძევალნი, კაცი სამასი"... (I,256). ვახუშტისთან რიცხვი კვლავ არ არის.

3. „...და გამოიყვანნა ხაზარნი, სახლი სამასი" (I,256).

4. ცნობა ეხება გურამ მამფალის ძეს ნასრას:

„ნასრა შეიპყრო სამნი ციხენი სამცხეს" (I,261) ვახუშტისთან რიცხვი სამი არ არის.

5. „მოვიდა აბუ-საჯის ძე ტფილისს.. და მოადგა უჯარმოს. შიგა დგა სამასი კაცი" (I,263).

6. აფხაზთა მეფის გიორგი II ძის კონსტანტინეს შესახებ ნათქვამია, რომ ქართლში გამეფების შემდეგ „ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თჳსისა" (I,267).

7. ცნობა ეხება გიორგი II, აფხაზთა მეფეს: „ეუფლნეს სხვათაცა ციხეთა კახეთისათა თჳნიერ სამთა ციხეთა" (I,268) ვახუშტისთან რიცხვი სამი არ არის დასახელებული, მხოლოდ ციხეებია ჩამოთვლილი.

8. ცნობა ეხება აფხაზთა მეფის დემეტრე II-ის ურთიერთობას თავის ძმასთან თეოდოსისთან, რომელმაც ძამელ მთავარ ადარნასესთან შეაფარა თავი. „მაშინ დემეტრე მეფემან გაგზავნა ლაშქარი თჳსი, მოადგეს ციხესა ძამისასა და ჰბრძოდეს სამ თუე ოდენ"... (I,271).

9. ცნობა ეხება ბაგრატ III გამეფებას აფხაზეთს: „ვითარ გარდაჴდა ამას შინა წელიწადი სამი, და მეფობდა აფხაზეთს თეოდოსი მწუხარე... გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ... შთაიყვანეს იგი აფხაზეთს". (I,275).

10. მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი და დააყენა ბაშს" (I,301).

11. ცნობა ეხება სელჩუკთა სულთნის ალფ-არსლანის შემოსევას: „თჳთ დადგა თრიალეთს სამ დღე... „(ვახუშტისთან რიცხვი არ არის) და ბრძოდეს სამ დღე"... (I,306).

12. კვლავ ალფ-არსლანის ლაშქრობასთან დაკავშირებით: „ხოლო მოი-

---

[12] Летопись Картли, перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тб., 1982, გვ. 79.

ყვანეს სამშვლდეს და ამართეს ძელი, და გასუეს სომეხთა მეფე კვრიკე სამ დღე"... (I,307). ვახუშტი რიცხვს არ უთითებს.

13. „აძლევდა და მოსცემდა სამთა ციხეთა სუმბატ ძმა კვრიკესი" (I,307).

ცნობები, რომლებიც დასტურდება პარალელური მასალით:

1. არაბების ლაშქრობა იაზიდის ძის ხალიდის მეთაურობით: „ხალილ მოვიდა მესამედ და მოკლეს ჯავახეთს" (I,255) ცნობის სიზუსტეს ადასტურებს არაბი ავტორი იაყუბიც[13].

2. შემდგომად ამისა (იგულისხმება კეისარ კონსტანტინე VIII გარდაცვალება 1028 წელს) წელსა მესამესა წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი (ბაგრატ IV) აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად ძიებად მშვდობისად ერთობისა"... (I,294), რასაც მოჰყვა ბაგრატ IV და ბიზანტიელი იმპერატორის ასულის ელენეს ქორწინება, გიორგი კედრენის ცნობით, 1029—1030 წელს[14].

3. ცნობა ბაგრატ IV საბერძნეთს გამგზავრებაზე: „და დაყო მუნ სამი წელიწადი... მას ჟამსა იყო ბერძენთა მეფე [კოსტანტი] მონომახი და [შემდგომად] მიხაელ" (I,309). თუ გავითვალისწინებთ, რომ კონსტანტინე მონომახი 1054 წელს გარდაიცვალა, ხოლო მიხეილი 1056—1057 წლებში მეფობდა, ცნობა ზუსტია[15].

და ბოლოს ცნობები, რომელთა სიზუსტე ერთგვარ ეჭვს იწვევს ზოგიერთი რიცხვის თვალსაზრისით:

1. ცნობა ეხება ალფ-არსლანის საქართველოში მეორედ შემოჭრას. ქართველი ავტორის ცნობით, პირველი თავდასხმის „შემდგომად სამისა წლისა გამოვიდა სულტანი, შემოვლო რანი და უგრძნეულად შევიდა ჰერეთად"... სულთანმა ჯერ კახეთში ილაშქრა, ხოლო „შემდგომად სამისა კვრისა წარმოემართა აფხაზთა მეფესა ზედა" (I,308—309).

ქართველი ისტორიკოსი ალფ-არსლანის პირველი ლაშქრობის თარიღს არ უთითებს, ხოლო მისი მეორედ გალაშქრება, მისი ცნობით, მოხდა „თუესა დეკემბერსა ათსა, დღესა სამშაბათსა, ხოლო ქრონიკონი იყო ორას ოთხმოცდა რვა" (288—780—1068), რაც 1068 წელს უდრის.

XVII ს. არაბულენოვანი ოსმალო ავტორის მუნეჯიმ-ბაშის მიხედვით, აღნიშნული ლაქრობები 457 და 460 წლის მუჰარემის თვეში მოხდა (ე. ი. 1064 წლის დასასრულსა ან 1065 წ და 1067 წლის ნოემბერ-დეკემბერი)[16], მაგრამ მუნეჯიმ-ბაშის ცნობა არ შეესაბამება ქართველი მემატიანის ჩვენებას. მუნეჯიმ-ბაშის თანახმად, 1067 წლის ნოემბერ-დეკემბერში სულთანი კახეთისაკენ დაიძრა, იქიდან კი ქართლში[17], ხოლო ქართველი მემატიანე საქართველოზე აღნიშნულ ლაშქრობას 1068 წლის დეკემბრით ათარიღებს. იბნ ალ-ასირი და ალ-ჰუსეინი პირველი ლაშქრობის თარიღად 456 (1063/4) წელს უთითებენ. სომეხი ისტორიკოსი სამუელ ანეცი თავის ქრონოლოგი-

---

13 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II. თბ., 1965, გვ. 97.

14 იქვე, გვ. 139.

15 იქვე, გვ. 148.

16 რ. კიკნაძე, XI—XIII სს. თბილისის ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვ. 1, თბ., 1960, გვ. 115—117.

17 იქვე; რ. კიკნაძე, არაბული და სპარსული ისტორიული წყაროები XII—XIII სს. თბილისის შესახებ, „ცისკარი", 1958, №10, გვ. 164.

ურ ტაბულაში ალფ-არსლანის მიერ ანისის აღების თარიღად, რომელიც მოჰყვა საქართველოში ლაშქრობას, 1064 წელს ასახელებს[18]. სპეციალურ ლიტერატურაში ანისის აღების თარიღად მიჩნეულია 1064 წლის 16 აგვისტო. აქედან გამომდინარე, ნ. შენგელიას დასკვნით, საქართველოში პირველი ლაშქრობა ამავე 1064 წლის ივნის-ივლისით უნდა დათარიღდეს[19]. თუ გავიზიარებთ მიღებულ თარიღსა და ქართველი მემატიანის მეორე ლაშქრობის თარიღს, 1068 წლის დეკემბერს, ინტერვალი ამ ორ ლაშქრობას შორის უდრის ოთხ წელს და არა სამს, როგორც „მატიანე ქართლისა“ უთითებს.

თხზულების ავტორის მიდრეკილება სამი რიცხვისადმი მჟღავნდება მის კიდევ ერთ ცნობაში: „მისცა გიორგი მეფემან მძევლად ბაგრატ (ბაგრატ IV) წელიწადისა სამისა... წარვიდა ბასილი მეფე და თანა წარიყვანა ბაგრატ უფლისწული მძევლად ძე გიორგი მეფისა ჩუენისა. აღუთქუა ფიცითა... ასე აღთქმა, ვითარმედ: „წელსა მესამესა გამოვგზავნნო ძე შენი“ და იყო სამ წელ ქალაქსა სამეფოსა კოსტანტინეპოლს და წელსა მესამესა გამოგზავნა, ვითარცა აღუთქუა“ (I,288—289). თუ ბაგრატი წელსა მესამესა გამოგზავნეს საქართველოს, მაშინ იგი ბიზანტიაში სამი წელი კი არ ყოფილა, არამედ, ნაკლები, რაც ასეც გამოდის იაჰია ანტიოქელისა და ქართველი მემატიანის თარიღებზე დაყრდნობით. პირველი ზავის თარიღად 1093—24 წლებს უთითებს, ხოლო მეორე ტახტის მემკვიდრის დაბრუნებას 1025 წლით ათარიღებს, რის შორისაც ინტერვალი, როგორც ი. ჯავახიშვილმაც შენიშნა, ორ წელიწადსა და რამდენიმე თვეს შეადგენს[20]. ზემოაღნიშნულ ცნობაში ერთგვარი შეუსაბამობა შესწორებულია სხვა ძეგლებში, კერძოდ სუმბატ დავითის ძესთან და ვახუშტისთან — „შემდგომად სამისა წლისა შინავე წარმოგზავნა“ (I,384) ამასთანავე ვახუშტისთან ამ ცნობაში „სამი“ მხოლოდ ერთხელ იხსენიება.

ამდენად, თხზულების ანალიზი აშკარას ხდის ავტორის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას „სამი“ რიცხვისადმი, რაც თუმცა ამ შემთხვევაში სრულიად არ არყევს ძირითად დასკვნას ძეგლის სანდოობის შესახებ.

აღებული ნიშნით „ქართლის ცხოვრების“ შესწავლა საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ საკითხს „მატიანე ქართლისას“ და სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ურთიერთობათა შესახებ. სუმბატის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ უხვი ქრონოლოგიური მონაცემებით ხასიათდება ყველა სხვა თხზულებებთან შედარებით. გარდა ამისა აქ, თუმცა მცირე რაოდენობით, გვხვდება სხვადასხვა რიცხვები: 1 (ერთხელ), 2 (10-ჯერ), 3 (10-ჯერ), 4 (3-ჯერ), 7 (5-ჯერ), 9 (ერთხელ), 12 (ერთხელ). როგორც ვხედავთ, რიცხვები ორი და სამი თანაბარი სიხშირით ხასიათდება. თუ ძეგლიდან გამოვრიცხავთ „მატიანის“ და აღნიშნული ქრონიკის საერთო მონაკვეთს, დარჩენილ ნაწილში შედარებით ხშირი აღმოჩნდება „ორი“ (9-ჯერ), სამი (6-ჯერ). ამავე დროს ეს ცნობები ერთფეროვანია და ძირითადად შვილებისა და-ძმათა რაოდენობას აღნიშნავს: „ორნი იგი ძმანი ამათნი“ (I,373, 374) „სამ-

[18] ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI ს-ში, თბ., 1966, გვ. 228.

[19] იქვე, გვ. 228.

[20] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია; II, გვ. 136.

[21] ი. ჯავახიშვილი, მატიანე ქართლისა, ნაშრომში ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 209.

ნი ესე ძმანი (I,376), „ორნი ძენი“ (I,377), „სამნი ძენი“ (I,378) „ძენი... სამნი“ (378), „ძენი ბაგრატ კურაპალატისანი სამნი“ (378), „ძენი ორნი“ (6-ჯერ გვ. 379—381). რაც შეეხება ამ ორი ძეგლის საერთო ნაწილს, აქ თუ სამი ოთხჯერ დასტურდება, ორი მხოლოდ ერთხელ, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული ძირითადი წყაროსათვის „სამი“ ტიპიური რიცხვია. სწორედ ასეთი თხზულებაა „მატიანე ქართლისა“.

ამგვარად, „მატიანე ქართლისას“ და სუმბატის ქრონიკის აღნიშნული ნიშნით შედარება კიდევ ერთ არგუმენტს მატებს იმ მკვლევართ (კ. გრიგოლია, ს. ყაუხჩიშვილი)[22], რომელთაც მიაჩნიათ, რომ სუმბატის ქრონიკა ეყრდნობა „მატიანე ქართლისას“ (რაც არ გამორიცხავს ამავე დროს სხვა წყაროებით სარგებლობასაც) და არა პირიქით, როგორც ამას თვლის მეცნიერთა ნაწილი (გ. გელაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, გ. წულაია)[23] თხზულებათა ქრონოლოგიაზე დაყრდნობით (სუმბატის ქრონიკა წყდება, როგორც ვიცით, ბაგრატ IV მეფობის შუა წლებზე, ხოლო „მატიანე“ გიორგი II მეფობასაც მოიცავს). აღნიშნულ დასკვნას მხარს უჭერს მოსაზრება, რომლის თანახმად სუმბატის ქრონიკა (IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში დაიწერა, დავით აღმაშენებლის მეფობამდე[24]. არ ეთანხმება ჩვენი დაკვირვება არც მესამე ვარაუდს ორსავე ძეგლის ერთი საერთო არქეტიპიდან მომდინარეობის შესახებ (ი. ჯავახიშვილი, შ. ბადრიძე)[25].

მდიდარია ქრონოლოგიური მასალით დავითის ისტორიკოსის თხზულება. ამასთანავე მონაცემები დაწვრილებითი და ზუსტია, რაც თხზულების აუთენტურობაზე მეტყველებს. მიუხედავად ამისა, ძეგლში ზოგჯერ თავს იჩენს გარკვეულ რიცხვთა ტრადიცია: 3, 4, 12. ამ რიცხვთა შორის „სამი“ საგრძნობლად ჭარბობს. „სამი“ ავტორისათვის თავისებური ზღვრული რიცხვია: „ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის“ (I,333, 362), „სამ დღე ყოვლად უსულო მდებარე იყო უძრავად“ (I,361). და შემდგომად სამ დღე ნამტკნარსა სისხლისასა აღმომყრელსა მოექცა სული და სიტყუა. ზოგიერთ ცნობაში „სამის“ უპირატესობა განსაკუთრებით საგრძნობია. ანისის აღებისას ავტორი გვამცნობს: „და მსწრაფლ წიგნები წუევისა წარსცა ყოველთა, და მესამესა დღესა სამოცი ათასი მჴედარი წინაშე უდგა, წარემართა და, ვითარცა მიიწია, მესამე დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველნი“... (I,344, 345).

---

[22] კ. გრიგოლია, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ნარკვევები, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 225—231; ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, I, (შესავალი წერილი) გვ. 37—39.

[23] გ. გელაშვილი, სუმბატ დავითის ძე და მატიანე ქართლისა, თსუ შრომები, 87, თბ., 1960, გვ. 939—956; «Матиане Картлиса» перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тб., 1976, გვ. 21; Сумбат Давитис-дзе, История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тб., 1979, გვ. 19; «Летопись Картли», перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тб., 1982, გვ. 29.

[24] Г. Л. Мчедлидзе, Хронология в древнегрузинской исторической литературе V—XIV вв.,) Автореферат канд. диссертации, Тб., 1963, გვ. 18.

[25] ი. ჯავახიშვილი, მატიანე ქართლისა, — თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 206; Ш. А. Бадридзе, «Картлис цховреба» о грузино-византийских взаимоотношениях первой трети XI в.—св. „Источниковедческие розыскания“, Тбилиси, 1979, გვ. 51—52.

რიცხვი „სამი“ საკმაოდ ხშირია თამარის პირველ ისტორიკოსთან, მათ შორის დათარიღების შემთხვევებშიც გამოიყენება, მიუხედავად ასეთი ხასიათის ცნობათა სიმცირისა: „სამ დღე ყო ომთა სიმრავლე და ძგერა ჰუნეთა“ (II,6) „სამ დღე დამყოფელმან კართა ანისისთა“ (II,10), „სამ დღე ძაღლი უჭმელად დამარხეთ“ (II,85) „მესამესა დღესა აღვასრულებ უსისხლოსა მსხუერპლსა“ (II,85), „და დაყვნეს სამნი თუენი“ (II,111) და სხვ.

„სამი“ რიცხვის ტრადიცია ცოცხლდება ზოგჯერ XVIII ს. ისტორიკოსთან პაპუნა ორბელიანთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში რიცხვებისადმი დამოკიდებულება ძირეულად იცვლება: შედარებით ზუსტი ხდება, მტკიცედ იკიდებს ფეხს და აუცილებელი ხდება ქრონოლოგია: „სამი ურემი მიმავალი ვისმე გზაზე მოეკლა“ (58)[26], „სამი ათასი თუმანი მოაკლო“ (59), „სამი წელიწადი ჰელმწიფეს თავრიზს არამში ჰყვანდა“ (60), „სამივე ლეკის ბელადი მულათი ეთხოვნა“ (61) და სხვ. ხშირია მასთან ფრაზა: „სამი დღე და ღამე ლხინი ნახა“ (60), „იყო სამი დღე და ღამე განუწყვეტლივ მეჯლისი და ლხინი უზომო“ (82), „შეიქნა მეჯლისი სამი დღე და ღამე“ (100), ლხინი ქალაქსა შინა დღესა სამსა“ (172). ჟამთააღმწერელთან, რომელთანაც, მიუხედავად თხზულების დიდი მოცულობისა, შესამჩნევად კლებულობს მისტიკური რიცხვების რაოდენობა, მაგრამ ჯერ კიდევ არის, გვხვდება იგივე „სამი დღე და სამი ღამე“: „წარმოემართა ესე მორღული უფერჴოთა ცხენითა, სამი დღე და სამი ღამე ვლო“ (II,271) იგივე ფრაზა დამახასიათებელია ხალხური პოეზიისათვის („სამი დღე და სამი ღამე“ — ტ. III. გვ. 193[27], ან „სამი დღე“ — III, 223, IV, 100), რომელშიც „სამი“ საერთოდ ყველაზე გავრცელებული რიცხვია — სამკანა თითი, სამი შვილი ყოლებია, სამი ქაჯების ქალიო, სამოცდასამი მხარია, სამოც ლიტრისა რკინისა, სულეთს რო სამნი ხე დგანან, სამჯერ დაუკარ თავია, მესამედ დაოჭლებულო, სამი წლის ძაღლი სამ წელს გარს ვერ შემოუვლის, სამი ნახტომით ნადირს ეწევა, სამი დაი, დანძმულები, ჩემს კარზე შაიყარენით სამის ბატონის ყმანიო, სამი აბით დროშაი, სამსავ შააბით ზარიო და სხვ. „სამი“ რიცხვის შესახებ საინტერესოა რ. ბარამიძის დაკვირვება, რომელსაც მკვლევარი X ს. მოღვაწე იოანე ბოლნელის შემოქმედების ანალიზთან დაკავშირებით წარმოადგენს. აღნიშნული ავტორის მიდრეკილება „სამისადმი“, რაც გამოიხატა ეპითეტების, არგუმენტებისა და დებულებების სამგზის გამეორებაში, რ. ბარამიძემ ქრისტიანული სიმბოლიკის გარდა ადგილობრივი წარმართული ტრადიციებითაც ახსნა: „ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ დროინდელ ზღაპრებში სამი ყველაზე გავრცელებული სიმბოლური სახეა, სამი ძმა, სამი მეგობარი, სამი დავალება, სამი დაბრკოლება, სამი გზა და სხვ. ასე რომ ქრისტიანული კულტურის შემოსვლას საქართველოში დახვდა სამი სიმბოლიკის დიდი ტრადიცია და ქრისტიანული დოგმა გადაეჯაჭვა წარმართული კულტურის ამ ერთ ფენომენს. ამიტომ სამის სიმბოლიკას ჩვენს სინამდვილეში ეროვნული ელფერი გადაჰკრავს, ის ორგანულად შეუსისხლხორცდა ქართველი კაცის აზროვნებას და მის სუ-

---

[26] გვერდები მითითებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

[27] ვეყრდნობით შემდეგ გამოცემას: ქართული ხალხური პოეზია III—IV, თბ., 1974, 1975.

ლიერ კულტურაში საუკუნეების მანძილზე არა ერთგზის მრავალფეროვნად გამოვლინდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ვეფხისტყაოსანი მთლიანად გამსჭვალულია სამის სიმბოლიკით. ასევე შემთხვევითი არაა, რომ სულხან საბას გასაოცრად უყვარს რიცხვი სამი, რომელიც ხშირად გვხვდება არა მარტო არაკებში, არამედ შეგონებებშიც, გავიხსენოთ მისი ჰიმნი ამხანაგობამეგობრობისადმი, რომელშიც მეგობრობის თვისებები სამ-სამად არის ჩამოყალიბებული; ასევე შეგონებები ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე „მტერობა სამთა ჰმართებს", „სამთა ჰმართებენ სიტკბონი, სამნი შერებიან ცუდად, სამთა მართებენ ენათა მრავლობა, სამთა ჰმართებენ გარდახვეწა, სამთა ენატრება სიკვდილი, სამნი განიძებიან, სამნი განარისხებენ კაცსა და სხვ. ასე რომ სამის სიმბოლიკა ქართულ მწერლობაში მეტად მრავალფეროვნად გამოვლინდა: როგორც აზროვნების ზოგადი პრინციპების სფეროში, ნაწარმოების იდეური შინაარსისა თუ არქიტექტონიკის მხარეში, ისე მეტაფორების, ეპითეტებისა და მხატვრულ შედარებათა ხმარებაში"[28].

ამდენად, განვითარების ადრეული ეტაპებისათვის ბუნებრივი მისტიკური აზროვნება ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ეთნოგრაფიასთან ერთად მწერლობაშიც, მათ შორის საისტორიო ძეგლებშიც, სხვადასხვა ხარისხითა და ფორმით გამოვლინდა (უფრო დამახასიათებელია ადრეული ძეგლებისათვის, იკლებს „ასწლოვან მატიანეში" და თითქმის ქრება XVII—XVIII სს ისტორიოგრაფიაში), რაც ერთგვარად უკანასკნელის ადრეულობასა და ტრადიციულობაზე მიუთითებს.

მიუხედავად იმისა, რომ „შვიდი" მაქსიმალური რიცხვი მხოლოდ ერთ თხზულებაშია (თამარის პირველ ისტორიკოსთან), ხოლო „თორმეტი" არც ერთში, ავტორებისათვის ეს რიცხვები ხშირად სასურველი და გამორჩეულია, რაც მკაფიოდ აისახა ცხრილზეც. ამავე დროს საკმაოდ იშვიათია „ცხრა" ზეპირსიტყვიერებისაგან განსხვავებით, სადაც „შვიდი" და „ცხრა" ხშირად ერთმანეთსაც ცვლიან. მაგალითად, თუ ერთ შემთხვევაში „შვიდი წლის ქალი მობრძანდა, თამარი დედუფალია" (I, გვ. 120)[29], სხვაგან „ლაშარს შემოჯდა თამარი, ცხრის წლისა დედუფალია" (IV,106). მსგავსი ჩანაცვლება მისტიკური რიცხვების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, რადგან „სხვადასხვა რიცხვები ამავე დროს თანაბარი რიცხვებია... სამისა და შვიდის ერთდროული და განურჩეველი გამოყენება მხოლოდ ერთს მოწმობს, მათ სრულ თანასწორუფლებიანობას... ამგვარად სამი იგივე შვიდია, ან ცხრა... თითოეულ რიცხვს თავისი ინდივიდუალობა აქვს, რომელიც არაფერზე არ დაიყვანება და რომელიც უფლებას აძლევს მას ზუსტად შეესაბამოს მეორე რიცხვს, რომელიც არანაკლებ განსაზღვრული ინდივიდუალობისაა"[30]. მისტიკური რიცხვებისათვის დამახასიათებელი აღნიშნული თავისებურება ვლინდება „ქართლის ცხოვრებაშიც", მაგალითად, როდესაც თამარის ეპითეტად თანაბრად გამოიყენება „სამმნათობიერი" და „შვიდმნათობიერი" ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც როდესაც ერთი საკრალური, ე. ი. სასურველი რიცხვი მეორე სა-

---

[28] რ. ბარამიძე, იოანე ბოლნელი, თბ., 1962, გვ. 46—47.

[29] ქართული ხალხური პოეზია, I თბ., 1972.

[30] Л. Леви-Брюль, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

სურველით იცვლება (მაგალითად, ჟამთააღმწერელი აბუ საიდის ასაკის მითითებისას თორმეტის ნაცვლად შვიდს უთითებს)[31].

აღნიშნულ რიცხვთა შორის კავშირი ზოგჯერ განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ამავე დროს შეინიშნება მათი გამოყენების ერთგვარი კანონზომიერება. მაგალითად, წმ. ნინოს თავდაპირველად დაემოწაფნეს „შვდნი დედანი" (I,102), ხოლო შემდეგ მათი რიცხვი თორმეტამდე იზრდება. „წმინდა ნინო და ათორმეტნი მოწაფენი მისნი" (I,112). ამავე წმ. ნინოს ცხოვრებაში „მაისსა ერთსა შექმნეს ჯუარნი ესე, და შვდსა ამის თჳსასა აღმართნეს" (I,120) (შვიდი მაისის რიტუალები დღესაც საკმაოდ გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში)[32]. ახლად აღმართულ ჯვარს დაადგა სუეტი ნათლისა... „და თორმეტნი ვარსკულავნი" (I,122)... „ვითარცა რა ცეცხლი დგა თავსა ზედა მისსა შვდ წილად მზისა უბრწყინვალესი" (I,122) ჯვრის სასწაულები შვიდი და თორმეტი დღის მანძილზე ხდება: „შემდგომად შვდისა დღისა აღეხილნეს თუალნი" (I,123), „შემდგომად თორმეტისა დღისა განიკურნა" (I,I23), „შემდგომად შვდისა დღისა განიკურნა" (I,124).

რიცხვთა სიხშირე ჟამთააღმწერელთან თხზულებაში გაშუქებული ეპოქის შესაბამისად შესაძლებელია აიხსნას მონღოლთა კალენდრის გავლენითაც, რომელსაც თორმეტწლიანი ციკლი ახასიათებს[33]. აქედანაცაა შესაძლო ფრაზები თხზულებაში, სადაც თორმეტ რიცხვზე განსაკუთრებული მახვილი კეთდება: „რომელ ათორმეტი დღე ოდენ დაყვეს ერთსა ადგილსა ზედა" (II,222), ან „ბრძოდე ძლიერად, არა მრავალთა დღეთა, არამედ ათორმეტ დღე" (II,232), „ათორმეტჯერ მიეწივნეს და ათორმეტჯერ შეებნეს, და ათორმეტჯერვე ალათემურ მოერია და გააქცივნა" (II,252), „ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა", „ათორმეტნი კლარჯეთისანი" (II,304), „მქედარი თორმეტი ათასი თანა იყოლია და წინ დააყენა...", (II,280) და სხვა არა ერთი.

გარკვეული დამოკიდებულება თორმეტი რიცხვის მიმართ ჩნდება თითქოს დავითის ისტორიკოსთანაც, რომელიც გაუგებარია რას გულისხმობს საწყისად, როდესაც დავითის გამეფებისას 1089 წელს, იცის რა, რომ მისივე დათარიღების თანახმად, „დიდი თურქობა" 1080 წელს დაიწყო, შენიშნავს: „ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვარებისათა აღმოჴჳრობად, ვინათგან ათორმეტ წელ ამათ თჳთოსახეთა ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზეგან ყოველთა მეფობათაგან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა სახელ-მოდგამმან დავით"... (I,323—324).

„ქართლის ცხოვრების" თხზულებებში, სადაც არც ისე ხშირადაა მეფეთა ტახტზე ასვლის ასაკი მითითებული და ამის დადგენა მხოლოდ ირიბი მონაცემებით ხერხდება, აგრეთვე ერთგვარი თავისებურება ვლინდება. აღნიშნულ ცნობებთან ერთ სიბრტყეზე შეიძლება განვიხილოთ მონაცემები უცხოელ გამგებელთა მემკვიდრეების შესახებაც. ასეთი შემთხვევა სულ ორია:

ფარნავაზი „ოცდაშვდისა წლისა მეფე იქმნა" (I,25) ადერკი „ოცდაათის წლისა მეფე იქმნა" (I,35) მირიანი... შვდისა წლისა" (I,64) „დარჩა ვახტანგ

---

[31] ვ. კიკნაძე, ვინ არის ჟამთააღმწერელი, „მნათობი", №5, თბ., 1984, გვ. 150—151.

[32] შესაბამისი მასალა გაგვაცნო ნ. ხაზარაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[33] В. В. Цыбульский, Календари и хронология стран мира, М., 1982, გვ. 79.

შვდისა წლისა ყრმა“ (I,143) „დაჩი იყო ხუთისა წლისა“ (I,185) „ესე ბაგრატ წელიწდისა ცხრისა მეფე იქმნა“ (I,315). ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებელი ტახტზე 16 წლისა ავიდა (I,324) ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის ჩვენებით, გიორგი ლაშა თორმეტი წლისა იყო. ხოლო ჟამთააღმწერლის მიხედვით, ტახტზე ასვლისას, დედის გარდაცვალების შემდეგ, იგი თვრამეტი წლისაა (I,370, II,151).

„იქმნა ძე მისი (რუსუდანის — გ. ა.) დავით ვითარცა „წლისა ხუთისა, ინება მეფედ ყოფად ძისა მისისა (II,179) „მოკუდა ოლჯათ სულტანი და დაუტევა ძე მცირე ვითარ შვდისა წლისა, სახელათ მუსაით“ (II,324) „რაჟამს წამოსულ იყო მეფე დავით, გამოსულ იყო ლევან და მისვლოდეს კახნი და ექმნა პატრონად მათდა. და იყო ლევან მაშინ წლისა შვდისა“ (II,353).

„დარჩა ძე ყრმა თჳსი შვდისა წლისა შაჰ-ისმაელ“ (I,355).

ამგვარად, ვიღებთ შემდეგ სპექტრს: 5 (ორჯერ), 7 (ხუთჯერ), 9 (ერთხელ), 12 (ერთხელ.), 12 (ერთხელ), 16 (ერთხელ), 18 (ერთხელ), 27 (ერთხელ), 30 (ერთხელ).

მიღებული ინფორმაცია ადასტურებს ძირითად დასკვნას „შვიდი“ რიცხვისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ, მიუხედავად დამამტკიცებელი მასალის სიმცირისა. თუ გავითვალისწინებთ ცნობათა საერთო რაოდენობას, ასეთი მაჩვენებელიც რეპრეზენტატულად შეიძლება ჩაითვალოს. შემოწმება, სადაც კი შესაძლებელია, ცხადყოფს, რომ არც ერთი აღნიშნული შემთხვევა არ არის სარწმუნო. მაგალითად, არაზუსტად არის მიჩნეული „ქართლის ცხოვრების“ ცნობები მირიანის წარმოშობისა და მისი გამეფების თარიღის შესახებ[34]. ოლჯათ-ყაენის ვაჟი აბუ-საიდი მამის გარდაცვალებისას თორმეტი წლის იყო და არა შვიდის, რაც ამბის თანამედროვეს, როგორადაც არის მიჩნეული ჟამთააღმწერელი[35], თითქოს უნდა სცოდნოდა. არ არის ზუსტად მითითებული არც შაჰ-ისმაილის ასაკი მამის გარდაცვალებისას. თუ გავითვალისწინებთ მის დაბადების წელს, 1486 წელს, როდესაც მამამისი ჰაიდარ-შაჰი მოკლეს, 1488 წელს, იგი ორი წლისაა და არა შვიდის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავ-გიორგის ვაჟის ლევანისა და შაჰ-ისმაილის ასაკს არ უთითებს შევსებულ-გადაკეთებული „ქართლის ცხოვრება“.

„შვიდ“ რიცხვთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა მრავალ ცნობებს შორის, კერძოდ ლეონტი მროველთან, ვახტანგის ცხოვრებაში, თამარის პირველ ისტორიკოსთან, ჟამთააღმწერელთან, არის როგორც სანდო, ასევე არასარწმუნო მონაცემებიც. უკანასკნელთა რიგში შეიძლება ვახსენოთ ჟამთააღმწერლის მიერ მოთხრობილი დავით ლაშას ძის შვიდწლიანი ზღაპრული თავგადასავალი უცხოეთში. საქართველოდან წარგზავნილებს დავით გიორგის ძე სწორედ შვიდი წლის შემდგომ წარუდგინეს, რაც უნებურად მოგვაგონებს იოანე დამასკელის მითითებას იმის შესახებ, რომ თუ

გეოგრაფიული გარემო, როგორც ამას პალეოგეოგრაფები, პალეობოტანიკოსები და პალინოლოგები აღნიშნავენ, ძვ. წ. IV ათასწლეულიდან დღემდე, მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ძირითად ტერიტორიაზე (კავკასია) მნიშვნელოვნად არ შეცვლილა[6]. ისე რომ ამ უკანასკნელზე შეიძლება უმნიშვნელოდ შესწორებული დღევანდელი გეოგრაფიული პირობების მიხედვით ვიმსჯელოთ.

სამხრეთ კავკასიაში დღეისათვის არსებული ბუნებრივი პირობები კი, როგორც ცნობილია, სავსებით ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების წარმატებით განვითარებისათვის. მეურნეობისათვის გეოგრაფიული (ბუნებრივი) პირობების ხელსაყრელ ხასიათზე, იმ უძველეს დროშიც. ნათლად მეტყველებს არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მასალა, რომლის მიხედვითაც სამხრეთ კავკასიაში ძვ. წ. VI ათასწლეულიდან, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებამდეც და მისი არსებობის დროსაც, ამ ტერიტორიაზე მოსახლეთა უმთავრეს საქმიანობას მესაქონლეობა და მიწათმოქმედება (ან პირიქით) წარმოადგენდა[7].

ნაყოფიერ ნიადაგს, ნალექების საკმაო რაოდენობას და აუცილებლობის შემთხვევაში, მარტივი სარწყავი სისტემების შექმნის შესაძლებლობას, მიუ-

---

[5] Г. В. Коранашвили, К проблеме уровней развития производительных сил в докапиталистических классовых обществах, Известия АН ГССР, № 2, 1980, გვ. 173, 174.

[6] Ч. П. Джанелидзе, К реконструкции природных условий эпох существования раннеземледельческой культуры Восточной Грузии; А. Д. Горгидзе, Н. Ш. Русишвили, Новые данные о ботаническом составе грузинских археологических пшениц; Л. К. Гогичаишвили, Динамика лесных биоценозов в голоцене на территории Восточной Грузии, Тезисы докладов секции энеолита, ранней и средней бронзы, Всесоюзная научная конференция, посвященная новейшим открытиям в области археологии и 100-летию V археологического съезда, Тб., 1981, გვ. 8; 16; 18.

[7] გ. მინდიაშვილი, მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური შესწავლისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, № 1, 1983.

ხედავად შრომის იარაღების პრიმიტიული ხასიათისა, წარმოებითი მეურნეობის პირობებში, ხელი უნდა შეეწყო ცალკეული ოჯახების თემისაგან ეკონომიკური გამიჯვნის ტენდენციისათვის[8]. ამ უკანასკნელს კი, ცხადია, გარკვეულად უნდა შეეცვალა როგორც წარმოების საშუალებების, ისე წარმოებული პროდუქტის მიმართ მათი დამოკიდებულება.

ამ ორიათასი და უფრო მეტი წლის წინანდელი საკუთრების ფორმების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის სტრაბონის გეოგრაფია, რომელშიც იბერიაში არსებული სოციალური შრეების ჩამოთვლის შემდეგ ნათქვამია: „საერთო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი"[9]. სტრაბონის ამ ცნობაში აღწერილ ვითარებას, ქრონოლოგიური დაუზუსტებლობის მიუხედავად, ჩვენი აზრით, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს მასზე ბევრად ადრეული მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური განვითარების გზების ზოგადი ტენდენციის გარკვევისათვის, რადგან მასში ჩამოთვლილია იბერიაში არსებული სოციალური შრეები მათი საქმიანობის ჩვენებით და ორგანიზაციით. იმ სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციით, რომელიც ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად უნდა იყოს დაკავშირებული საზოგადოების განვითარების უფრო ადრეულ საფეხურებთან, რითაც, მასში აღწერილ მეფის ძალაუფლების მემკვიდრეობის წესთან ერთად, საშუალებას გვაძლევს წიაღსვლით აღვადგინოთ მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის ზოგადი სურათი.

დღეისათვის სტრაბონის ამ ცნობის მრავალი მეცნიერული ინტერპრეტაცია არსებობს, რომელთაგანაც ჩვენ ძირითადად ორს დავეყრდნობით. სტრაბონის ამ მონაცემების მიხედვით ვარაუდობენ, რომ „ელინისტური ხანის ქართლის (იბერიის) საზოგადოება ხასიათდება საერთოდ ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით: ხალხის ძირითად მასას ჯერ კიდევ თავისუფალი მეთემენი („მიწათმოქმედნი და მოლაშქრენი") შეადგენდნენ; ამის გვერდით ჩვენ ვხვდებით მმართველი ზედაფენის — სახელმწიფოს, სამეფო საგვარეულოს, სამხედრო საგვარეულო არისტოკრატიასა და ბიუროკრატიული აპარატის მხრივ დამორჩილებული თემების („ლაოი") ნახევრად ფეოდალური ტიპის ექსპლუატაციას. გარკვეულ ვალდებულებებს სახელმწიფოსა, დიდებულთა და ტაძრების მიმართ ასრულებდნენ უეჭველია, თავისუფალი მეთემენიც. გავრცელებული იქნებოდა მონობაც"[10], რომელმაც „საკუთრივ წარმოების პროცესში ვერ დაიკავა გაბატონებული ადგილი"[11].

სტრაბონის ამ ცნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, მაგრამ სადავო საკითხს წარმოადგენს იბერიის სამეფოში მის მიერ აღნიშნული საკუთრების ხასიათი. რადგან ინფორმაცია ამ საკითხზე ცნობის ბოლო ნაწილშია მოცემული და ერთნაირად შეიძლება მიეკუთვნოს, როგორც ოთხივე „გვარს" („გენოსს")[12], ისე — მხოლოდ უკანასკნელს, ანუ — ლაოის"[13]. მაგრამ იმის გა-

---

[8] გ. მინდიაშვილი, მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური შესწავლისათვის.

[9] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 120—130.

[10] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 497—498.

[11] იქვე, 499.

[12] იქვე, გვ. 487.

მო, რომ პირველ „გენოსთან“ დაკავშირებით სტრაბონი ცალკე, საგანგებოდ აღნიშნავს მემკვიდრეობის წესს, რომლის მიხედვითაც „სხამდნენ მეფეებს“ „მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს“[14] ძირითადად იგივეა მემკვიდრეობის წესის დადგენისათვის, რაც ამავე ცნობის ბოლოს აღნიშნული— „განაგებს თითოეულს უხუცესი“[15], შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი, მის წინ ნათქვამ „საერთო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით“-თან ერთად, ძირითადად IV, ან შესაძლოა IV და III „გენოსს“ ეხებოდეს. ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქ ლაპარაკი უნდა იყოს არა საზოგადოდ ყოველგვარი ქონების საკუთრებაზე, არამედ, ეტყობა მხოლოდ წარმოების საშუალებათაგან უმთავრესზე — მიწაზე, წყალზე, ტყეზე და საძოვარ-სათიბზე, რომელიც სტრაბონის მიერ საკმაოდ ბუნდოვნად მოცემული სიდიდის ნათესავთა ჯგუფს (საგვარეულოს — სახლს, დიდ ოჯახს) ეკუთვნოდა,. თუმცა, ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა თუ რომელ „გენოსს“ ეხება სტრაბონის ცნობა ქონების საერთოობაზე, მის მიხედვით მაინც შეიძლება ითქვას, რომ იბერიის სახელმწიფო დამყარებული უნდა ყოფილიყო თემებში გაერთიანებული (შემავალი) ნათესაური უჯრედების ექსპლუატაციაზე, რომლებსაც ნათესაობისდა მიხედვით საერთო ჰქონდათ სავარგულები და განაგებდა უხუცესი; ყველა მათგანს კი — უზენაესი ხელისუფალი — მეფე მართავდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერიის სამეფოს სახით საქმე გვაქვს ისეთ ადრეკლასობრივ სახელმწიფოსთან, რომლის წარმოების წესიც ძირითადად ისეთივეა, როგორსაც კ. მარქსი აზიურს უწოდებდა[16]. წარმოების აღნიშნული წესის თავისებურებათა („თავისუფალ“ მეთემეთა და თემების ექსპლუატაცია) ძლიერი კონსერვატულობის გამო კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია იბერიის სამეფოში დადასტურებული ამ თავისებურებების საწყისები მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელი საზოგადოების სოციალურ მდგომარეობას მივუსადაგოთ.

წარმოების აზიური წესის იმ თავისებურებათაგან, რომელთა საწყისებსაც ჩვენ მტკვარ-არაქსის კულტურაში ვვარაუდობთ აღსანიშნავია: ა) თვისტომთა და თანამეთემეთა ხატისა და ღვთაების სახელით ექსპლუატაცია; ბ) სამხედრო ძალით დამორჩილებული თემებისა და ტომების ხარკით ექსპლუატაცია; გ) თემებს შიგნით ოჯახებისა და ინდივიდთა თანასწორუფლებიანობა და ქონების (მიწის) საერთოობა ნათესაურ უჯრედს შიგნით; დ) ძალაუფლების ნათესაობისა და უცროსობის პრინციპით გადაცემა.

ამავე საკითხებზე მნიშვნელოვან მასალას იძლევა კავკასიის ეთნოგრაფია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად, წიაღსვლით ზოგადად აღვადგინოთ ქონებრივი დიფერენციაციის ადრეული ანუ ჩასახვის დროინდელი და მისი შემდგომი განვითარების შესაძლო ეტაპები: წარმოვიდგინოთ ექსპლუატაციის ის პირველადი ფორმები, რომელთა მეოხებითაც ხდებოდა საზოგადოების ქონებრივი პოლარიზაცია, მისი კლასებად

---

[13] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ II, გვ. 139.

[14] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 129—130.

[15] იქვე.

[16] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 9.

დაყოფა[17], ანუ ზოგადად — თვით წარმოების წესი. თავის მხრივ, ეს საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ ეკონომიკის განვითარების რომელ ეტაპზე, საზოგადოების რომელ ნაწილში, რა რაოდენობით და რა სახით შეიძლებოდა მომხდარიყო ქონებრივი დაგროვება; როგორ კომპლექსებში და რა სახით მოცემული ქონების დაგროვება შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებაში გაჩენილი ქონებრივი დიფერენციაციის მაჩვენებლად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქართული თემის სახის დადგენა და სათემო მიწათმფლობელობის ფორმების გათვალისწინება. ამ მიმართულებითაც ქართულ ეთნოგრაფიაში დიდი სამუშაოა ჩატარებული. ამ სამუშაოს ძირითადი შედეგებისა და ისტორიული წყაროების შეჯერების შედეგად გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული თემი, რომელიც ექსპლუატაციის ობიექტს წარმოადგენდა სატაძრო უნდა ყოფილიყო[18]. ეს მოსაზრება ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებთან შემორჩენილ სატაძრო მიწათმფლობელობის გადმონაშთებს ემყარება[19] და ჩვენი აზრით, უფრო მეტ დასაბუთებას საჭიროებს, რადგან მათში შემორჩენილი გადმონაშთები იმასაც მიგვანიშნებენ, რომ ტაძართან გაერთიანებული უნდა ყოფილიყო როგორც სასულიერო, ისე — საერო ფუნქციები[20]. ამიტომ, ქართული თემიც, ბუნებრივია ვიფიქროთ, სატაძრო მიწათმფლობელობის სისტემის ჩამოყალიბებამდე, ანუ ტაძრის გაჩენამდე საერო უნდა ყოფილიყო, აღნიშნულის გამო, მართებული უნდა იყოს მოსაზრება ჩვენში ადრებრინჯაოს ხანის თემის ერთიანი საერო-სატაძრო (თუ ამ დროს ტაძარი უკვე არსებობდა) ხასიათის შესახებ[21].

ზემოთქმული, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ექსპლუატაციის შინაგანი განვითარების ერთ-ერთი გზა თანამეთემეთა მიერ ღვთის სახელზე მიტანილი შეწირულობებისა და ხატის სახელზე შესრულებული სამუშაოებით გამდიდრებულ ქურუმ-ხუცებზე უნდა გადიოდეს, ხოლო გარეგანი — სხვა თემების სამხედრო ძალით დამორჩილებასა და დახარკვაზე[22].

ზევით ჩვენ ვცადეთ რამდენადმე გაგვერკვია მტკვარ-არაქსის კულტურის ტერიტორიაზე აღმოცენებული ერთ-ერთი ადრეული სახელმწიფოს — იბერიის წარმოების წესის ძირითადი თავისებურებები, ექსპლუატაციისა და საკუთრების განვითარების პირველადი ფორმები; და დღემდე შემორჩენილი ის გადმონაშთები, რომლებიც ზოგი მეცნიერის აზრით, ელინისტური ქართლის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასთან შედარებით ჩამორჩენილადაც კი არის მიჩნეული[23].

---

17 В. М. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

18 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970, გვ. 497—498.

19 იქვე, გვ. 582.

20 იქვე, გვ. 594.

21 Я. А. Киквидзе, Некоторые вопросы развития храмового хозяйства и древней Грузии (по археологическим материалам), В кн.: Историко-филологические разыскания, I, Тб., 1980, გვ. 59.

22 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, გვ. 492—493.

23 ჯ. ერიაშვილი, უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში, თბ., 1982, გვ. 183.

იმ ზოგადი ტენდენციის დადგენის შემდეგ, რომლითაც მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური და ქონებრივი დიფერენციაცია შეიძლებოდა მომხდარიყო, საჭიროა გაირკვეს გაჩნდა თუ არა მტკვარ-არაქსულ საზოგადოებას შესაფერისი მატერიალური ბაზა, რათა მის წიაღში აღნიშნული ცვლილებები მომხდარიყო.

პირველყოფილი თემური წყობილების უადრეს — გვაროვნულ საფეხურზე, როგორც ცნობილია, საკუთრების უმთავრეს ფორმას გვაროვნული თემის საკუთრება წარმოადგენდა, რომელიც წარმოების ყველა ძირითად საშუალებაზე და მათ შორის შრომის იარაღებზეც ვრცელდებოდა. მას შემდეგ, რაც ადამიანის ცხოვრებაში წარმოებითმა საქმიანობამ თითქმის მთლიანად გამოდევნა მიმთვისებლური საქმიანობა, შეიძლება დავუშვათ ცალკეული ოჯახების სამეურნეო საქმიანობის კოლექტიურისაგან, გვაროვნულისაგან თანდათანობითი გამიჯვნა[24]. იმის გამო კი, რომ მამაკაცის ძირითად საქმიანობად წარმოებითი მეურნეობა იქცა, განვითარებული ნეოლითის პერიოდი პატრიარქატზე გადასვლის პირობადაც შეიძლება ჩაითვალოს. გარდა ამისა, რადგან „შრომის დანაწილების განვითარების სხვადასხვა საფეხურები ამავე დროს სწორედ საკუთრების სხვადასხვა ფორმებია; ე. ი. შრომის დანაწილების ყოველი საფეხური განსაზღვრავს აგრეთვე ინდივიდთა ურთიერთდამოკიდებულებასაც შრომის მასალასთან, იარაღთან და პროდუქტთან დაკავშირებით"[25], დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც ამა თუ იმ კულტურაში (საზოგადოებაში) ადგილი აქვს ხელოსნობის ცალკეული დარგების სოფლის მეურნეობისაგან გამოყოფას, ანუ შრომის მეორე საზოგადოებრივი დანაწილების დაწყებას, ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ შესაბამის ცვლილებებს საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც.

თუ ზემოთ მოტანილი თვალსაზრისით განვიხილავთ შესასწავლ საკითხს, ვნახავთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის შემქნელი საზოგადოების ეკონომიკის ხასიათი და მისი შესაძლებლობები მთლიანად შეესაბამება ზემოთ აღწერილს[26], რის გამოც მოსალოდნელია სამარხეულ კომპლექსებში ქონებრივი დიფერენციაციის ფაქტების გამოჩენა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საზოგადოებისათვის ჩვენ მიერ ნავარაუდევი ექსპლუატაციის პირველადი ფორმები და სოციალური სტრუქტურა ექსპლუატირებული თემის შიგნით გამორიცხავს შესამჩნევ ქონებრივ დიფერენციაციას, რადგან მისი წევრები ერთსა და იმავე სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან და საამისო მატერიალური საფუძველი, ექსპლუატაციის გარეგანი გზის შემთხვევაში, წართმეული აქვთ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ექსპლუატატირებული თემებისაგან ხარკისა თუ „ნებაყოფლობითი" შეწირულობის სახით მითვისებული ზედმეტი პროდუქტი თავს მოიყრიდა ქურუმ-ხევისბერის

---

[24] გ. მ ი ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი, გორანამოსახლართა სოციალური ბუნებისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, № 4, 1980, გვ. 182—183.

[25] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, გერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1948, გვ. 18.

[26] უფრო ვრცლად ამ საკითხზე იხ. გ. მ ი ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, № 1, 1983.

ან ჰეგემონი თემის ბელადის „სახლში“. ამიტომ მკვეთრი ქონებრივი განსხვავებულობის დანახვა, ექსპლუატაციის შინაგანი ან გარეგანი გზის შესაბამისად — რიგით მეთემეთა და ქურუმ-ხევისბერთა, ან ჰეგემონი და დამორჩილებული თემის წევრთა სამარხეული კომპლექსების შედარებისას შეიძლება მოხერხდეს.

მაგრამ იმისათვის, რომ ექსპლუატირებული თემის წევრთა სამაროვანი შეცდომით გვაროვნული საზოგადოების დროინდელად არ მივიჩნიოთ, საჭიროა ანგარიში გაეწიოს ამ საზოგადოების ეკონომიკის ხასიათს; იმას, შეუძლია თუ არა მას სისტემატურად აწარმოოს ზედმეტი პროდუქტი. და თუ მას შეუძლია ზედმეტი პროდუქტის სისტემატური წარმოება, მიუხედავად იმისა კოლექტიური შრომითაა მიღწეული ეს დონე, თუ — ინდივიდუალურით, ასეთი ეკონომიკის მქონე საზოგადოებაში თეორიულად დასაშვებია ქონებრივი დიფერენციაციის არსებობაც ვივარაუდოთ. თუმცა, ვინაიდან ქონებრივი დიფერენციაციის მაჩვენებელი კომპლექსები ჩვენში სისტემატურად მხოლოდ ადრებრინჯაოს ხანის განვითარებული ეტაპიდან გვხვდებიან, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც ეჰვს აღარ იწვევს ხელოსნობის გარკვეული დარგების სოფლის მეურნეობისაგან გამოყოფა, ეტყობა, ქონებრივი დიფერენციაციის ფაქტების გამოჩენაც მხოლოდ ზედმეტი პროდუქტის წარმოების მხოლოდ გარკვეულ, მაღალ დონესთან უნდა იყოს დაკავშირებული; ისეთ დონესთან, რომელიც საშუალებას აძლევს ხელოსნებს კვების პროდუქტების წარმოებისათვის აუცილებელი დროის უმეტესი ნაწილი ხელოსნური პროდუქციის ზედმეტი რაოდენობით წარმოებას დაუთმონ, ხოლო სოფლის მეურნეებს — ზედმეტი კვების პროდუქტების გაცვლით მიიღონ მათთვის საჭირო ხელოსნური ნაწარმი.

როგორც ჩანს, ეკონომიკის ასეთი დონე, ხელოსნების მსგავსად, საშუალებას აძლევს ქურუმ-ბელადებს მოსწყდნენ ფიზიკურ შრომას და მხოლოდ საორგანიზაციო საქმიანობით შემოიფარგლონ; დააგროვონ შეწირულობათა და ხარკის სახით შემოსული ზედმეტი პროდუქტი და ქონებრივადაც დაშორდნენ სოციალურად გამიჯნულ თვისტომთ.

აქვე უნდა აღინიშნოს უფლებრივი მდგომარეობის მემკვიდრეობით გადაცემის შესახებაც. ჩვენი აზრით, ამ მხრივაც სტრაბონის ცნობაში მოცემული წესი მტკვარ-არაქსელთათვის უჩვეულოდ არ უნდა გამოიყურებოდეს, რადგან საქმე ეხება საგვარეულოს ჰეგემონიას და ვიდრე იგი (ჰეგემონია) გრძელდება, ბუნებრივია, უხუცესი ხევისბერის თუ — ბელადის არჩევაც და შეცვლაც ამ საგვარეულოს (სახლის) შინაურ საქმეს უნდა წარმოადგენდეს, ანუ გარკვეული ნათესაური წრისათვის მემკვიდრეობითად უნდა ჩაითვალოს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ შეიძლება ჩამოვთვალოთ ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია მოხდეს ქონებრივი დიფერენციაციის ფაქტის განსაზღვრა სამარხებში; ასეთ ნიშნებად, ჩვენი აზრით, უნდა ჩაითვალოს: სამარხთა კონსტრუქციული თავისებურება და ჩვეულებრივთაგან განსხვავებული დიდი ზომები; ჩვეულებრივი ინვენტარის სიჭარბე (დიფერენციაციის დაბალ დონეზე); თვისობრივად განსხვავებული — მაღალი ხარისხის — ინვენტარი; ძვირფასი ლითონისაგან და ქვებისაგან დამ-

ზადებული ნივთ-სამკაულები; დაკრძალვის რიტუალი (ეტლი); ადამიანის მსხვერპლად შეწირვა და სხვ.

ჩამოთვლილი ნიშნებიდან ერთ-ერთის სისტემატური დადასტურებაც კი, ვფიქრობთ, უნდა გვაძლევდეს უფლებას ქონებრივი დიფერენციაციის არსებობა ვივარაუდოთ; ორი ან მეტი ნიშნისა კი — მის არსებობას უეჭველს ხდის. ამ პრინციპიდან გამომდინარე, მტკვარ-არაქსულ ყორღანებად ჩვენ მიერ მიჩნეული (ბედენურ ეტაპზე ადრეული) კომპლექსები, რომლებიც ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში ჩნდებიან და მკვეთრად განსხვავდებიან რიგითი სამარხებისაგან, როგორც კონსტრუქციით, ისე — ინვენტარის რაოდენობითა და ხარისხით, თავისი სიმრავლით და ჯგუფებად განლაგებით გამოირჩევიან განსაკუთრებულ პირობებში დახოცილთა და მსხვერპლად შეწირულთა სამარხებად მათ მიჩნევას, რითაც უეჭველს ხდიან ამ საზოგადოებაში ქონებრივი დიფერენციაციის არსებობას. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქონებრივი დიფერენციაციის ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ინდივიდუალური ან წყვილადი ყორღანები, რადგან კოლექტიური ყორღანების დიდი ზომები, ამ შემთხვევაში, მიცვალებულთა დიდი რაოდენობის დატევასთან უნდა იყოს დაკავშირებული და არა დაკრძალულთა ქონებრივ მდგომარეობასთან. ამიტომ საჩხერისა და ქორეთის ყორღანული სამაროვნებიდან ქონებრივი დიფერენციაციის ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ორი შემთხვევა, ესაა — ყრილის ქვეშ, გრუნტში ამოღებული ძირითადი სამარხები ნაჩერქეზევიდან (ბ. კუფტინის გათხრილი, რომლის ზომებია — 2,75×1,9 მ., ო. ჯაფარიძის გათხრილი — 2,90×2,30×2,00 მ)[27]. სხვა შემთხვევებში ამ სამაროვანზე კონსტრუქციის გარკვევა და ზომების დადგენა არ ხერხდება, ინვენტარი კი ისე ხშირად შეიცავს ბრინჯაოს ნივთებს, რომ ამ ნიშნით, სამაროვნის ფარგლებში, მათი ქონებრივი დიფერენციაციის მაჩვენებელ ფაქტებად მიჩნევა შეუძლებელია. ეტყობა, დაახლოებით იგივე უნდა ითქვას ტყვიავის I[28], სტეფანაკერტის[29], კაჭრეთის № 3[30] და სხვა დიდ კოლექტიურ ყორღანებზე.

შეუდარებლად ცხადად არის წარმოდგენილი ქონებრივი დიფერენციაციის მაჩვენებელი თითქმის ყველა ნიშანი ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანების ისეთ ინდივიდუალურ ყორღანებში, როგორიცაა: სამგორის[31], ულევ-

---

[27] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция в бассейны рек Лиахви, Проне, Квирилы и среднего Риони в 1951 году, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXX—B, თბ., 1974, გვ. 146; ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 123—124.

[28] ს. მაკალათია, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1943, გვ. 33.

[29] Я. И. Гуммель, Некоторые памятники раннебронзовой эпохи Азербайджана, КСИИМК, вып. XX, М—Л,, 1948, გვ. 15.

[30] К. Н. Пицхелаури, Исследование Кахетской экспедиции, Археологические открытия 1979 г, გვ. 413—414.

[31] საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 92—93.

რის[32], შულავრის[33], თრიალეთის[34], თეთრი წყაროს[35], ხელთუბნის[36] და სხვ., რაც უფლებას გვაძლევს ამ დროის მტკვარ-არაქსული კულტურის საზოგადოებაში, ისევე როგორც ბედენურ ეტაპზე, კლასთა წარმოქმნის პროცესის საკმაოდ მაღალი, ადრეკლასობრივთან მიახლოებული დონე ვივარაუდოთ[37].

დაბოლოს, თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ — საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაცია მის ერთ ნაწილში ქონების დაგროვების გზით არის შესაძლებელი; დაგროვება კი ზედმეტი პროდუქტის სისტემატური წარმოებით და მისი სისტემატური მითვისებით მიიღწევა.

მწარმოებლური ეკონომიკის ადრეულ ეტაპებზე ქონებრივი დიფერენციაციის არსებობა მწარმოებელი თემის წევრებს შორის, მათი სოციალური თანასწორობისა და გამთანაბრებლური გადანაწილების ტრადიციის ინერციული მოქმედების გამო, ნაკლებადაა მოსალოდნელი, რაც კარგად ჩანს კიდეც მტკვარ-არაქსის კულტურის უადრეს სამაროვნებზე.

ქონებრივი დიფერენციაციის აშკარად გამოხატული პირველი ნიშნები თავს იჩენენ თემის კმაყოფაზე მყოფი, მხოლოდ საორგანიზაციო საქმით დაკავებული და უშუალო წარმოების პროცესისაგან მოწყვეტილი პირების (ბელადი, ქურუმი), ან პოლიტიკური ჰეგემონიის მქონე „სახლების“ (საგვარეულოების) წევრთა სამარხებში. ამათგან პირველნი აგროვებენ სხვადასხვა გამოსაღებებისა და შეწირულობათა, ხოლო მეორენი — სხვა თემების ძარცვისა და დახარკვის ხარჯზე.

მტკვარ-არაქსის კულტურის წარმოებითი სოფლის მეურნეობა, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან ზედმეტ პროდუქტს ისეთი რაოდენობით აწარმოებს, რომ საშუალებას აძლევს მეტალურგიასა და მეთუნეობას გამოეყონ მას, როგორც ხელოსნობის ცალკე დარგები, ხელს უწყობს სოციალურად დაწინაურებულ ფენას (ბელად-ქურუმებს) მოახდინოს თავისი უპირატესი საზოგადოებრივი (სოციალური) მდგომარეობის შესაბამისი მატერიალიზება, რაც კარგად დასტურდება კიდეც ძვ. წ. ა. III ათასწლეულის შუა ხანებითა და მისი მეორე ნახევრით დათარიღებული მტკვარ-არაქსის კულტურის დიდი და მდიდრული, ინდივიდუალური ყორღანების გამოჩენით.

---

32 ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1978—1979 წლების მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII, თბ., 1980, გვ. 35—40.

33 ო. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ), თბ., 1975, გვ. 135—165.

34 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, გვ. 101—105, Л. Жоржикашвили, Э. Гогадзе, Памятники Триалети эпохи ранней бронзы, Тб., 1974, გვ. 52—60; ენ. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972, გვ. 15—38.

35 ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1960, გვ. 4, 243, 246.

36 Г. Миндиашвили, Археологическая экспедиция в сел. Хелтубани (Горийский район), Полевые археологические исследования в 1981 году; მისივე—Археологическая экспедиция Горийского района в 1982 году, Полевые археологические исследования в 1982 году (იბეჭდება).

37 გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა, თბ., 1981, გვ. 134.

Г. М. МИНДИАШВИЛИ

# К УСТАНОВЛЕНИЮ ФАКТА ИМУЩЕСТВЕННОЙ ДИФФФЕРЕНЦИАЦИИ ПО КУРГАНАМ КУРО-АРАКССКОЙ КУЛЬТУРЫ

Резюме

Появившиеся на финальном этапе куро-араксской культуры курганные захоронения, которые погребальным инвентарем и конструкцией отличаются от погребений рядовых общинников, следует считать проявлением имущественной дифференциации этого общества.

Материальным базисом имущественному расслоению должна была послужить производящая экономика этой культуры, давшая возможность металлургии и гончарству отделиться от сельского хозяйства. Эта же экономика, производя прибавочный продукт, создала условия для накопления и присвоения, что позволило отдельным лицам, или даже семьям, занимавшимся управлением общин и племен, обособиться в так называемую родовую, или правильнее будет сказать фамильную знать, материализовав свое социальное положение в имущественное превосходство.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა

გურამ შენგელია

# საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობა 1910—1914 წლებში

1910 წლიდან რუსეთის იმპერიაში აღინიშნება მშრომელთა ბრძოლის შემდგომი გააქტიურება, რაც იყო მაუწყებელი ახალი რევოლუციური აღმავლობის დასაწყისისა.

ვ. ი. ლენინი 1910 წელს დაწერილ სტატიაში: „დემონსტრაციის დასაწყისი“ მიუთითებდა: „შავრაზმული რეაქციის სრული ბატონობის ხანა გათავდა. იწყება ახალი აღმავლობის ხანა“[1]. ამავე ნაშრომში ბელადი აღნიშნავდა, რომ ახალი რევოლუციური აღმავლობის შედეგად, თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად მშრომელ მასებთან ერთად მასიურად ჩაება დემოკრატიული ახალგაზრდობა, რომლის შემადგენლობაშიც სოლიდური ხვედრითი წონა მოსწავლე ახალგაზრდობაზე მოდიოდა. ვ. ი. ლენინი წერდა: „პროლეტარიატმა დაიწყო. დემოკრატიული ახალგაზრდობა განაგრძობს. რუსი ხალხი იღვიძებს ახალი ბრძოლისათვის, ეგებება ახალ რევოლუციას“[2].

ცარიზმი საქართველოში კვლავინდებურად მკაცრი კოლონიზატორული პოლიტიკის გატარებას განაგრძობდა. რეაქციის მსახვრელი ხელის მიერ შევიწროებული საქართველოს მშრომელები აღსდგნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ახალმა რევოლუციურმა ამაღლებამ კვლავ წამოჭრა ის ამოცანები, რომლებიც რუსეთის პირველმა რევოლუციამ ვერ გადაწყვიტა.

საქართველოს მშრომელები აქტიურად ჩაებნენ რევოლუციურ მოძრაობაში. გაფიცვებმა მოიცვეს თბილისის ქარხნები და ფაბრიკები, ჭიათურის მაღაროები, ბათუმისა და სოხუმის საწარმოები.

მშრომელთა საგაფიცვო მოძრაობა კიდევ უფრო ფართო მასშტაბს ღებულობს 1913 წელს. ამ მხრივ აღსანიშნავია ჭიათურის მაღაროების მუშათა გრანდიოზული გაფიცვა, რომელიც მიმდინარეობდა 1913 წლის ზაფხულში.

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა ხმას უერთებდა რევოლუციურ მასებს. 1910 წლის მაისის დღეებში მოსწავლე ახალგაზრდობა გვერდში ამოუდგა გაფიცულ ჭიათურელ მუშებს: ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის მეხუთე და მეექვსე კლასის მოსწავლეებმა დირექციას სპეციალური წერილით მოსთხოვეს განემარტათ მათთვის 1 მაისის მნიშვნელობა. ჭიათურელი მოსწავლეები მოითხოვდნენ 1 მაისს მეცადინეობის შეწყვეტას. აღნიშნულის გამო ხელისუფლებამ მოსწავლეთა „ბუნტის“ მოთავეები დააპატიმრა.

თბილისის გუბერნატორი მეფის ნაცვალს აცნობებდა, რომ პირველი მაისის დღესასწაულის წინ რეპრესიების დროს დაპატიმრებულ რევოლუციო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 445.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 445.

ნერთა ბინების გაჩხრეკის შედეგად ჟანდარმერიის აგენტურამ თბილისში აღმოაჩინა დიდძალი არალეგარული ლიტერატურა და მათ შორის პროკლამაციები სახელწოდებით: „ჩვენი მოთხოვნანი" — რსდმპ კავკასიის კავშირის გამოცემა, „ყველა მოსწავლეს" — მოსწავლეთა ორგანიზაციული ჯგუფის გამოცემა, „ქ. თბილისის მოსწავლეთა კრების" რეზოლუცია" და სხვ.[3]

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ ფართო მასშტაბისა იყო საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობა ახალი რევოლუციური აღმავლობის დასაწყისში.

1910 წელს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მეფის ოხრანკის მიერ აღმოჩენილ იქნა მოსწავლეთა რევოლუციური ორგანიზაცია. მთავრობა შეეცადა ამ ფაქტის „შელამაზებას". ეს ორგანიზაცია სასწრაფოდ იქნა ლიკვიდირებული.

1910 წლის 6 დეკემბერს თბილისის სახაზინო თეატრში პოლიციის მოთხოვნის მიუხედავად ფეხზე არ ადგნენ თბილისის რეალური სასწავლებლებისა და საოსტატო ინსტიტუტის მოსწავლენი, მაშინ, როცა სრულდებოდა ჰიმნი „ღმერთო, ფარვიდე მეფესა". როგორც ჟანდარმერიის აგენტები აღნიშნავდნენ, ეს ფაქტი ხელისუფლებისადმი მოსწავლეთა მხრივ პროტესტის გამოხატულება იყო.

სამრეწველო აღმავლობამ გამოაცოცხლა რევოლუციური მოძრაობა. მშრომელებთან ერთად რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურად ჩაებნენ მოსწავლეებიც. იქმნებოდა ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. თბილისში 1912 წლის შემოდგომაზე ფუნქციონირებდა მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომლის წევრები იხდიდნენ საწევრო გადასახადს, ჰქონდათ არალეგარული ბიბლიოთეკა. გამოსცეს ჟურნალ „მოლოდაია სილას" ორი ნომერი. ორგანიზაციაში გაერთიანებული იყო თბილისის სკოლებში მოქმედი შვიდი წრე.

მოსწავლეთა პოლიტიკური წრე არსებობდა გორშიც. წრეში გაერთიანებულნი იყვნენ სხვადასხვა სასწავლებლის მოსწავლეები.

1913 წლის დასასრულსა და 1914 წლის დასაწყისში თბილისელ მოსწავლეთა ორგანიზაციამ ურთიერთობა დაამყარა პენზის „მოსწავლეთა აკადემიურ კავშირთან". ამ უკანასკნელის მიზანს შეადგენდა არსებული წყობილების დამხობა რევოლუციური გზით და ეკლესიისაგან დამოუკიდებელი, თავისუფალი სკოლის შექმნა.

მოსწავლეთა მზარდი რევოლუციური მოძრაობის გამო ადგილობრივმა ხელისუფლებამ სხვადასხვა საბაბით ქუთაისსა და ფოთში დახურა ზოგიერთი სასწავლებელი. რეპრესიების მიუხედავად მოსწავლეთა საპროტესტო გამოსვლები გრძელდებოდა. მოსწავლეთა ორგანიზაციები ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ რევოლუციურ პროკლამაციებს. მოსწავლეებს მოუწოდებდნენ შეერთებოდნენ საბრძოლველად გამოსულ მუშათა კლასს და ერთიანი ძალით გაელაშქრათ ცარიზმის დასამხობად[4].

ცარიზმი საქართველოში დევნიდა ქართულ ენას. ისევე, როგორც ადრე, სკოლებში მშობლიურ ენას სასწავლო გეგმაში მეორეხარისხოვანი ადგილი

---

[3] საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 328—329.

[4] ს. ციქურიშვილი, საქართველოს ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის წარსულიდან, თბ., 1970; გვ. 12—13.

ეკავა. მოსწავლეებს ეკრძალებოდათ სკოლებში მშობლიურ ენაზე საუბარი. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „პრავდას“, რომლის ფურცლებზე 1912 წლის 6 ივლისს გამოქვეყნებული სტატია იუწყებოდა: „ქუთაისის გიმნაზიაში შავრაზმელმა მასწავლებელმა ქართულ ენაზე მოლაპარაკე მოსწავლეს შენიშნა — „ნუ ყეფ ძაღლურ ენაზეო“[5]. ეს ფაქტი კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა მშობლიური ენის აბუჩად აგდებისა „განაპირა მხარეებში“.

მოსწავლე ახალგაზრდობა მკაცრად აკრიტიკებდა განათლების მთელ სისტემას და სკოლის ძირეული გარდაქმნის საკითხს თვითმპყრობელობასთან ბრძოლას უკავშირებდა. სკოლის კრიტიკის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ქუთაისში 1910 წელს გამოცემულ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „...დღეს სასწავლებელში ნამდვილი აღზრდის მაგიერ მოსწავლე ახალგაზრდობას ამახინჯებენ, ზნეობის მაგიერ უზნეობას ასწავლიან, ხალხის გულის შემატკივრობის მაგიერ გულცივობას, მის გაყვლეფას აჩვევენ, მცოდნეების მაგიერ „პროფანებსა“ და „ჩინოვნიკებს“ იძლევიან[6].

რეპრესიებს, რომლებსაც იყენებდა ცარიზმი მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, ყოველთვის როდი მოჰქონდა სასურველი შედეგი. მოზარდი თაობის საპროტესტო გამოსვლები გრძელდებოდა, რადგანაც განაგრძობდნენ არსებობას ყველა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებდნენ საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობას რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. ახალგაზრდობა არალეგალურად იკრიბებოდა და მსჯელობდა ცარიზმთან ბრძოლის საკითხებზე. ცარიზმის აგენტების მრავალრიცხოვანი 'არმია დაძაბულად უთვალთვალებდა ახალგაზრდობის საქმიანობას. რეგულარულად ეწყობოდა მოსწავლეთა ბინების გაჩხრეკა, სასტიკად იკრძალებოდა ახალგაზრდობის შეკრებები ბინაზე თუ საზოგადოებრივ ადგილებში, „პოლიტიკურად არასაიმედოთა“ მიმართ მეთვალყურეობა არნახულად გაძლიერდა. პოლიციის აგენტები აწყობდნენ მოულოდნელ ჩხრეკვებს ეჭვმიტანილთა ბინებზე. აღნიშნულის ნათელსაყოფად მრავალი ფაქტის მოტანა შეიძლება. თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თბილისის გუბერნატორს ატყობინებდა, რომ 1910 წლის 10 თებერვალს თბილისში მეთორმეტე უბნის პრისტავმა მალაკნის მეორე ქუჩის № 29-ე სახლის ჩხრეკვისას, რომელშიც ქირით ცხოვრობდა ქუთაისის გუბერნიის სოფ. ჯიხაიშის მცხოვრები ბესია ვაშაკიძე, აღმოჩნდა ცენზურის მიერ აკრძალული 102 ბროშურა უმთავრესად სოციალ-დემოკრატიული მიმართულებისა. აგენტებმა აღმოაჩინეს აგრეთვე ორი პროკლამაცია, რომლებსაც ქართულ და რუსულ ენებზე წამძღვარებული ჰქონდა წარწერა: „რსდმპ“ და „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“[7].

მოტანილი საბუთი ფარდას ხდის პოლიციის თვითნებობას. როგორც ვხედავთ, რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად ცარიზმის ადმინისტრაცია

---

[5] ს. ნასარიძე, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში, თბ., 1973, გვ. 5.

[6] ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, № 1, 1910, გვ. 2.

[7] საქ. სსრ ცსსა, ფ. 13, ს. 321, ფურც. 2.

არ ერიდებოდა არაფერს და უხამს მოქმედებას ამართლებდა პრინციპით: „მიზანი ამართლებს საშუალებას".

მოსწავლეთა გულისწყრომას იწვევდა აგრეთვე ის გარემოება, რომ რიგი სასწავლებლების, მაგალითად, სასულიერო და საოსტატო სემინარიების კურსდამთავრებულთათვის დაწესებული იყო შეზღუდვები უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას. ამ მიზეზის გამო არდონის სასულიერო სემინარიაში და ვლადიკავკაზის საოსტატო სემინარიაში ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა დიდ მღელვარებას.

მოსწავლეთა აღნიშნულმა მღელვარებამ მიიპყრო უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოების ყურადღება. ამ გამოსვლის მიზეზებით დაინტერესდა პირადად სახალხო განათლების მინისტრი, ცნობილი რეაქციონერი კასსო[8].

როგორც ვხედავთ, მოსწავლე ახალგაზრდობა აქტიურად განაგრძობდა ბრძოლას მშრომელების მხარდამხარ უკეთესი მერმისისათვის.

იმდროინდელი სკოლა მოზარდ თაობას ციხეს უფრო მოაგონებდა, ვიდრე განათლების კერას. სკოლა და ციხე „ზეცით ცხებულის" ერთსა და იმავე დაკვეთას ასრულებდა, სახელდობრ, სკოლას უნდა აღეზარდა ღვთის მოშიში „ტახტისა" და „ხელმწიფის" ერთგული ქვეშევრდომნი, ხოლო ციხეს უნდა გამოესწორებია „ურჩი" და „ღვთის მგმობელი" ადამიანები. ხშირ შემთხვევაში, როგორც გაზეთ „ნოვოე ვრემიას" კორესპონდენციაში — „დანაშაული და ახალგაზრდობა" ვკითხულობთ, რომ სკოლა და ციხე ერთმანეთის მეზობლადაა, ზოგჯერ თხელი ტიხარით იყოფა.

ქ. ბათუმში — წერს კორესპონდენტი, ვაჟთა გიმნაზია აშენებულია ციხის გვერდზე; თბილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქ სიღნაღში ქალთა მარიინეს სასწავლებელი ციხისაგან გამოყოფილია თხელი ტიხრით[9] და ა. შ.

იმავე კორესპონდენციაში ვკითხულობთ, რომ თბილისის პოლიცმეისტერს მოსწავლეთა „უწესრიგობების" აღმოსაფხვრელად დაუშვია ბრძანება, რომლითაც ავალებდა პოლიციის ყველა ჩინს თვალყური ედევნებინათ მოსწავლეთა ქცევისათვის, გოლოვინისა და მიხაილოვის პროსპექტებზე.

1912 წელს მიღებულ იქნა სპეციალური დადგენილება მოსწავლეებზე მეთვალყურეობის გაძლიერების შესახებ, რომლითაც იკრძალებოდა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა მიღება პანსიონებსა და კერძო ბინებში. სასწავლებლის შესაბამისი ნებართვის გარეშე.

მძიმე მატერიალური პირობები, ეროვნული და სოციალური ჩაგვრა, უუფლებობა, სასწავლებლებში გაბატონებული იეზუიტური რეჟიმი და ა. შ. არწმუნებდა მოსწავლე ახალგაზრდობას თვითმპყრობელობასთან უკომპრომისო ბრძოლის აუცილებლობაში. მთავრობის საგანგებო ზომები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის იზოლირებას რევოლუციური მოძრაობისაგან, სასურველ შედეგს ვერ აღწევდნენ.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა რევოლუციურად განწყობილი მოსწავლე ახალგაზრდობა მკაცრად ამხელდა იმ მოსწავლეებს, რომლებიც მონაწილეობას არ იღებდნენ რევოლუციურ გამოსვლებში. საქმე ის არის, რომ სასწავლებლების ადმინისტრაცია საპროტესტო მოძრაობისაგან განზე გამდგარ

---

[8] საქ. სსრ ცსსა, ფ. 13, ს. 823, ფურც. 3.

[9] საქ. სსრ ცსსა, ფ. 17, ს. 6859, ფურც. 20.

მოსწავლეებს იყენებდა, როგორც ჯაშუშებს, და ინფორმატორებს, ამიტომ იყო, რომ რევოლუციური მოსწავლე-ახალგაზრდობა დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა მათ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავეცნოთ ქუთაისის ჯიმნაზიის დირექტორის 1910 წლის 10 თებერვლის პატაკს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი. ამ პატაკში გიმნაზიის დირექტორი აცნობებდა სასწავლო ოლქის მზრუნველს, რომ მერვე კლასის მოსწავლემ გიორგი გაჩეჩილაძემ 9 თებერვალს მიიღო მუქარის წერილი ქუთაისის მოსწავლეთა ორგანიზაციისაგან. ეს ორგანიზაცია მოითხოვდა მისგან სამი დღის განმავლობაში ქალაქის დატოვებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სიკვდილით ემუქრებოდნენ. დირექტორი წერდა, რომ ასეთი მკაცრი განაჩენის მიზეზი მოსწავლე გიორგი გაჩეჩილაძის მიმართ იყო ის, რომ იგი არ ღებულობდა მონაწილეობას მოსწავლეთა „უწესრიგობებში", არ თანაუგრძნობდა მათ ბოქმედებას[10].

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა გულისყურით ადევნებდა თვალყურს სტუდენტობის რევოლუციურ გამოსვლებს და სოლიდარობას უცხადებდა მათ.

1910 წლის 26 ოქტომბერს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის უფროსკლასელებმა მოაწყვეს დემონსტრაცია პროგრესული პოლიტიკური მოღვაწისა და პროფესორის მურომცევის ხსოვნის აღსანიშნავად. მურემცევის ხსოვნის აღნიშვნა მოსწავლე ახალგაზრდობამ გამოიყენა, როგორც რევოლუციური გამოსვლის საბაბი. ამ გამოსვლის ორგანიზატორ მოსწავლეთა მიმართ ადმინისტრაციამ განახორციელა მკაცრი ზომები. გიმნაზიიდან გარიცხულ იქნენ მოსწავლეები: კანდელაკი VIII კლასიდან, ქოჩიაშვილი, ნადირაძე VIII ბ კლასიდან, ნამიჩეიშვილი VI ა კლასიდან და კაკიტელაშვილი VI ბ კლასიდან. ეს მოსწავლეები გარიცხულ იქნენ გიმნაზიიდან პედსაბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე[11].

1910 წლის შემოდგომაზე თბილისში მოსწავლეთა ახალი რევოლუციური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. ჟანდარმერიის აგენტურის ცნობით ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული იყო სხვადასხვა სასწავლებლის 32 მოსწავლე. ამავე ცნობით ორგანიზაციის ყველა წევრი რწმენით იყო სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი. ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე იყო კონსტანტინე გეგელიძე. ამავე ორგანიზაციაში შედიოდა გიორგი ქუჩიშვილიც. მისი მეშვეობით ორგანიზაციის კომიტეტი სტამბაში — „შრომა" ბეჭდავდა რევოლუციურ პროკლამაციებს[12].

მოსწავლეთა გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ბატონყმობის გაუქმების 50 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით 1911 წლის დასაწყისში. ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის ინსპექტორი პატაკით ატყობინებდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, რომ 19 თებერვალს ლოცვის შემდეგ, ერთ-ერთ მასწავლებელს განუცხადებია მისთვის, რომ მან იპოვა „ქუთაისის მოსწავლეთა ორგანიზაციის" მიერ დასტამბული პროკლამაცია,

---

10 საქ. სსრ ცსსა, ფ. 422, ს. 10704, ფურც. 5.

11 საქ. სსრ ცსსა, ფ. 422, ს. 10704, ფურც. 32.

12 ა. იმედაშვილი, ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1900—1917 წლებში, თბ., 1961, გვ. 57—58.

რომელიც გმობდა როგორც სასკოლო რეჟიმს, ასევე ამხელდა არსებულ პოლიტიკურ წყობილებას.

პროკლამაციის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: „...სასწავლო დაწესებულებები გადაქცეულია ხულიგნური თარეშის ასპარეზად. იგი განათლების კერა კი არ არის, არამედ, საწამებელია, სადაც აწამებენ, ტანჯავენ და მუშტრავენ ახალგაზრდა სულებს... ბნელეთის სამინისტრომ (იგულისხმება განათლების სამინისტრო — გ. შ.) გაავსო სკოლები მასწავლებელთა სერთუკებში გადაცმული ჟანდარმებით და შეუდგა სკოლის საუკეთესო ელემენტების— ჭეშმარიტ პედაგოგთა და მოწინავე მოსწავლეთა მოწამვლას“... პროკლამაცია რევოლუციური თვითგანათლებისაკენ მოუწოდებდა მოსწავლეებს[13].

ფართო მასშტაბები მიიღო მოსწავლეთა გამოსვლებმა 1913 წელს, როცა იმპერია ემზადებოდა რომანოვების დინასტიის სამასი წლისთავის აღსანიშნავად. ბოლშევიკების მითითებით თბილისში შეიქმნა გაფიცვის საორგანიზაციო ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა საქართველოსა და სომხეთის მოსწავლეთა გაფიცვების ჩატარებისათვის. ქუთაისის მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ 20 დეკემბერს ქართულ ენაზე დაბეჭდა მოწოდება, რომელშიც სამარცხვინო ბოძზე აკრავდა რომანოვთა დინასტიას და ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას[14].

მოსწავლეთა მღელვარება საქართველოს სასწავლებლებში გრძელდებოდა. 1914 წლის 17 მარტს ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მოსწავლეებში გავრცელდა სტამბურად დაბეჭდილი მოწოდება, რომელიც ამხელდა სკოლებში შექმნილ მძიმე ვითარებას.

უნდა ითქვას, რომ მოსწავლეთა უკმაყოფილება არსებული წყობილების და სწავლების სისტემისადმი სამხედრო სასწავლებლების მოსწავლეებშიც გავრცელდა. თუმცა აქვე დავსძენთ, რომ აღნიშნულის შესახებ საარქივო საბუთები ძალზე „მშრალ“ ცნობებს იძლევიან. საილუსტრაციოდ მოვიტანთ სათანადო დოკუმენტს. სახალხო განათლების სამინისტრომ 1914 წლის 7 იანვარს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს გაუგზავნა წერილი, რომლითაც აცნობებდა, რომ „ხელმწიფე-იმპერატორმა 1913 წლის 11 დეკემბერს ინება: ოდესის კადეტთა კორპუსის ყოფილ კადეტს 19 წლის პავლე ტრეტიაკოვს მასწავლებლის შეურაცხყოფისათვის სამუდამოდ ჩამოერთვას უფლება რუსეთის იმპერიის სასწავლებლებში შესვლისა. წერილს ხელს აწერდა განათლების მინისტრის ამხანაგი ბარონი ტაუბე[15].

მოსწავლეთა მოთხოვნები ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ძირითადად შეესაბამებოდნენ მათ მოთხოვნებს რუსეთის პირველი რევოლუციის დროს. მოსწავლეები მოითხოვდნენ პოლიტიკური და რელიგიური რწმენის თავისუფლებას, სხვადასხვა ორგანიზაციების შექმნის უფლებას, „საღმრთო სჯულის“ სწავლების გაუქმებას, სასწავლებლებში ყველას მიღებას განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, უფასო სწავლებას, მშობლიურ ენაზე სწავლების უფლებას და ა. შ.

---

[13] საქ. სსრ ცსსა, ფ. 422, ს. 10704, ფურც. 154.

[14] ა. იმედაშვილი, ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1900—1917 წლებში, თბ., 1961, გვ. 63.

[15] საქ. სსრ ცსსა, ფ. 422, ს. 12272, ფურც. 49.

მოსწავლეთა მოძრაობა, როგორც საერთო დემოკრატიული მოძრაობის ნაკადი, ერწყმოდა მშრომელი მასების რევოლუციურ მოძრაობას.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებამ დროებით შეანელა მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობა. ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა მშრომელ მასებთან ერთად რევოლუციური ბრძოლის ახალი ეტაპისათვის ემზადებოდა.

Г. Н. ШЕНГЕЛИЯ

## РЕВОЛЮЦИОННОЕ ДВИЖЕНИЕ УЧАЩИХСЯ ГРУЗИИ 1910—1914 гг.

Резюме

В статье показана революционная деятельность учащейся молодежи 1910—1914 гг., а именно в период нового революционного подъема. Требования грузинских учащихся в период нового революционного подъема в основном соответствовали их требованиям, предъявляемым в годы первой русской революции. Учащиеся требовали: свободу политических взглядов, вероисповедания, права на создание разных организаций, устранения изучения «Закона божьего», введения во всех учебных заведениях, независимо от национальности и вероисповедения, бесплатного обучения, равноправия в изучении родного языка.

Борьба грузинских учащихся в потоке общего демократического движения сливалась с революционной борьбой трудящихся масс. В этот период, как и раньше, революционную борьбу учащейся молодежи возглавили большевистские организации Грузии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ

ლევან გორდეზიანი

# „განგება დარბაზობისა“ როგორც საისტორიო წყარო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ერთი ძეგლის ორი ხელნაწერი Ad—560 და S—352. ორივე შესრულებულია ნუსხახუცური დამწერლობით. პირველი XVI საუკუნისაა, მეორე XVII საუკუნისა. ორივე წარმოადგენს გვიანდელ პირს საკანონმდებლო ძეგლისა, რომელსაც სათაურად აქვს „წესი და განგება დარბაზობისა, რომელი აღესრულების მცხეთას კურთხევასა მეფისასა“.

აღნიშნული ორი ხელნაწერიდან ერთში (S—352) შესულია აგრეთვე „მეფის კურთხევის წესი“. ეს ორი ძეგლი შინაარსობლივად ერთმანეთთან დაკავშირებული ჩანს და აკანონებს მეფის კურთხევის ცერემონიალსა და სამეფო დარბაზში მღვდელმთავართა მიღების წესს.

შევეხებით რამოდენიმე ასპექტს, რომელიც დავას იწვევს და გამოვთქვამთ ზოგიერთ შენიშვნას. ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია დათარიღება. ძეგლში დაცული ცნობები ქრონოლოგიურად ერთმანეთის გამომრიცხველია, ამდენად ძეგლის დათარიღება შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად. ამ კანონის განმჩინებლად იწოდებიან მეფე არჩილ და კათალიკოსი მიქაელ. ასეთი შეიძლება იყოს ან არჩილ I და მიქაელ I, უკანასკნელი მთავარეპისკოპოსი (V სს.), ან არჩილ მოწამე და მიქაელ II (VIII ს). ეჭვს ბადებს აგრეთვე ათაბაგის, ჭყონდიდელის და დიდი სომხეთის მიტროპოლიტის ერთად ხსენება.

ძეგლის პირველი გამომცემლის, თ. ჟორდანიას აზრით, საბუთი ეკუთვნის არჩილ I-ს, თუმცა მოგვიანებით მასში შეტანილია გარკვეული ცვლილებები[1].

ალ. ცაგარელის აზრით, საბუთში მოთავსებული დარბაზობის წესი ჩამოყალიბებული უნდა იყოს არაუადრეს XI—XII ს[2].

ექ. თაყაიშვილმა კი დასავლეთის ეპისკოპოსთაგან მხოლოდ ჭყონდიდელის მოხსენიების გამო ძეგლი საქართველოს დაშლის შემდგომი ხანით (XV ს.) დაათარიღა[3].

მსგავს აზრამდე მიდის ივ. ჯავახიშვილიც, რადგანაც მირონის კურთხევა, რაზეც ძეგლის პირველ ნაწილშია საუბარი, საქართველოში IX ს-დან ხდებოდა, ხოლო ათაბაგის სახელო 1212 წელს შემოიღეს. ანაქრონიზმები აფიქრებინებს ივ. ჯავახიშვილს, რომ ძეგლი შეიძლება ნატყუარიც იყოს[4].

---

[1] ქრონიკები, 1, 1892, გვ. 45—46.

[2] Сведения о памятниках грузинской письменности, III, გვ. XXXVI.

[3] ექ. თაყაიშვილი, „ხელმწიფის კარის გარიგება“, 1920, გვ. XXVIII—XXIX.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 72—73.

ი. დოლიძე მას XIII ს. მეორე ნახევარს მიაკუთვნებს[5]. ჩვენც ამ აზრისაკენ ვიხრებით და ვაკავშირებთ „განგება დარბაზობისას“ „მეფის კურთხევის წესთან“. ამ დაკავშირების საშუალებას იძლევა თუნდაც ასეთი ფრაზა:

„რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, ეფისკოპოსნი ამ წესითა დასხდნენ“.

„მეფის კურთხევის წესი“, ნ. ბერძენიშვილის აზრით, XIII ს. 40-იან წლებამდე არ უნდა იყოს შედგენილი[6]. ამ ძეგლის შედგენისას, როგორც ჩანს, მომხდარა არჩილისეული „განგება დარბაზობისას“ რედაქცია. მაგრამ რედაქცია არ არის სრული. მის ტექსტში მირონის კურთხევის წესის, ათაბაგის და ჭყონდიდელის ჩამატება რედაქტორმა აუცილებლად მიიჩნია, შედარებით ნაკლები მნიშვნელობის თანამიმდევრობა ეპისკოპოსთა სიაში და სახელები ძეგლის შემდგენელთა კი გადარჩა, რაც გვაძლევს საშუალებას ძეგლის ძირითადი პლასტი VIII საუკუნით დავათარიღოთ. ამას მხარს უჭერს ისიც, რომ ტექსტში ნახსენებია მეფის კურთხევა მცხეთაში, რასაც ადგილი შეიძლება ჰქონოდა საქართველოს მონარქიის შექმნამდე ან მისი დაშლის შემდეგ. ჩვენ ვერ დავეთანხმებით თ. ჟორდანიას, რომ VIII ს-ის არევ-დარევის დროს ამისთანა კითხვაზე მოცლა[7] თითქოს არ შეიძლებოდეს, რადგანაც არჩილის საკანონმდებლო (რეფორმისტული) მოღვაწეობა ცნობილია.

ეპისკოპოსთა სიის მიხედვით ძეგლის XV საუკუნეში გადმოტანა გაუმართლებელი ჩანს, როგორც მათი რეალური რიგის, ასევე პოლიტიკური მდგომარეობის გამო. რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

შედარებით ძნელია ივ. ჯავახიშვილის აზრის მოხსნა ძეგლის ნაყალბეობის შესახებ, თუმცა ყალბი საბუთის შექმნის მოტივი არაა ნათელი და ვეცდებით „განგება დარბაზობისა“ რეალურ ძეგლად განვიხილოთ.

ძეგლი შედგება ორი ნაწილისაგან: კურთხევა მირონისა და განგება დარბაზობისა.

ჩვენს ინტერესს იწვევს მღვდელმთავართა სია, მასში მოცემულ ეპარქიათა ისტორია, აგრეთვე იერარქია. აი ეს სიაც: ნატითა და ბალიშით სხდებიან: 1. ქართლის კათალიკოსი, 2. ჭყონდიდელი, 3. დიდისა სომხეთისა მიტროპოლიტი; ნატით, უბალიშოდ სხდებიან: 4. მთავარეპისკოპოსი, 5. მაწყვერელი, 6. ამბა ალავერდელი. ნატისა და ბალიშის გარეშე: 7. ქისიყელი. 8. კუმურდოელი, 9. ნინოწმინდელი არქიმანდრიტი, 10. იშხნელი, 11. ანჩელი არქიმანდრიტი, 12. მტბევარი, 13. წურწყაბელი, 14. წყაროსთაველი, 15. ერუშნელი, 16. მანგლელი, 17. წინწყაროელი, 18. რუსთაველი, 19. წილკნელი, 20. კაწარელი. 21. ურბნელი, 22. მრუელი, 23. სამთავნელი, 24. ნიქოზელი, 25. ვალაშკერტელი, 26. ბოლნელი, 27. კარელი, 28. ხარჭაშნელი, 29. ტფილელი, 30. წალკელი, 31. ბანელი, 32. ჰერემ-ქალაქელი, 33. დმანელი, 34. დადაშნელი, 35. გიშელი.

განვიხილოთ ამ სიაში ჩამოთვლილი ზოგიერთი მნიშვნელოვანი მღვდელმთავრის საკითხი.

[5] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც. ტ. I, თბ., 1963, გვ. 596—597.

[6] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971, გვ. 92,

[7] ქრონიკები, I, გვ. 45—46.

XIII საუკუნეში საქართველოს ეკლესიის სათავეში დგას კათოლიკოს-პატრიარქი. ეს ტიტული, დღემდისათვის არსებული ცნობებით, ჰქონდა უკვე მელქისედეკს[8], ხოლო ტიტული კათალიკოსისა წყაროების უმრავლესობის მიხედვით პირველად მიიღო პეტრემ V ს-ის მეორე ნახევარში. ვახტანგ გორგასალის საეკლესიო რეფორმის ჯავახიშვილისეულ ინტერპრეტაციას[9] ჩვენ სავსებით ვეთანხმებით.

დასადგენია მხოლოდ კათალიკოსობის შემოღების შედარებით უფრო ზუსტი თარიღი. საეკლესიო კალენდარი[10] ემყარება ჯუანშერის ცნობას[11] და თარიღად 467 წ. ასახელებს; ივ. ჯავახიშვილს მიმოხილული აქვს სხვა დათარიღებებიც და იძლევა თავის ვარიანტს 472—484 წწ. ამ მონაკვეთის ქვემო საზღვრის დადგენისას ის ემყარება „შუშანიკის წამებას“, სადაც 472 წ. ამბებთან დაკავშირებით იხსენიება „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ“. მთავარეპისკოპოსის არსებობა 472 წელს თითქოს გამორიცხავს კათალიკოსის არსებობას[12].

მაგრამ „შუშანიკის წამებაში“ მოხსენიებული „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ სამოელ“[13], პეტრე კათალიკოსთან ერთად ჩამოსული მცხეთის ეპისკოპოსი სამოელი უნდა იყოს, რადგან პეტრემ, როგორც ცნობილია, შეცვალა მიქაელი, რომლის ზეობა 40—50-იან წლებში უნდა იწყებოდეს.

შესაბამისად, კათოლიკოსობის შემოღების თარიღად ჩვენ 467 წ. მიგვაჩნია.

ჩვენს სიაში არაა ნახსენები აფხაზეთის კათალიკოსი, მაგრამ ის არის „მეფის კურთხევის წესსა“ და „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ და ამ დროისათვის საინტერესო ფიგურას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია მისი შეტანა-არშეტანა სიაში აგრეთვე ძეგლის დათარიღების თვალსაზრისით.

აფხაზეთში კათალიკოსობა დააწესა ბაგრატ კურაპალატმა 830 წ.[14], შემდგომში ის გაუქმებულა და აღდგენილი ჩანს XIII საუკუნიდან. აი, ამ კათალიკოსის მოკლე დახასიათება ნ. ბერძენიშვილის მიხედვით: „1. აფხაზეთის კათალიკოსი XIII ს-დან ჩანს. 2. გადაჭრილი არ არის საკითხი, ერთმეფობის, თუ ორმეფობის ხანაში დაარსდა ის. 3. აფხაზეთის კათალიკოსს მთლიანი საქართველოს მეფის კურთხევის უფლება არ აქვს. უკანასკნელი ქართლის კათალიკოსის საქმეა და ეს საქმე მას აფხაზეთის კათალიკოსის დაუსწრებლადაც შეუძლია შეასრულოს. 4. აფხაზეთის კათალიკოსს ხელი არ მიუწვდება ლიხთ ამერის საეკლესიო-სასულიერო საქმეებში, მაშინ, როცა ქართლის კათალიკოსი მთლიანად საქართველოს ეკლესიის უზენაესი წარმომადგენელია. 5. XIV ს. აფხაზეთის კათალიკოსი ცდილობს სავსებით გაუსწორდეს ქართლის კათალიკოსს. მისი პატივი თითქმის სწორია ქართ. კათალიკოსის პატივისა. 6. მთლიანი საქართველოს მეფის კურთხევის უფლება მას არც ახლა აქვს— ამისათვის იბრძვის ის. 7. აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი ბედიაში არ არის.

---

[8] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., III, თბ., 1970, გვ. 19.

[9] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებები, ტ. I, თბ., 1979, გვ. 353—385.

[10] საეკლესიო კალენდარი, თბ., 1980.

[11] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 196.

[12] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 385.

[13] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 27.

[14] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 255.

8. აფხაზეთის კათალიკოსი ხშირად ბედიელი მთავარეპისკოპოსიც არის. 9. ლიხთ იმერეთის საშინაო საეკლესიო საკითხების მოწესრიგებაში აფხაზეთის კათალიკოსი დამოუკიდებელია"[15]. როგორც ვხედავთ, აფხაზეთის კათალიკოსი აღმოსავლეთ საქართველოს საქმეებში ვერ ერევა. ბუნებრივია, რომ XIII ს. რედაქტორმა არ ჩართო ის სიაში.

ჭყონდიდელი დავით აღმაშენებელმა დანიშნა სამეფოს ვაზირად და მწიგნობართუხუცესად, ამის შემდეგ იზრდება მისი საეკლესიო ავტორიტეტი. ის ხდება მთავარეპისკოპოსი, ზოგჯერ ის არის აგრეთვე ბედიელ-ალავერდელიც[16]. ვაზირის ჩართვა ამ სიაში იყო ალბათ ერთ-ერთი იმ მცირეოდენი ცვლილებებიდან, რაც მოხდა რედაქტირების დროს XIII ს-ში, ამ ეპარქიის შექმნა კი გიორგი აფხაზთა მეფის სახელს უკავშირდება[17].

საკმაო სირთულეებს ქმნის დიდი სომხეთის მიტროპოლიტის მოხსენიება ძეგლში. სომხეთის ეკლესიის თავი არასოდეს არ ემორჩილებოდა ქართული ეკლესიის საჭისმპყრობელს.

ამ ფაქტს შეიძლება მოენახოს რამდენიმე ახსნა:

ა. სიის ავტორი გულისხმობს ქვემო ქართლის, „სომხეთის" მიტროპოლიტს; ამგვარ დაშვებას ეწინააღმდეგება სიაშიც და მირონის კურთხევაშიც სრულიად გარკვევით „დიდი სომხითის" მოხსენიება, რაც არ შეიძლება იყოს „სომხითის" სინონიმი.

ბ. სიაში შეიძლება ასახული იყოს ამიერკავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების ადრინდელი პერიოდის მოვლენები, როდესაც არსებობდა საეკლესიო ერთიანობა, მაგრამ ეს ვარაუდი ძნელად მისაღებია აგრეთვე იმის გამო, რომ VIII საუკუნეს ამ პერიოდისგან მკვეთრად გამოყოფს საეკლესიო განხეთქილება.

გ. „დიდი სომხეთის მიტროპოლიტის" მოხსენიება ძეგლში უნდა იყოს XIII ს. რედაქციის ანარეკლი. ეს მღვდელმთავარი შეიძლება იყოს დიოფიზიტ სომეხთა მეთაური, ან ერთ-ერთი სომეხი მიტროპოლიტი, რომელიც ამ ეპოქის პოლიტიკური მდგომარეობის გამო ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს ქართული ეკლესიის ზოგიერთ ცერემონიალში. ეს ახსნა ჩვენ ყველაზე უფრო გამართლებულად მიგვაჩნია.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე მთავარეპისკოპოსის საკითხი. კათალიკოსობის შემოღებამდე მთავარეპისკოპოსი იყო ქართლის ეკლესიის მეთაური, მაგრამ როდიდან? „მოქცევაჲ" მთავარეპისკოპოსს უწოდებს უკვე პირველ მღვდელმთავარს იოვანეს[18], თუმცა მისი მოსვლის შესახებ ასე წერს: „მოსცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღვდელნი და ერთი დიაკონი"[19]. მას შემდეგ ჩამოთვლილია ცამეტი მთავარეპისკოპოსი[20].

დაახლოებით იგივე წერია „ქართლის ცხოვრებაში" იოვანეს მოსვლის შესახებ: „და წარმოგზავნა მღვდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსად და

---

[15] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. V, გვ. 99—100.
[16] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 17.
[17] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 265.
[18] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 87.
[19] იქვე, გვ. 86.
[20] იქვე, გვ. 93.

მის თანა მღვდელნი ორნი და დიაკონნი სამნი“[21], მაგრამ „ქართლის ცხოვრება“ არც იოვანეს, არც მის შემდგომ მღვდელმთავრებს (იაკობ[22], სვიმონ[23], მიქაელ[24]), მთავარეპისკოპოსს არ უწოდებს. როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრების“ (ლეონტი მროველი და ჯუანშერი) კონცეფცია ასეთია: ვახტანგ გორგასალის რეფორმამდე იყო ერთი ეპისკოპოსი. მხოლოდ ორგან აღნიშნულია: „დაევედრა ეპისკოპოსთა“[25] და „განამზადა მეფემან სახელი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი“[26]...

მეორე ეპისკოპოსად „ქართლის ცხოვრება“ გულისხმობს ცეცხლის მსახურს — „ბინქარან ეპისკოპოსი ცეცხლმსახურთა“[27]. ამ ბინქარანის თანამედროვეა „მოქცევაჲ ქართლისა“-ს გლონქორი (ბოლნოქორი) „გლონქორ ესე მთავარეპისკოპოსი ერისთავადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლსა და ჰერეთს“[28]. ბუნებრივია მათი გაიგივება, რასაც ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს[29]. ჯუანშერთან ნახსენებია აგრეთვე მობიდან ეპისკოპოსი, რომელიც მიჩნეულია ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან მებრძოლად[30]: ივ. ჯავახიშვილი მას მანიქეველთა სექტის წარმომადგენლად თვლის[31]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ასეთ ეპისკოპოსს არ იცნობს, თუმცა ამ თხზულებას მობიდანის თანამედროვე ოთხი ეპისკოპოსის სახელიც აკლია[32] და მობიდანი, როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, ერთ-ერთ მათგანად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ვფიქრობთ, უფრო ბუნებრივი იქნებოდა, მობიდანი მოგვთა ხელმძღვანელად — მობედად მიგვეჩნია. ამას მხარს უჭერს როგორც ტერმინთა (მობიდანი — მობედი) მსგავსება, ასევე V ს. I ნახევარში საქართველოში შექმნილი ისტორიული ვითარება, ჯუანშერის ცნობა, როგორც ჩანს, გარკვეული აღრევის შედეგი უნდა იყოს.

ამდენად, „ქართლის ცხოვრების“ ზემოთაღნიშნული კონცეფცია მისაღებია. გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოს ეკლესიას ერთი ეპისკოპოსი განაგებდა, მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ჯუანშერს იმაში, რომ ეს ვითარება ვახტანგის რეფორმამდე იყო შენარჩუნებული, რადგანაც ვახტანგმა დააარსა 12 (ან ცოტა მეტი) ეპარქია, 506 წლისათვის კი სანდო წყარო „ეპისტოლეთა წიგნი“[33] 24 ეპისკოპოსს ასახელებს, როგორც საეკლესიო კრების აქტზე ხელის მომწერს. კიდევ ცხრა ეპისკოპოსი დააკლდა კრებას.

---

[21] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 115.

[22] იქვე, გვ. 131.

[23] იქვე, გვ. 138.

[24] იქვე, გვ. 145—197.

[25] იქვე, გვ. 129.

[26] იქვე, გვ. 147.

[27] იქვე, გვ. 145.

[28] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 93.

[29] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 347.

[30] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 142.

[31] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 344—347 მობიდანის საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე, ალ. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბ., 1982, გვ. 32,

[32] იქვე.

[33] ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968, გვ. 97.

472—506 წლებში კი ეპარქიების რიცხვის გასამმაგება რეალური არ უნდა იყოს.

კითხვაზე, როდის გახდა ქართლის ეპისკოპოსი მთავარ ეპისკოპოსად, ცნობების არარსებობის გამო პასუხის გაცემა არ შეგვიძლია.

კათალიკოსობის შემოღების შემდეგ ქართლის მთავარეპისკოპოსის ტიტული რჩება. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა როგორც „ქართლის ცხოვრება[34], ასევე „შუშანიკის წამება“[35]. გაბრიელ კათალიკოსი იხსენიება აგრეთვე მცხეთის სახელოვან ეპისკოპოსად[36]. ძნელი სათქმელია, თუ რა შინაარსს იღებს ეს ტიტული.

მთავარეპისკოპოსი კათალიკოსობის შემოღების პირველ ხანებში, ალბათ, კათალიკოსის მოადგილე იყო, ხოლო შემდგომ კი უკვე მხოლოდ რამდენიმე ეპარქიის ხელმძღვანელი საკათალიკოსო შიგნით. ყოველ შემთხვევისათვის, ჩვენს ძეგლში უფრო ეს უკანასკნელი ვითარება უნდა იყოს ასახული, რასაც გვაფიქრებინებს შემდგომი გარემოებანი:

ა. ჩვენს ძეგლში მთავარეპისკოპოსი პატივით გათანაბრებულია მაწყვერელ და ალავერდელ მღვდელმთავრებთან, რაც რეგიონალური პრინციპის გამოყენებაზე მიგვანიშნებს;

ბ. რიგ ძეგლში მთავარეპისკოპოსი საკმაოდ დამოუკიდებელ მფლობელად ჩანს. მაგ., X ს. — „მთავარეპისკოპოსობასა სანატრელი ყ(ვარყვარ)ესი, განზრახვითა ნიქოზელისა სანატრელისა სტეფანე ეპისკოპოსისაჲთა“[37]. ხშირად იხსენიება XIII ს. შუა ხანებში აგრეთვე ქართლის მთავარეპისკოპოსი გიორგი[38].

XIII საუკუნეში მთავარეპისკოპოსის ტიტულს იღებს ბევრი სხვა მღვდელმთავარიც და ქართლის მთავარეპისკოპოსის უფლებების დადგენა უფრო ადვილი ხდება. ამ მთავარეპისკოპოსთა არასრული სია: ჭყონდიდელი[39], მანგლელი[40], ცაიშელი[41], ალავერდელი[42], მაწყვერელი[43], იშხნელი[44].

აქვე საჭიროა აღნიშვნა იმისა, რომ ქართულ ძეგლებში ხშირად ეპისკოპოსი ან მთავარეპისკოპოსი ნიშნავს არა რეალურად ამ ტიტულის მატარებელს, არამედ საერთოდ ეკლესიის ხელმძღვანელს[45]. ამ გარემოების გათვალისწინება აუცილებელია იმის დასადგენად, თუ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამა თუ იმ ძეგლში რას შეიძლება გულისხმობდეს ჩვენთვის საინტერესო ტიტული, სანამ რომელიმე ძეგლში დაცული ტიტულის მიხედვით რაიმეს დავასკვნით.

დაბოლოს, მოკლედ სიაში ჩამოთვლილ სხვა ეპისკოპოსთა შესახებ.

---

[34] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 198.
[35] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 27.
[36] ზ. ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.
[37] ნ. შოშიაშვილი, ლაპიდარული წარწერები, I, თბ., 1980, გვ. 172.
[38] ი. დოლიძე, დასახ. ნაშრ. II, გვ. 41, 46, 47, III, გვ. 130.
[39] იქვე, II, გვ. 30.
[40] იქვე, II, გვ. 67.
[41] იქვე, III, გვ. 172.
[42] იქვე, III, გვ. 175.
[43] იქვე.
[44] იქვე, II, გვ. 51.
[45] იქვე, II, გვ. 111—112.

როგორც უკვე აღინიშნა, თავდაპირველად საქართველოში ერთი ეპისკოპოსი იყო, მაგრამ ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად საეპისკოპოსოების რიცხვი სწრაფად გამრავლდა და VI ს-ის დამდეგისათვის 33-ს მიაღწია, აქედან „ეპისტოლეთა წიგნში"[46] 24 ეპისკოპოსია ჩამოთვლილი, უხტანესი კი იმავე ამბებთან დაკავშირებით 19-ის სახელს გვამცნობს. მაგრამ, რამდენადაც მთარგმნელთა და გადამწერთა შეცდომების შედეგად ეპარქიების სახელები ძალზე დამახინჯებულია, ჩვენ ამ სიებს არ მოვიტანთ, ამ სიების განმარტების ცდები აქვთ ივ. ჯავახიშვილს[47], ს. კაკაბაძეს[48], კ. კეკელიძეს[49], ზ. ალექსიძეს[50].

პირველი ცნობა საეპისკოპოსოების დაარსების შესახებ ეკუთვნის ჯუანშერს, სადაც იგი ვახტანგ გორგასლის რეფორმას ეხება[51]. ივ. ჯავახიშვილი ეჭვქვეშ აყენებს ვახტანგის დროს 14 ეპისკოპოსის ერთდროულად კურთხევას[52], მაგრამ, როგორც ჩანს, ჯუანშერი ამ შემთხვევაში სწორია. V ს. 70—80-იანი წლები საქართველოში აშკარად აღინიშნა საეკლესიო მშენებლობის მნიშვნელოვანი გაფართოებით. ამ დროს აშენდა ბოლნისის სიონი[53], ნიქოზის[54] ეკლესია და სხვ. სამშენებლო წარწერებში აღნიშნულია აღმშენებელ ეპისკოპოსთა სახელები, რაც შეეხება ნიქოზის აღმშენებელს ეზრა (ან ზაქარია) პირველ ეპისკოპოსს, იგი, ჩვენი აზრით, იყო ნიქოზის პირველი ეპისკოპოსი და არა ქართლის მთავარეპისკოპოსი. საეკლესიო მშენებლობის ამ მასშტაბებს აშკარად შეესაბამება ჯუანშერის ცნობა ვახტანგის მიერ შემდეგი საეპისკოპოსოების დაარსების შესახებ: მცხეთა, ახიზი, ერუშეთი, წუნდა, მანგლისი, ბოლნისი, რუსთავი, ნინოწმინდა, ჭერემი, ჩელეთი, ხორნაბუჯი, აგარაკი და მოგვიანებით ნიქოზი. ამათ გარდა, კიდევ ოციოდ ეპარქია, რომელნიც თავიანთ მეთაურებს აგზავნიან 506 წ. დვინის კრებაზე, ამ დროს უკვე უნდა არსებულიყო. ასეთ აზრს მხარს უჭერს, როგორც მიქაელისა და მისი წინამორბედების ტიტული მთავარეპისკოპოსისა, ასევე V ს. I ნახევარში ურბნისის სიონის აშენება ვინმე კონსტანტისა და მამა მიქაელის (პირველი ეპისკოპოსი?) მიერ[55].

VI საუკუნეში ასურელ მამათაგან სამმა მიაღწია ეპისკოპოსობას. ესენია: იოსებ ალავერდელი, ისე წილკნელი და აბიბოს ნეკრესელი[56]. ასურელი მამების მოღვაწეობა მიმართული იყო საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და გამტკიცებისასენ. გასარკვევი რჩება. ამ მამებმა ახალი ეპარქიები დააარსეს, თუ ძველ საყდრებში დასხდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ალავერდის, წილკნის და ნეკრესის ხსენება ამაზე ადრე არ გვხვდება. აწყურის

---

[46] ზ. ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

[47] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, I, გვ.

[48] ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, I, გვ. 50—53.

[49] კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება, გვ. 320.

[50] ზ. ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

[51] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 196.

[52] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 375.

[53] ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 66—68.

[54] იქვე, გვ. 71.

[55] იქვე, გვ. 63.

[56] ქართლის ცხოვრება, I. გვ. 208. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 222, 242.

დიდი საეპისკოპოსო საყდრის აგებას ჯუანშერი ჰერაკლე კეისარს მიაწერს[57]. აგიოგრაფიაში მაწყუერელი ეპისკოპოსები ხშირად ჩანან[58]. XIII ს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში პირველობას იშხნელი იგდებს ხელთ. ამ საყდრის ამშენებლად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორს ნერსე კათალიკოსი მიაჩნია[59]. ჩვენს სიაში იშხნელი მხოლოდ მეათეა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სია XIII ს. არ უნდა იყოს შედგენილი. ანჩელი ეპისკოპოსის არქიმანდრიტად წოდება ეხმაურება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, სადაც „მღვდელნი და დიაკონნი მათნი (ხანძთისა და სხვა მახლობელ მონასტერთა) ანჩელთა ეპისკოპოსისაგან იკურთხევიან“[60]. IX—X საუკუნეთა მიჯნაზე საკმაოდ პოპულარული პირია სტეფანე, ტბეთის პირველი ეპისკოპოსი[61], საყდრის აგება უკავშირდება აშოტ კუხის სახელს[62]. „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს აგრეთვე ადარნერსესა და კვირიკე ბანელის მიერ ბანის მშენებლობის შესახებ[63].

ამით ამოიწურება ქართული ცნობები XII ს-მდე ჩვენს სიაში შესული ეპარქიების შესახებ. დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ V—VII საუკუნეებში ცურტავის ორენოვანი ეპარქიის არსებობა, რაც გახდა საფუძველი სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებისა. არც ჩვენს სიაში, არც შემდგომ ეს ეპარქია არ იხსენიება.

საინტერესოა აგრეთვე ერთი მინაწერი „განგება დარბაზობისას“ ა ნუსხაში. აქ ამბა ალავერდელის გასწვრივ წერია: „შემოვიდეს ციხეგოჯელი და დაჯდეს ბედიელის ქვემოთ“: ეს ორი ეპისკოპოსი დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელია და მინაწერი ალბათ რედაქტორის ასოციაციის შედეგად გაჩნდა — ჭყონდიდელი ხომ ზოგჯერ აგრეთვე ბედიელ-ალავერდელიც იყო[64].

ორი ან იქნებ მეტი ქრონოლოგიური ფენის აღრევის გამო „განგება დარბაზობისა“ რთული ძეგლია და ფრთხილ მოპყრობას მოითხოვს. მასში დაცულია საინტერესო ცნობები (მირონის კურთხევის წესი, ქართული საეკლესიო იერარქია), მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მაინც VIII საუკუნისათვის ამგვარი საკანონმდებლო ძეგლის არსებობის ფაქტია.

Л. Р. ГОРДЕЗИАНИ

## «РАСПОРЯДОК ПРИЕМА ПРИ ЦАРСКОМ ДВОРЕ» КАК ИСТОРИЧЕСКИЙ ИСТОЧНИК

### Резюме

В институте рукописей им. Кекелидзе АН ГССР хранятся две копии одного документа — Ad 560 и S—352. Обе выполнены строчным грузинским письмом «нусхахуцури». Они относятся к XVI—XVII ве-

---

[57] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 224.

[58] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 267, 294, 340, 344.

[59] იქვე, გვ. 274.

[60] იქვე, გვ. 303.

[61] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 264, 380.

[62] იქვე, გვ. 380.

[63] იქვე, გვ. 261.

[64] ი. დოლიძე, დისახ. ნაშრ., II, გვ. 17.

кам и являются поздними копиями законодательного акта, который называется «Распорядок приема при царском дворе, совершавшегося во время коронации в Мцхета».

В одной из рукописей содержится также «обряд коронования царя». Оба памятника взаимосвязаны тематически и узаконивают церемониал коронования и порядок приема епископов при царском дворе.

«Обряд коронования» относится к XIII веку, а «Распорядок приема при царском дворе» содержит два хронологических слоя: а) VIII в., составленный царем Арчилом и католикосом Микаэлом. Эту хронологию подтверждает и то обстоятельство, что в список включены лишь епископы Восточной и Юго-Западной Грузии, а также коронация в Мцхета, что происходило до создания единой грузинской монархии; б) XIII в. редакторский слой. Редактор добавляет в акт функции двух высших чиновников своего времени — атабага и Чкондидского епископа.

«Распорядок приема при царском дворе» содержит полный список епископов Восточной и Юго-Западной Грузии. Сопоставление этого списка с другими ранними списками и документами дает возможность уточнить ряд вопросов церковной истории.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის ძველი და შუა საუკუნეების წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

მარინა ცინცაძე

# საქართველო და ქართველები X—XI საუკუნეების სპარსულ წყაროებში

სპარსულ წყაროებს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია იმ უცხოურ წყაროთა შორის, რომლებშიც მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება საქართველოს შესახებ. ამჟამად ჩვენ შევეხებით მხოლოდ X—XI სს. სამ სპარსულ წყაროს, რომელნიც მცირე, მაგრამ საინტერესო მასალებს შეიცავენ საქართველოსა და ქართველებზე.

ეს წყაროებია: X ს-ის უცნობი ავტორის ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწარმოები „ქვეყნიერების საზღვრები“ (ჰოდუდ ალ-ალამი), XI ს-ის ცნობილი ირანელი პოეტის, ფილოსოფოსის, მოგზაურისა და ისმაილიტი მოღვაწის — ნასერ ხოსროუს „მოგზაურობათა წიგნი“ (საფარ-ნამე) და ამავე საუკუნის დიდ სელჩუკთა ცნობილი ვეზირის — ნიზამ ალ-მულქის თხზულება „მმართველობის წიგნი“ (სიასეთ-ნამე).

დასახელებულ წყაროთა შორის შედარებით მრავალრიცხოვან ცნობებს საქართველოზე გვაწვდის 982 წელს შედგენილი გეოგრაფიული ტრაქტატი „ჰოდუდ ალ-ალამი“.

ანონიმური თხზულების მიხედვით, შავი ზღვა „ქართველთა ზღვის“ სახელით მოიხსენიება. აკად. ვ. ბარტოლდი აღნიშნავს, რომ სახელწოდება „ქართველთა ზღვა“ მხოლოდ ამ ნაწარმოებში გვხვდება[1]. საყურადღებოა, რომ უცნობი ავტორი შავი ზღვის ტრადიციულ სახელს — პონტოსაც იცნობს, მაგრამ ამ ტერმინს იგი მხოლოდ თხზულების დასაწყისში იყენებს. „ქართველთა ზღვა“ X ს-ის სპარსულ გეოგრაფიულ თხზულებაში შემდეგნაირადაა აღწერილი: „და კიდევ ქართველთა ზღვა არის. მას პონტოს ზღვას უწოდებენ. მის აღმოსავლეთ საზღვარზე ალანთა ქვეყანაა, ჩრდილოეთით პაჭანიკების, ხაზარების, მირვათების, შიდა ბულგარებისა და საყლაბთა ადგილები. დასავლეთ საზღვარზე ბარჯანების ქვეყანაა და მის სამხრეთ საზღვარზე რუმის ოლქია. ამ ზღვის სიგრძე ათას სამასი მილია, ხოლო სიგანე სამას ორმოცდაათი მილი“[2].

როგორც ვხედავთ, „ქართველთა ზღვის“ სამხრეთ საზღვრად რუმის ქვეყანაა დასახელებული. სწორედ რუმის ქვეყნის ფარგლებში შეაქვს ჩვენს ავტორს საქართველოს ტერიტორია: „გორზ — არის აგრეთვე რუმის პროვინცია. მათი უმეტესობა კუნძულებზე ცხოვრობსო. მათ ქართველთა ზღვაზე

---

[1] В. В. Бартольд. Введение к изданию Худуд ал-алам, соч. 8, М., 1973, გვ. 532

[2] حدود العام .من المشرق الى المغرب بکوشش دکتر منرچهر ستوده ، تهران ، اسفند ماه ، ۱۳٤۰ ، გვ. 13

ქალაქი აქვთ, რომელსაც გორზს უწოდებენ და რუმშია ამავე ზღვის პირას. ამ ხალხის ყველა ჩვეულება ზედმიწევნით ჰგავს რუმელებისას"[3].

პროფ. ვ. მინორსკის აზრით, მითითებულ ტერიტორიაში უსათუოდ დასავლეთ საქართველო უნდა იგულისხმებოდეს. ამ უკანასკნელის მოთავსება ბიზანტიის იმპერიაში კი აიხსნება იმ ფაქტით, რომ ქართველები ბერძნულ-ორთოდოქსალურ ეკლესიას მიეკუთვნებოდნენ[4].

ამას თითქოს გვიდასტურებს არაბული წყაროებიც. როგორც ცნობილია, არაბი ავტორები ნაკლებად იცნობენ დასავლეთ საქართველოს. X ს-ის ავტორთა შორის გამონაკლისის სახით შეიძლება დავასახელოთ ბალაზორისა[5] და მას'უდის თხზულებები. ჩვენი ტექსტის მიხედვით, შედარებით საინტერესოდ გვეჩვენება ის მასალები, რომლებიც დაცულია მას'უდის „მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მაადინ ალ-ჯაუაჰირში" — „ოქროს ველები და მარგალიტის საბადოები"[6].

მას'უდის თხზულებაში ნათქვამია, რომ „აბხაზის გვერდით არის სამეფო ჯურზიჟა. ეს არის ძლიერი ხალხი, ქრისტიანები, რომელთაც ჯურზანს უწოდებენ. მათ ამჟამად მეფე ჰყავთ, რომელსაც ათთაბი'ი ჰქვია, ხოლო დედაქალაქს ამ მეფისას მესჯიდ ზულ-კარნაინს ეძახიან"[7]. იქვე გვხვდება კიდევ ერთი ცნობა საქართველოს ამავე ტერიტორიის შესახებ. ავტორი წერს: „მდ. ქური სათავეს იღებს ჯურზანის ქვეყანაში, რომელიც ეკუთვნის მეფე ჯურჯინს"[8].

---

[3] ჰუდუდ ალ-ალამი, გვ. 184.

[4] Hudud al-Alam, The regions of the World, A persian geography 372 A. H. — 982. A.D. Translated and expelained by V. Minorsky with the preface by V. V. Barthold (—1930) translated from the Russian, London, 1937, (GMS. NS. XI), გვ. 422.

[5] იხ. Балазори. Книга завоевания стран, текст и перевод; Пер. с арабского проф. П. К. Жузе, Баку, 1927;

ისიახრი, ჰუდუდ ალ-ალამი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, ქართული თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1937.

[6] მას'უდი—არაბი გეოგრაფი და მოგზაური გარდაიცვალა დაახლოებით 956 წლისათვის. ასე რომ, შესაძლებელია ანონიმ ავტორს ესარგებლა მას'უდის თხზულებით.

[7] Macoudi, Les Prairies d'or, texte et traduction par C. Barbier de Meynard et Pavet de Courteille. t, deuxieme, Paris, 1861—1877, გვ. 65. დ. მუსხელიშვილის მიხედვით, აქ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოა ნაგულისხმევი, რომლის გამგებელიც მას'უდისთან ი. მარკვარტის ცნობით „მამფალის" არასწორი ფორმა უნდა იყოს (الطبيعي.ის მაგივრად უნდა იყოს المنبعي). რაც შეეხება რეზიდენციას, ი. მარკვარტი და ვ. მინორსკი თვლიან, რომ აქ დამახინჯებული უნდა იყოს სახელი მცხეთა. მიზგითი (ზოგიერთ არაბულ დიალექტზე მასგიდ) შეძლებისდაგვარი გადასვლაა მცხეთაზე. ამასთანავე მცხეთა უფრო შეიძლებოდა რომ სამხრეთ-დასავლეთ ბაგრატიონების ხელში ყოფილიყო, ვიდრე ე. წ. „აფხაზთა" დინასტიის წარმომადგენლების ხელში. რაც შეეხება ზულ-კარნაინს, რა ეპითეტითაც მოიხსენიება ალექსანდრე მაკედონელი არაბულ წყაროებში, ვ. მინორსკი თვლის, რომ მისი მოხსენიება ქალაქის სიძველის აღნიშვნასთან უნდა იყოს დაკავშირებული. დ. მუსხელიშვილი გამორიცხავს ამ ცნობაში მოტანილი ქალაქის მცხეთად მიჩნევას, „რადგანაც ცნობა არ გაგვაჩნია, რომ იგი XII ს-მდე ბაგრატოვანთა კუთვნილი ყოფილიყო, ხოლო სწორედ X ს-ის პირველ ნახევარში მცხეთა კახეთის სამთავროში იგულისხმება." (იხ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980, გვ. 192—194; დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული 3, თბ., 1967, გვ. 70—71; В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, М., 1963, გვ. 209—214).

[8] Macoudi, Les Prairies d'or, გვ. 74.

ი. მარკვარტი მეფე ჯურჯინს აკავშირებს გურგენ მაგისტრატოსთან ანუ ერისთავთ-ერისთავთან (918—941 წწ.)[9]. დ. მუსხელიშვილი სამართლიანად მიიჩნევს ი. მარკვარტის იდენტიფიკაციას და აღნიშნავს, რომ მას'უდის ჯურზანში, როგორც პირველ ასევე მეორე შემთხვევაში, უნდა იგულისხმებოდეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, რომელიც მოიცავდა შავშეთ-კლარჯეთის, სამცხე-აჭარის და კოლა-არტაან-ჯავახეთის ტერიტორიებს[10].

ჩვენი აზრით, ამ მოსაზრების სასარგებლოდ შესაძლოა მეტყველებდეს ასეთი ვარაუდიც. «მასჯიდის» გრაფიკული მოხაზულობა ემთხვევა «მასხიდისას» და წერტილთა გადაადგილებით შესაძლებელია სიტყვის მნიშვნელობის შეცვლაც (შდრ. مسخد—مسجد). ამ შემთხვევაში ეს სიტყვა ადვილად უკავშირდება სახელს «მესხეთი». როგორც ცნობილია, არაბულ სინამდვილეში ოლქისა და მისი დედაქალაქის სახელი, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთს ემთხვევა.[11] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას'უდი მესხთა (მესხეთის) მთავარ ქალაქს მოიხსენიებს პროვინცია-ქალაქის სახელით. თუ ამ ვარაუდს მისაღებად მივიჩნევთ, კიდევ უფრო სარწმუნოდ მოგვეჩვენება მას'უდისთან სწორედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოხსენიება.

ამრიგად, „ჰოდუდ ალ-ალამში“ მითითებულ საქართველოს, რომელიც არაბული წყაროს მეშვეობით ლოკალიზდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოთი, ავტორი ათავსებს ბიზანტიის იმპერიაში. როგორც ვიცით, X ს-ში დასავლეთ საქართველო ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა[12]. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მმართველები ბიზანტიის ვასალებად ითვლებოდნენ, ბიზანტიის კეისრები კი მათ სიუზერენებად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ჰოდუდ ალ-ალამი“ ერთადერთი წყაროა, სადაც შავი ზღვა „ქართველთა ზღვად“ იწოდება. შავი ზღვა საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა სახელით იყო ცნობილი[13].

შავი ზღვის პირველი არაბული სახელწოდება „ბაჰრ ალ-ხაზარ“ მიეწერება IX ს-ის ავტორს მუსლიმ იბნ აბუ მუსლიმ ალ-ჯარმის. ამ სახელწოდების გარდა, არაბი გეოგრაფოსები იყენებდნენ მანამდე მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის აღმნიშვნელ ტერმინს ბაჰრ არ-რუმსაც. პირველად არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში შავი ზღვის ბერძნული წარმომავლობის სახელი— პონტო შემოიტანა IX—X საუკუნეების ავტორმა ალ-ბატანიმ. გამოკვლეუ-

---

[9] J. Marquart, Osteuropaische und ostasiatische Striefjuge, Ethnologische und historisch-topographische Studien zur Geschichte des 9, und 10 Jahrhunderts, Leipzig, 1903, გვ. 176.

[10] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, გვ. 192.

[11] იხ. J. Aubin, Elements pour l'etude des egglomerations urbaines dans l'Iran medieval, The Islamic City Ed. by A. H. Haurani, S. M. Gtern, 1970.

[12] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 464—467; ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წწ, თბ., 1969, გვ. 14, 22.

[13] იხ. მ. გაბაშვილი, შავი ზღვა ქართული წყაროების მიხედვით, აღმოსავლეთმცოდნეობა, თსუ, შრომები, 186, თბ., 1978 თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981, გვ. 4—9.

ლია, რომ იმ თავში რომელშიც ეს ტერმინია ნახმარი გამოყენებულია[14] პტოლემაიოსის სირიული თარგმანის ერთ-ერთი ვერსია[15].

«ჰოდუდ ალ-ალამის» ავტორი შავ ზღვას—პონტოს მხოლოდ ტრაქტატის დასაწყისში უწოდებს, შემდეგ კი ამ სახელს აღარ ხმარობს, ყველგან წერს: «دریای گرزیان» — «ქართველთა ზღვა». პროფ. ვ. მინორსკი აღნიშნავს, რომ ეს ორივე სახელი მიუთითებს ავტორის მიერ გამოყენებულ წყაროთა ნაირსახეობაზე.[16] ანონიმი ავტორი უეჭველად იყენებდა იბნ ხორდადბეჰის თხზულებას, სადაც შავ ზღვას ეწოდება «ბაჰრ ალ-ხაზარ» — »بحر الخزر», მაგრამ ზოგიერთ პარაგრაფში კასპიის ზღვაც იმავე სახელწოდებით მოიხსენიება. სახელები جرز (ჯორზ) და خزر (ხაზარ) არაბულ ლიტერატურაში უმეტესწილად არეულია. ამიტომაც იბნ ხორდადბეჰის ეს ტერმინი (بحر الخزر) შეიძლება წაკითხულ იქნას, როგორც بحر الجرز—(ბაჰრ ალ-ჯორზ). ჩვენი ისტორიკოსი კი ყველგან ხმარობს გასპარსულებულ ფორმას[17].

X ს-ის გეოგრაფიულ ტრაქტატში შემონახულია ცნობები რამდენიმე ქართულ გეოგრაფიულ პუნქტზე. კერძოდ, თბილისზე, ხუნანზე, კალაზე და სანარიაზე. ეს მასალები დაცულია ტექსტის 35-ე თავში, რომელიც ასეა დასათაურებული: „სიტყვა აზერბაიჯანის, არმენიისა და არანის ოლქებზე და მათი ქალაქების შესახებ“.

ცნობა თბილისის შესახებ დანარჩენ ქართულ პუნქტებთან შედარებით უფრო ფართო მოცულობისაა. თბილისი „ჰოდუდ ალ-ალამში“ შემდეგნაირადაა აღწერილი: „თბილისი — დიდი, აყვავებული, გამაგრებული, დასახლებული და უამრავი სიმდიდრის მქონე ქალაქია. ორი გალავანი აქვს. ესაზღვრებიან ურწმუნოებს. მდ. მტკვარი მის შუაზე გადის. აქვს წყარო, ძალზე ცხელი, რომელზედაც აბანოებია აგებული და რომელიც მუდამ ცხელია ცეცხლის გარეშე“[18].

როგორც ცნობილია, არაბთა თვალსაზრისით თბილისი წარმოადგენდა მუსლიმური სამყაროს უკიდურეს ჩრდილო საზღვარს. იბნ ჰაუკალის მიხედვითაც, თბილისი დიდი სასაზღვრო ქალაქი ყოფილა[19]. თბილისის გალავანს აგვიწერს XII ს-ის არაბი ავტორი სადრ ად-დინ ალი ალ-ჰუსეინი. მისი სიტყვით, თბილისის კედლების სიმაღლე და სიგანე ორმოცი წყრთის ტოლი ყოფილა[20].

ცნობილია, რომ თბილისი მნიშვნელოვან სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყ-

---

14 ეს არის ალ-ბატანის თხზულების „ასტრონომიული ცხრილების“ მე-6 თავი, „აზ-ზიჯ ას-საბი“.

15 В. М. Бейлис, Сведения о Черном море в сочинениях арабских геогафов IX—X вв., Ближний и Средний Восток, сборник статей, М ., 1962, გვ. 22—23.

16 Hudud al-Alam..., გვ. 180.

17 იქვე, გვ. 183, 422, 423.

18 იქვე, გვ. 162.

19 ე. სიხარულიძე, იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წ. 1, თბ., 1976, გვ. 31.

20 Садр ад-дин Али ал-Хусейни, Ахбар ад-даулат ас-Селджукийа, издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Буниятова, М., 1980, გვ. 55.

ნებთან. IX—X სს-ის არაბი ისტორიკოსების ისთახრის, ალ-მუკადდასის, იბნ ხორდადბეჰის, კუდამას მიხედვით ბარდავ-თბილისის გზა გადიოდა შემდეგ პუნქტებზე: ბარდავი-განჯა-შამქორი-ხუნანი-კალა იბნ ქანდამანი-თბილისი[21]. ამ გზის საშუალებით თბილისს შეეძლო დაკავშირებოდა ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებს. მჭიდრო ურთიერთობა მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან, რა თქმა უნდა, დიდ როლს ასრულებდა თბილისის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამაზე მეტყველებს ჩვენი სპარსული წყარო. „ჰოდუდ ალ-ალამის“ მიხედვით, როგორც ვნახეთ, თბილისი ფრიად აყვავებული და მდიდარი ქალაქი ყოფილა.

თბილისის აღწერისას „ჰოდუდ ალ-ალამის“ ავტორი მოგვითხრობს თბილისის აბანოების შესახებაც, მაგრამ ეს ცნობა საკმაოდ მცირე მოცულობისაა. თბილისში აბანოებს აგებდნენ იქ, სადაც მუდმივად ცხელი წყალი მოდიოდა. თბილისის აბანოების საინტერესო აღწერილობას გვაწვდის X ს-ის არაბი გეოგრაფი იბნ ჰაუკალი[22]. ასევე საინტერესო მასალები მოიპოვება საკუთრივ სპარსულ წყაროებში, რომლებიც შედარებით მოგვიანო ხანას განეკუთვნება. ეს წყაროებია: XII ს-ის მეორე ნახევრის ისტორიკოსის ნაჯიბ ჰამადანელის თხზულება[23] და XIII ს-ის დამდეგის გეოგრაფიული თხზულება „აჯაიბ ად-დუნია“ ანუ „სამყაროს საკვირველებანი“[24].

ამრიგად, X ს-ის სპარსული ტექსტისა და სხვა აღმოსავლური წყაროების მეშვეობით გვექმნება გარკვეული წარმოდგენა ქალაქ თბილისზე, როგორც კარგად გამაგრებულ და აყვავებულ ქალაქზე.

„ჰოდუდ ალ-ალამში“ ქართულ გეოგრაფიულ პუნქტთა შორის დასახელებულია სანარია ანუ ქართული წყაროების მიხედვით წანარეთი. ცნობა მცირე მოცულობისაა და მხოლოდ და მხოლოდ ამ ადგილის გეოგრაფიულ მდებარეობაზე მოგვითხრობს: „სანარი — მისი განფენილობა 20 ფარსანგს უდრის, შაქისა[25] და თბილისს შუა მდებარეობს, ყველანი ურწმუნოები არიან“[26].

აკად. ივ. ჯავახიშვილი წანარებს მთიულებად მიიჩნევს და მათ ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით არაგვის ჴევის მცხოვრებლებად თვლის[27].

---

[21] ე. სიხარულიძე, ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX—X სს-ში. არაბული წყაროების მიხედვით, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 179.

[22] ე. სიხარულიძე, იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ, გვ. 35.

[23] ნაჯიბ ჰამადანელს ეკუთვნის კოსმოგრაფიული და გეოგრაფიული თხზულება „აჯაიბ ალ-მახლუკათ, ვა ღარაიბ ალ-მავჯუდათ“ — „ქმნილებათა საკვირველებანი და არსებულის იშვიათობანი“. იხ. რ. კიკნაძე, XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. 1, თბ., 1960, გვ. 128—129.

[24] „სამყაროს საკვირველებანი“, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978, იხ. აგრეთვე, რ. კიკნაძე XI—XII სს.-თა თბილისის ისტორიიდან, ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვ. 1 (გვ. 110).

[25] Xს-ის არაბული წყაროების შაქი//შაქანი იდენტურია ქართული წყაროების ჰერეთის სამეფოსი. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

[26] صنار—ناحیتیست درازاء او بیست فرسنگ است میان شکی وتفلیس و همه کافران اند». حدود العالم... ჰოდუდ ალ-ალამი გვ. 162.

[27] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 43.

ძველი მატიანე ამტკიცებს, რომ წანართა ქვეყანა არაგვის ხეობის ერთი კუთხეთაგანი იყო და მათი მკვიდრობის ადგილს „წანარეთის ჴევი“ ერქვა[28].

არაბული წყაროების მიხედვითაც მათი საცხოვრებელი სწორედ კავკასიის მთის ძირას, დარიალის კარის მიდამოებში აღინიშნება. ეს ეხება მას'უდის ისტორიულ-გეოგრაფიულ შრომას „მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მაადინ ალ-ჯაუაჰირს“[29].

იგივეს ამტკიცებენ სომეხი ისტორიკოსებიც. მათი ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ წანარების ქვეყანა ალანთა კარის ანუ დარიალის ხევის მიდამოებში იყო. სომხურ წყაროთა შორის წანარები პირველად მოიხსენიებიან ანონიმურ გეოგრაფიაში, რომელსაც ანანია შირაკელს მიაწერენ (VII ს). ასევე წანარები მოიხსენიებიან IX—X სს-ის ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიაში“ და ამავე პერიოდის მოღვაწის თომა არწრუნის თხზულებაში „არწრუნთა სახლის ისტორია“[30].

სამეცნიერო ლიტერატურაში წანარების ლოკალიზების შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულება. აკად. ნ. მარი სანარიის ტერიტორიას ჩეჩნეთის ტერიტორიასთან აკავშირებდა. იგი წანარებს მიიჩნევდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხად, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ დაღესტანსა და ვლადიკავკაზს შორის[31]. ასეთივე აზრი ჰქონდა გამოთქმული ა. გენკოს. იგი უკამათოდ მიაკუთვნებდა წანარებს ამავე ტერიტორიას[32]. პროფ. ს. კაკაბაძე წანარებს აიგივებდა სვანებთან[33].

ჰოდუდ ალ-ალამში“ ნათქვამია, რომ სანარიელები ურწმუნოები იყვნენო და ალბათ აქედან გამომდინარე წერს ვ. მინორსკი წანარების ქრისტიანობის შესახებ. მისი აზრით, ისინი ცხოვრობდნენ ალაზნის ჩრდილოეთით და შაქის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. იგი შესაძლებლად თვლის მათ ნათესაურ კავშირს ჩრდილოეთ დაღესტნის ტომებთან და შემდეგ გარკვევით განსაზღვრავს, რომ ცნობილი ალანთა კარი (დარიალი) წანარებისა და მათი მეზობლების ტერიტორიას წარმოადგენდა[34].

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ქართული, სომხური, არაბული და

---

[28] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ.. 1963, გვ. 94—95.

[29] Macoudi, Les Prairies d'or, გვ. 67.

[30] იხ. ელ. ცაგარეიშვილი, თომა არწრუნისა და ანონიმი ისტორიკოსის ცნობები საქართველოს შესახებ. „მრავალთავი“, IV, თბ., 1975; იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევებით და საძიებლითურთ გამოსცა ელ. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965.

[31] Hudud al-Alam, გვ. 402.

[32] იქვე.

[33] Бюллетень КИАИ, 1923, 1, გვ. 6. ამ საკითხს ეძღვნება ჯ. გვასალიას სტატია: წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 59, № 3, 1970. სტატიის ავტორი წანარების სვანებთან დაკავშირებას უსაფუძვლოდ არ მიიჩნევს. მას მოაქვს სვანეთის ტერიტორიაზე მსგავსი ფუძის შემცველი ტოპონიმები: მაგ. სოფელი წანაში, უღელტეხილი წანერი, მთა წანერა (მულახის თემი) და ა. შ.

[34] Hudud al-Alam, გვ. 400. ალანთა კარი, რომელიც განთქმული ყოფილა ბაბ ალ-ლანის (Bab al-Lan) სახელით, ვ. მინორსკი თავისი კომენტარების სხვა ადგილასაც განმარტავს. იგი წერს, რომ ალანთა კარი არის დარიალის ხევი, მდებარე ცენტრალურ კავკასიაში სამხედრო გზაზე, რომელიც აერთიანებს ვლადიკავკაზს თბილისთან (იქვე, გვ. 440).

სპარსული წყაროების მიხედვით, სანარიელების ანუ წანარების ადგილსამყოფელი არაგვის ხეობაში, უფრო ზუსტად კი მის სათავეებთან ყოფილა.

კიდევ ერთი ქართული გეოგრაფიული პუნქტი, რომელიც ჰოდუდ ალ-ალამის“ ავტორს აქვს ნახსენები, არის ხუნანი. „ხუნანი — მდ. მტკვრის ნაპირზე მდებარე ოლქია, არმენიისა და არანის საზღვრებს შორის“[35]. ამ მცირე ცნობის გასავრცობად მოვიშველიოთ ქართული წყაროები და კერძოდ, ლეონტი მროველი. ლეონტი მროველის მიხედვით, ხუნანის საერისთავოს საზღვრებად დაედო „ბერდუჯის მდინარითაგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი“[36]. ჩანს, ხუნანის საერისთავო გარდაბანთან ყოფილა გაიგივებული. ლეონტი მროველის სხვა ცნობის მიხედვითაც[37] გარდაბნის ანუ ხუნანის საერისთავოდ იგივე საზღვრებია დასახელებული.

ხუნანის შესახებ ცნობები დაცულია არაბულენოვან წყაროებში. ბალაზორის (X ს.) თხზულების მიხედვით ხუნანის ანუ გარდაბნის ვრცელ ტერიტორიაზე სამი მცირე ერთეულია ნაგულისხმები: საკუთრივ ხუნანი, ქასალი ანუ სომხური წყაროების „ძოროფორი“ და „ჯარდამანი“[38]. ეს უკანასკნელი იგივეა რაც სხვა არაბული წყაროების „კალა იბნ ქანდამანი“ (ისთახრი, იბნ ჰაუკალი, ალ-მუდადდასი, კუდამა) და ისთახრის სპარსული ვერსიის „ებნ ქენდემანის ციხე“. „ჰოდუდ ალ-ალამის“ ავტორი კი მას პირდაპირ კალას უწოდებს: „კალა — დიდი ციხეა, მინბარით, არმენიისა და არანის შუა საზღვარზე“[39]. ეს ადგილი ლოკალიზდება მდინარე ხრამისა და მდინარე მტკვრის შესართავში. ისთახრის თხზულების მიხედვით, შამქორიდან ქალაქ ხუნანამდე[40] თერთმეტი ფარსანგი ყოფილა, ხუნანიდან ებნ ქენდემანის ციხემდე — ათი ფარსანგი და იქიდან თბილისამდე კი თორმეტი ფარსანგი[41].

კალას, რომელსაც „ჰოდუდ ალ-'ალამის“ ავტორი დიდ ციხედ მოიხსენი-

---

[35] Hudud al-Alam, გვ. 162.

[36] ქართლის ცხოვრება ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 2, თბ., 1959, გვ. 24, მდ. ბერდუჯს ვახუშტის მიხედვით მდ. დებედაც ეწოდება, რაც ამ მდინარეს დღემდე აქვს შერჩენილი (ქ'ცა, მე-4, თბ., 1973, გვ. 198, სქ. მე-3; გვ. 306). რაც შეეხება თბილისს, აქ როგორც დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, უშუალოდ ქალაქი კი არა იგულისხმება, არამედ მისი „შესავალი ქვეყანა“ (დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39). რაც შეეხება გაჩიანს, ივ. ჯავახიშვილს მისი ადგილმდებარეობა არ აქვს გამორკვეული (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31). დ. მუსხელიშვილის მიხედვით, გაჩიანის ლოკალიზაცია უნდა ხდებოდეს სადღაც მდ. დებედას ქვემო წელზე ან მდ. ხრამის ქვემო წელის მარჯვენა ნაპირის ველზე (დ. მუსხელიშვილი, იქვე).

[37] ქართლის ცხოვრება, მე-2, გვ. 8.

[38] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39, ყველაზე ადრე მისი ლოკალიზება ეკუთვნის ი. კარაულოვს. იხ. СМОМПК; XXXVIII, გვ. 22. И. Манандян, О торговле в городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1954, გვ. 246. ლ. ჭილაშვილი, ქ. რუსთავი, თბ., 1958, ვ. მინორსკი წერს, რომ კალა მდებარეობდა თბილისის აღმოსავლეთით მისგან თორმეტ ფარსანგზე (Hudud al-Alam, გვ. 398)

[39] ჰოდუდ ალ-ალამი, გვ. 162.

[40] ლ. ჭილაშვილის მიხედვით, ხუნანი მდებარეობდა მდ. ალგეთის მტკვართან შეერთების ადგილას, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას სადგურ ფოილოდან სამხრეთით, დაახ. 6 კმ.-ზე. იხ. მისი, ქალაქი რუსთავი, გვ. 165, იხ. აგრეთვე, თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

[41] ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალამი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, გვ. 12.

ებს, მინბარი ჰქონია. როგორც ჩანს, აქ ხდებოდა ხუტბის წაკითხვა და გარდა ამისა, მინბარი ამ ტერიტორიის ადმინისტრაციულ ფუნქციებზე უნდა მეტყველებდეს[42].

როგორც არაბული წყარო (ბალაზორი) გვაუწყებს, კალა ხუნანის ანუ გარდაბნის პროვინციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ყოფილა, ხოლო „ჰოდუდ ალ-ალამის“ მცირე მოცულობის ცნობები მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ხუნანი და კალა წარმოადგენდნენ სასაზღვრო ტერიტორიას არმენიისა[43] და არანისათვის, რის გამოც ალბათ, ხშირად ხდებოდა ამ ტერიტორიის ხელიდან ხელში გადასვლა.

როგორც ვნახეთ, „ჰოდუდ, ალ-ალამში“ ხსენებული პუნქტების მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობაა აღწერილი, მათი პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ კი არაფერია ნათქვამი.

ცნობილია. რომ ჩვენ მიერ განხილულ გეოგრაფიულ ტრაქტატში მოხსენიებული სანარია ანუ წანარეთი და ხუნანი ანუ გარდაბანი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კახეთის ისტორიაში. აკად. ს. ჯანაშია შენიშნავს, რომ წანარები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი კახეთთან და რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, წანარეთი კახეთის სამთავროს გულისხმობდა[44]. VIII—IX სს.-ის არაბი ისტორიკოსები (მაგ., იაკუბი) ერთმანეთს უპირისპირებდნენ ჯურზანსა და სანარიას, რაც ქართლისა და კახეთის დაპირისპირებას გულისხმობდა[45]. როგორც ჩანს, კახეთი არაბი ისტორიკოსებისათვის სანარია ყოფილა. ქართული და არაბული წყაროების ურთიერთშეჯერების შედეგად ირკვევა, რომ ქართული წყაროების გარდაბნელები და არაბული წყაროების სანარიელები ერთმანეთთან არიან გაიგივებული[46].

ქართველების შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდიან XI საუკუნის სპარსული წყაროებიც. კერძოდ, მათ შესახებ ცნობას ვხვდებით XI ს-ის შუა წლებში შედგენილ „საფარ-ნამეში“. მისი ავტორი — ნასერ ხოსროუ — მოგვითხრობს რა ფატიმანთა სამეფო კარისა და მისი ცერემონიალების შესახებ. წარმოგვიდგენს ნილოსის არხის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმს (1047 წ.) სწო-

---

[42] ყოველ ქალაქს აუცილებლად ჰქონდა საკრებულო მეჩეთი ან მინბარი, მაგრამ მინბარიანი ადგილი ყოველთვის არ იყო ქალაქი. მისი ნახვა შეიძლებოდა სოფლებში, ციხე-სიმაგრეებში და ა. შ. იხ.; Ira M. Lapidus, Muslim Cites and Islamic Societies. M; eddle Eastern Cites, Berkelay and Los Angeles, 1969, გვ. 47—49.

[43] ი. მარკვარტი ხუნანს აიგივებდა ჰნარაკერტთან (Hudud al-Alam, გვ. 398, დაწვრილებით ამის შესახებ იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 39—40).

[44] ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრ., მე-2, თბ., 1952, გვ. 378, 403.

[45] მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 37.

[46] მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

[47] «سفرنامهء ناصر خسرو» بانضمام دو مثنوی «روشنائی نامه» و «سعادت نامه» دارای مقدمه‌ای راجع بشرح حال مصنّف و بعضی ملاحظات ادبی و دو فهرست اسما الاماکن و اسماء الرجال بقلم م. غنی زاده، برلین، ۱۳٤۱، از سلسلهٔ انتشارات کاویانی، გვ. 67

თარგმანი ექ. გ. ქორქოლიანს. იხ.: გ. ქორქოლიანი, ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან“, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წ. II, თბ., 1979, გვ. 53.

რედ ამ ზეიმის აღწერისას ასახელებს ნასერ ხოსროუ ქართველებს და კერძოდ, ქართველ უფლისწულებს: „ერთი ჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა ქვეყნების უფლისწულთა და დიდებულთა შვილებისაგან, რომლებიც აქ იყვნენ ჩამოსულნი და ლაშქრისა და სპის ანგარიშში არ ითვლებოდნენ. ისინი იყვნენ მაღრიბიდან, იემენიდან, რუმიდან, სლავთა ქვეყნიდან, ნუბიიდან, ჰაბაშიდან. აქ იყვნენ ჩამოსულნი დელის მეფის (ხოსროვის) ძენი და მათი დედა, ქართველ მეფეთა ვაჟები, დეილემელთა უფლისწულები და თურქესტანის ხაკანის ვაჟები“[47].

ამ ცნობას პირველად ყურადღება მიაქციეს რ. მეტრეველმა და გ. ლორთქიფანიძემ[48]. ნასერ ხოსროუს ცნობაში ნათქვამია, რომ ნილოსის არხის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე იყვნენ „ქართველ მეფეთა შვილები“. წერილის ავტორები ამ ფაქტს შემდეგნაირად ხსნიან. ისინი აღნიშნავენ, რომ XI ს-ში (1046—1047 წწ.) საქართველოში მეფობდა ბაგრატ IV (1028—1072) და რადგანაც მას მხოლოდ ერთი ვაჟი ჰყავდა ამიტომ, ამ ცერემონიალის მონაწილეებს მეფის ერთგული ერისთავების შვილებად მიიჩნევენ და მათ მეფეთა შვილებად მოხსენიებას ნასერ ხოსროუს შეცდომად უთვლიან.

პროფ. ვ. გაბაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს ნასერ ხოსროუს სიზუსტეს, როცა იგი ქართველი მეფის მაგივრად ასახელებს ქართველ მეფეთა ვაჟიშვილებს. გიორგი II და ბაგრატ IV-ის დროს კახეთს საკუთარი მეფე ჰყავდა[49]. ამრიგად, შესაძლებელია, რომ ეგვიპტის ხალიფას კარზე ყოფილიყვნენ, როგორც საქართველოს გაერთიანებული მეფის, ასევე კახთა მეფის ვაჟიშვილები, თუმცა როგორც ვ. გაბაშვილი შენიშნავს, მათი ეგვიპტეში ყოფნის პოლიტიკური მიზანი სხვადასხვა უნდა ყოფილიყო[50].

გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ ნასერ ხოსროუს მიერ დასახელებული ქართველ მეფეთა მემკვიდრეები ლიპარიტ კლდეკარის ერისთავისა და კახთა მეფის წარმომადგენლებად შეიძლება მივიჩნიოთ[51].

ის ფაქტი, რომ ქართველ მეფეთა შვილები იმყოფებოდნენ კაიროში ისეთი მნიშვნელოვანი ცერემონიალის დროს, როგორიც იყო ნილოსის არხის გახსნა და ისიც, რომ ქართველი უფლისწულები მოიხსენებიან იმ დროისათვის ისეთი ცნობილი ქვეყნების უფლისწულთა შორის, როგორიცაა მაგ., მაღრიბი (مغرب) იემენი (یمن) რუმი (روم), ჰაბაშა (ეთიოპია — (حبشه) და ა. შ., მეტყველებს საქართველოს როლზე მახლობელ აღმოსავლეთში და მის გავლენაზე საერთაშორისო სარბიელზე.

XI ს. განეკუთვნება კიდევ ერთი სპარსული წყარო, რომელშიც დაცულია ცნობა ქართველების შესახებ. ეს წყაროა ნიზამ ალ-მულქის «სიასეთ-ნამე»— «მმართველობის წიგნი». მისი ავტორი ლაშქრის შემადგენლობის შესახებ რჩევადარიგებისას ასახელებს ქართველებს. ცნობა დაცულია ტრაქტატის 24-ე თავში: «اندر لشکر داشتن از هر جنس» — «ლაშქრის შემადგენლობა ყველანაირ ტომთაგან».

---

[48] ტაჯიკი მეცნიერის ერთი საინტერესო ცნობის შესახებ, ლიტ. საქართველო, 26; 1963, № 17, (1343) Н а с и р  Х о с р о у, Избранное, Сталинабад, 1954, გვ. 62,

[49] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (X—XI სს). XII ს-ის საქართველოს ისტორიის საკითხები, შრომები, თბ., 1968, გვ. 70.

[50] იქვე.

[51] გ. ყ ო რ ყ ო ლ ი ა ნ ი, ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან“ გვ. 62.

ნიზამ ალ-მულქის განმარტებით, როდესაც ლაშქარი ერთი სახისაა, იქმნება საშიშროება, ადგილი არა აქვს გულმოდგინებას (ბეჯითობას), ხდება უწესრიგობა. საჭიროა, რომ ორი ათასი დეილემელი და ხორასნელი კაცი მუდმივად იყოს ადგილზე. ვინც ჰყავთ, ჰყავდეთ, დანარჩენები კი დაამატონ. თუ იქნებიან ქართველები და შაბანგარელები ფარსიდან, მისაღებია რადგანაც ისინი კარგი ხალხია[52].

როგორც ვნახეთ ნიზამ ალ-მულქის მიხედვით ლაშქარი მრავალტომთაგან შემდგარი უნდა ყოფილიყო: წინააღმდეგ შემთხვევაში ლაშქარი არ იქნებოდა საიმედო. მისივე წარმოდგენით, სამეფო კარის ლაშქარში უნდა ყოფილიყო ქართველებიც, რომელთა დასახასიათებლადაც ავტორი იყენებს სიტყვას نیک — კეთილი, კარგი[53]. შესაძლოა ეს განმარტება სწორედ ქართველების ბუნებისა და ხასიათის გამომხატველი იყოს, რაც ალბათ მათ ერთგულებაში გამოიხატებოდა და მრავალტომთაგან შემდგარი ლაშქრისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

საქართველოსა და ქართველების შესახებ ზოგიერთ საინტერესო ცნობას ვხვდებით X—XI სს-ის სხვა სპარსულ წერილობით ძეგლებშიც. ამჟამად ჩვენ მხოლოდ ხსენებული სამი სპარსული წყაროს მასალებით შემოვიფარგლეთ.

М. Т. ЦИНЦАДЗЕ

## ГРУЗИЯ И ГРУЗИНЫ В ПЕРСИДСКИХ ИСТОЧНИКАХ X—XI ВЕКОВ

### Резюме

В настоящей работе рассматриваются три персидских нарративных источника X—XI веков: а) географический трактат «Худуд ал-алам» («Пределы мира»), составленный анонимным автором в 982 году; б) сочинение известного путешественника XI века Насер- и Хосроу «Сафар-намэ» («Книга путешествий»); в) трактат вазира Сельжукидов XI века Низама ал-Мулька «Сийасет-намэ» («Книга о правлении»).

В сочинении анонимного автора описываются географические расположения Тбилиси, Хунани, Кала, Цанарии. Грузия, согласно автору трактата, входила в пределы Византии. По мнению В. Ф. Минорского в источнике речь идет о Западной Грузии. Учитывая данные арабского сочинения аль-Мас'уди «Золотые поля и жемчужные при-

---

[52] Siyar al-Muluk also known as Siyasat-nama of Nizam al-Mulk Edited with critical notes and commentary by Hubert Darke. Tehran. 1962 (Persian Texts Series. №8. გვ. 128.

[53] ნიზამ ალ-მულქის ეს ცნობა გამოყენებული აქვს, ნ. შენგელიას. რომელიც უკეთებს რა კომენტირებას ტრაქტატს ამ ფრაგმენტს ქართველებს კარგ მეომრებად მიიჩნევს. იხ. ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა. სელჩუკები და საქართველო XI ს-ში; თბ., 1968 წ. გვ. 146. სქოლიოში მითითებულია „სიასეთნამეს" ზახოდერისეული თარგმანი. Сийасет-намэ. Книга о правлении везира XI столетия Низам-а л-М у л ь к а, перевод, введение и в изучение памятника и примечания Б. Н. Заходера, М.—Л.. 1949. გვ. 107.

иски», следует предположить, что в данном случае анонимный автор подразумевал Юго-Западную Грузию.

В трактате несомненный интерес представляет упоминания «Черного моря» как «Моря Грузии». Такое наименование Черного моря встречается только лишь в «Ходуд ал-алам».

В «Сафар-наме» Насер-и Хосроу при описании торжеств, посвященных открытию Нильского канала, упоминает грузинских царевичей, наряду с царевичами других стран.

Интересное сведение о грузинах сохранилось и в «Сийасет-наме» Низам ал-Мулька. По мнению автора среди воинов, рекомендуемых в гвардейские части, упоминаются и грузины.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა ვ. გაბაშვილმა.

ალექსანდრე აბდალაძე

# იოვანეს დრასხანაკერტცისეული ვურისა და გამრთა „ქვეყნების“ კვალდაკვალ

ჰ. დრასხანაკერტცის „სომხეთის ისტორია“ მეტად მდიდარი, მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ძველი სომხური საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია[1]. თუ მოვსეს ხორენაცის „ისტორიის მამას“ უწოდებდნენ, დრასხანაკერტცის შთამომავლობამ „ისტორიკოსის“ საპატიო მეტსახელი მიაკუთვნა, ხშირად მას იხსენიებდნენ როგორც ჰოვჰანეს ისტორიკოსს[2]. სომეხთა კათალიკოსი, ჰოვჰანეს დრასხანაკერტცი, რომელიც ცხოვრობდა IX ს-ის მეორე ნახევარსა და X ს-ის პირველ მესამედში, თავისი დროის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეც იყო[3].

ცნობილია, რომ IX—X საუკუნეებში, როგორც საქართველოში, ისე სომხეთში მიმდინარეობდა ბრძოლა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის. საქართველოსა და სომხეთში მიმდინარე ეს ბრძოლები ძალიან ხშირად ერთმანეთს ეჯაჭვებოდნენ და მთელი ამიერკავკასიის გაერთიანების გეგმებიც ისახებოდა. ამ მოვლენის შესასწავლად IX ს-ის დასასრულსა და X ს-ის პირველ მეოთხედში ჰ. დრასხანაკერტცის „ისტორია“ ძირითად წყაროს წარმოადგენს. მასში საკმაოდ დაწვრილებითაა (ამავე დროს ტენდენციურად) აღწერილი ურთიერთობანი აღნიშნული ხანის ქართველ და სომეხ მეფე-მთავრებს შორისაც. ამასთანავე, საზოგადოდ, წყაროების ნაკლებობის პირობებში და ჰ. დრასხანაკერტცის წერის მანერის თავისებურებათა, მისი სტილის სირთულის გამო, ზოგჯერ ჭირს ამა თუ იმ ადგილის გაგება აღნიშნულ მატიანეში; ცალკეული, ბუნდოვანი ადგილების შესასწავლად საჭირო ხდება საგანგებო, ხანგრძლივი ძიება. ჰ. დრასხანაკერტცის „ისტორიაში“ სწორედ ამ რიგის მასალებს უნდა მიეკუთვნოს ცნობები ვურისა და გამრთა „ქვეყნების“ შესახებ. არადა ამ ცნობების სწორად გაგებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი იმდროინდელი საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხების შესწავლას. აღსანიშნავია, რომ „ვურის ქვეყანა“ მხოლოდ ჰ. დრასხანაკერტცის „ისტორიაში“ იხსენიება.

„მატიანე ქართლისაჲს“ თანახმად, იმ ხანებში, როდესაც საზოგადოდ „იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა“, მოხდა შედარებით დიდი შეტაკებაც: „გამოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი, და ემ-

---

[1] იხ. მაგ., Մ. Հ. Դարբինյան-Մելիքյան, Դիտողություններ Հովհաննես Դրասխանակերտցու „Պատմության“ վերաբերյալ, ՊԲՀ, 1981, № 3, გვ. 154, შდრ. Ստ. Մալխասյանց, Մատենագիտական դիտողություններ, Ե., 1961, გვ. 209.

[2] იხ. Մ. Հ. Դարբինյան-Մելիքյան, Հովհաննես Դրասխանակերտցու պատմական կոնցեպցիան, ՊԲՀ, 1982, № 3, გვ. 120.

[3] იქვე, გვ. 124.

ტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი[4]; გამოილაშქრა სპითა დიდითა, და მოადგა უფლისციხესა, და მოიღეს პალან-კურდანი, აღმოაგეს ზემოკერძო და წარიღეს ციხე ჭერჭითა. ხოლო კეთილად იმზახნეს სუმბატ და კოსტანტი, და უკუმოსცა უფლისციხე და ყოველი ქართლი“[5].

აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ ბრძოლას 904 წლით ათარიღებდა[6]. ბრძოლისა და მისი შედეგების შესახებ გაცილებით ვრცლად მოგვითხრობს და აქვე „ვურის ქვეყანას“ ახსენებს ჰ. დრასხანაკერტცი; ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომის მიზანდასახულობა მოითხოვს ვრცელი ამონაწერი მოვიტანოთ სათანადო, დრასხანაკერტცისეული თხრობიდან:

„ამ დროს ეგრისელთა მეფემ[7] კონსტანტინემ მეტად უჩვეულო და ურცხვი ქცევით იმუხთლა... ბოროტი განზრახვით შეკრიბა ჯარი და გაემართა... რათა გუგართა ქვეყანა და ალანთა კარის ახლოს მცხოვრები მოსახლეობა ერთხელვე თავის ხელქვეით დაემორჩილებინა. რადგან ეს ნათესავნი სმბატ მეფეს ჰყავდა დამორჩილებული და ხელქვეითად ქცეული, [ამიტომ] ქართველთა მეფემ ადარნასემ სასწრაფოდ მისწერა ეგრისელთა მეფეს, თავის სიძეს, რომ გაეფანტა, დაეშალა და ამოეგდო გულიდან ეს ფუქი, უსამართლო და ამაო გადაწყვეტილება და არ გაეწია წინააღმდეგობა მასზე უფრო დიდისათვის. მაგრამ [კონსტანტინეს] დაეხშო სასმენელი, არ მიაქცია ყურადღება [ადარნასეს] სიტყვებს და გონს არ მოვიდა. მაშინ სმბატ მეფემ დიდი ჯარით შეუტია და თან წაიყვანა ქართველთა მეფე [ადარნასე]. ისინი ერთად წავიდნენ კონსტანტინეზე თავდასასხმელად. [კონსტანტინემ] როცა დაინახა, რომ არ შეუძლია მათთვის წინააღმდეგობის გაწევა, უკანვე გაბრუნდა გამაგრებულ ადგილებში და იქ დაბანაკდა, რათა ეთხოვა [სმბატთან] დაზავება.

მეფემ სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის [კონსტანტინესთან] მისი სიმამრი ადარნასე და ზოგიერთი თავისი ნახარართაგანი გაგზავნა. ისინი შეხვდნენ რა ერთმანეთს პირისპირ, გაერთვნენ საუბრით, [ამ დროს კი] უეცრად ადარნასეს ბრძანებით მეფის ნახარარებმა შეიპყრეს ეგრისელთა მეფე და მოიყვანეს მის წინაშე, როგორც თხის ერთი თიკანი, რომელიც თავისი ბუნაგიდან გამოსული ლომის მსგავსად დახეტიალობს, დევნის და ფანტავს ხალხს. სმბატ მეფემ მრავალი სიმაგრე დაიპყრო ვურის ქვეყანაში და იმ მხარეებში გამგებელნი დააყენა, ხოლო ეგრისელი კონსტანტინე თავისთან წაიყვანა და შეაგდო ანისის ციხეში, [შეკრა] რკინის ჯაჭვებით... [სმბატმა] ამნაირად ოთხი თვე დაიცვა იგი საპყრობილეში. [როდესაც სმბატმა] დაინახა განხეთქილება ეგრისელთა, რომლებიც სასწრაფოდ დაიყვნენ და უკვე მომზადებული იყვნენ სხვა ვინმე კონსტანტინეზე უფრო მძლავრი დაეყენებინათ თავიანთ მეფედ, [იგი] არც კი შეკრთა, საჩქაროდ გაათავისუფლა [კონსტანტინე] და დაამკვიდრა წინანდებურად თავის სამფლობელოში“[8]. ამის შემდეგ სმბატ I და კონსტანტინე მოკავშირეები ხდებიან.

---

[4] მის შესახებ იხ. ა. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა. თბ., 1982. გვ. 208—209.

[5] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 259. 262.

[6] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. II, თბ., 1965, გვ. 104.

[7] ე. წ. „აფხაზთა მეფე“ ჰ. დრასხანაკერტცისათვის საზოგადოდაც ეგრისელთა მეფეა.

[8] იხ. **Յովհաննու Կաթողիկոսի Դրասխանակերտեցւոյ Պատմութիւն Հայոց, Թիֆլիս,** 1912, გვ. 200 — 201; იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი შენიშვნებითა და

პროფ. ილ. აბულაძის სიტყვით, «ვურის ქვეყანა საქართველოს კუთხეთაგანი ჩანს. შესაძლოა გურია იყოს. ხშირია შემთხვევა, რომ სომხური «ვა» ან «ვი» ქართულში პოულობს შესატყვისად «გუა» («გვა») ან «გუი» («გვი»)-ს. მაგ., **Վասպուրական** = გუასპურაგან, **Վիրապ** = გვირაბი და სხვა»[9].

მეორეგან, ჰ. დრასხანაკერტცისეულ გამრთა ქვეყანასა და მის ერისთავთერისთავ გურგენთან დაკავშირებით, ილ. აბულაძე აღნიშნავდა: «გამრთა ქვეყანა კაპადოკიას ეწოდება. აქ რაღაც აღრევაა. გურგენი კაპადოკიის მთავრად არის სახელდებული, მაშინ როცა იგი სამხრეთ საქართველოს მთავარი უნდა იყოს. «გამრი»— «გური» ან «ვური»... შეიძლება იყოს»[10]. ამ შენიშვნიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ამჯერად არც ვურს და არც გამრს ილ. აბულაძე გურიასთან აღარ აიგივებდა. რაც შეეხება ზემოთ მოტანილ მის შენიშვნაში წარმოდგენილ მოსაზრებას ვურის გურიასთან გაიგივების შესახებ, ეს აზრი გაიზიარა და თავის მხრივ მისი შემაგრებაც სცადა ე. ცაგარეიშვილმა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ, «მოსაზრებას «ვურის ქვეყნის» გურიად აღიარების შესახებ გარდა ენობრივი მონაცემებისა, თვით ფაქტობრივი მასალებიც უჭერს მხარს. იოანე დრასხანაკერტელის ცნობის მიხედვით სუმბატი მიდის დასავლეთ საქართველოში კონსტანტინე აფხაზთა მეფის წინააღმდეგ და ამ დროს იპყრობს სწორედ სიმაგრეებს ამ ვურის ქვეყანაში». ამდენად, «ვურის ქვეყანა» შეიძლება მართლაც გურია `იყოსო. ე. ცაგარეიშვილმა ჰ. დრასხანაკერტცის «ისტორიის» მისეულ ქართულ თარგმანშიც სომხური ტექსტის «ვურის ქვეყნის» შესატყვისად «გურიის ქვეყანა» შეიტანა კითხვის ნიშნის დართვით»[11].

ვფიქრობთ, ჰ. დრასხანაკერტცის «ისტორიიდან» არ ჩანს, რომ სომხეთის მეფე სმბატ I-ს ელაშქროს დასავლეთ საქართველოში. დრასხანაკერტცის თანახმად, ეგრისის მეფე მაშინ შეიპყრეს, როდესაც იგი «თავისი ბუნაგიდან გამოსული», სხვაგან «დათარეშობდა». მაშასადამე, კონსტანტინე დასავლეთ საქართველოში არ ჩავარდნილა ტყვედ. «მატიანე ქართლისაჲსა» და დრასხანაკერტცის «ისტორიის» სათანადო ცნობების შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ კონსტანტინე ტყვედ ჩავარდა უფლისციხისათვის ბრძოლის დროს. სომეხთა მეფე სმბატისა და «ლაზთა ანუ აფხაზთა მეფის“ გორთან ბრძოლისა და ლიხსიმიერი საქართველოს მეფის ტყვედ ჩავარდნის შესახებ გვაუწყებს ფსევდო-შაპუჰ ბაგრატუნიც[12]. მართალია, ფსევდო-შაპუჰის «ისტორიაში» ხშირია აღრევები, ეს ეხება, კერძოდ, საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ ცნობებსაც[13], მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვა მასალების გვერდით მოტანილ ჩვენებას, ბრძოლის გორთან გამართვის თაობაზე, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

რაც შეეხება სომხეთის მეფე სმბატ I-ის ლაშქრობას დასავლეთ საქარ-

---

საძიებლითურთ ილ. აბულაძისა, თბ., 1937, გვ. 32—33; იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965, გვ. 0125—0126, 109—111.

[9] იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი... ილ. აბულაძისა, გვ. 85.

[10] იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი..., ილ. აბულაძისა, გვ. 86.

[11] იხ. იოანე დრასხანაკერტელი... გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, გვ. 0125—0126, 110, 251, 310.

[12] იხ. ე. ცაგარეიშვილი, ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო-შაპუჰი) და მისი „ისტორია“, მრავალთავი, V, თბ., 1975, გვ. 162—163.

[13] ე. ცაგარეიშვილი, ანონიმი ისტორიკოსი, გვ. 147—164.

თველოში ეგრისის მეფის შეპყრობის შემდეგ, ამის შესახებ ცნობა წყაროებში არ მოიპოვება. ჩვენი აზრით, ამგვარი ლაშქრობა საერთოდ არც ყოფილა და „ვურის ქვეყანაც“ გურია არ უნდა იყოს. ხაზგასმით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ჰ. დრასხანაკერტცი IX ს-ის დასასრულისა და X ს-ის პირველი მეოთხედის ამბებს, სომეხთა მეფეების, კერძოდ, სმბატ I-ისა და აშოტ ერკათის საქმეებს, დაწვრილებით აღწერს[14] და თუ სმბატმა დას. საქართველოში ილაშქრა, ძნელი წარმოსადგენია დრასხანაკერტცის ამ ოპერაციიდან მხოლოდ გურიის დაპყრობა აღენიშნა. გურიაში მისვლამდე სმბატის ლაშქარს ხომ საკმაო მანძილი უნდა გაევლო, კერძოდ, ე. წ. „აფხაზთა სამეფოს“ სატახტო ქალაქი ქუთაისიც. დრასხანაკერტცის „ისტორიაში“ კი თხრობას ეგრისის მეფის შეპყრობის შესახებ, რაც უფლისციხესთან მოხდა, მოსდევს ცნობები სმბატ I-ის მიერ „ვურის ქვეყნის“ დაპყრობის, შემდეგ ეგრისის მეფის წაყვანისა და ანისის ციხეში მის გამომწყვდევაზე.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: ჰ. დრასხანაკერტცისათვის ლიხს იქით არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ეგრისი, ე. წ. „აფხაზთა მეფეს“ იგი ეგრისელთა მეფეს უწოდებს, მხოლოდ ორჯერ ახსენებს „აფხაზთა მეთაურს“ და ისიც კონსტანტინოპოლის პატრიარქის მისდამი გამოგზავნილი წერილის ტექსტის მოტანისას[15]. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ სმბატ I-ს კიდეც რომ დაეპყრო გურია, დრასხანაკერტცი, ალბათ, აღნიშნავდა საომარი მოქმედების შესახებ ეგრისში და არა გურიაში, ანდა მოსალოდნელია მემატიანეს ის მაინც ეთქვა, რომ გურია ეგრისის ერთ-ერთი მხარე იყო. ჰ. დრასხანაკერტცი კი, პირიქით, თითქოს მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან ეგრისსა და ვურს, რაც „ეგრისის“ ცნების მისეულ გაგებას აშკარად ეწინააღმდეგება, თუ ვური დასავლეთ საქართველოშია. ეგრისისა და ვურის გამიჯვნის დამადასტურებელი გვგონია ჩვენ ჰ. დრასხანაკერტცის სიტყვები: „სმბატ მეფემ მრავალი სიმაგრე დაიპყრო ვურის ქვეყანაში... ხოლო ეგრისელი კონსტანტინე თავისთან წაიყვანა“.

საზოგადოდ, სომხეთში გურიას რომ ვურს არ უწოდებდნენ, ამაზე შეიძლება მიგვეითითებდეს ძველი სომხური საისტორიო მწერლობის, სომხური საისტორიო ტრადიციის კარგი მცოდნის, „ქართლის ცხოვრების“ სომხურად მთარგმნელის მიერ „გურიის“ „გავრ“, „გორ“-ად გადატანაც[16].

როგორც დრასხანაკერტცის „ისტორიის“ ზემოთ მოტანილი ადგილიდანაც ჩანდა, სომხეთის მეფე სმბატ I ეგრისის მეფეს ებრძვის ქართველთა მეფე ადარნასესთან ერთად. იმდროინდელი საქართველო-სომხეთის ურთიერთობის გათვალისწინება, კერძოდ, გათვალისწინება იმისა, რომ ქართლისათვის ბრძოლაში „აფხაზთა“ და სომეხთა მეფეებს ყოველთვის ჰყავდათ მოკავშირეები და ამჯერადაც სმბატ I-ის მხარეზეა ქართველთა მეფე ადარნასე, გვაფიქრებინებს, რომ დაახლ. 904 წლის ბრძოლაში ეგრისის მეფესაც უნდა ჰყოლოდა მოკავშირე თუ მოკავშირეები აღმოსავლეთ ან სამხრეთ საქართველოშიც,

[14] იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, Ե., 1976, გვ. 46, 321, 322.

[15] იხ. იოანე დრასხანაკერტელი... გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, გვ. 38, 64, 82, 109, 110, 111, 119, 177, 191, 192, 257.

[16] იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 238; ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 198.

ყოველ შემთხვევაში, სმბატისა და ადარნასეს კავშირი მხოლოდ ეგრისის მეფის წინააღმდეგ არ უნდა ყოფილიყო მიმართული. სწორედ ასეთი, სმბატ I-ისა და ადარნასეს მიმართ დაპირისპირებული უნდა იყოს „ვურის ქვეყანა".

ჰ. დრასხანაკერტცი „ვურის ქვეყანას" მეორეჯერაც, სმბატ I-ის მემკვიდრის, აშოტ ერკათის მეფობის დროს, დაახლ. 920 წელს მომხდარი ამბების აღწერისას[17] ახსენებს. მემატიანის თანახმად, „გამოაშკარავდა განდგომის [ამბავი] ქანანიტ ვასაკ გნთუნისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შამშულტეს (სამშვილდის — ა. ა.) სიმაგრის დაცვა. ღალატის განზრახვამ მას ამაოდ ჩაუარა. [ვასაკმა] ზურგი შეაქცია აშოტს, რომელსაც შაჰანშაჰი ეწოდებოდა და მიენდო ქართველთა მთავარს გურგენს, აღუთქვა მას დიდი სიმაგრის მიცემა, ოღონდ [სამაგიეროდ] თავის სამფლობელოდან სხვა სიმაგრე კრუსტი დაეთმო მისთვის. მან ვასაკის თხოვნა სწრაფად შეასრულა, ფიცის წიგნი დაბეჭდა და გაუგზავნა. [ვასაკმა დაინახა რა] მისი სარწმუნო სიტყვა ფიცის წიგნში, გამოვიდა სიმაგრიდან და გაეშურა გურგენ მთავრისაკენ. რადგან ამაზე ადრე ვასაკის ძმა აშოტი ვურის ქვეყნის ჯარმა იმსხვერპლა, ამიტომ [ვასაკმა] გამგზავრებისას თავის გამოზრდილ უმცროსებს ჩააბარა ციხე"[18].

თბილისის ამირასაგან სომხეთის მეფის მფლობელობაში გადასულ სამშვილდესა და მის სანახებს ერთდროულად განაგებდნენ სომხეთის მეფის, სმბატ I-ის მიერ დანიშნული მოხელეები, ძმები ვასაკ და აშოტ გნთუნები, სანამ აშოტი „ვურის ქვეყნის" ჯარს არ უმსხვერპლია. ვფიქრობთ, არაა მოსალოდნელი, რომ სამშვილდის გამგებელი აშოტ გნთუნი გურიის ჯართან ბრძოლაში დაღუპულიყო. აშოტ გნთუნის ბრძოლის ველზე დაცემის ხანებში სომეხთა მეფე აშოტ ერკათსა და ლიხსიმიერი საქართველოს მეფეს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ. ისინი მოკავშირეები ჩანან საერთო მეტოქეების წინააღმდეგ. დრასხანაკერტცის „ისტორიიდან" ირკვევა, რომ აშოტ გნთუნი თავისი ძმის, ვასაკის სომხეთის მეფისაგან განდგომამდე მხოლოდ ცოტა ხნით ადრე დაიღუპა, რადგან 914 წლის მახლობელ ხანებში ძმები გნთუნები ერთად აუჯანყდნენ აშოტ ერკათს[19]. ვასაკ გნთუნის ამბოხებას, მეფე აშოტ ერკათის მიერ ვასაკისა და ამ უკანასკნელის მოკავშირის, ქართველთა მთავრის, გურგენის რაზმის დამარცხებას, დრასხანაკერტცის თანახმად, მოსდევს უტიქის გამგებლისა და მისი მფარველის, „გამრთა ქვეყნის" ერისთავთერისთავის, გურგენის წინააღმდეგ სომეხთა მეფისათვის ეგრისის მეფისაგან დახმარების აღმოჩენა. აშოტ ერკათი „გაემართა ეგრისელთა მეფისაკენ. გული დაიიმედა, რომ აღადგენდა წინანდელი სიყვარულის კავშირს, რომ იქნებ მისგან მოემკო სანუკვარი ნაყოფი. ეგრისელთა მეფე აშოტს უხვი საჩუქრებითა და სიყვარულით აღსავსე გულით მიეგება, ყველაფერში თანაგრძნობა გაუწია მთელი გულით, სულითა და ძალით. შემდეგ კი დიდი დახმარება აღმოუჩინა მას. შეუკრიბა დიდძალი ჯარი, თითქოს ჰაერში მონავარდე რაშებით... ყველაფერი ეს მისცა მას ხელთ მტრებზე შურისსაძიებლად"[20].

რადგან ამ ხანებში სომხეთის მეფე აშოტ ერკათსა და ეგრისის მეფეს

---

17 იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 43—44.

18 Յովհաննու կաթողիկոսի... გვ. 316; იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი... ილ. აბულაძისა, გვ. 63; იოანე დრასხანაკერტელი... გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, გვ. 250—251.

19 იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 43.

20 იოანე დრასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, გვ. 257.

შორის ომი არ უნდა მომხდარიყო, აშოტ ერკათის მოხელის, სამშვილდის ერთ-ერთი გამგებლის გურიის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლასაც არ უნდა ჰქონოდა ადგილი. ამასთანავე, როგორც ზემოთაც ითქვა, გასაგები მიზეზის გამო, ჰ. დრასხანაკერტცი მსგავს შემთხვევაში ახსენებდა არა გურიის, არამედ ეგრისის ჯარს. აშოტ გნთუნის დაღუპვის შესახებ დრასხანაკერტცის ცნობიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ სამშვილდის სომეხი გამგებელი დიდი მასშტაბის ბრძოლაში კი არ დაღუპულა (ამგვარი ბრძოლა, მოსალოდნელია, აისახებოდა დრასხანაკერტცის „ისტორიაში“), არამედ რომელიღაც მეზობელი მხარის ჯარის წინააღმდეგ შეტაკებისას.

ჰ. დრასხანაკერტცისეული «ვურის ქვეყანა» რ. ხონელიას მიხედვით საქართველოს სახელწოდებაა;[1]. რ. ხონელია, ალბათ, ფიქრობს, რომ დრასხანაკერტცისეული «ვურ» საქართველოს სომხური სახელწოდების ერთ-ერთი ვარიანტის დამახინჯებული ფორმაა, თორემ «ვურ»-ის სახელით საქართველო არსად არაა მოხსენიებული. ჰ. დრასხანაკერტცის «ისტორიის» იმ ადგილებში, სადაც ნახსენებია «ვურის ქვეყანა», მის მახლობლად ოთხჯერ იხსენიება მეფე ქართველთა (***Թագաւոր Վրաց***), ერთხელ მთავარი, ერისთავი ქართველთა (***Իշխան Վրաց***), საერთოდ ქართველებს ***Վրաց***-თა სახელწოდებით ჰ. დრასხანაკერტცი ხშირად იხსენიებს, ახსენებს მათ ქვეყანასაც, და, ამდენად, ქართველთა თუ მათი ქვეყნის სახელის დამახინჯება ჰ. დრასხანაკერტცის «ისტორიაში» მოსალოდნელი არაა თუნდაც გვიანდელ გადამწერთა მიერ. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ჰ. დრასხანაკერტცის თანახმად ეგრისის მეფის წინააღმდეგ სომხეთის მეფის მოკავშირეა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ე ადარნასე. სწორედ მან მოახერხა თავისი სიძის, ეგრისის მეფის შეპყრობა, რომელიც გადასცა სომეხთა მეფე სმბატ I-ს. ცხადია, იმავე დროს სომეხთა მეფის მიერ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ა რ ბ ე ვ ა ზ ე ლაპარაკი შეუძლებელია. დასაშვებია მხოლოდ საქართველოს რომელიმე, ქართველთა მეფე ადარნასეს მიმართ ურჩი მხარის წინააღმდეგ გალაშქრება. აღსანიშნავია ისიც, რომ სამშვილდეს, თუმცა იგი ამ ხანებში სომხური სამეფოს შემადგენლობაშია მოქცეული, ქართულ მიწა-წყლად მიიჩნევენ სომეხი მემატიანენი. ამის გამო არაა მოსალოდნელი ჰ. დრასხანაკერტცის ეთქვა, რომ სამშვილდის გამგებელი ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ქვეყნის ჯართან ბრძოლაში დაეცა. აქედანაც გამომდინარეობს, რომ «ვურის ქვეყანა» საქართველო კი არა, მისი რომელიღაც კუთხეა მხოლოდ. როდესაც რ. ხონელია ჰ. დრასხანაკერტცისეულ «ვურის ქვეყანას» საქართველოსთან აიგივებს, ეტყობა იგი ემყარება თავისსავე საფუძველსმოკლებულ, ტენდენციურ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამ ხანებში სომხეთისა და აფხაზეთის სამეფოების საზღვარი თითქოს სურამის ქედზე გადიოდა, რომ თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო სომეხ ბაგრატუნთა სამეფოს ექვემდებარებოდა[22]; ასეთ ვითარებაში სომეხთა მეფისათვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო აფხაზთა მეფის მხარეს გადასული

---

[21] იხ. Р. А. Хонелия, Политические взаимоотношения Абхазского царства и царства армянских Багратидов в IX—X вв. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, ერევანი, 1967, გვ. 16; მისივე, Из истории политических взаимоотношений Абхазского и Армянского царств в начале X в., Լրաբեր, 1966, №2, გვ. 96.

[22] იხ. Р. Хонелия, Политические взаимоотношения... გვ. 10, 16, შდრ. მისივე, Из истории..., გვ. 103.

აღმოსავლეთ საქართველოს დასჯა მას შემდეგ, რაც უფლისციხის ბრძოლაში სომეხთა მეფემ აფხაზთა მეფე კონსტანტინე დაამარცხა და დაატყვევა კიდეც. სინამდვილეში აღმოსავლეთ საქართველოში იმ ხანებში არსებობდა სომეხთა მეფისაგან სავსებით დამოუკიდებელი რამდენიმე სამეფო-სამთავრო, რომლებსაც ემიჯნებოდა აფხაზთა სამეფო. მათ ხელისუფლებთან აფხაზთა მეფეს გაცილებით უფრო გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა, ვიდრე სომეხთა მეფესთან.

ვფიქრობთ, ჰ. დრასხანაკერტცისეული „ვური“ შეიძლება დავუკავშიროთ ლეონტი მროველისეულ ჰურს. ლეონტის სიტყვით, ...„ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქჳან ჰური“. ლეონტი მეორეჯერაც ახსენებს ჰურს. აზონსა და ფარნავაზს შორის გამართული ბრძოლის აღწერისას იგი გადმოგვცემს: ფარნავაზი აზონს „მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“[23]. ძველი არტაანის მთავარი ქალაქი, ლეონტი მროველისეული ჰური გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში იხსენიება როგორც ური[24]. ურს უწოდებდნენ სოფლად ქცეულ ამ ადგილს ადგილობრივი მცხოვრებლები XX ს-ის დამდეგსაც, როცა ამ სოფელში ბრძანდებოდა ე. თაყაიშვილი. ე. თაყაიშვილი, ისევე როგორც ნ. ბერძენიშვილიც, ურს და ჰურს ერთი და იმავე სახელწოდების სხვადასხვა ვარიანტად მიიჩნევს[25]. არტაანშივე ურის გარდა გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი იცნობს სოფელ ურთას. ეს სახელწოდებები ერთმანეთთან დაკავშირებული ჩანან. ტერიტორიულადაც ისინი ერთმანეთთან ახლოსაა. სხვათა შორის, ურთა ახლანდელი სოფლების სახელებად გვხვდება ზუგდიდისა და ოჩამჩირის რაიონებშიც[26]. რაკი არტაანში მდებარე სოფლის, ურთას სახელწოდება უკავშირდება ურს, იქნებ ლეონტი მროველის დროსაც (და უფრო ადრეც) ქალაქს ერქვა არა ჰური, არამედ ური. შესაძლოა, ლეონტი მროველმა ურს ჰური უწოდა გარკვეული მოსაზრებით, ან ვინმეს გავლენის შედეგად. ჰური, ჰურიები ყურანის მიხედვით სამოთხეში მცხოვრები, მარად ნორჩი ლამაზი ქალებია, ქრისტიანთა წარმოდგენით კი ისინი ავი სულებია. სულხან-საბა სიტყვა ჰაერის-მცველს ასე განმარტავს: „ესენი არიან ეშმაკნი. ოდეს გარდ(ა)მოითხივნეს, უბოროტესნი ჯოჯოხეთად შთაჴდენ და უდარესნი ჰაერთა შინა დაშთენ, რომელნი მუნცა იტანჯებიან. მათგან არს საოცრებათა ჩვენება, და ფეთება, ღამე კაცთა მრავალსახედ ჩვენება, სახლთა და ცხენთა დაუფლება, ქვათა სროლა, ნაკლულის ჭურის ა(ღ)ვსება და ეგევითარნი. მსოფლიონი ქაჯად და ჭიმკად სახელ-სდებენ; ხოლო მოჰმადიანნი ჰური (ური), ფერი და ყილმან(ა)დ იტყვიან და ანგელოზად ესვენ“[27].

---

[23] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 10, 23.

[24] იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958, გვ. 533—534; იხ. აგრეთვე **Ս. Տ. Երեմյան, Հայաստանը ըստ „Աշխարհացույց“-ի, Ե., 1963, გვ. 41, 89.**

[25] იხ. Материалы по археологии Кавказа, вып. XII, М., 1909, გვ. VIII, 59, 79; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1964, გვ. 164.

[26] იხ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1966.

[27] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, $IV_2$, თბ., 1966, გვ. 463—464; ჰურთა შესახებ სომხეთში არსებული წარმოდგენების თაობაზე, იხ. **Կ. Մելիք-Օհանջանյան, Միհրա-Միհրը „Սասնա ծռեր“ մեջ, Գրական-բանասիրական հետախուզումներ, I, Ե., 1946**, გვ. 279—289.

შესაძლოა, ლეონტი მროველმა ურს, მისი სიტყვით, იგივე ქაჯთა ქალაქს, ჰური უწოდა იმიტომ, რომ ერთმანეთს დაუკავშირა ჰური, ჰურიები და ქაჯნი.

ამრიგად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჰ. დრასხანაკერტცის დროს არტაანის მთავარი ქალაქის, თუ მთელი ოლქის სახელწოდება გამოითქმოდა როგორც ურ, ური. ეტყობა სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალზე მსგავსი სახელწოდების ქალაქი ჯერ კიდევ უძველეს დროს არსებობდა. აკად. გ. მელიქიშვილის სიტყვით, ...„უნებლიედ იბადება აზრი, ხომ არ შეიძლება დაუკავშიროთ არგიშთი I-ისა და სარდური II-ის წარწერებში ვიტერუხის „სამეფო ქალაქად“, ამ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ცენტრად მოხსენიებული ქალაქი ურიეიუ//ურაია ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში დასახელებულ „ქალაქ ჰურის“ სახელს“. შემდეგ გ. მელიქიშვილს მოაქვს ჰურის შესახებ ორი ცნობა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისიდან[28], რომლებიც ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ.

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ...«გოკიის წყლის შესართავს ზეით, ჯავახეთის მტკუარსა ზედა, სამჴრეთისაკენ, კიდეზედ არს წუნა (წუნდა—ა. ა.)... ამასვე უწოდეს ჰური, შემდგომად უწოდეს ამასვე სომეხთა ქ ა ჯ თ ა ტ უ ნ ი (სომხური տուն სახლს ნიშნავს—ა. ა.) და მერმე ეწოდა ქ ა ჯ თ ა ც ი ხ.ე“[29]. მკვლევართა აზრით, ცნობა იმის შესახებ, რომ წუნდას თითქოს ჰური რქმეოდეს მცდარია[30]. ამასთან დაკავშირებით დ. ბერძენიშვილი წერს: «ალბათ, ვახუშტის ეშლება, როდესაც წუნდას ჰურს უწოდებს (ეს არ დასტურდება სხვა წყაროებით), მაგრამ ვფიქრობთ, ამ შეცდომის წყარო უნდა იყოს წუნდასა და არტანის ქალაქში ჩასახლებული ერთი ეთნიკური ჯგუფის საზოგადოება, რომელიც განსხვავებული იყო სომხებისა და ქართველებისაგან... ჰური არტანის ქალაქს ერქვა, მაგრამ რაკი ისიცა და წუნდაც ქაჯთა სამოსახლო იყო («ქაჯთა ქალაქი», «ქაჯატუნი»), ვახუშტიმ წუნდაზეც ჰური გაავრცელა. რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა ამ «ქაჯებსა» და მათი ქალაქის სახელში, ძველი აღმოსავლეთის მოსახლეობის რომელიმე ტალღა ვიგულისხმოთ»[31].

რახან წუნდას ლეონტი მროველის თანახმად რქმევია ქაჯატუნიც და ვახუშტის სიტყვით ქაჯთა ციხეც, იქნებ ვახუშტის მიერ მისთვის ჰურის დარქმევა გამოწვეულია ჰურის, ჰურიების და ქაჯთა გაიგივებითაც.

აღსანიშნავია, რომ ურისა და ურთას გარდა ურ ძირის შემცველი ტოპონიმები სამხრეთ საქართველოში სხვაც უნდა ყოფილიყო; ასეთად მიიჩნევს აკად. ნ. ბერძენიშვილი ვარევანს. ნ. ბერძენიშვილი სარწმუნოდ მიიჩნევს ვახუშტის ცნობას იმის შესახებ, რომ წუნდასაც ჰური ერქვა და აღნიშნავს: „გამოდის, რომ იმ ეთნიკური ჯგუფის მოსვლა-გაძლიერებამდის, რომელიც გეოგრაფიული სახელების აღნიშვნისას „და“ სუფიქსით ხასიათდება, აქ, ჯავახეთში სხვა მოსახლეობა ყოფილა, რომელმაც გეოგრაფიული სახელების

---

[28] იხ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიკის შესწავლისათვის, მოამბე, 1961, № 3, გვ. 96.

[29] იხ. ქართლის ცხორება, IV, თბ., 1973, გვ. 670.

[30] იხ. МАК, XII, გვ. 59; ს. ჯ ი ქ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 534; დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, 1975, გვ. 86; შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127, 164.

[31] დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

აღნიშვნაში ურ(ჰურ) მარცვლის სახით დატოვა თავისი კვალი“...[32] სამცხის ტოპონიმებიც, ურაველი და ურვანა[33], როგორც ჩანს, ურ ძირს უკავშირდება.

რადგან ძველი არტაანის მთავარ ქალაქს ური ერქვა, იქვე მახლობლად მდებარეობდა ურთაც და ამავე ოლქში მოსალოდნელია მსგავსი, სხვა ტოპონიმების არსებობაც, შესაძლოა, ეს იმაზე მიუთითებდს, რომ არტაანის ოლქსაც ოდესღაც ურს უწოდებდნენ. ამავე დროს, გამოთქმა «ურის ქვეყანა» შეიძლება გაეაზრებინათ როგორც ქალაქ ურის ოლქიც. რაც შეეხება ურისგან ჰ. დრასხანაკერტცისეული ვურის მიღებას, ამ გზაზე გადაულახავი დაბრკოლება არ უნდა არსებობდეს. სომხურ სიტყვებში, მათ შორის კითხვით ზმნიზედა ურ *ուր* (-სად)-ში, თავკიდური ხმოვნები ჩვეულებრივ გამოითქმიან მაგარი შემართვით *ყուր* ყურ[34]. სომხურში *ո* (ო) ხმოვანი სიტყვის თავში გამოითქმის როგორც ვო; ასე მაგ.; ***որդի*** (ორდი—შვილი, ძე) გამოითქმის როგორც ვორდი, ***որբ*** (ორბ—ობოლი) — როგორც ვორბ და ა. შ.[35] როგორც ეტყობა, სიტყვის თავში ***ու*** (უ) ხმოვანიც ზოგჯერ მაინც გამოითქმოდა, როგორც ვუ. სხვათა შორის ***ու*** (უ) ხმოვანი სომხურში ანალიზური დაწერილობისაა, ისევე როგორც ბერძნულსა და ძველ ქართულში და შედგენილია *ո* (ო)-სა და *ւ* (ჳ)-საგან[36]. სომხურში არსებობს პარალელური ბგერები, მაგარი რ (*ռ*) და რბილი რ (*ր*)[37]. თუ დრასხანაკერტცისეულ ვურ-სა (***Վուր***) და სომხურ კითხვით ზმნიზედა *ուր* (ურ)-ში გვაქვს რბილი რ, სიტყვაში ***Ուռն//Ուռ*** (ურნ, ურ—ურო) არის მაგარი რ. აი ამ სიტყვა ***Ուռ***-ის (ურ) პარალელურად სომხურში ჩნდება აგრეთვე ***Վուռ*** (ვურ), იგივე, უროს მნიშვნელობით[38].

ვფიქრობთ, ზემოთქმულის საფუძველზე უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ქართული სახელწოდება ურ, ური სომხურად შეიძლება გამოეთქვათ და დაეწერათ როგორც ვურ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჰ. დრასხანაკერტცის „ისტორიის“ ხელნაწერები მხოლოდ გვიანდელი ხანებისა შემოგვრჩა, XVII საუკუნეზე ადრინდელი ხელნაწერი არ ჩანს; ამდენად, არაა გამორიცხული, რომ ურის მაგიერ ვურის გაჩენა გვიანდელი გადამწერების კალამს უკავშირდებოდეს.

ჰ. დრასხანაკერტცისეული „ვურის ქვეყნის“ ქალაქ ურის ოლქთან, არტაანთან გაიგივებას მხარს უჭერს ფსევდო-შაპუჰ ბაგრატუნის ერთი ცნობაც, რომლის თანახმად, მოწინააღმდეგეთა ჯარების გორთან თავმოყრისა და სომხეთის მეფე სმბატის მიერ იქაურობის გაძარცვის შემდეგ სმბატი მივიდა „არტაანის ქვეყანაში“[39]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსევდო-შაპუჰის „ისტორიაში“ ბევრი აღრევაა, მაგრამ ეს ცნობა, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, არ შეიძლება უგულებელვყოთ.

---

[32] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127, 164.

[33] იხ. ი. სიხარულიძე, მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 145, 149.

[34] იხ. ი. შილაკაძე, ძველი სომხური ენის გრამატიკა, ტბ., 1975, გვ. 72.

[35] იქვე, გვ. 79, 83—84.

[36] იქვე, გვ. 79.

[37] იქვე, გვ. 74.

[38] Ստ. Մալխասեանց, Հայերէն բացատրական բառարան, III, Ե., 1944, გვ. 605—606, IV, გვ. 352; Հր. Աճառյան, Հայերեն արմատական բառարան, III, Ե., 1977, გვ. 609. IV. გვ. 348; იხ. აგრეთვე, **Ժամանակակից հայոց լեզվի բացատրական բառարան**, IV, 1980, გვ. 604, 606.

[39] იხ. ე. ცაგარეიშვილი, ანონიმი ისტორიკოსი..., გვ. 162.

სუმბატ დავითის-ძის მიხედვით, აშოტ დიდი კურაპალატის უფროსი ვაჟის, ადარნასეს ძე, გურგენ კურაპალატი „წარვიდა ტაოთ, კალმახით, მამულით თჳსით, ცხოვრებად შავშეთს და არტანს. და ამისსა შემდგომად შეიმტერნეს ურთიერთას და შეკრიბეს ლაშქარი ერთმანერთსა ზედა ერთ-კერძო გურგენ კურაპალატმან და ერთა მისთა, მეორე-კერძ ადარნასე ქართველთა მეფემან და ბაგრატ არტანუჯელმან. მოვიდეს ესენი ჯევსა არტანისასა, სოფელსა მგლინავსა, და ჰბრძოლეს ერთმანეთსა. და მეოტ იქმნა გურგენ კურაპალატი, წყლეს და შეიპყრეს და მოკუდა წყლულებითა მისითა გურგენ კურაპალატი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, ქრონიკონსა რ̄ი̄ა“ (891 წ.)[40].

როგორც ცნობილია, აშოტ დიდი კურაპალატის ვაჟთა სახლებს შორის ძალაუფლებისათვის, სამფლობელოებისათვის არსებობდა მეტოქეობა, წინააღმდეგობები, ხშირი იყო მათ შორის შეხლა-შემოხლა. მას შემდეგ რაც შავშეთსა და არტაანში დამკვიდრებული გურგენ კურაპალატი ქართველთა მეფე ადარნასეს წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა, მოსალოდნელია, მისი შთამომავლობა ადარნასე მეფეს კიდევ უფრო გაორგულებოდა. ეს მართლაც ასე ხდება, წყაროებში ამის შესახებ საკმაოდ დამაჯერებილ ცნობები მოიპოვება.

ცნობილია, რომ თავის დროზე არტაანი „დიდმან ჴელმწიფემან“, გუარამ მამფალმა დაისაკუთრა[41]. მაგრამ გუარამ მამფალის სახლის საქმე უკუღმა დატრიალდა; გარდა ამისა, გუარამმა „განუყვნა ქუეყანანი ძმათა თჳსთა“[42] და ყოველივე ამის შედეგადაც ხდება, რომ არტაანში მკვიდრდება გუარამისვე ძმისწული გურგენ კურაპალატი. ბუნებრივია, გურგენ კურაპალატსა და მის მემკვიდრეებს პრეტენზია განეცხადებინათ გუარამ მამფალის დანარჩენ სამფლობელოებზეც, კერძოდ, ქვემო ქართლში, გუგარეთში, რომელიც გუარამის შემდეგ სომეხთა მეფის ხელთ გადავიდა. მოსალოდნელია, ამის საფუძველზე გურგენ კურაპალატი და მისი მემკვიდრეები დაპირისპირებოდნენ სომეხთა მეფეებსაც. მართლაც ცოტა მოგვიანებით, როგორც ეს შესანიშნავად ჩანს წყაროებიდან, გურგენ კურაპალატის შვილიშვილი, გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავი ებრძვის არა მარტო ქართველთა მეფე ადარნასეს, არამედ სომეხთა მეფესაც. ვფიქრობთ, ამგვარი პოლიტიკური ვითარების შედეგია, რომ ადარნასე ქართველთა მეფის მოკავშირე, ქართლიდან ანისისაკენ მიმავალი სომეხთა მეფე სმბატ I დაახლ. 904 წლის ბრძოლების დროს ლაშქრავს არტაანს, ჰ. დრასხანაკერტცისეული „ვურის ქვეყანას“. შესაძლებელია, ამ ხანებში „ვურის ქვეყნის“ სომეხთა მეფისადმი დაპირისპირების საქმეში გურგენ დიდი ერისთავთერისთავის ბიძის, ცნობილი აშოტ კუხის ხელიც ერიოს, რადგან ამ დროისათვის გურგენის მამა გარდაცვლილი იყო, ხოლო თვითონ გურგენი და მისი ძმა დავითი მცირეწლოვანნი ჩანან[43]. აშოტ კუხი რომ „ჩაკეტილი“ არ იყო თავის სამფლობელოში, ამაზე, ეგების, ისიც მიგვითითებდეს, რომ „წამება“ გობრონისა, „რომელი განიყვანეს ყ უ ე ლ ი ს ც ი ხ ი თ“, დაიწერა „ბრძანებითა აშოტ ერისთავთა-ერისთავისაჲთა“. სმბატ I-დმი აშოტ კუხის დაპირისპირებაზე, შესაძლოა, მეტყველებდეს „გობრონის წამების“ ავ-

40 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 379.
41 ქართლის ცხოვრება, I, 257.
42 იქვე.
43 იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 380.

ტორის, სახელგანთქმული სტეფანე მტბევარის არაკეთილგანწყობილებაც სმბატ I-ისა და საზოგადოდ სომეხთა მიმართ.

ამრიგად, ჰ. დრასხანაკერტცისეული „ვურის ქვეყანა“ არაა საძიებელი დას. საქართველოში, სომეხთა მეფე სმბატ I-ს არ დაულაშქრავს გურია, იგი ლიხს იქეთ არ გადასულა, მით უმეტეს, მას არ დაუმორჩილებია მთელი საქართველო.

ჰ. დრასხანაკერტცისეული „ვურის ქვეყანაზე“ საუბრისას იმავე ავტორისეული „გამრთა ქვეყნისა“ და მისი ერისთავთერისთავის, გურგენის[44] საკითხის განხილვას განაპირობებს ისიც, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს იმგვარი ვარაუდიც, თითქოს „ვური“ იგივე „გამრი“ შეიძლება იყოს. ამავე დროს ამ საკითხზე გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებებიც.

ჰ. დრასხანაკერტცი „გამრთა ქვეყნის“ ერისთავთერისთავს[45], გურგენს ახსენებს თავისი „ისტორიის“ იმ თავში, რომელსაც ეწოდება: „ამრამ მთავრის განდგომისა და მისგან აშოტ შაჰანშაჰის ძლევის შესახებ“. სომეხთა მეფე აშოტ ერკათი დაახლ. 922—23 წლებში[46], ჰ. დრასხანაკერტცის მიხედვით, გაეშურა „თავის საყვარელ უტის გავარისაკენ. გზად მიმავალმა ცუდი ამბავი შეიტყო იმ მხრიდან: ამრამად სახელდებულმა, რომელსაც თავისი საოცარი ღონის გამო მეტსახელად მრავალთაგან ცლიკი შერქმეოდა და რომელიც შაჰანშაჰს (აშოტ ერკათს — ა. ა.) ქვეყნის საქმეების გამგებლად ჰყავდა დაყენებული, გონება ბოროტების წყვდიადით დაიფარა და გაამაყდა. მან გადაწყვიტა განდგომოდა შაჰანშაჰად წოდებულის მორჩილებას, დაგმო და შეურაცხყო თავისი ნამდვილი სამფლობელო და უმჯობესად მიიჩნია უმკვიდრო გურგენის მონობის უღელქვეშ შესვლა, რომელიც გამრთა ქვეყნის ერისთავთერისთავი იყო. ყველა სხვა იმ მხარის ნახარარობაც თავისთან წაასხა [და] ამბოხებაში თავის მხარეზე გადაიბირა.

[ამრამმა] საჩქაროდ აიღო ტავუშის სიმაგრე, მასში მტკიცედ დაიცვა თავისი ოჯახი... აშოტი გაემართა და მიაღწია უტიელთა ქვეყანას. მან დაინახა, რომ [იქაურები] მას განდგომოდნენ და ზურგი შეექციათ. ვერავინ ნახა თავისი მომხრე, გარდა მცირეოდენი, უმნიშვნელო ვინმეებისა“... აშოტს ჯარი მიაშველა ეგრისის მეფემ. „ამრამმა, რომელსაც მეტსახელად ცლიკი ერქვა და მასთან ერთად სხვა განდგომილმა ყაჩაღებმა თავიანთ დასახმარებლად დიდძალი ჯარი შეკრიბეს ყველგან და ჩასაფრებული, გამაგრებული იყვნენ გაუვალ ტყეებში მდინარე მტკვრის ნაპირას“. საბოლოოდ, აშოტ ერკათის ჯარმა სასტიკი მარცხი განიცადა[47].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ი. აბულაძე ჰ. დრასხანაკერტცის «ისტორიიდან» აქ მოტანილ ნაწყვეტში ნახსენებ გურგენს სამხრეთ საქართველოს მთავ-

---

[44] იხ. Յովհաննու Կաթողիկոսի..., გვ. 321; იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი... ილ. აბულაძისა, გვ. 67; იოანე დრასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, გვ. 256.

[45] სომხური իշխան իշխանաց სიტყვა-სიტყვით ნიშნავს მთავართა მთავარს, მაგრამ მისი ქართული შესატყვისი სწორედ ერისთავთერისთავი უნდა იყოს — იხ. ს. ჯანაშია, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, თსუ შრომები, ტ. XVIII, 1941, გვ. 63.

[46] იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 44.

[47] იოანე დრასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, გვ. 254 — 260; იხ. აგრეთვე იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი... ილ. აბულაძისა, გვ. 67.

რად მიიჩნევდა. პ. ინგოროყვას ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი, რომ ეს გურგენი ქართველი ხელისუფალი, იგივე დიდი ერისთავთერისთავი გურგენია[48], ოღონდ მკვლევარი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს «გამრთა ქვეყანაში». ასევე ქართველთა მთავრად მიაჩნდათ ხსენებული გურგენი სომეხ ისტორიკოს ლეოს (არაქელ ბაბახანიანს) და ჰრ. აჭარიანს[49]. «სომეხი ხალხის ისტორიის» მრავალტომეულის მესამე ტომში ეგევე გურგენი რატომღაც კახეთის «მთავართა მთავრადაა» (*իշխանաց իշխան*) წარმოდგენილი, ისევე როგორც ჰ. დრასხანაკერტცის მიერ უფრო ადრე ნახსენები ქართველთა მთავარი (*իշխան*) გურგენი[50]. აკად. ს. ჯანაშიას სიტყვით, ჰ. დრასხანაკერტცისეული «გამრთა» მთავრის საკითხი... რთულია და მისი გადაწყვეტა არსებული მასალის მიხედვით ძნელია»[51]. ი. მარქვარტი ფიქრობდა, რომ რადგან სომხური წყაროების *Գամիրք* «გამირქ» (აქედან «*Գամրաց աշխարհ*»—«გამრთა ქვეყანა») კაპადოკიაა, ამიტომ «გამრთა ქვეყნის» ხელისუფალი გურგენი, აღმოსავლეთის რომაელი გენერალი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბიზანტიის იმპერიის სხოლათა დომესტიკი, სომხური წარმომავლობის მცირე აზიელი ფეოდალი, იოანე კურკუასი უნდა იყოს (ფიქრობენ, რომ კურკუას გურგენის ბერძნული გადმოცემაა). ამავე დროს ი. მარქვარტი უშვებდა იმის შესაძლებლობასაც, რომ დრასხანაკერტცის «ისტორიის» ეს ადგილი («გამრთა ქვეყნის მთავართა მთავარი») იქნებ სწორად არაა ამოკითხული: მაშინ ქართველი ერისთავთერისთავი გურგენი უნდა ვიგულისხმოთო[52]. უნდა ითქვას, რომ შემდეგდროინდელ მკვლევარებს, რომლებიც მუშაობდნენ ჰ. დრასხანაკერტცის «ისტორიის» ტექსტის შესწავლაზე, აღნიშნული ადგილის წაკითხვის სისწორე ეჭვქვეშ აღარ დაუყენებიათ.

დ. მუსხელიშვილის სიტყვით, „თუკი იოანე დრასხანაკერტელის გამირთა ქვეყნის მთავარ გურგენს იგივე გურგენ ე¯ვად ჩავთვლით... მაშინ გამოვა, რომ იგი უტიქის ქვეყანაშიც კი საქმიანობს... მაგრამ ეს საეჭვოა და გამირთა მთავარი, ანუ კაპადოკიის მთავარი გურგენი უნდა იყოს ბიზანტიელი ოანე კურკუასი"[53].

ბიზანტია-სომხეთის ურთიერთობის შესახებ ჰ. დრასხანაკერტცი საკმაოდ უხვ ცნობებს გვაწვდის, ვინაიდან პოლიტიკური მოღვაწე, იგი პირადადაც იყო დაკავშირებული ბიზანტიელ ხელისუფლებთან; ამიტომ ბიზანტიის, იოანე კურკუასის ჯარი უტიქის ამბოხებულ გამგებელ ამრამს რომ მიშველებოდა, მოსალოდნელია, მემატიანეს ამის თაობაზე უფრო გარკვევით ეთქვა. ალბათ უნდა დაისვას ასეთი კითხვაც: ჰ. დრასხანაკერტციმ იცოდა, რომ კურკუას სახელ გურგენის ბერძნული ფორმაა? თუ არ ვცდებით, კურკუასის გურგენისაგან მომდინარეობის აზრი მხოლოდ ახალი დროის მეცნიერებაში ჩნდება.

---

48 იხ. მისი გიორგი მერჩულე, გვ. 100—103.

49 **Լեո, Հայոց պատմություն,** II, Ե., 1947, გვ. 580; **Հ. Աճառյան, Հայոց անձնանունների բառարան,** I, Ե., 1942, გვ. 140.

50 იხ. **Հայ ժողովրդի պատմություն,** III, გვ. 43—44.

51 ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

52 J. Marquart, Osteuropäische und ostaiatische Streizüge, 1961, გვ. 183; იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 83—85.

53 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 193, შენ. 177.

სხვათა შორის, კურკუასის ეტიმოლოგიის შესახებ განსხვავებული მოსაზრება არსებობს[54].

იოანე კურკუასს იხსენიებს სტ. ტარონეცი, მაგრამ არა სახელით ან გვარით, არამედ როგორც დემესლიკოსს, ე. ი. დომესტიკოსს, დომესტიკს. სტ. ტარონეცის „ისტორიის“ მონაცემების საფუძველზე ასკვნიან, რომ დემესლიკოსს, ე. ი. იოანე კურკუასს ულაშქრია დვინის წინააღმდეგ 922 წელს. თუ ეს, მართლაც, ასე იყო, იქნებ სწორედ ამ დროს მიეშველა იგი სომეხთა მეფის წინააღმდეგ ამბოხებულ ამრამს. რენსიმენი და სხვა მკვლევარნი ფიქრობდნენ, რომ იოანე კურკუასი 922 წელს დომესტიკი, დომესტიკოსი ვერ იქნებოდა; თეოფანეს გამგრძელებლის ცნობების მიხედვით ისინი დვინის ლაშქრობას 927 წლით ათარიღებენ[55]. შესაძლოა, ესაა მიზეზი, რომ ამგვარი ლაშქრობა არ იხსენიება ჰ. დრასხანაკერტცის „ისტორიაში“, რომელშიც ამდროინდელი ამბები, მართალია, დაწვრილებითაა მოთხრობილი, მაგრამ თხრობა მხოლოდ 924 წლამდე გრძელდება[56]. თუ იოანე კურკუასმა 922 წელს, მართლაც, ილაშქრა დვინის წინააღმდეგ, ძნელი წარმოსადგენია ჰ. დრასხანაკერტცის ამის შესახებ არაფერი ეთქვა; საქმე ისაა, რომ საკათალიკოსო ქალაქი, ჰ. დრასხანაკერტცის სიტყვით დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ი დვინი ჩვენი მემატიანის განსაკუთრებული ყურადღების არეშია მოქცეული, იგი ხშირად ახსენებს მას, ამასთანავე მონაწილეა დვინში იმავე ხანებში სომეხ ხელისუფალთა შორის გამართული მოლაპარაკებისა[57].

მოსალოდნელია, რომ თუკი ჰ. დრასხანაკერტცი მოიხსენიებდა იოანე კურკუასს, სტ. ტარონეცის მსგავსად, ისიც აღნიშნავდა მის ბიზანტიურ სახელოსა თუ ჩინს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკეთუ ჰ. დრასხანაკერტცისეული «გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანი», გურგენი იოანე კურკუასია, ეს იქნებოდა მოწმობა იმისა, რომ ჩვენი მემატიანე ბიზანტიურ სამყაროს, ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო წყობილებას ძალიან ცუდად იცნობს, რასაც ვერც ჰ. დრასხანაკერტცისა და საზოგადოდ ვერც ძველ სომეხ მემატიანეთა უმრავლესობის მიმართ ვერ ვიტყვით. ჰ. დრასხანაკერტცის ეპოქაში სომხეთში არსებობდა თანამდებობა ***իշխանայ իշխան***-ისა[58], რაც სიტყვა-სიტყვით მთავართა მთავარს ნიშნავს. როგორც უკვე ითქვა, ***իշխանաց իշխան*** (იშხანაც იშხან) უნდა იყოს შესატყვისი ქართული ერისთავთერისთავისა და არა ბიზანტიური სხოლათა დომესტიკისა ან კაპადოკიის განმგებლის ხელისუფლებისა. სომხეთის სახელმწიფო წყობილების სპეციფიკის ამსახველი ***իշխանաց իշխան*** შეიძლებოდა მემატიანეს მიესადაგებინა მსგავსი სახელმწიფო წყობის მქონე ქართული და არა ბიზანტიური სინამდვილისათვის.

ჰ. დრასხანაკერტცი, მოგვითხრობს რა ბიზანტია-სომხეთის ურთიერთობის შესახებ, ხშირად იხსენიებს ბიზანტიის იმპერატორებსა და მათ სახე-

---

[54] იხ. А. П. Каджан, Армяне в составе господствующего класса Византийской империи в XI—XII вв., Ереван, 1975, გვ. 13.

[55] იხ. **Կոստանդին Ծիրանածին, թարգմանություն բնագրից, առաջաբան և ծանոթագրություններ Հր. Բարթիկյանի, Ե.**, 1970, გვ. 232.

[56] იხ. **Հայ ժողովրդի պատմություն**, III, გვ. 321.

[57] იხ. ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, გვ. 254—255.

[58] იხ. **Հայ ժողովրդի պատմություն**, III, გვ. 270—271.

ლებს[59]. უკეთუ ამრამი ბიზანტიას „ეყმო“, მოსალოდნელია მემატიანეს ეთქვა, რომ უტიქის გამგებელი ბერძენთა თუ რომაელთა კეისრის „მონობის უღელქვეშ“ შევიდა და არა კეისრის მოხელისა.

გაუგებარი იქნებოდა აგრეთვე, თუ რატომ უნდა დასჭირვებოდა ჰ. დრასხანაკერტცის კეისრის მოხელის, იოანე კურკუასის მემკვიდრის არყოლაზე ხაზგასმით ლაპარაკი, თუკი სათანადო ცნობის ამგვარი გააზრება მისაღებია. ეს შეიძლებოდა მხოლოდ რომელიმე დამოუკიდებელი ხელისუფალის მიმართ აღენიშნათ. ამავე დროს ცნობილია, რომ გურგენ ერისთავთერისთავს „არა ესუა ძე“[60]. რაც შეეხება იოანე კურკუასს, მას ვაჟიშვილქი ჰყავდა; ესაა პატრიკიოსი რომანოს კურკუასი, რომელსაც სხვადასხვა ბიზანტიური თემის მხედართმთავრად ვხედავთ. იგი გამგრძელებელია თავისი გვარის ბრწყინვალე ტრადიციებისა. მას მაგისტროსის ჩინიც კი უბოძეს[61].

უტიქის გავარის, „ქვეყნის“ ხელთ გდებას, სომხეთის მეფისათვის მის წართმევას, ჰ. დრასხანაკერტცის ცნობებით, ცდილობენ „წანართა დიდი ქორეპისკოპოსი“, აგრეთვე აშოტ ერკათისვე სიმამრი საჰაკი[62]. მათ აქეთკენ უბიძგებდათ თვით უტიქის გამგებელთა სურვილი სომეხთა მეფისაგან განდგომისა. ასეთ ვითარებაში არაა საკვირველი, რომ გურგენ ერისთავთერისთავსაც მოეწადინებინა დაუფლებოდა უტიქს. სუმბატ დავითის-ძის სიტყვით, დიდმა გურგენმა, დიდმა ერისთავთერისთავმა გურგენმა „უმეტესნი სიმჴნენი და ბრძოლანი ქმნნა ყოველთა მამათა მისთასა, და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი“[63]. გიორგი მერჩულეს თანახმად, გურგენი არის „დიდი... ჴელმწიფჱ ფრიადთა ნათესავთაჲ“*. გურგენ ერისთავთერისთავი ებრძოდა სომეხთა მეფეს ქვემო ქართლისათვის; ამავე დროს გურგენის და იყო ჰერეთის ცნობილი დედოფალი დინარი და, როგორც ეტყობა, ჰერეთის ქალკედონიანობაზე მოქცევის საქმეში გურგენის ხელიც ურევია[64]. ბუნებრივია, შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში გურგენს ეცადა ხელის დადება უტიქის „ქვეყანაზეც“. გურგენი, ჰ. დრასხანაკერტცის თანახმად, უტიქის გამგებელ ამრამს უკავშირდება იმავე ხანებში, როდესაც იგი იბრძვის ქვემო ქართლის დასაუფლებლად. რაც შეეხება ქვემო ქართლსა და უტიქს შორის მდებარე მიწა-წყალს, ჰ. დრასხანაკერტცის ცნობებიდან თითქოს ჩანს, რომ იგი ამრამს დაუჭერია. ყოველივე ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ამრამის გურგენ ერისთავთერისთავის „ყმად“ გახდომა შეუძლებელი არ უნდა იყოს.

ვფიქრობთ, ძნელი დასაჯერებელია ისიც, თითქოს „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანი“, გურგენი კახეთის ხელისუფალია, კახელებს და მათ ხელისუფალს ჰ. დრასხანაკერტცი, როგორც მოსალოდნელიც იყო, უწოდებს წანარებს და წანართა დიდ ქორეპისკოპოსს[65] და არა იშხანაც იშხანს. გარდა ამისა, 922 წლისათვის კახეთის ქორეპისკოპოსად არავინ გურგენი არა ჩანს[66].

---

[59] იხ. იოანე დრასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, გვ. 38, 61, 63, 108, 148, 211.

[60] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 380.

[61] იხ. **Կոստանդին Ծիրանածին**, გვ. 232.

[62] იოანე დრასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, გვ. 234—235, 242.

[63] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 380.

* გიორგი მერჩულე, ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, თავი XXVIII.

[64] იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 188—196.

[65] იოანე დრასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, გვ. 64, 233, 234.

[66] იხ. ი. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982, გვ. 196—198.

გურგენს კახეთის ხელისუფლად, როგორც ეტყობა, მიიჩნევენ იმის გამო, რომ ეს „ქვეყანა“ ტერიტორიულად შედარებით ახლოს მდებარეობდა, ერთი მხრივ, ქვემო ქართლთან, ხოლო, მეორე მხრივ, უტიქთან და კახეთის გამგებელს უფრო შესწევდა ძალა ებრძოლა ქვემო ქართლისა და უტიქისათვის, ვიდრე ერისთავთერისთავ გურგენს. მაგრამ ვიმეორებთ, ჰ. დრასხანაკერტცისეული „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანის“, გურგენის კახეთის ხელისუფლად გამოცხადება გაუმართლებელია.

ამრიგად, ჰ. დრასხანაკერტცისეული, განსახილველი „გამრთა ქვეყანა“ საძიებელია სამხრეთ საქართველოში, ხოლო „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანი“, გურგენი უნდა იყოს ქართული წყაროებიდან კარგად ცნობილი, „დიდი ერისთავთა-ერისთავი“ გურგენი, მფლობელი სამხრეთ საქართველოს მრავალი ოლქისა[67]. ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით კითხვას: რატომ იხსენიება გურგენი „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანად“? ჰ. დრასხანაკერტცი მას სხვა დროსაც, არაერთხელ ახსენებს, მაგრამ უწოდებს ქართველთა და არა გამრთა ხელისუფალს. გამირი ან გიმირი ასირიულ-ბაბილონურ წყაროებში კიმერიელებს ეწოდებოდათ. საკუთრივ კიმერიელებს გარდა ამ სახელწოდებით იხსენიებდნენ სხვა ბარბაროსებსაც, კერძოდ, სკვითური მოდგმის ტომებს. როგორც ცნობილია, კიმერიელთა და სკვითთა შემოსევები დასტურდება ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს მიწა-წყალზეც ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში. გ. მელიქიშვილის სიტყვით, „ზოგი კიმერიული (თრაკიული) ტომი, შეიძლება, საკუთრივ საქართველოს მიწა-წყალზეც დამკვიდრდა“[68]. ზოგიერთი მკვლევარი, მათ შორის ი. დიაკონოვიც, ასირიული წყაროების „გამირის ქვეყანასაც“ საქართველოში, უფრო მის სამხრეთ ნაწილში, ათავსებს[69].

ფიქრობენ, რომ ამიერკავკასიაში სკვითურ-კიმერიული ტომების ბინადრობის კვალი დიდხანს შემორჩა, მათ სახელებთან დაკავშირებული ტოპონიმები კი დღემდე ცოცხლობს. ჰ. მანანდიანის აზრით, სომხეთში სკვითურ-კიმერიული ტომების ნაშთები თავის სახეს ინარჩუნებდნენ ძვ. წ. III—II საუკუნეებამდე[70], შემდეგ კი იწყება მათი შერევა სომხურ ტომებთან. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე, რომ სომხური საისტორიო ტრადიციის მიერ სომეხთა პირველ მეფედ მიჩნეულ პარუირს[71] მკვლევარნი უკავშირებენ ასირიულ წყაროებში მოხსენიებულ სკვითთა ბელადს, ბარტატუას (პარტატუას), ხოლო სომეხთა მეფის, პა-

[67] მის შესახებ იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 188—196.

[68] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965, გვ. 241—242; იხ. აგრეთვე დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, ნაკვ. I, თბ., 1979. გვ. 103; ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. 174—გვარ ქიმერიძის განმარტება.

[69] იხ. И. М. Дьяконов. Предыстория армянсконго народа, Ереван, 1968, გვ. 170, Ս. Երեմյան, Կիմերական ու սկյութական ցեղերի արշավանքները և Ուրարտուի ու Ասորեստանի պայքարը քոչվորների դեմ, ՊԲՀ, 1968, № 2; Հ. Մանանդյան, Հին հայաստանի և Անդրկովկասի մի քանի պրոբլեմների մասին, Ե., 1944; Ս. Պետրոսյան, Թրակա-Կիմերական ցեղերի միությունները Հայկական լեռնաշխարհում (մ. թ. ա. VI—V դդ.), ՊԲՀ, 1977, № 1; ჯ. გვიტაძე, გიმირთა ქვეყნის ლოკალიზაციის საკითხისათვის, „ცისკარი“, 1976. № 2.

[70] Հ. Մանանդյան, დასახ. ნაშრომი.

[71] იხ. Մովսեսի Խորենացւոյ Պատմութիւն Հայոց, Տփղիս, 1913, I. 21, 22, 23.

რუირის მამის, სკაიორდის სახელს განმარტავენ, როგორც «გოლიათის ვაჟი», ანუ იგივე «სკვითის ვაჟი». სომხურში ***սկայ*** (სკა) გოლიათს, ბუმბერაზს ნიშნავს. ეს მონაცემები კი სომხური სახელმწიფოებრიობის შექმნის გარიჟრაჟზე სომხური ტომების სკვითებთან მჭიდრო კავშირის მაუწყებლად ესახებათ[72].

ნ. მარმა გამოთქვა მოსაზრება, რომელიც არაერთმა მკვლევარმა გაიზიარა, რომ ქართული სიტყვა გმირი კიმერიელთა (ანუ გამირთა, გიმირთა) სახელწოდებას უკავშირდება[73], ისევე როგორც სომხური ***հսկայ*** ანუ ***սկայ*** ჰსკა, სკა (ბუმბერაზი, გოლიათი) სკვითური ტომის — საკების სახელს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ თავის დროზე კიმერიელთა და სკვითთა გამოჩენას, მათ შემოსევებს, საზოგადოდ, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია გარშემო მყოფ ხალხებსა თუ ტომებზე. ასე მაგ., მცირე აზიელი ბერძნები წარსულის ფაქტებს ათარიღებდნენ, როგორც «კიმერიელთა შემოსევამდე» ან «კიმერიელთა შემოსევის შემდეგ» მომხდარს, ისევე როგორც წლებს ითვლიდნენ «ტროის ომამდე» ან «ტროის ომის შემდეგ»[74].

ჰ. დრასხანაკერტცისეული „გამრთა ქვეყნის“ სამხრეთ საქართველოში ძიებისას შესაძლოა, უადგილო არ იყოს ყურადღების გამახვილება გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებულ ისეთ ტოპონიმებზე, როგორიცაა ქიმერეთი (არსებობს გვარი ქიმერიძეც), რომელიც თორის მხარეში, ახალდაბასა და კორტანეთს შორის მდებარეობდა და რომლის ფუძეს ქიმერს კიმერიელს უკავშირებენ[75], აგრეთვე ქამრისი, რომელიც, იქნებ, იგივე გამრისია, ქამრასორი, ეგების, იგივე გამრაძორი, ე. ი. გამრთა ხევი და სათუოდ ამოკითხული ქამარზა[76]. იქნებ, ცნობილი, სიმამაცით განთქმული, სამხრეთ საქართველოს მკვიდრ, გამრეკელთა გვარის, თუ თავდაპირველად მათი საგვარეულო სახელის წარმოქმნაც ჰ. დრასხანაკერტცისეულ „გამრთა ქვეყნის“ სახელს უკავშირდება[77]. გამრეკელი ადრე თითქოს კაცის სახელად უფრო გვხვდება, ვიდრე გვარად, მაგრამ 998 წელს სტეფანოს ტარონეცი იხსენიებს ძმებს, მესხ გამრეკელებს[78], საიდანაც ჩანს, რომ გამრეკელი ამ დროს გვარია[79].

შედარებით გვიანდელ, 1651 და 1662 წლების ქართულ საბუთებში მამაკაცთა სახელებად გვხვდება გამრიკი, გამრიკა[80]. გამრიკი, გამრიკა და გამრე-

---

[72] იხ. Б. Б. Пиотровский, Ванское царство, გვ. 126—127, მისივე, О происхождении армянского народа. Ереван, 1946, გვ. 18 და შემდგომი; **Հայ ժողովրդի պատմություն**, I. Ե., 1971, გვ. 432—433.

[73] იხ. Н. Я. Марр, Избранные работы, III, М.-Л., 1934, გვ. 165—166, 260; И. М. Дьяконов, История Мидии, М—Л., 1956, გვ. 239; Б. Б. Пиотровский, Ванское царство (Урарту) М., 1959, გვ. 126; **Ս. Երեմյան**, დასახ. ნაშრომი, გვ. 92; ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, ს ბ., 1938, გვ. 10—12.

[74] იხ. И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, გვ. 172, შენ. 262.

[75] იხ. ი. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

[76] იხ. ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 470, 484, 494, 522, 587; იხ. აგრეთვე ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 380, ჯ. გვეტაძე, დასახ. ნაშრომი.

[77] შდრ. ი. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42—43.

[78] გვ. 273.

[79] იხ. აგრეთვე ქართლის ცხოვრება, I, გვ. 307.

[80] იხ. საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II, ტფ., 1909, გვ. 253; ტ. III, ტფ., 1910, გვ. 2; შესაძლოა არსებობდა აგრეთვე სახელი გამრეკ, ისევე როგორც უნდა ყოფილიყო მაგ.,-ეკ-ზე დაბოლოებული სახელი ცირეკ (იხ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 434; ი. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 207).

კელი ერთმანეთთან დაკავშირებული ჩანან, მაგრამ ისეც შეიძლება მომხდარიყო, რომ გამრიკი და გამრიკა იყოს მიღებული გამრეკელისაგან და არა პირიქით.

კიმერიელთა, იგივე გამირთა სახელს, საზოგადოდ, უკავშირდება არაერთი ტოპონიმი; მათ შორის აღსანიშნავია კიმერიკ ჩრდილო შავიზღვისპირეთში[81]. ს. ერემიანის თანახმად, ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიაში მდებარე აწინდელი სოფლის სახელწოდებაც — კემერეკ გამირთა სახელისაგანაა წარმომდგარი[82], ე. ი. ამ სოფლის სახელი ოდესმე, მოსალოდნელია, გამოითქმოდა, როგორც გამირეკ. იქნებ მსგავსი ტოპონიმი სამხრეთ საქართველოშიც არსებობდა და აქედან მივიღეთ გამრეკელი. -ეკ(ან -იკ, -აკ) სუფიქსიანი ტოპონიმები საქართველოში, მართალია, ბევრი არაა, მაგრამ მაინც არის (მაგ., ეკეკი, ურეკი და სხვა).

შეიძლება, ალბათ, ვივარაუდოთ ისიც, რომ გამრ, გამირს დართვოდა სკვითური წარმოშობისად მიჩნეული სუფიქსი -აგ[83] ან -აკ, ისევე, როგორც მაგ., გვაქვს პარალელური ფორმები ქაშქ და ქაშაგ. ეთნონიმ ქაშაგს უკავშირდება გვარი ქაშაგაშვილი, ქაშაკაშვილი[84]. ასევე ეთნონიმ სანეგ//სანიგ//სანიკ-ისაგან მომდინარეობს გვარი სანიკიძე. საქართველოში გავრცელებული ჩანს -აგ სუფიქსიანი პირის სახელები. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ სომხურ წყაროებში გამრეკელი კამრაკელის, კამრაგელის ფორმითაც გვხვდება[85].

მართალია, დაბეჯითებით ძირს თქმა, თუ რა გზით უნდა იყოს მიღებული გამრისაგან გამრეკელი, მაგრამ ეს შეიძლება მასალათა ნაკლებობასაც დაბრალდეს. გამრებთან, გამირებთან გამრეკელთა გვარის დაკავშირებისათვის იქნებ ყურადღების ღირსი იყოს ის გარემოებაც, რომ წყაროებში ხაზგასმითაა ლაპარაკი გამრეკელთა არაჩვეულებრივ სიმამაცეზე[86].

რაც შეეხება ჰ. დრასხანაკერტცის მიერ გურგენის მხოლოდ ერთხელ «გამრთა ქვეყნის» ხელისუფლად მოხსენიებას, ეს შეიძლება ასე აიხსნას: მემატიანის მიხედვით, გურგენმა და ამრამმა ბრძოლაში დაამარცხეს სომხეთის ცნობილი მეფე აშოტ ერკათი. მეტსახელი ერკათ «რკინისას», «რკინის კაცს» ნიშნავს. აშოტს ერკათი უწოდეს მისი საოცარი სიმამაცის გამო[87]. მემატიანე მეფის, აშოტ ერკათის მეხოტბეა და მისი დამარცხება ჰ. დრასხანაკერტცისათვის არაჩვეულებრივი ამბავია. მას, მეისტორიე კათალიკოსს, სურს დაგვარწმუნოს, რომ შაჰან-

[81] იხ. Страбон, География, Л., 1964, გვ. 469, იხ. აგრეთვე И. М. Дьяконов, История Мидии, გვ. 230.

[82] Ս. Երեմյան, Հայաստանը ըստ „Աշխարհացոյց"-ի, გვ. 46 და წიგნისადმი დართული რუკა.

[83] იხ. В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, М.—Л., 1949, გვ. 221—226.

[84] იხ. ი. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი.

[85] იხ. **Ստեփաննոսի Տարօնեցւոյ**... გვ. 273; **Մատթեոս Ուռհայեցի Ժամանակագրութիւն, Վաղարշապատ**, 1898, გვ. 36—37, **Ստեփաննոս Օրբելեան, Պատմութիւն նահանգին Սիսական, Թիֆլիս**, 1910, გვ. 384.

[86] იხ. მაგ. **Ստեփաննոսի Տարօնեցւոյ**... გვ. 273; **Մատթեոս Ուռհայեցի**... გვ. 36—37; სტ. ორბელიანი იხსენიებს „დიდ გამრეკელს" — **Պատմութիւն նահանգին Սիսական**, გვ. 384; იხ. აგრეთვე ქართლის ცხოვრება, II, გვ. 38, 320; ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, წიგნში: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966.

[87] იხ. **Հայ ժողովրդի պատմություն**, III, გვ. 40.

შაჰის, აშოტ ერკათის დამმარცხებლები კაცსახა მხეცნია, ლამის ავი სულებია, რომელთა მეშვეობით ღმერთმა დასაჯა აშოტ ერკათი, რადგან მან ბოლო ხანებში «ღმრთის მსახურების სიტკბოება განაგდო». მემატე ნე ამრამზე ამბობს, რომ იგი არაჩვეულებრივი ღონის პატრონი იყო და ამიტომ მეტსახელად ცლიკს ეძახდნენ. *գուլ, գլխ* სომხურად ხარს, მოზვერს ნიშნავს. იქვე მოხსენიებული ცლიკის მოკავშირეები ყაჩაღებია; ხოლო მისი მფარველი, ახალი «პატრონი» გურგენი «გამრთა ქვეყნის» უფალია. აქ, ამ კონტექსტში გამრები, გამირები ჰ. დრასხანაკერტცის წარმოდგენილი უნდა ჰყავდეს, როგორც «კაცნი მჴეცნი, ნათესავნი დევთანი».

გურგენის „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანად“ მოხსენიებას შეიძლება განაპირობებდეს ისიც, რომ მას შემდეგ, რაც გურგენი 918 წელს ერისთავთ-ერისთავი, და ამდენად, „ჰელმწიფე ფრიადთა ნათესავთაჲ“ გახდა[88], მისი სამფლობელო გაფართოვდა, გურგენის ძალაუფლებას დაექვემდებარა სამხრეთ საქართველოს ის კუთხეც, რომელსაც თუ X საუკუნეში აღარ, უფრო ადრე მაინც „გამრთა ქვეყანასაც“ უწოდებდნენ. ჰ. დრასხანაკერტცი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, საზოგადოდ, იყენებს ძველი ხანების ისტორიულ-გეოგრაფიულ სახელწოდებებს[89]. სხვათა შორის, ამის შედეგადაც ხდება, რომ იგი დასავლეთ საქართველოს „ეგრისს“, „ეგრისის სამეფოს“ უწოდებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დ. ბერძენიშვილის აზრით, გამორიცხული არაა, რომ წუნდას, ლეონტი მროველის მიხედვით, იგივე ქაჯატუნის, აგრეთვე ქაჯთა ქალაქის, ჰურის, ურის მხცოვრებ „ქაჯებში“ ძველი აღმოსავლეთის მოსახლეობის რომელიმე ტალღა იგულისხმებოდეს. ჩვენი აზრით, შესაძლებელია, ლეონტისეული ქაჯატუნი და ქაჯთა ქალაქი, აგრეთვე ქაჯთა ციხე ჩილდირის ტბასთან, იგივე „შეითან ყალა“, ასევე ნაწილობრივ რუსთველისეული ქაჯები და ქაჯეთიც სკვითურ-კიმერიულ ტომთა ნაშთების სახელთან იყოს დაკავშირებული. ლეონტი მროველის თანახმად, სომეხთა მეფე იარვანდი „ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა, და მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე. და დასხნა წუნდას შინა კაცნი მჴეცნი, ნათესავნი დევთანი, და უწოდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელი-ესე ითარგმანების დევთა-სახლად“[90]. როგორც ეტყობა, აქ ერთმანეთის მსგავსად, მონათესავედ არიან მიჩნეულნი დევნი და ქაჯნი, რადგან წუნდას, ქაჯატუნის, იგივე დევთა სახლისა და ლეონტი მროველისეულივე ქაჯთა ქალაქის ბინადარნი ერთი და იგივე მოდგმისა ჩანან. ლეონტის მიხედვით, ეს დევნი თუ ქაჯნი, ისევე როგორც რუსთაველისეული ქაჯები, კაცნია, ადამიანებია. ისინი მონაწილეობენ ქართველ-სომეხთა ბრძოლებში, როგორც სომეხთა მოკავშირეები თუ ქვეშევრდომნი. ლეონტი მროველის სიტყვით, მალე იმის შემდეგ, რაც წუნდას დასხნეს „კაცნი მჴეცნი“, სომეხთა ლაშქარი სუმბატ ბივრიტიანის მეთაურობით „შემოვიდა ქართლად, და მოაოხრა ქართლი“. სუმბატმა „აღაშენა ციხე ქუეყანასა ოძრჴევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქჳან დემოთი... და დაუტევნა მას შინა ლაშქარ-

[88] იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 189—190.

[89] Ռ. Մաթևոսյան, Տաշիր-Ձորագետ Ե., 1982, გვ. 18, შენ. 9.

[90] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 44; იხ. აგრეთვე გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. თბ., 1979, გვ. 95, და შემდგომი.

ნი შემწედ წუნდელთა და მაბრძოლად ოძრჭეველთა და წარვიდა“... „წუნდელნი და დემოთელნი შეეწეოდეს ერთმანერთსა, და დაუცხრომელად იბრძოდეს“[91].

ლეონტი მროველისეული დევნი, კაცნი მჴეცნი, იგივე ქაჯნი მსგავსებას ამჟღავნებენ გმირის ადრინდელ შინაარსთან. იქნებ, რაღაც ამის მსგავს საფუძველზეც გაჩნდა ქართულ ენაში სიტყვა დევგმირი. სულხან-საბას განმარტებით, გ მ ი რ ი „კაცი არს დიდი და საზარელი ტანითა და საქმითაცა მეტი და გარდარეული ძალითა, და ბ უ მ ბ ე რ ა ზ ი — უმცირეს მათსა, უდიდეს და უმჴნეს ჩვენსა“[92]. გმირთა შესახებ ასეთივე წარმოდგენისაა ვახუშტი ბატონიშვილიც. მისი სიტყვით, „ჩ ხ ი კ უ თ ი ს სამჴრით არს ეკლესია ს ა მ ე ბ ა, წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, არამედ საკჳრველი, რამეთუ დიდროვანითა ლოდითა შენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელ არს მისი ქმნა, რომელი ავლია ზღუდედ... ძუელად იწოდა გმირთ-ნაკუეთი, და იყო ციხე, აწ ეკლესია“.

რუსთაველი, როგორც ეტყობა, ერთგან ქაჯებს გმირებს უწოდებს. ნესტან-დარეჯანი წერს ფატმანს:

„შენ ორთა დამხსენ გრძნეულთა, გამიადვილე ჭირები,
აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები:
ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრ ჯელ ათასი გმირები,
ავად მომიხდა თათბირი და ჩემი დანაპირები!“[93].

რუსთაველის თანახმად, ქაჯები, ერთი მხრივ, გრძნეულნი არიან, ხოლო ამავე დროს, ისინი თითქოს გმირებია.

ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ლეონტი მროველისეული ქაჯატუნ სომხური სახელწოდებაა. ლეონტისავე სიტყვით, ქაჯატუნ «ითარგმანების დევთასახლად». ძველ სომხურ ენაში სიტყვა *քաջ* (ქაჯ) ჩვეულებრივ იხმარებოდა გმირის, დევგმირის, გოლიათის, ვაჟკაცის, მამაცის მნიშვნელობით[94]. ამდენად ქაჯატუნ, ქაჯთა სახლი, ლეონტი მროველის თანახმად დევთა სახლი, შეიძლება გაეაზრებინათ გმირთა, გოლიათთა სახლადაც, მით უმეტეს, რომ აქ, მემატიანის სიტყვით, მართალია, მჴეცის მსგავსნი, მაგრამ მაინც კაცნი დაუსახლებიათ.

რაკი ლეონტი მროველისეულ, აგრეთვე რუსთაველისეულ ქაჯებსა და ძველი გაგებით გმირებს შორის შეიმჩნევა ერთგვარი ნათესაობა, ხოლო სიტყვა გმირი კიმერიელთა (გამირთა, გიმირთა) სახელწოდებისაგან მომდინარეობს და, მოსალოდნელია, უძველეს დროს გმირები მათთანვე გაეგივეებინათ, ამიტომ ქართულ ძეგლებისეულ ქაჯებში, შესაძლოა, სკვითურ-კიმერიულ ტომთა ნაშთები იგულისხმოებოდეს. ეს ვარაუდი იქნებ შეამაგროს იმანაც, რომ როგორც ზემოთ ითქვა, ჰ. დრასხანაკერტცისაც გამრები, გამირები წარმოდგენილი უნდა ჰყავდეს, როგორც «კაცნი მხეცნი», ქაჯთა მსგავსნი. სკვითურ-კიმერიული ტომებისა და ლეონტი მროველისეული, აგრეთვე ნაწილობრივ რუსთაველისეული

---

[91] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 47, 48.

[92] შდრ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 6—7.

[93] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957, გვ. 266.

[94] იხ. Ստ. Մալխասեանց, Հայերեն բացատրական բառարան, IV, Ե., 1945, გვ. 550 Հր. Աճ ա ռ յ ա ն, Հայերեն արմատական բառարան, IV, Ե., 1979, გვ. 554—555; იხ. აგრეთვე გ. მ ა მ უ ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

ქაჯების დამახასიათებელ თვისებებს შორის მსგავსებები საკმაოდ შეიძლება აღმოჩნდეს. ცხადია, იქნება განსხვავებებიც, რადგან საუკუნეების მანძილზე წარმოდგენები იცვლებოდა და ბევრი რამ ბურუსში გაეხვეოდა. ქაჯებში რომ, მართლაც, შეიძლება რომელიღაც ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იგულისხმებოდნენ, ამას იქნებ მხარს უჭერდეს სიტყვა ირონის სულხან-საბასეული განმარტებაც. სულხან საბას თანახმად, ირონი «ეშმაკთა ბუნების მქონებელია», იგივე ქაჯია[95]. როგორც ცნობილია ირონებს უწოდებენ თავიანთ თავს ოსები. ხოლო [თუ სულხან-საბასეული ირო და ირონი იგივე საბას ლექსიკონისევე იროელია[96] და უკავშირდება ბერძნულ ἥρως (hērōs)-ს, აქ შეიძლება ასახული იყოს წარმოდგენა გმირთა და ქაჯთა ნათესაობის, მსგავსების შესახებ. ეტყობა, საბასეული ირონის გაგებისათვის გასათვალისწინებელია როგორც. ერთი, ისე მეორე მხარეც.. სხვაგვარად ძნელია ახსნა, თუ რატომ გვთავაზობს საბა ირონისა და იროელის განსხვავებულ განმარტებებს.

თუკი ჰ. დრასხანაკერტცისეულ „გამრთა ქვეყანასთან“ გამრეკელთა, ასევე ქართული ძეგლებისეული ქაჯების კიმერიელებთან (გამირებთან, გმირებთან) დაკავშირება დასაშვებია, ეს თავის მხრივ. კიდევ უფრო სარწმუნოს გახდიდა ჰ. დრასხანაკერტცისეული „გამრთა ქვეყნის“ სამხრეთ საქართველოში მდებარეობას. რაც შეეხება „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანს“, იგივე „დიდ ერისთავთა-ერისთავ“ გურგენს, სამხრეთ საქართველოს არაერთი ოლქის მფლობელს, ის, როგორც ჰ. დრასხანაკერტცის „ისტორიიდან“ ირკვევა, ცდილობს თავის ძალაუფლებას დაუქვემდებაროს არა მარტო ქვემო ქართლი, არამედ ამ უკანასკნელის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალიც, კერძოდ, მისი სამფლობელოსაგან იმდენად დაშორებული „ქვეყანაც“, როგორიც იყო უტიქი. გურგენი აშოტ დიდი კურაპალატისა და გუარამ მამფალის საქმის ღირსეული გამგრძელებელი ჩანს. იგი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის დაუცხრომელ მებრძოლთაგანად უნდა მივიჩნიოთ; ამდენად, გურგენ ერისთავთერისთავი დავით დიდი კურაპალატისა და ბაგრატ III-ის ერთ-ერთი გამოჩენილი წინამორბედიცაა.

А. П. АБДАЛАДЗЕ

## ПО ПОВОДУ «СТРАН» ВУР И ГАМРОВ У ОВАНЕСА ДРАСХАНАКЕРТЦИ

Резюме


В «Истории Армении» известного армянского историка IX—X вв. О. Драсханакертци упоминаются «страны» Вур и Гамров.


---

95 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, იხ. სიტყვები ირონი და ქაჯი. აღსანიშნავია, რომ აღმ. საქართველოს მთიელთა ზოგიერთ გადმოცემაში დევები და ქაჯები გაიგივებულნი უნდა იყონ ჩრდილო კავკასიის ამა თუ იმ ტომთან — იხ. თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1957, გვ. 79, 80, 87, 91—93...

96 იხ. ე. ვირსალაძე, ქართული მითოლოგიის ისტორიიდან, ჰაერის მცველნი. ივ. ჯავახიშვილი 100, საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 431.

Вопрос о локализации этих «стран» имеет большое значение для изучения вопросов грузино-армянских взаимоотношений X в. В специальной литературе высказаны противоположные соображения по поводу локализации упомянутых «стран».

В настоящей статье сделана попытка показать на основе тщательного анализа политических обстоятельств данного периода, что «страны» Вур и Гамров локализуются в Южной Грузии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილებამ

გიორგი გაგოშიძე

# XIII ს-ის დარბაზული ეკლესია ქვემო ქართლიდან

1980 წლის გაზაფხულზე ხელოვნების მუზეუმის დაზვერვითმა ექსპედიციამ ქვემო ქართლში მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირას მიაკვლია დიდ ნასოფლარს, სამი დარბაზული ეკლესიით, რომელთაგანაც ერთ-ერთმა განსაკუთრებით მიიქცია ჩვენი ყურადღება. იგი სოფლისაგან განცალკევებით, მის დასავლეთ ნაწილში ამართულ მცირე ბორცვზე დგას, ნაგებია მუქი რუხი ფერის ქვით, შემკულია რელიეფებით და აქვს წარწერა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ეკლესიის შესახებ არაფერია თქმული. მიმდებარე სოფლების აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ ნასოფლარის სახელი არ იცის.




ნახ. 1. რუკა

ნასოფლარი მდებარეობს ბოლნისის რაიონში, სამშვილდის ქვემოთ, იქ სადაც „ქციის ხრამი ნახიდურამდე უმეტეს განიერია“[1]. სამშვილდიდან ნახიდურამდე (ნახიდური სპეციალურ ლიტერატურაში არახლოსთან არის გაი-

---

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 45.

გივებული[2]) თხუთმეტიოდე კილომეტრია. ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ხრამის ხეობის ამ მონაკვეთში ოთხი სოფელია აღნიშნული: იფნობი, ირდასუბანი, მირტაშენი და ბალახაური (ნახ. 1)[3]. ადგილზე ჩატარებული დაზვერვებისას ჩვენი ნასოფლარის დასავლეთით დაღეთხაჩინის ბოგირამდე მივაკვლიეთ ორ დიდ ნასოფლარს თავ-თავისი ეკლესიებითა და სასაფლაოებით. თუ უკიდურეს დასავლეთით მდებარე ნასოფლარს იფნობად, ხოლო მომდევნოს ირდასუბნად მივიჩნევთ, მაშინ ჩვენი ნასოფლარი მირტაშენი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ეთანხმება ნასოფლარ მუგუთის ადგილმდებარეობის გარკვევა. რუკაზე იგი ირდასუბნის პირისპირ და მირტაშნის ჩრდილო-დასავლეთითაა დატანილი. ამ სოფელში უნდა ყოფილიყო აზნაურის სასახლე და ეკლესია. მართლაც, ჩვენი ნასოფლარის ჩრდილო დასავლეთით, ხრამის მარცხენა ნაპირას, მთის ფერდზე მოჩანს დიდი ნასოფლარი კოშკითა და ეკლესიით, რომელიც მუგუთთანაა გაიგივებული[4].



სურ. I. მირტაშნის ნასოფლარის საერთო ხედი სამხრეთიდან

1721 წლის აღწერის მიხედვით, მირტაშენი ბარათაშვილების ერთ-ერთი შტოს, ყაფლანიშვილების მამულში შედიოდა[5]. ძველი საბუთების თანახმად სოფელ მირტაშნის მკვიდრი აზნაურები იყვნენ ჩაჩიკაშვილები, რომლებიც იქვე იმარხებოდნენ[6]. ერთ-ერთი მათგანი, ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი XVIII ს-ის

---

[2] დ. ბერძენიშვილი, ქვემო ქართლი, ძეგლის მეგობარი, 1972, № 30, გვ. 21.

[3] ნახაზი I გაკეთებულია ვახუშტი ბატონიშვილის რუკის მიხედვით.

[4] ი. ციციშვილი, მატერიალური კულტურის ძეგლები ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით, ძეგლის მეგობარი, № 50, 1979, გვ. 13.

[5] გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 87.

[6] სცსა, კოლექცია 1450, დავთარი 18—125. საარქივო მასალის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით ლ. გვრიტიშვილს.




ნახ. 2. მირტაშნის ეკლესიის გეგმა



ნახ. 3. ჯრილი. ხედი აღმოსავლეთით

ცნობილი მღვდელი-კალიგრაფი იყო[7]. მირტაშენი იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერაში (1794—1799) სოფლად მოიხსენიება[8], ასე რომ მისი გავერანება XIX ს-ში უნდა ვივარაუდოთ.

მირტაშნის ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ჩრდილოეთიდან მოკლე მინაშენით (საერთო ზომებია: 8,50×8,00 მ). იგი აღმართულია ბორცვზე, რომლის წვერი ხელოვნურად არის მოსწორებული და რომელსაც აწდანგრეული გალავანი ფარგლავს. ეკლესიის აღმოსავლეთით ორსართულიანი, გეგმაში სწორკუთხა მოყვანილობის კოშკი დგას. მას სამხრეთიდან უშუალოდ ებჯინება ძლიერ დანგრეული სამსათავსიანი შენობა, რომელიც ალბათ საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო. კომპლექსში შესასვლელი კარიბჭე გალავნის სამხრეთ დასავლეთ ნაწილშია გაჭრილი (სურ. 1).



ნახ. 4. ჭრილი. ხედი სამხრეთით

ეკლესია მოპირკეთებულია საგულდაგულოდ ნათალი ბაზალტის კვადრებით, რომელთა ჰორიზონტალურ წყობას ალაგ-ალაგ არღვევს უსწორო ფორმის ქვები. ეკლესიის ქვედა ნაწილში დიდრონი ქვათლილებია ნახმარი, ზევითკენ ქვათა ზომა მცირდება.

ეკლესიაში შესვლისთანავე ყურადღებას იქცევს საკურთხევლის პირზე

[7] ე. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 227.

[8] ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტოპონიმიკა, 2, თბ., 1980, გვ. 373.

აგურით ამოყვანილი კედელი, რომელიც კანკელის დანიშნულებას ასრულებდა. იგი გვიანდელი აშენებული უნდა იყოს.

ინტერიერში ქვის ზედაპირი საკმაოდ გულდასმითაა დამუშავებული და დაფარულია ბათქაშის სქელი ფენით. კამარა კედლებისაგან განსხვავებით გამოყვანილია ირიბად ჩაწყობილი უხეშად ნათალი ქვით.

იატაკის დონის დადგენა ძნელია, რადგანაც იგი მთლიანადაა გადათხრილი, აღარა ჩანს არდაბაგი. საკურთხეველი მკაცრად ნახევარწრიულია, გეგმაში ნახევრადწრიული ორი ნიშით, რომლებიც სიმაღლით აღმოსავლეთი სარკმლის თაღს უტოლდებიან (ნახ. 2, 3).

ცენტრალური საყრდენი თაღი ეკლესიის კამარას ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს. იგი დამყარებულია შეკიდულ პილასტრზე. სამხრეთ კედელზე ამგვარი კონსტრუქციის გამოყენება გამართლებულია, რადგანაც იგი უშუალოდ კარის ღიობის თავზეა, ჩრდილო კედელზე კი იგი სიმეტრიულად არის გადატანილი. საყრდენ თაღებს შორის გადაყვანილია ოდნავ შეტეხილი კედლისპირა დეკორატიული თაღები. პილასტრები შემკულია სადად პროფილირებული იმპოსტებით (ნახ. 4).



ნახ. 5. აღმოსავლეთის ფასადი

ეკლესიას ოთხი სარკმელი აქვს: ორი აღმოსავლეთ მხარეს, მთავარ აფსიდსა და ჩრდილო მინაშენში, დანარჩენი ორი კი — დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში. ოთხივე სარკმელი შიგნიდან გარეთკენ ვიწროვდება. სამხრეთ კედელში გარედან სწორკუთხა, შიგნით კი თაღოვანი კარია გაჭრილი. ასეთივეა ჩრდილო მინაშენის შესასვლელი კარი, რომელიც უშუალოდ ეკლესიის აფსიდს ებჯინება (ნახ. 2).

ჩრდილოეთის მინაშენი ეკლესიის თანადროულია, მისი ინტერიერი დაბალი და განიერია, შელესილობის გარეშე. სარკმლის ქვეშ კედლიდან გამოწეული თაროა, რომელიც ალბათ ტრაპეზის დანიშნულებას ასრულებდა. საკურთხევლის ჩრდილო კედელში მცირე თაღოვანი ნიშაა დატანებული (ნახ. 3). მინაშენის კონქისა და ეკლესიის ჩრდილო კედლის სისქეში გამოყვანილია მცირე ზომის სათავსი-სამალავი (ნახ. 2). მასში შესასვლელი ეკლესიის საკურთხევლის ჩრდილო ნიშის ზედა ნაწილშია გაჭრილი. ეს სწორკუთხა ხვრელია, რომელიც ქვით იფარებოდა. სამალავის გეგმა არასწორი ფორმისაა. ეკლესიის კონქისაკენ სამალავი თანდათან მაღლდება და ვიწროვდება.



ნახ. 6. დასავლეთის ფასადი

ეკლესია დგას სწორკუთხა ფორმის ხარისხზე. კარნიზი ლილვის, წრეთარგისა და თაროსაგან შედგება და შეუმკობელია, ეკლესია გადახურულია დიდი ზომის ბაზალტის ლორფინებით. სახურავის კალთები ზომიერადაა დახრილი.

აღსანიშნავია, რომ მირტაშნის ეკლესია სრულიად მოკლებულია ორნამენტულ დეკორს. სადადაა დატოვებული სარკმლის საპირეები და კარის ტიმპანი, სამაგიეროდ საკმაო რაოდენობითაა რელიეფური დეკორი (ნახ. 5, 6; სურ. 4).

ეკლესია სამი მხრიდანაა შემკული. ყველაზე სადღესასწაულოდ აღმოსავლეთი ფასადი გამოიყურება, რომლის კომპოზიციურ ცენტრს სარკმელი წარმოადგენს (ნახ. 5). სარკმელი შემოზღუდულია გლუვი ამოზნექილი ზედაპირითა და სადა ლილვებით, რომლებიც კვადრატული ბაზა-იმპოსტებით და



სურ. 2. დასავლეთის ფასადი, სარკმელი

ბურთულებით არის გაფორმებული. სარკმლის მოჩარჩოება „დასმულია“ დეკორატიულ ნახევარსვეტთა კონაზე. სარკმელს სამი დაწახნაგებული კოპი ამშვენებს. ცენტრალურ კოპს „ეყრდნობა“ რელიეფური ჯვარი, რომელიც ეკლესიის ფრონტონის წვეტამდე გრძელდება. ჯვრის ჰორიზონტულ მკლავებს ზევით გამოსახულია ორი ფრთაგაშლილი ანგელოზი, მათ ქვევით კი, მარცხნივ — თევზის რელიეფი. ამავე ფასადზე, ჯვრისაგან მარცხნივ (სამხრეთით) ჩასმულია გალატოზის რელიეფი წარწერით (სურ. 3).

ჩრდილოეთი მინაშენის აღმოსავლეთ სარკმელს სადა საპირე ამკობს, რომლის გაშვერილ კიდეებზე ორი პატარა ჯვარია „შესმული“ (ნახ. 5; სურ. 5).

დასავლეთი ფასადი აღმოსავლეთის მსგავსად არის შემკობილი, იმ განსხვავებით, რომ აქ სარკმლის მოჩარჩოებას დეკორატიულ ნახევარსვეტთა კონა არ გააჩნია, სარკმლის თაღს ზევით მოთავსებული სამი კოპიდან ცენტრალურს რელიეფური ჯვარი ადგას, მის მარჯვნივ (სამხრეთით) სამკუთხა ქვაზე მამაკაცის ფიგურაა გამოსახული. რელიეფზე ორი ასოა ამოკვეთილი: „შ ნ“. კოპებს ქვევით თითო ჯვარია გამოსახული (ნახ. 6).

სამხრეთი ფასადის შემკობაც კარ-სარკმლის გარშემოა თავმოყრილი. კარი ოდნავ დასავლეთითაა გაჭრილი და ისევეა მორთული ლილვებით, კვად-

რატებით და ბურთულებით, როგორც სარკმლები. კარისაგან აღმოსავლეთით მდებარე პატარა სარკმელს გარს შემოუყვება სწორკუთხა საპირე (სურ. 4, 6).

ჩრდილო ფასადი შეუმკობელია.

წარწერიანი ქვის ფილა (ზომა 45×85 სმ) ჩადგმულია აღმოსავლეთ ფასადში, რელიეფური ჯვრის მარცხნივ (ნახ. 7; სურ. 3). ამავე ქვაზეა ამოკვეთილი მამაკაცის ფიგურა წერაქვით და გონიოთი ხელში. როგორც ჩანს, მო-



სურ. 3. აღმოსავლეთის ფასადი, რელიეფური ჯვარი ანგელოზებით, გალატოზთუხუცესი

ქანდაკეს ჯერ რელიეფი ამოუკვეთია, ხოლო შემდეგაა შესრულებული წარწერა, რომლის ყველა ასოს მოხაზულობა გარკვევით ჩანს. მიუხედავად ამისა წარწერის წაკითხვა მაინც დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, იმდენად თავისებური და ხშირად დამახინჯებულიც კია გრაფემები. წარწერის პალეოგრაფია მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი სხვა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისაგან და მთლიანობაში გაკრული ხელით ნაწერის შთაბეჭდილებას ახდენს. ამასთან წარწერაში ნახმარი ასო-ნიშნების



სურ. 4. სამხრეთის ფასადი

უმეტესობას სწორედ ხელნაწერ სიგელ-გუჯრების პალეოგრაფიაში ეძებნებათ ანალოგიები. მხედრულთან ერთად წარწერაში ნუსხური ასოებიცაა ნახმარი. წარწერის დასაწყისში ჯვარია დასმული. ტექსტი მთავრდება ჰორიზონტალური სწორი ხაზით, რაც დაბოლოებას უნდა ნიშნავდეს. ქარაგმებიც სწორი ხაზით არის გამოსახული. პირველი ქარაგმა ტექსტის პირველ ასოს, უჩვეულო ფორმის „ქ“ და მის მომდევნო „შ“ გრაფემას შორისაა მოქცეული, რაც არაბუნებრივია ქართული წარწერებისათვის.

წარწერა ხუთსტრიქონიანია. იგი ასე იკითხება:



სურ. 5. აღმოსავლეთის ფასადი, ეკლესიის ჩრდილო მინაშენის სარკმლის შემკულობა

„ქ(რისტე) შემ(ი)წყ(ალ)ე დბზ გ(ა)ლ(ა)ტოზთუხ(უ)ცესი“. ამგვარი „შ“ მრავლად გვხვდება X—XI ს-ის და მომდევნო ხანის წარწერებში (მაცხვარიშის ხის კარის, ზემო კრიხის, პატარა ონის წარწერები და სხვ.[9]), ასეთივე „შ“ არის ამოკვეთილი მირტაშნის ეკლესიის დასავლეთი ფასადის რელიეფზეც (ნახ. 8). „წ“, „ტ“, „დ“, „ლ“, „ც“ გრაფემები მხედრულია და პალეოგრაფი-

[9] ვ. სილოგავა, ლაპიდარული წარწერები, თბ., 1980, გვ. 51, 86, 105.

ულად ჰგავს XI—XII საუკუნეებში (1058, 1072 და 1175 წწ.) ბაგრატ III, გიორგი II და გიორგი III მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის ნაბოძებ სიგელ-გუჯრებს, „დ“-ს პარალელი ცაიშის სამშენებლო წარწერაშიც ეძებნება (XII ს-ის მეორე ნახევარი)[10]. „თ“ ნუსხურია და შეცდომით უკუღმაა ამოკვეთილი. ამგვარი თანი ნახმარია ოქრობაგეთის (934 წ.)[11] და ზემო კრიხის სამხრეთი მინაშენის სამხრეთი კედლის (XII ს) წარწერებში[12]. „ზ“ და „ბ“ ასონიშანს ქართულ პალეოგრაფიაში პარალელი ვერ ვუპოვეთ.



სურ. 6. სამხრეთის ფასადი, კარი

წარწერის მეორე სტრიქონში დაქარაგმებული „დბზ“ ან გალატოზთუხუცესის სახელი უნდა იყოს ან რომელიმე გეოგრაფიული პუნქტის დასახე-

---

10 ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, სქემა; ვ. სილოგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

11 ნ. შოშიაშვილი, ლაპიდარული წარწერები, თბ., 1980, გვ. 307.

12 ვ. სილოგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

ლება[13]. ქვემო ქართლში დიდი გომარეთის XI ს-ის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებულია ვინმე მიქელ ხუც გალატოზი, რაც გალატოზთა მოძღვარს, მათ ზემდგომს, რანგით უფროს გალატოზს ნიშნავს[14]. როგორც ჩანს, მოგვიანებით (XII—XIII ს-ში) „ხუც გალატოზი“ შეიცვალა ტერმინით „გალატოზუხუცესი“. მირტაშნის მსგავსი წარწერაა შორეთის მონასტრის (XIII—XIV სს) სამხრეთ კედელზე, სადაც ნიკოლოზ გალატოზთუხუცესია მოხსენიებული[15].

აღმოსავლეთ ფასადზე რელიეფური ჯვრის გარშემო გამოსახულია ანგელოზები და თევზი (ნახ. 5; სურ. 3). ისინი აზრობრივად ერთ კომპოზიციას უნდა წარმოადგენდნენ. თევზის, როგორც ქრისტეს სიმბოლოს გამოსახვა



ნახ. 7. გალატოზთუხუცესის რელიეფი

ხშირია ადრე შუა საუკუნეების სახვით ხელოვნებაში. მას ვხვდებით კატაკომბების ფერწერაში, ადრეულ მოზაიკებში, სხვადასხვა საკულტო ნივთებზე; სკულპტურაში კი ნაკლებად გვხვდება. საქართველოში ამ ქრისტიანული სიმბოლოს უადრესი გამოსახულება გვაქვს ბიჭვინტის სანათლავის V—VI საუკუნეთა მიჯნის მოზაიკაში,[16], VI—VII საუკუნეთა მიჯნის სარკმლის ფილაზე ანაკოფიიდან[17], მაგრამ ჩვენი ძეგლის უახლოეს პარალელს თელოვანის ჯვარპატიოსნის დასავლეთი კარის სამხრეთი კედლის ფილის კომპოზიცია წარმოადგენს, რომელზედაც მრავალ სხვა ფიგურასთან ერთად თევზიც არის გამოსახული, იგი გამოქანდაკებულია ლათინური ჯვრის რელიეფის ქვეშ. ნ. ალადაშვილი ამ კომპოზიციას მართებულად ჯვარცმის სიმბოლურ გამოსახულებად

---

[13] დობეიზ ან დუბეიზ არაბული წარმოშობის ცნობილი საკუთარი სახელია. ასე მაგალითად დობეიზ იბნ სადაყი დიდგორის ომის ერთ-ერთი მონაწილე და ანტიქართული კოალიციის წევრი იყო. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 202; ქ. ც. I, თბ., 1955, გვ. 340.

[14] დ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 5.

[15] Е. Такайшвили, МАК, XII, 1909, გვ. 12.

[16] Л. Шервашидзе, Пицундская мозаика, დიდი პიტიუნტი, III, თბ., 1978, გვ. 185, ტაბ. 143, 144, 151, 152.

[17] Л. Г. Хрушкова, Скульптура раннесредневековой Абхазии, Тб., 1980, გვ. 31. ტაბ. XVII, 2.

მიიჩნევს, რადგანაც ჯვარცმის სცენაში ზოგიერთ შემთხვევაში ჯვარი ცვლიდა ჯვარცმული ქრისტეს გამოსახულებას, ხოლო თევზი კი თვით ქრისტეს სიმბოლო იყო[18]. თელოვნის ფილა ისევე როგორც თვით ჯვარპატიოსნის ეკლესია VIII—IX სს-ით თარიღდება. ანალოგიური სცენა უნდა იყოს გამოსახული მირტაშნის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სადაც რელიეფური ჯვარი და მის ქვეშ მოთავსებული თევზი ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლოდ მიგვაჩნია, ხოლო ჯვრის ჰორიზონტულ მკლავზე „მოფარფატე“ ანგელოზები ამ კომპოზიციის წევრებია, რომელთა გამოსახვა ჯვარცმის სცენაში ხშირია XII საუკუნეში[19].

ამავე ფასადის წარწერიან ქვაზე, რელიეფური ჯვრის მარცხნივ გამოქანდაკებულია გალატოზთუხუცესი (ნახ. 7; სურ. 3). ფიგურა ფრონტალურია, მისი დიდი მხრებში ჩამჯდარი თავი მოკლედ შეჭრილი თმითა და მკერდზე დაცემული სამკუთხა წვერითაა შემოსილი. თვალები და ცხვირი ოდნავ ამოწეულია სახის ზედაპირიდან. მარცხენა ხელი მხრის სიმაღლეზე აქვს აწეული და გონიო უპყრია, მარჯვენაში კი ორწვერიანი წერაქვი — წალკატი უჭირავს[20]. მოსავს კოჭებამდე ჩაშვებული, წელში გამოყვანილი და ბოლოგაგანიერებული კაბა, რომელსაც მარჯვენა კალთა სწორკუთხად აქვს შეჭრილი. კალთაშეჭრილი და წელში გამოყვანილი კაბა მოსავს ლაშა გიორგის ბერთუბნის[21] და ყინწვისის[22] მოხატულობებში (XIII ს-ის დასაწყისი); ოზაანის კტიტორებს (XIII ს): ჰარიჭა-ვანქის აღმოსავლეთ ფასადზე გამოქანდაკებულ ზაქარია და ივანე მხარგრძელებს (1201 წ.)[23]. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლი XIII ს-ით თარიღდება. გალატოზთა და ოსტატთა რელიეფები საქართველოში არცთუ მრავლად შემორჩენილა, გაცილებით მეტია მათი მოსახსენებელი წარწერები. •მირტაშნის გალატოზთუხუცესს პარალელად საფარის წმ. საბას ეკლესიის ხუროთმოძღვრის ფარეზასძის წელსზეითი რელიეფი გამოადგება (XIII ს). იგი ამოკვეთილია ეკლესიის მოდელის მსგავს კეხის ქვაზე, ხელში გონიოთი და წერაქვით[24].

მირტაშნის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე რელიეფური ჯვრის მარცხნივ, სამკუთხა ქვაზე გამოსახულია საერო პირი. რომელსაც ხელები განზე აქვს გაშლილი, თავი მხრებში აქვს ჩასმული; მარჯვენაში ტუჩიანი დოქი უჭირავს, მარცხენაში ქოთნის მსგავსი ჭურჭელი. მოსავს გალატოზთუხუცესის მსგავსი, ოღონდ მუხლებამდე დაშვებული კალთაშეჭრილი კაბა (ნახ. 8). რელიეფის ზედა მარჯვენა კუთხე ჩამოკვეთილია ისე, რომ გამოსახულების თავი შუაზეა გადაჭრილი (ეკლესიის ამ ნაწილს შეკეთების კვალი ამჩნევია). ამ გამოსახულების უახლოესი პარალელი გრიგოლ გალატოზის რელიეფია, რომელიც გერგეტის სამების სამრეკლოს (XIV ს) დასავლეთ ფასადზეა გამო-

---

[18] Н. А. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М., 1977, გვ. 68, ტაბ. 64.

[19] Е. Л. Привалова, Роспись Тимотесубани, Тб., 1980, გვ. 79.

[20] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 442.

[21] Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид Гареджи, Тб., 1948, ტაბ. 108.

[22] ო. ფირალიშვილი, ყინცვისი, თბ., 1979, ტაბ. 39, 41.

[23] Н. Степанян, А. Чакмакчян, Декоративное искусство средневековой Армении, Л., 1971, ტაბ. 45.

[24] ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, ტაბ. 33.

კვეთილი, მასაც „უცნაურად აქვს განზე გაშვერილი ხელები“[25], რომლებშიც გონიო და შვეული უჭირავს, მოსავს ბოლოებგაგანიერებული და სარტყელშემოვლებული გრძელი კაბა. სამწუხაროა, რომ მირტაშნის ამ მეორე რელიეფის წარწერა დაზიანებულია და არ იკითხება. საფიქრებელია, რომ ეს პიროვნება აღმოსავლეთ ფასადზე გამოსახული გალატოზთუხუცესის ახალგაზრდა (უწვერული) თანაშემწე იყო[26].



ნახ. 8. რელიეფი საერო პირის გამოსახულებით

ერთ ეკლესიაზე ორი ოსტატის გამოსახვა უჩვეულო არ არის ქართული ხუროთმოძღვრებისათვის. მირტაშნის მახლობლად, მაშავრის ხეობაში დავითსაგარეჯოს ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, ერთმანეთის გვერდით გამოსახულია ორი გალატოზის რელიეფი. მარცხნივ მდგომს გონიო უჭირავს, მარჯვენას კი — წერაქვი. ლევან მუსხელიშვილი ამ ეკლესიას XIII—XIV სს-ით ათარიღებს[27]. ასევე ორ-ორი გალატოზის (გიორგის და ფადლონის, იოვანესი და გაბრიელის) წარწერებია ამოკვეთილი ჯრუჭისა (XI ს.) და ლაბეჭინას (XI—XII სს.) ეკლესიებზე[28].

მირტაშნის ორივე რელიეფი დაბალია, ისინი მცირედ არიან ამოწეულნი ფონიდან, დაუნაწევრებელ სიბრტყით ზედაპირს ქმნიან და აპლიკაციის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ფორმათა მოდელირების არავითარი ცდა, ერთ სიბრტყეშია გამოკვეთილი სხეულის სხვადასხვა ნაწილი. რელიეფი უკიდურესად სადაა და სქემატური, დეტალიზაციის გარეშე, გადმოცემულია მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ნაკვთები: სამკუთხა წვერი, დიდი თავი, მოკლედ დაყენებული თმა, კალთაშეჭრილი კაბა. სტილისტური ნიშნებით მირტაშნის რელიეფები საერთოს პოულობენ საფარის ფარეხასძის და გერგეტის გრიგოლ გალატოზის გამოსახულებებთან, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც აღი-

[25] თ. სანიკიძე, გერგეტი, თბ., 1975, გვ. 80, სურ. 21; გვ. 113, სქოლიო III, ტაბ. 38.

[26] ამგვარივე მხოლოდ ზურგზე ჭურჭელმოკიდებული წყლის მზიდავის რელიეფი გამოსახულია ქოროღლის ეკლესიის დასავლეთ ფასადის კარნიზის მეოთხე ქვაზე. Р. С. Меписашвили, Рельефы рубежа X—XI вв. со сценами строительства в храме Корого, Советская археология, 1969, №4, გვ. 225.

[27] ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941, გვ. 33—34.

[28] ე. სილოგავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 156—157, 166—167.

ნიშნება: მირტაშნის გალატოზებს გერგეტისა და საფარის გალატოზთაგან განსხვავებული კაბები მოსავს. ამგვარი წელში გამოყვანილი და კალთაშეჭრილი კაბები, როგორც ჩანს, ლაშა გიორგის დროისა და უშუალოდ მისი მომდევნო ხანისათვის არის დამახასიათებელი. (იხ. ზემოთ სქოლიო 21—23)[29]. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მირტაშნის რელიეფები ცოტათი უფრო ადრეა შექმნილი ვიდრე გალატოზთა ზემოთ ნახსენები გამოსახულებანი.

დარბაზული ეკლესიები ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტიპია ქართულ ხუროთმოძღვრებაში, ისინი შენდებოდნენ ქართული ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების მთელს მანძილზე, უადრესი ხნიდან ვიდრე გვიანშუასაუკუნეებამდე. ამ ხნის განმავლობაში დარბაზული ეკლესიები, განსხვავებით გუმბათოვანი არქიტექტურისაგან, ნაკლებ მნიშვნელოვნად შეიცვალნენ. მირტაშნის ეკლესიის გეგმა (ნახ. 2) გართულებულია ჩრდილოეთიდან მიშენებული სათავსით, რომელიც ეკლესიის თანადროულია. ქართულ ეკლესიებში პასტოფორიუმების გაჩენას მკვლევრები VI ს-ის პირველ ნახევარში ვარაუდობენ[30], რაც ლიტურგიკაში მომხდარი ცვლილებებით აიხსნება. ჩვენში მინაშენით გართულებული დარბაზული ეკლესიის ერთ-ერთი უადრესი ნიმუში მანხუტის (სარაჩლო) ზედა ეკლესიაა (V—VI სს-ის მიჯნა)[31], რომელიც გეგმის მოხაზულობით მირტაშნის ეკლესიის უახლოესი პარალელია, თუმცა ეს ფაქტი მათ ქრონოლოგიურ სიახლოვეზე სრულიადაც არ მეტყველებს[32]. ეს არ არის ერთადერთი პარალელი ჩვენი ძეგლისათვის; ასეთივე გეგმარება აქვს კვარშას (VII—VIII სს)[33], გუდარეხის[34], თირის (XIII ს-ის დასასრული)[35] ეკლესიებს.

განვითარებული შუა საუკუნეების პატარა დარბაზულ ეკლესიებშ რომელთაც მინაშნები არა აქვთ) სამკვეთლოსა და სადიაკვნის ფუნქციას უმეტეს შემთხვევაში საკურთხეველში დატანებული ნიშები ასრულებდნენ.[36] ნიშები აქვს მირტაშნის ეკლესიასაც, ამგვარი მაღალი ნიშები უფრო დამახასიათებელია დიდი ტაძრებისათვის,[37] მაგრამ მათ დარბაზულ ეკლესიებშიც აკეთებდნენ: ხცისი (1002 წ)[38],

---

[29] ლაშა გიორგის კოსტუმს თ. ვირსალაძე მაცხვარიშში გამოსახული დემეტრე მეფის კაბას ადარებს და მიაჩნია, რომ იგი სამხედრო და სადღესასწაულო სამოსია, რომელსაც იმ ეპოქაში მეფე და დიდგვაროვნები ატარებდნენ. Т. В. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, ქართული ხელოვნება, № 4, თბ., 1955, გვ. 184, 185.

[30] Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, «Известия» Института языка, истории и материальной культуры им. Н. Я. Марра, Тб., 1940, გვ. 126.

[31] Н. Г. Чубинашвили, Шашианис Самеба, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი (მოხსენება), თბ., 1983, გვ. 13.

[32] როგორც ცნობილია, მარტო გეგმებზე დამყარებული ტიპოლოგიით დარბაზული ეკლესიების ქრონოლოგიის დადგენა შეუძლებელია. Н. Г. Чубинашвили, Церовани, Тб., 1976, გვ. 6, სქოლიო 1.

[33] იქვე, ტაბ. 18.

[34] იქვე, ტაბ. 37.

[35] ნ. ანდღულაძე, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976, ტაბ. 1.

[36] Р. О. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тбилиси, 1962, გვ. 20.

[37] Р. О. Шмерлинг, Постройка Моларет-ухуцеса царя Георгия Блистательного в селе Даба, Боржомского района, ქართული ხელოვნება, № 2, თბ., 1948, გვ. 13.

[38] Р. О. Шмерлинг, Древний Цвимоетский храм близ сел. Хциси, ქართული ხელოვნება, № 4, თბ., 1955, სურ. 1—3, ტაბ. 54.

სავანე (1046 წ)[39], კაბენის მცირე ეკლესია[40], მწვანე საყდარი (ორივე თამარის ეპოქა)[41], დაბის წმ. გიორგი (XIV ს-ის 1 ნახ.)[42], აბელია (1250-1259 წწ)[43], გავეთი (XIII—XIV სს-ის მიჯნა)[44], ყორანთა (XIII—XIV სს მიჯნა)[45] და სხვა.

ჩვენ გვიძნელდება დაზუსტებით მსჯელობა იმაზე თუ რა დანიშნულება ჰქონდა მირტაშნის ეკლესიის ჩრდილო სათავსს, შესაძლებელია იგი არა სამკვეთლო ან სადიაკვნე, არამედ გარკვეული ლიტურგიული დანიშნულების სამლოცველო-ეკვდერიც იყო[46]. ერთი რამ აშკარაა, რომ დიდ გუმბათოვან ტაძრებში (სამთავისი[47], იკორთა[48], ტიმოთესუბანი[49], ფიტარეთი[50], ლარგვისი[51], ცაიში[52] და სხვ.). თანაარსებობენ პასტოფორიუმები და საკურთხევლის მაღალი ნიშები, რაც მშენებლობის გარკვეულ ტრადიციასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ეკლესიის ინტერიერი მოკლეა და ზეაზიდული, პროპორციით XIII ს-ის II ნახევრის ძეგლებს წყორძასა[53] და გავეთს[54] წააგავს. სიმაღლისაკენ სწრაფვის აღქმას ხელს უწყობს შეკიდული პილასტრები და მათზე დამყარებული მზიდავი თაღის შეტეხილი ფორმაც (ნახ. 3, 4). ამგვარი შეკიდული პილასტრები ფუძნარის ეკლესიის საკურთხევლის ბემასა (XIII ს-ის I ნახ.)[55] და დაბის წმ. გიორგის (XIV ს-ის I ნახ.)[56] დასავლეთ ნაწილში გვხვდება. ეკლესიის შიგა სივრცე სადად პროფილირებული იმპოსტებითაა შემკული, რომ-

---

[39] ვ. ბ ე რ ი ძ ე, სავანე, ქართული ხელოვნება, № 1, თბ., 1942, გვ. 81; სურ. 4.

[40] Р. О. Ш м е р л и н г, Постройка Моларет-ухуцеса..., გვ. 144.

[41] იქვე.

[42] იქვე, გვ. 112, სურ. 2.

[43] ი. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ აბელიაში, მაცნე, 1968, ტაბ. X.

[44] ვ. ბ ე რ ი ძ ე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 182. სურ. 53.

[45] ი. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, ყორანთა — შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლი, მაცნე, № 3, 1966, ტაბ. VIII.

[46] მირტაშნის მსგავსი გეგმარება აქვს ქობაირის მონასტრის მთავარ ტაძარს (XIII ს-ის შუა ხანები), სადაც ჩრდილო მინაშენი შანშე მხარგძელის და მის შთამომავლათა საგვარეულო ეკვდერია. ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, საკურთხევლის მოხატულობის სქემის ზოგი თავისებურება, XIII საუკუნის ქართულ კედლის მხატვრობაში, მაცნე, ისტორიის სერია, № 4, 1981, გვ. 88, 90; О. Х Х а л п а х ч ь я н, Гражданское зодчество Армении, М.,, 1971, გვ. 38, სურ. 16.

[47] ვ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალური-გუმბათოვანი არქიტექტურა, I, თბ., 1975, ტაბ. 4.

[48] იქვე, ტაბ. 76.

[49] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, 2, თბ., 1978, ტაბ. 42.

[50] იქვე, ტაბ. 54.

[51] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა 3, თბ., 1981. ტაბ. 152.

[52] იქვე, ტაბ. 50.

[53] ვ. ბ ე რ ი ძ ე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 177, სურ. 49.

[54] იქვე, გვ. 1982, სურ. 53.

[55] Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Кахетии, ალბომი, თბ., 1956, ტაბ. 336.

[56] Р. О. Ш м е р л и н г, Постройка Моларет-ухуцаса..., გვ. 113, სურ. 3, 4.

ლებიც პარალელს XIII—XIV სს-ის ძეგლებთან, განსაკუთრებით კი XIV ს-ის 30-იან წლებში აგებული გერგეტის სამების იმპოსტებთან ნახულობენ[57].

განვითარებულ შუა საუკუნეებში ეკლესიათა კედლების გაფორმებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ეპოქის ნორმებს არც მირტაშნის ოსტატი ჩამორჩა. იგი მეტი გულმოდგინებით რთავს აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადებს, სადაც რელიეფებსაც ათავსებს. (ნახ. 5, 6; სურ. 2,3). ეკლესიის ფასადების დეკორი მხატვრულად დაუსრულებელი გვეჩვენება, სადადაა დატოვებული კარ-სარკმლის საპირეები, ტიმპანი (სურ. 6), რომლებიც XII—XIII ს-ის ძეგლებში უმეტესად ჩუქურთმით არის ხოლმე შემკული მაგრამ არსებობს XIII ს-ის რიგი ძეგლებისა. რომლებშიც უარყოფილია ორნამენტული დეკორი. ესენია: განძის ორი ეკლესია, შალვა ახალციხელის აგებული (1190-1202 და 1202—1215)[58], აბელიის (1250—1259)[59], გელათის წმ. ნიკოლოზის ეკლესია (XIII ს-ის ბოლო წლები)[60] და სხვა. ჩვენ შემთხვევაში ორნამენტული დეკორის არასებობა შეიძლება აიხსნას ან ქტიტორის უსახსრობით ანდა მასალის — ბაზალტის— კვეთის სიძნელით. აღსანიშნავია, რომ განძის ზემოხსენებული ეკლესიებიც ბაზალტითაა აგებული.

მირტაშნის აღმოსავლეთი ფასადის მთელი კომპოზიცია სიგრძივ ღერძზეა განაწილებული, რომლის მაორგანიზებელი ცენტრი სარკმელი და მის თავზე გამოსახული რელიეფური ჯვარია. სარკმელი შეწყვილებული ლილვების კონას ეყრდნობა (ნახ. 5). ფასადთა ამგვარი შემკულობა ტიპიურია XIII ს-ის გუმბათოვანი ძეგლებისათვის, მაგრამ დარბაზულ ეკლესიებშიც გვხვდება. ეს ელემენტი პირველად XI ს-ში სამთავისის აღმოსავლეთი ფასადის დეკორში ჩნდება[61]. იკორთის გრძივ ფასადებსა (1172 წ.)[62] და მაღალაანთ ეკლესიაზე (XII-XIII სს-ის მიჯნა)[63] სარკმლები შეწყვილებულ ლილვებზეა დაყრდნობილი (დიდი დეკორატიული რომბების გარეშე, რომლებიც სამთავისშია წარმოდგენილი), ისინი ჩართულნი არიან დეკორატიულ თაღოვან სისტემაში, რომელიც Xს-ის დასასრულს ჩამოყალიბდა. სარკმლის მორთულობის ეს მოტივი გამოყენებულია ბეთანიის მცირე ეკლესიაზე (1196)[64], დმანისის ეკლესიის კარიბჭეზე (1213—1222 წწ.)[65],

---

57 თ. სანიკიძე, გერგეტი, თბ., 1975, გვ. 76, ნახაზ. № 6.

58 გ. ოთხმეზური, XII—XIII სს-ის მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981, გვ. 133, ტაბულების აღწერილობა, ტაბ. XVII, XVIII.

59 ი. გომელაური, ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ აბელიაში, ტაბ. I—III, IX, X.

60 რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე, გელათი (ფოტოალბომი), თბ., 1982, გვ. 9, ტაბ. 24, 26.

61 პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი..., 1, ტაბ. 8.

62 იქვე, ტაბ. 79, 80, 94.

63 ვ. ბერიძე, მაღალაანთ ეკლესია, ქართ. ხელოვნება, № 5, თბ., 1959, გვ. 210, სურ. 5.

64 R. Mepisaschwili, W. Zinzadze, Die Kunst des alten Georgien, Leipzig, 1977, გვ. 198.

65 Н. П. Северов. Памятники грузинского зодчества, М., 1947, გვ. 63, ტაბ. 51.

სათხის ეკლესიის სტოის ფასადებზე (XIII ს-ის I მეოთხედი)[66], ახტალის დარბაზულ ეკლესიაზე (XIII ს-ის I ნახ.)[67], თბილისის ნარიყალის ტაძარზე[68], მეტეხზე (1278-1289), მწვანე საყდარზე (თამარის ეპოქა)[69], ლაბეჭინის (XIII ს.)[70], ერთაწმინდის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე (XIII ს-ის შუა ხანებში)[71], ხობის (XIII ს-ის II ნახ.)[72], თირის მონასტრის (XIII ს-ის ბოლო წლე ბი)[73], ტყემლოვანის (XIII ს-ის ბოლო)[74], ცაიშის (XIII—XIV სს-ის მიჯნა)[75] და ისრითის (XV ს-ნე)[76] ეკლესიებზე. როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებიდან ჩანს ლილვებზე «დაყრდნობილი» სარკმელი ძირითადი XIII ს-ის ხუროთმოძღვრებისათვის არის დამახასიათებელი.

ლილვების გრეხილი ზედაპირი ზედ დაყოლებული „ცრემლების“ მოტივით, რომელიც XI ს-ში გაჩნდა, XIII ს-ში თითქმის სულ განდევნა გლუვზედაპირიანმა ლილვებმა. მირტაშნის ეკლესიის აღმოსავლეთი და დასავლეთი სარკმელი ერთნაირი სადა საპირეთი, კვადრატული ბაზა—იმპოსტებითა და ბურთულებით არის გაფორმებული (ნახ. 5, 6) სარკმლის შემკულობის ამგვარი სისტემა ფართოდაა გავრცელებული ჩვენში XII ს-ის დასასრულსა და XIII ს-ის I ნახევრის ძეგლებზე (იკორთა,[77] მაღალაანთ ეკლესია[78], ლურჯი მონასტერი[79], ბეთანია[80], ქვათახევი[81], წულრულაშენი[82] და სხვა); გვხვდება XIII ს-ის II ნახევარშიც თირი, [83] ხობი[84], ერედვის სტოა[85]) და რამდენადმე შეცვლილი სახით მომდევ-

---

66 ვ. დ ო ლ ი ძ ე, სათხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, № 7. თბ., 1971, გვ. 139, სურ. 4.

67 პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა. ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი..., 2, ტაბ. 10.

68 ტ. კ ი პ ა რ ო ი ძ ე, თბილისის ღედაციხის ტაძრის გრაფიკული რეკონსტრუქციისათვის, ძეგლის მეგობარი, № 38, გვ. 14, 15.

69 ვ. ბ ე რ ი ძ ე, რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, რ. შ მ ე რ ლ ი ნ გ ი, თბილისის მეტეხის ტაძარი, თბ., 1969, გვ. 46, სურ. 10; გვ. 50, სურ. 13; ტაბ. 82; ტაბ. 11; გვ. 54, სურ. 162.

70 დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ე, მ. ს უ რ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ლ. ჭ უ რ ღ უ ლ ი ა, ლეჩხუმი, თბ., 1983, გვ. 48, ტაბ. XXVIV.

71 ი. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, ერთაწმინდა, თბ., 1976, ტაბ. $3_1$, ტაბ. $8_1$.

72 Н. П. С е в е р о в. დასახ. ნაშრომი, გვ. 123, ტაბ. 122.

73 ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VII, XII.

74 Р. О. Ш м е р л и н г, Малые формы..., გვ. 192.

75 პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი..., 3, ტაბ. 52, 59.

76 გ. ყ ი ფ ი ა ნ ი, წმინდა გიორგის ეკლესია სოფ. ისრითიდან, ძეგლის მეგობარი, № 47, 1979, გვ. ნახ. 3; ფოტო 2; გვ. 48, ნახ. № 5.

77 პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი..., 1, ტაბ. 74, 82. 83, 84.

78 ვ. ბ ე რ ი ძ ე მაღალაანთ ეკლესია..., გვ. 210, სურ. 5; გვ. 211, სურ. 6; გვ. 212, სურ. 7; ტაბ. 114, 115, 116.

79 ვ. ბ ე რ ი ძ ე, თბილისის „ლურჯი მონასტერი“, ქართული ხელოვნება, № 2, თბ., 1948, ტაბ. 49.

80 პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი..., 2. ტაბ. 5—9, 12—14, 16.

81 იქვე, ტაბ. 22, 24, 25, 30, 32.

82 იქვე, ტაბ. 81, 85—90, 97—99, 101.

83 ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VI, XIII, XIX.

84 Н. П. С е в е р о в, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 123.

85 რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, № 4, თბ., 1955, გვ. 120, სურ. 14; ტაბ. 33, 35.

ნო პერიოდის ძეგლებზე (საფარა[86], გავეთი[87], ზარზმა[88], ცაიში[89], ხეითის საბა-წმინდის აღმოსავლეთი ფასადი[90] და სხვა).

კოპებს, როგორც ფასადის მორთულობას, ადრეც იყენებდნენ, მაგრამ XIII ს-ის დასაწყისიდან ისინი უფრო მეტადაა გავრცელებული. მირტაშენს ლილვებშემოვლებული, სადა დაწახნაგებული კოპები აქვს (სურ. 2) და პარალელს აჭის ეკლესიასთან პოულობს (XIII ს-ის დასასრული)[91]. კოპები აკავშირებს სარკმელს რელიეფურ ჯვართან. დიდი რელიეფური ჯვრები ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის სისტემაში პირველად სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე განხორციელდა[92] და მას შემდეგ სხვადასხვა ვარიაციით ქართული გუმბათოვანი არქიტექტურის შემკულობის დამახასიათებელი და განუყოფელი ელემენტი ხდება. დარბაზული ეკლესიების ფასადებზე ამგვარი დიდი ჯვრები XIII ს-ის დასაწყისში ჩნდება.

XIII—XIV ს-ის მიჯნის ეკლესიებზე ჯვარი სარკმელთან შედარებით საგრძნობლად გრძელდება (წყორძა[93], გავეთი[94]). მირტაშნის რელიეფური ჯვრის პროპორციები განსხვავდება XIII—XIV ს-ის ძეგლებისაგან და მეტ სიახლოვეს XIII ს-ის დასაწყისისა და შუა ხანების ძეგლებთან ამჟღავნებს (დმანისის კარიბჭე[95] და სხვა).

დროთა განმავლობაში იცვლებოდა სარკმლისა და ჯვრის დამაკავშირებელი დეტალი. მირტაშნის მაგვარი „გადაბმა“ უშუალოდ კოპის საშუალებით ჩვენ სხვა ძეგლებზე არ შეგვხვედრია.

ეკლესიის ჩრდილო მინაშენის სარკმლის მორთულობა სრულიად განსხვავდება ზემოთ აღწერილი სარკმლის საპირეებისაგან. ამგვარი ჰორიზონტალურად გაშვერილი ბოლოებიანი საპირე ადრე შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში შეიქმნა (სურ. 5), მას ქართველი ხუროთმოძღვრები X—XI ს-ში კვლავ უბრუნდებიან (იშხანი[96], ოშკი[97], ნიკორწმინდა[98], სავანე[99], ხცისი[100] და სხვა). XIII ს-ში იშვიათად, გამონაკლისის სახით, მაგრამ უკვე ნაწილობრივ სახეცვლილი გვხვდება საფარის[101], თირის[102] ეკლესიებში. მირ-

86 ე. ბ ე რ ი ძ ე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 38, სურ. 11; გვ. 39, სურ. 12; ტაბ. 5, 9, 12, 13.

87 იქვე, გვ. 182, სურ. 54; გვ. 183, სურ. 55, 56.

88 იქვე, ტაბ. 40, 48, 49, 52, 53.

89 პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი..., 3, ტაბ. 59, 62—65.

90 რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, სოფელ ხეითის ძეგლი საბა-წმინდა, მაცნე, ისტორიის სერია, № 3, 1971, ტაბ. 4, 11.

91 Дж. И о с е б и д з е, Роспись Ачи — памятник грузинской монументальной живописи конца XIII века. სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1980 (ხელნაწერი), ტექსტი, გვ. 13. ალბომი, ტაბ. V, VI.

92 პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურგუმბათოვანი..., 1, ტაბ. 8.

93 ვ. ბ ე რ ი ძ ე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 178, სურ. 50.

94 იქვე, გვ. 182, სურ. 54.

95 Н. П. С е в е р о в. დასახ. ნაშრომი, გვ. 63, ტაბ. 51.

96 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 1917 წლის არქეოლოგ. ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, ტაბ. 3, 4, 7, 11, 12.

97 იქვე, ტაბ. 46, 49, 52, 53, 56.

98 ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, ტაბ. 108, 110.

99 იქვე. ტაბ. 125, 126.

100 Р. О. Ш м е р л и н г. Древний Цвимоетский храм..., გვ. 144, სურ. 4, ტაბ. 48, 50.

101 ვ. ბ ე რ ი ძ ე, სამცხის..., ტაბ. 9, 12, 13.

102 ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XII, XVIII.

ტაშნის ჩრდილო მინაშენის სარკმლის მორთულობის ყველაზე ახლო პარალელად გუდარეხის (1231—1237 წწ.) დასავლეთი ფასადის[103] და ქვემო წერაქვის (III ს-ნე)[104] აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის საპირეები გამოდგება, ორივე მათგანი მირტაშნის მსგავსად ორ-ორი ჯვრითაა გაფორმებული.

დასავლეთი ფასადი აღმოსავლეთის ანალოგიურია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დეკორი ეკლესიის ფრონტონისაკენ ზევით არის აწეული, ასევე უარყოფილია სარკმლის „საყრდენი“ ლილვების კონა (ნახ. 6; სურ. 2).

სამხრეთი ფასადი ზემოთ აღწერილი ორი დანარჩენისაგან განსხვავებით შედარებით ღარიბადაა შემკული. აქ დეკორი კარ-სარკმლის ირგვლივაა განლაგებული (სურ. 4). მირტაშნის კარის მორთულობა (სურ. 6) იმეორებს აღმოსავლეთი და დასავლეთი სარკმლების შემკულობას. კომპოზიციურად მსგავსი მორთულობა გააჩნია ზემო კრიხის (X ს-ის დასასრული)[105] და თირის (XIII ს.)[106] ეკლესიების კარებს. სადა ტიმპანი X—XI ს-ში იშვიათია, XIII ს-ის II ნახევრიდან კი ხშირად გვხვდება: სხალთის[107], ცაიშის[108], ზარზმის სამრეკლოს[109], ყორანთას[110] შესასვლელთა ტიმპანები. ამავე, სამხრეთი ფასადის სარკმელს სწორკუთხა სადა საპირე შემოუყვება (სურ. 4); სწორკუთხა სარკმლის საპირეები პირველად იშხნის დიდ ტაძარში ჩნდება და განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს XI ს-ის I ნახევარში (სვეტიცხოველი[111], სამთავისი[112], სამთავრო[113]). XIII ს-ში ეს ფორმა კვლავ აღორძინდა (ბეთანია[114], ქვათახევი[115], წულრუღაშენი[116], გუდარეხი[117], თბილისის მეტეხი[118]), XIV ს-ში კი იგი, როგორც წესი, ყველა ქართულ ძეგლზე გვხვდება.

მირტაშნის ეკლესიის კარნიზი სადაა. იგი თაროს, წრეთარგისა და ლილვისაგან შედგება (ნახ. 5, 6). ამგვარი პროფილის მოჩუქურთმებული კარნიზები XII—XIII ს-ის პირველ ნახევარში მასიურად კეთდება. XIII ს-ის ნახევრის

---

103 Н. Г. Чубинашвили. Архитектура Гударехского главного храма в ансамбле средневекового города (Исследование памятника грузинской архитектуры 2 четверти 13 в.) სადისერტაციო ნაშრ. თბ., 1944 (ხელნაწერი), ალბომი, ფოტო 19.

104 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

105 ვ. ცინცაძე, ზემო კრიხის ხუროთმოძღვ. ძეგლი, ქართ. ხელოვნება, № 6, თბ., 1963, გვ. 70, სურ. 13.

106 ნ. ანდღულაძე, დასახ. ნაშრ. ტაბ. VIII, XII, XIV, XV.

107 რ. მეფისაშვილი, სხალთას ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბათუმი, 1955, გვ. 97, სურ. 7.

108 პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი..., 3, ტაბ. 53.

109 ვ. ბერიძე, სამცხის..., ტაბ. 66.

110 ი. გომელაური, ყორანთა.., ტაბ. $VII_1$, $IX_2$.

111 ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, ილუსტრ. 91, 93.

112 იქვე, ილუსტრ. 98, 100.

113 იქვე, ილუსტრ. 102.

114 პ. ზაქარაია, ცენტრ. გუმბათოვანი.., ტაბ. 13.

115 იქვე, ტაბ. 28, 29.

116 იქვე, ტაბ. 81, 91, 92, 98.

117 ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, ილუსტრ. 166.

118 ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შმერლინგი, თბილისის მეტეხი.., სურ. 10, 13, ტაბ. $8_2$, 11, $13_2$, $14_1$.

შემდეგ ჩუქურთმით შემკული კარნიზები აღარა გვხვდება. (აბელია[119], გერგეტი[120], გავეთი[121], დაბა[122] და სხვ).

წრეთარგისა და თაროს პროფილის ხარისხი XIII ს-ის ქართული არქიტექტურისათვის საყოველთაოდაა დამახასიათებელი: იგი XII ს-ში ცვლის კუთხოვან ხარისხს. მირტაშნის ეკლესიის მსგავსად წყორძის[123], გავეთის[124], და ქარზამეთის[125]; ეკლესიებს სწორკუთხა ხარისხი აქვთ.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი პარალელები საფუძველს გვაძლევს მირტაშნის ეკლესია XIII ს-ის შუახანების ტიპიურ ძეგლად მივიჩნიოთ, ქრონოლოგიურად იგი გუდარეხის (1231—1237) და ბოსლების (XIII ს-ის I მეოთხედი) მომდევნო ხანაში თავსდება და აბელიასთან ერთად წინ უსწრებს XIII ს-ის დასასრულის ძეგლებს: თირს, ქარზამეთს და სხვებს.

მირტაშნის ეკლესია არ არის განსაკუთრებით მაღალი მხატვრული ღირებულების ძეგლი, მაგრამ იგი კარგი პროფესიონალი ხელოსნის აგებულია და თავისი ეპოქის ნიშნებს ატარებს. აშკარაა, რომ გალატოზთუხუცესი ეკლესიის მშენებლობისას და შემკობისას ითვალისწინებდა მისთვის ცნობილ ახლომდებარე ისეთ ძეგლებს, როგორიცაა გუდარეხი, ბოსლები და დმანისის კარიბჭე.

Г. Ю. ГАГОШИДЗЕ

## ЦЕРКОВЬ ТИПА «ДАРБАЗИ» XIII ВЕКА ИЗ НИЖНЕЙ КАРТЛИ

Резюме

В статье рассматривается неизвестная церковь зального типа, находящаяся на правом берегу р. Храми, в селище Мирташени (Болнисский район). Церковь украшена рельефами и имеет надпись старшины каменщиков — «галатозтухуцеси».

В результате архитектурно-художественного и сравнительного анализа церковь датируется серединой XIII века.

---

119 ი. გომელაური, აბელია.., ტაბ. II, IX, X.

120 თ. სანიკიძე, გერგეტი, გვ. 76, სურ. 20[1].

121 ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 85, სურ. 54; გვ. 183, სურ. 55, 56.

122 Р. О. Шмерлинг, Постройка Моларет-ухуцеса..., გვ. 114, სურ. 6—8.

123 ვ. ბერიძე, სამცხის..., გვ. 178, სურ. 50; გვ. 178, სურ. 51.

124 იქვე, გვ. 182, სურ. გვ. 178, სურ. 51.

125 იქვე, გვ. 187, სურ. 59, 61.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ

ნანა გოგიბერიძე

# ადრეანტიკური ხანის სამაჯურების ერთ-ერთი ტიპის დათარიღებისათვის

ადრეანტიკური ხანის სამარხეულ კომპლექსებში გვხვდება რკინის სამაჯურების ერთი სახეობა, რომელთათვისაც დამახასიათებელია რკალის ბურცობებით შემკობა (ტაბ. $I_1$). სამწუხაროდ, ცუდი დაცულობის გამო მათი პირვანდელი სახის გარკვევა ძნელია. ხერხდება მხოლოდ სამაჯურის საერთო ფორმისა და თანაბარი სისქის ღეროზე განლაგებული ბურცობებისაგან შედგენილი დეკორის ამოკითხვა. ფორმის მიხედვით მათ შორის გამოირჩევა ოვალური და მრგვალი მოყვანილობის, ზურგსწორი ან ოდნავ ზურგშედრეკილი სამაჯურები. შეინიშნება განსხვავება ღეროს სისქეში, ბურცობების ზომასა და ღეროზე მათი განლაგების სიხშირეში, მაგრამ, მიუხედავად ამგვარი განსხვავებებისა, ეს სამაჯურები არქეოლოგიურ კომპლექსებში უმეტესწილად თანაარსებობენ. ამდენად, საფიქრებელია, რომ მათ შორის ქრონოლოგიური განსხვავება ან სულ არ არის, ან იმდენად მცირეა, რომ მისი დადგენა სადღეისოდ არ ხერხდება. ამიტომ, ჩვენ ყველა ამ ნაირსახეობებს ერთ ტიპში ვაერთიანებთ და ერთად განვიხილავთ.

ბურცობებით შემკული რკინის სამაჯურები დადასტურებულია გომარეთში 1962 წლის გათხრების № 10 და№ 14 და 1975 წლის № 6 ქვაყუთებში[1], ითხვისის № 1, 2 და 9 სამარხებში[2], მოდინახეს ელინისტური ხანის სამაროვნის № 5 და 6[3], კუშჩის № 3[4], ვანის № 3[5] კიკეთის № 4[6] სამარხებში, დაფნარის № 28 ქვევრსამარხში[7].

რკინის ბურცობებიანი სამაჯურების გარდა ხსენებულ კომპლექსებს სხვა ელემენტებიც აერთიანებს. ასე მაგალითად, ორ შემთხვევაში საკვლევ სამაჯურთან ერთად აღმოჩნდა მძივების რიგით შემკული რკინის სამაჯურები (კუშჩის № 3 და ითხვისის № 2 სამარხები), რომლებიც ჩვენ მიერ ცალკე ტიპადაა გამოყოფილი (ტაბ. $I_{2-3}$).

კუშჩის № 3 სამარხის განხილვისას ი. გაგოშიძე ამახვილებს ყურადღებას ბოლოზე სალტეშემოკრულ რკინის სამაჯურის ფრაგმენტზე (ტაბ. $I_4$) და

---

[1] ც. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, სოფ. გომარეთში ჩატარებული დაზვერვითი არქეოლოგიური გათრების მოკლე ანგარიში, სსაე, V, თბ., 1977 გვ. 90.

[2] დიდ მადლობას მოვახსენებთ რ. აბრამიშვილს, რომელმაც მასალის გამოქვეყნების ნება დაგვრთო.

[3] ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, ყვირილის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975, გვ. 37—38.

[4] ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, თრიალეთის სამაროვნები, თბ., 1982, გვ. 49.

[5] Н. В. Х о ш т а р и а (из архива...), ვანი IV, თბ., 1975, გვ. 19.

[6] ც. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბ., 1983, გვ. 69.

[7] Н. Ш. К и г у р а д з е, Дапнарский могильник. Тб., 1976, გვ. 32.

აღნიშნავს მის მსგავსებას ალგეთის მდიდრული სამარხის ელექტრუმის ზურგშედრეკილ სამაჯურებთან. აღსანიშნავია, რომ ითხვისის № 2 და გომარეთის № 16 სამარხების ინვენტარში აღმოჩნდა ზურგშედრეკილი თანაბარღეროიანი ბოლოშემსხვილებული სამაჯურების ფრაგმენტები, რომელიც სილუეტით ზემოხსენებულ ალგეთურ სალტეშემოკრულ სამაჯურებს ჰგავს. არაა გამორიცხული, ეს სამაჯურებიც ამავე ტიპს მიეკუთვნებოდეს. სამწუხაროდ, მათი ცუდი დაცულობის გამო უფრო დაჯერებით ამის მტკიცება შეუძლებელია.

ორ შემთხვევაში საკვლევ სამაჯურებთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის სამაჯურები. ვანის № 3 სამარხში ამ სამაჯურების რამდენიმე ტიპია დადასტურებული, მაგრამ აქ ჩვენ მხოლოდ იმ ტიპებს შევეხებით, რომლებიც საკვლევი სამაჯურების შემცველ სხვა კომპლექსებშიც გვხვდება. ასეთებია, მაგალითად, ვერცხლის სამაჯურები, რომელთა ბოლოები სალტეებს შორის მოქცეული ბურთულებითაა შემკული (ტაბ. II$_{6}$). ანალოგიური სამაჯურები აღმოჩნდა ითხვისის № 2 სამარხშიც (ტაბ. II$_{7}$). ორივე შემთხვევაში სამაჯურების ღერო წახნაგოვანია. ითხვისური სამაჯურების ბურთულებზე შერჩენილია მერიდიანული დაღარვის კვალი. ვანურ ეგზემპლარს წახნაგების შესაბამისად ჭდეული ტეხილი ხაზების რამდენიმე წყება შემოუყვება: ბოლოები ჩამოჭრილია და შედრეკილი. წახნაგოვან ღეროზე ტეხილხაზოვანი ორნამენტი დადასტურდა ამავე სამარხში აღმოჩენილი ბოლოჩამოჭრილი ექვსწახნაგღეროიანი სამაჯურის ფრაგმენტზეც (ტაბ. II$_{8}$). სალტეებს შორის მოქცეული დაღარული ბურცობები, ჩამოჭრილი შედრეკილი ბოლო და ექვსწახნაგა ღერო ახასიათებს ვერცხლის სამაჯურებს, რომლებიც აღმოჩნდა ვანის № 9 სამარხშიც (ტაბ. 11$_{9}$). იმავე ორნამენტს ვხედავთ ვერცხლის გვერგვებზე, რომლებიც ორ შემთხვევაში რკინის ბურცობებიან სამაჯურებთან ერთად აღმოჩნდა (ითხვისის სამარხი № 2, ვანის სამარხი № 3). ითხვისური გვერგვი (ტაბ. II$_{10}$) წარმოადგენს ექვსწახნაგა თანაბარ ღეროს, რომელიც ბოლოებისაკენ წვრილდება და კაუჭით იკვრება. კაუჭებამდე ღერო ოვალურად შემსხვილებულია და ამ ოვალში მოთავსებულია ორმაგ სალტეებს შორის მოქცეული მერიდიანულად დაღარული სამი ბურცობი, რომელთაგან შუა შედარებით მსხვილია, დეკორს ორივე მხრიდან საზღვრავს წახნაგებზე განლაგებული ტეხილი ხაზით შედგენილი მახვილკუთხოვანი ორნამენტი. ასეთივე ორნამენტია შერჩენილი ვანის № 3 სამარხის ვერცხლის გვერგვის ფრაგმენტზე (ტაბ. II$_{11}$), მხოლოდ ამ შემთხვევაში ტეხილხაზოვანი ორნამენტი რამდენიმე რგოლისაგან შედგება, ღერო კი შედარებით წვრილია და მრგვალგანივკვეთიანი. აღნიშნული ორნამენტით შემკული გვერგვები დადასტურებულია ვანის № 8 და მოდინახეს ადრეანტიკური ხანის სამაროვნის № 3 სამარხში, ორივე შემთხვევაში ორნამენტი ხუთბურთულოვანია. ჯ. ნადირაძე აღნიშნავს მოდინახური გვერგვის სიახლოვეს ითხვისურთან[8]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღწერილი ორნამენტი სხვა სახის სამკაულზეც გვხვდება, მაგრამ ამჯერად მისი განხილვის საშუალება არა გვაქვს.

ჩვენ განგებ გავამახვილეთ ყურადღება ბურთულოვანი ორნამენტით შემკული ნივთების წახნაგოვან ღეროზე. ექვსწახნაგა ღერო ახასიათებს ითხვისის № 1 სამარხში დადასტურებულ ვერცხლის გვერგვსაც (ტაბ. III$_{12}$), რომელ-

---

8 ჯ. ნადირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.


1
0 1 2 3 4 5
2
3
4


5
7
8
6
9
10
0 1 2 3 4 5
11


12
13
14
15
16
0 1 2 3 4 5

ტაბულა II



საც ბოლოები პირამიდულად შემსხვილებული, ჩამოჭრილი და შედრეკილი აქვს. ეს გარემოებაც აახლოვებს მას ზემოხსენებულ ითხვისურ (სამარხი № 2) და ვანურ (სამარხი № 3) სამაჯურებთან.

ითხვისის № 1 და 2 სამარხებში ვერცხლის გვერგვებს გარდა რკინის გვერგვებიც აღმოჩნდა (ტაბ. $III_{13}$). რკინის გვერგვი დადასტურდა ვანის № 3 სამარხშიც.

დავუბრუნდეთ კვლავ სამაჯურებს.

სამ შემთხვევაში რკინის ბურცობებიან სამაჯურებთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯურები (ითხვისის № 9, დაბლაგომის № 28 და მოდინახეს № 5 სამარხებში). ისინი სხვადასხვა ტიპისაა. ითხვისის სამარხის სამაჯურები დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი თანაბარი მავთულისაგან, ზურგშედრეკილია და ბოლოდაკეჭნილი (ტაბ. $III_{14}$). დაფნარის № 28 ქვევრსამარხის ბრინჯაოს სამაჯურები ზურგსწორია (ტაბ. $III_{15}$). თანაბარი ღერო ხუთ ადგილას შემკულია პრიზმული სამწილადი შვერილებით. ნ. კილურაძე მათ თავისი კლასიფიკაციის მესამე ტიპში ათავსებს.

მოდინახეს ელინისტური ხანის სამაროვნის № 5 სამარხის ინვენტარში შემავალი სამაჯურების თანაბარი ღერო მოგრძო ბურცობებით ბოლოვდება (ტაბ. $III_{16}$). ორნამენტირების ეს ხერხი საკმაოდ მარტივი და ამდენად, მდგრადიც უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, იგი პერიოდულად იჩენს თავს სხვადასხვა დროს.

რკინის ბურცობებიანი სამაჯურების შემცველ კომპლექსებში ორ შემთხვევაში აღმოჩნდა წყვილი საყურე (ითხვისის № 2 და 4 სამარხები). ორივე საყურე ერთი ტიპისაა: ახასიათებს ოვალური ბოლოგახსნილი რგოლი. მასზე უძრავადაა დამაგრებული ბიკონუსური კონცენტრულად დაღარული ბურთულა, რომელიც სხვადასხვა ზომის გავარსით შედგენილი მტევნით ბოლოვდება. სამ შემთხვევაში საკიდის შუა ნაწილი სალტისებურად დაბრტყელებულია და სხვადასხვა ხერხითაა დეკორირებული. № 2 სამარხის ერთი საყურის სალტეს გარშემო გრეხილი მავთული შემოუყვება (ტაბ. $IV_{17}$), მეორეს ინტერვალებით დატანილი მსხვილი ბურთულები (ტაბ. $IV_{18}$). № 9 სამარხის ერთი საყურის შუაწელს წვრილი გავარსის მტევნები აქვს შემოყოლებული (ტაბ. $IV_{19}$), მეორე კი — სადაა (ტაბ. $IV_{20}$). როგორც ვხედავთ, საყურეები ცალ-ცალია. ამგვარივე საყურე დადასტურდა ითხვისის № 4 სამარხში. მსხვილი ბურთულებით შემკული ოქროს საყურე აღმოჩნდა მოდინახეს სამხრეთ ფერდობზეც[9].

შვიდ შემთხვევაში რკინის ბურცობებიან სამაჯურებს ახლავს საყურე რგოლები. ხუთ მათგანს თავები დაბრტყელებული და გახვრეტილი აქვს (ითხვისის № 1 ტაბ. $IV_{21}$, გომარეთის № 6 ტაბ. $IV_{22}$, ვანის № 3 ტაბ. $IV_{23}$, მოდინახეს ელინისტური სამაროვნის № 6 ტაბ. $IV_{24}$, კუშჩის № 3 სამარხები ტაბ. $IV_{25}$). მოდინახური ეგზემპლარები ოქროსია, დანარჩენი კი — ვერცხლისა.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოდინახის, ვანის და კუშჩის საყურე რგოლების ღეროები წახნაგოვანია. მოდინახური რგოლები ექვსწახნაგაა. ღეროს დაწახნაგების ნიშანზე ჩვენ უკვე გავამახვილეთ ყურადღება

---

[9] ჯ. ნადირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

ზემოთ, გვერგვებზე საუბრისას. როგორც ჩანს, ამ ნიშანს გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქრონოლოგიაზე საუბრისას.

ითხვისის № 2 სამარხში დადასტურდა ვერცხლის მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული მსხლისებური მოყვანილობის ბოლოებჩამოჭრილი ორი რგოლი და ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისაგან დამზადებული მსხლისებური ფორმისავე ორი რგოლი. ვერცხლის რგოლის ნატეხები აღმოჩნდა დაფნარის № 28 სამარხშიც.

მოდინახის № 6, ითხვისის № 2 და კუშჩის № 3 სამარხებში რკინის ბურთულებიანი სამაჯურების გვერდით აღმოჩნდა ფარაკიანი ბეჭდებიც.

რაც შეეხბა მძივებს, ისინი აღმოჩენილია გომარეთის №№ 6, 10, 14, ითხვისის № 1, 2, 8 კუშჩის № 3 სამარხებში, დაფნარის № 28 ქვევრსამარხში. დამახასიათებლად გვეჩვენება სარდიონის მძივების წახნაგოვანი ფორმები. ამგვარი მძივები დადასტურდა გომარეთისა და ითხვისის მასალებში.

ითხვისის № 1, 2 და კუშჩის № 3 სამარხში აღმოჩნდა ლურჯ-თეთრი თვალედი მძივები. კობალტით შეფერილი ბიკონუსური მძივები აღმოჩნდა კუშჩის, გომარეთის № 10 და 14, ითხვისის № 1 სამარხებში, დაბლაგომის № 28 ქვევრსამარხში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მძივების ერთი ტიპი, რომელიც ძალზე დამახასიათებელია დაბლაგომისა და დაფნარის სამაროვნისათვის. ესაა მსხლისებური ფორმის ასიმეტრიული მძივები (ტაბ. $IV_{26}$). ჩვეულებრივ ისინი გაუმჭირვალე ყვითელი, შაბიამნისფერი, ან კობალტით შეღებილი ლურჯი ფერისაა და როგორც წესი, ერთად გვხვდება. ამგვარი მძივები დადასტურდა გომარეთის № 10 და 14 სამარხებში და დაფნარის № 28 ქვევრსამარხში.

ვანის № 3 და მოდინახის № 6 სამარხებში საკვლევ სამაჯურებთან ერთად ვერცხლის ომფალოსიანი ფიალები აღმოჩნდა.

ორ შემთხვევაში ბურცობებიან სამაჯურებს თან ახლდა კოლხური ტრიობოლები (ვანის № 3 სამარხი და დაბლაგომის № 28 ქვევრსამარხი). დაბლაგომის ზოგიერთ მონეტაზე ბერძნული ასოებია გამოსახული[10]. სამ შემთხვევაში სამაჯურთა თანმხლებ ინვენტარში დადასტურდა იარაღი (ითხვისის № 1 და 2, კიკეთის № 4 სამარხები). ესაა რკინის მოხრილი დანები (სამივე შემთხვევაში) და მასრიანი ფოთლისებური შუბისპირები (ითხვისის № 2 და კიკეთის № 4 სამარხები). კიკეთის № 4 სამარხში აღმოჩნდა ოთხწახნაგა ისრისპირი. ამავე ფორმის მცირე ზომის ისრისპირი წარმოდგენილია ითხვისის № 2 სამარხშიც. ამ ტიპის სამწახნაგა ისრისპირი დამოწმებულია ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენაში[11].

საკვლევი სამაჯურების თანმხლები კომპლექსებიდან მიმდინარე კერამიკა ხასიათდება ძირითად დაწეული მსხლისებური ფორმებით, პირზე და ტუჩზე მიმაგრებული ყურით. ამგვარი ჰურჰელი დადასტურდა ითხვისის ოთხივე, გომარეთის № 10 და 14, მოდინახის № 5 და 6, კუშჩის № 3 სამარხებში. კუშჩისა და ითხვისის № 2 სამარხებში აღმოჩნდა მოხატული ხელადები, რომელთა ანალოგი დამოწმებულია ვანის № 9 სამარხის მასალებში. მათგან ყველაზე ადრეულად კუშჩის ჰურჰელია მიჩნეული[12].

---

10 Н. Ш. Кигурадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

11 Г. Лордкипанидзе, Колхида в VI—II вв. до н. э., Тб., 1978,, таб. VII, V.

12 ი. გაგოშიძე, თრიალეთის სამაროვნები, გვ. 50.

ამგვარად, როგორც ირკვევა, რკინის ბურცობებიანი სამაჯურების შემცველი კომპლექსები ძირითადად ერთგვაროვანია, ვფიქრობთ, რომ ეს ერთგვაროვნება ამ კომპლექსების ქრონოლოგიური სიახლოვითაა გამოწვეული. თითქმის ყველა საკვლევი კომპლექსის ქრონოლოგიური ადგილი მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია. ასე მაგალითად, ძვ. წ. IV ს. შუა ხანებითაა დათარიღებული ი. გაგოშიძის მიერ კუშჩის № 3 სამარხი. ამ სამარხში აღმოჩენილი მოხატული ჰურჰლის ანალოგიებს იგი ვანის № 9 სამარხის მოხატულ დოქებში ხედავს, თუმცა მისი აზრით კუშჩის მოხატული დოქები თავისი ფორმით, ფართო და გაშლილი პირით განსხვავდება საქართველოში აღმოჩენილი ყველა სხვა ანალოგიური ჰურჰლისაგან, რის საფუძველზეც ი. გაგოშიძე ასკვნის, რომ ეს ჰურჰელი რამდენადმე უფრო ადრეულია და ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებს განეკუთვნება[13].

ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრით განსაზღვრავს ი. გაგოშიძე ითხვისის № 2 სამარხის თარიღსაც მასში აღმოჩენილი მოხატული დოქების ვანის № 9 სამარხის დოქთან სრული იდენტურობისა და ორივე კომპლექსში შემავალი სამაჯურებისა და საყურეების ტიპოლოგიური სიახლოვის საფუძველზე[14].

ზოგადად IV—III სს. არის დათარიღებული გომარეთის სამაროვანი[15]. დაფნარის № 28 ქვევრსამარხის თარიღად შემოთავაზებულია IV—III სს. მიჯნა[16], ხოლო მოდინახის № 5 და 6 სამარხები ძვ. წ. III ს. მიკუთვნებული. ვფიქრობთ, რომ სამივე აღნიშნული კომპლექსისათვის მისაღებ თარიღად ძვ. წ. IV ს. უნდა ვივარაუდოთ, რამდენადაც არც ერთი მათგანი არ შეიცავს ძვ. წ. III ს-თვის დამახასიათებელ ნივთებს, მოდინახის № 6 სამარხი კი აშკარა სიახლოვეს ამჟღავნებს ალგეთის მდიდრული სამარხის, ახალგორის განძისა და ყანჩაეთის მასალებთან.

რაც შეეხება თვით საკვლევი სამაჯურების თარიღს, მათი გავრცელების ძირითადი პერიოდი ც. დავლიანიძის აზრით, ადრეელინისტურ ხანას ემთხვევა[17]. ჩვენ მიერ განხილული მასალები, ვფიქრობთ, ამ თარიღის დაზუსტების საშუალებას იძლევა.

ზემოხსენებული სამაჯურების თარიღის დადგენისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ოვალური და ზურგშედრეკილი სამაჯურების ერთად აღმოჩენის ფაქტს, რადგან როგორც ცნობილია, ზურგშედრეკილი სამაჯურების გავრცელების ხანად კოლხეთში ძვ. IV ს. პირველი ნახევარია მიჩნეული[18].

დაკბილულღეროიან სამაჯურებთან დაკავშირებით ი. გაგოშიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ეს ტიპი ძვ. IV ს-ის მეორე ნახევარშია გავრცელებული, რამდენადაც ამგვარი სამაჯურები სწორედ ამ ხანის კომპლექსშია დადასტურებული[19] (ითხვისის № 2, ვანის № 9, სამარხები).

---

13 ი. გაგოშიძე, თრიალეთის სამაროვნები, გვ. 49, 50.

14 ი. გაგოშიძე, მასალები ქართული ოქრომჭედლობისათვის, სსმმ, XXX, თბ., 1979.

15 ც. დავლიანიძე, სოფ. გომარეთში ჩატარებული დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში, სმაე, IV, 1977 გვ. 97.

16 Н. Ш. Кигурадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

17 ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბ., 1983, გვ. 69.

18 ა. ჭყონია, ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარიდან, ვანი IV, 1981.

19 ი. გაგოშიძე, თრიალეთის სამაროვნები, გვ. 49.

ძვ. წ. IV ს. კომპლექსებიდან მომდინარეობს ასევე სალტეებს შორის მოქცეული ბურცობებით შემკული გვერგვები და სამაჯურები. ერთი მათგანი მტკიცედაა დათარიღებული ფილიპე მაკედონელის ოქროს სტატერით ძვ. წ. IV ს. მესამე მეოთხედით[20].

ძვ. წ. IV—III სს. ათარიღებს ნ. ხოშტარია ვანის № 3 სამარხის სამაჯურებს მათთან ერთად რკინის სამაჯურების აღმოჩენის საფუძველზე[21]. სამწუხაროდ, გაურკვეველია, რა ფორმის რკინის სამაჯურები აქვს ავტორს ნაგულისხმები.

ზოგადად ადრეანტიკური ხანითაა დათარიღებული ჯ. ნადირაძის მიერ მოდინახეზე აღმოჩენილი ოქროს საყურე. მოდინახურ ბეჭედს ავტორი ძვ. წ. IV—III სს. მიაკუთვნებს და აღნიშნავს საძეგურის გრიფონიან ბეჭედთან მის სიახლოვეს[22]. ასევე ერთ კატეგორიაში განიხილავს ი. გაგოშიძე კუშჩის № 3 და ითხვისის № 3 სამარხების ბეჭდებს[23].

როგორც აღვნიშნეთ, ორ შემთხვევაში საკვლევ სამაჯურთა თანმხლებ მასალებში აღმოჩნდა კოლხური მონეტები, რომელთა ვანის კომპლექსებში გამოჩენის ხანად ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარია ნაგულისხმები[24], ბერძნულასოებიანი კოლხური მონეტების გავრცელების ხანად კი — ძვ. წ. IV—III სს.

როგორც განხილული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ყველა კომპლექსი რომლის შემადგენლობაში რკინის ბურცობებიანი სამაჯურები შედის, ერთმანეთს საკმაოდ მჭიდროდ უკავშირდება. მათგან არც ერთი ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებზე ადრეული არ არის და არ სცილდება ამავე საუკუნის ფარგლებს. ამდენად, ბურცობებიანი სამაჯურები შეიძლება ჩაითვალოს დამათარიღებელ ნივთად ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებისა და მეორე ნახევრისათვის.

იმავე კომპლექსების მასალის ანალიზის საფუძველზე ხერხდება კიდევ ორი ტიპის სამაჯურთა თარიღის განსაზღვრა. ესაა მძივების რიგით შემკული სამაჯურები და ბოლოებზე სალტეშემოკრული სამაჯურები, რომელთა გავრცელების ხანა ამავე ქრონოლოგიურ მონაკვეთშია სავარაუდო (ტაბ $I_{2,3}$; $I_4$, $II_6$).

---

20 ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ა. ჭყონია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი I, თბ., I, 1975, გვ. 203.

21 Н. В. Хоштариа, (из архива), გვ. 20.

22 ჯ. ნადირაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 27, 40.

23 ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 29.

24 გ. დუნდუა, ა. კახიძე, კოლხური თეთრის გენეზისის საკითხისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, № 4, თბ., 1978, გვ. 120.

Н В. ГОГИБЕРИДЗЕ

# К ВОПРОСУ ДАТИРОВКИ ОДНОГО ТИПА БРАСЛЕТОВ РАННЕАНТИЧНОЙ ЭПОХИ

Резюме

В погребальных комплексах раннеантичной эпохи довольно часто встречаются железные браслеты с шаровидными наплывами по всему стержню. Несмотря на некоторые различия в форме и частоте декора, в археологических комплексах эти браслеты, как правило, сосуществуют, что указывает на отсутствие между ними сколько-нибудь значительной хронологической разницы.

Браслеты данного типа засвидетельствованы в материалах из Гомарети (погр. №№ 1, 2, 9), Модинахе (погр. №№ 5, 6), Кушчи (погр. № 3), Вани (погр. № 3), Кикети (погр. № 4), Дапнари (кувшинное погр. № 28) и др.

Результаты анализа соответствующих комплексов выявили существующую между ними тесную близость в отношении инвентаря, причем ни один из них не выходит за пределы середины и второй половины IV в. до н. э. Таким образом, железные браслеты с наплывами по всему стержню умещаются в указанных хронологических рамках.

Рассмотренные материалы позволяют определить хронологическое место еще для двух типов браслетов. Это: 1. железные браслеты с вправленными в стержень стеклянными бусинками и 2. браслеты с ободками на концах. Оба указанных типа характерны для археологических комплексов середины и второй половины IV в. до н. э. и должны быть датированы этим же временем.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა

И. К. СУРГУЛАДЗЕ

# ЭМПИРИЧЕСКАЯ КОСМОГОНИЯ НАРОДОВ КАВКАЗА

Космогонические представления на территории Кавказа, в частности, Грузии, прослеживаются еще с эпохи палеолита[1], но в виде определенных систем они формируются в более поздние эпохи[2]. Они развивались и обогащались постепенно, в соответствии с социально-экономическим и культурно-историческим уровнем кавказских племен, но никогда не выходили за рамки возможностей здравого смысла и аналогии — основных критериев миропонимания древних земледельцев. Космогонические представления продолжали слагаться вплоть до наших дней, пока научная мысль окончательно не взяла верх над эмпирикой и мифотворчеством. Поэтому народные представления о мироустройстве содержат как самые архаичные пласты, так и воззрения более поздних эпох, но несмотря на сложность и глубокую архаичность стратификации космогонических взглядов, общая концепция мироздания, положенная в основу всей системы, формировалась в условиях земледельческого хозяйства и оседлой жизни, продолжавшими оставаться относительно устойчивыми из-за малых темпов развития технических средств производства. В индустриальную эпоху народные представления претерпели коренные изменения.

Палеолит Кавказа не очень богат памятниками искусства, которые позволили бы реконструировать какие-либо взгляды человека тех давних времен о мироустройстве. Подобного рода данные в более или менее полном виде в распоряжение исследователя поступают с эпохи энеолита и ранней бронзы. Археологический материал из разных районов Кавказа указывает на определенную общность на этой территории религиозно-космогонических представлений, в которых наиболее видное место занимал культ матери-земли, вмещающий в себе элементы почитания растительного и животного миров, т. е., являясь общетеоретической основой концепции о жизни, идея о матери-земле символически олицетворяла собой все животворящие силы природы. В отличие от древних тотемических представлений, построенных по принципу кровного родства, религиозно-космогоническая система о матери-земле исходила исключительно из новых хозяйственно-экономических достижений человечества, под влиянием которых произошла переоценка всех ценностей в обществе.

Доказательством этого служит большое количество женских стилизованных статуэток[3], в которых, при полном игнорировании индивидуальных черт, особенно подчеркиваются элементы пола в сочетании с

---

[1] Киквидзе И. А., Земледелие и земледельческий культ в древней Грузии Тбилиси, 1976, с. 152, 157 (на груз. яз.).

[2] Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н., Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970, с. 161—170.

[3] Киквидзе И. А., указ. соч., с. 157—165; Чубинашвили Т. Н., К древней истории Южного Кавказа, 1971, табл. XXVI.

растительными и астральными мотивами. Нам кажется, что подобное представление женского начала никак не следует связывать с социальным положением женщин в обществе, а скорее наоборот, в условиях зарождения и утверждения патриархальных отношений, оседлого земледельческого хозяйства, эти культовые предметы отражают космогонические представления общества, согласно которым природа-мать, порождающая все живое на земле, является основой мироздания. В грузинском языке сохранились выражения, в которых подчеркивается именно космогоническое осмысление женского начала, уже оторванного от конкретного, физического или социального понимания матери и материнства: *дедамица* (мать-земля); *гутнис деда* (мать плуга-пахаря); *дедабодзи* (мать-столб — центральная стойка жилища); *тавтухис, гвинис, мацвнис деда* (мать злаков, вина, кислого молока) и т. д.

С развитием земледелия должны были зародиться представления об амбивалентности земли, недра которой являются концом старой, уходящей, и началом новой жизни. В это же время распространяются крестообразные композиции, квадраты и т. д., что безусловно отражает представления о четырехугольном мире. Эта идея сохранилась по сей день в популярном народном грузинском изречении, где небо и земля наделяются четырьмя сторонами. В Грузии именно так осмыслялись равносторонние кресты и четырехугольники, формы которых широко использовались при изготовлении сакральных предметов и ритуальных лепешек[4]. С четырьмя сторонами мира координируется и четыре положения солнца на небе и появляются кресты и квадраты, на краях которых посажены солярные знаки. Все эти изображения отражают представление о времени, в основу исчисления которого могли заложиться только хозяйственные циклы. Этот принцип же отражается и в искусстве раннеземледельческих народов, где особо распространены сюжеты с замкнутой, кругообразной композицией, построенные по принципу строгой ротационности движения небесных светил. Впрочем, основные черты, характерные для мира земледельца, такие, как четыре стороны света, смерть и возрождение природы, ротационность движения небесных светил, в кавказском энеолите уже сформированы. При выражении этих идей основным «языком» служил язык символов. Стилизованные изображения людей и животных имели абстрактные, отвлеченные значения, подсказанные общим семантическим полем, для определения которого необходимо оптимально оценить значение всей композиционной схемы[5]. Но, несмотря на такое богатство космогонических воззрений, в материалах энеолита и ранней бронзы трудно различить следы космогонических систем, которые, несомненно, уже должны были существовать. Распространение мотива креста с четырьмя солнцами на концах означает, что изображаются восход, кульминация и заход солнца, а четвертое положение указывает на ночной путь солнца, на страну теней. Именно этот взгляд отразился в грузинских терминах, обозначающих край света: восток — *агмосавлети* (край восхода), юг — самхрети (край солнца), запад — *дасавлети* (край захода), и, наконец, север — *чрдилоети* (край теней) Эта космогоническая схема в виде креста, обведенного кругом, сохра-

---

[4] Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, с. 54—81.

[5] Чубинишвили Т. Н., Древняя культура междуречья Куры и Аракса, Тбилиси, 1965, с. 119.

нилась в народном орнаменте и фигурирует как сакральный, апотропейческий символ. Солнц было множество, и каждый его вариант отличался от другого местом расположения светила на небе (утреннее, полуденное, вечернее, заходящее и восходящее солнца, солнце мертвых), или же временем года, части солнечного пути на небосводе (весеннее... и т. д. солнца). Подобное осмысление положений «солнц», безусловно, исходит из вышеуказанных космогонических представлений.

Дальнейшее развитие космогонических взглядов надо искать в представлениях об элементах мироздания — отдельных горизонтах (груз. — *скнели*), на которые делится весь осязаемый мир. Изучение археологического материала и его сопоставление с этнографическими данными и некоторыми мифическими сюжетами, позволяют предполагать, что носители куро-аракcской культуры уже противопоставляли «мир под солнцем», мир живых — миру теней, подземному миру. Оба эти мира имели свои границы, недоступные для простых смертных. Для религиозных представлений этой эпохи характерно усиление космогонических аспектов в самом культе, на это указывает проявление отдаленных от селищ культовых мест, святилищ, расположенных преимущественно на возвышенных местах. Этот факт указывает на осмысление высот и неба, как мира божеств, разграниченного от мира людей, верхнего мира, приблизиться к которому возможно, только взбираясь на гору (на рога олени, туров, дерево и т. д.). В дальнейшем эта идея получит еще более яркое отображение в мифах и в космогонии.

В искусстве древних земледельцев, в композиционном отношении, вся земная символика преимущественно связана с крестом, или четырехугольником[6]. Крест со свободными краями является в основном координационным знаком и часто отражает представление о неограниченном пространстве, всей поверхности земли (как, напр., на сказочных перекрестках, где герой стоит в центре координационного креста и края его, четыре дороги, обращены к четырем сторонам света). Четырехугольники, заполненные шахматной сетью, или с зарисованными внутри крестами, являются символами ограниченного, подчас огороженного пространства (селище, город, пахотное поле, жилище). В отличие от него круг в основном связан с астральной символикой и символизировал как отдельные светила, так и весь небосвод (ср. груз. слово *царгвали* — круглое небо).

Весьма интересна зооморфная символика ранних земледельцев. Нужно полагать, что культ плодоносящей матери в какой-то мере объединял представления о растительном мире, о животных и птицах. Доказательством служит растительный мотив на торсе вышеупомянутой женской статуэтки. Аналогичные фигурки с изображением растений и животных (горных козлов) широко были распространены в ранних земледельческих культурах Ближнего Востока. Эти данные указывают, что тело человека или животного было ассоциировано с землей. Отражение символической идентичности тела и земли сохранились в языке: в грузинском языке слово *рка* (рог) имеет и растительные аспекты (отростки лозы, желуди и т. д.). Нужно полагать, что эти представления зародились в эпоху раннего земледелия и породили серию символически идентичных знаков, связанных с миром плодородия: мать—олень—злак, которые как в отдельности, так и совместно, носят единую идейную нагрузку.

---

[6] Рыбаков Б. Б., Космогония и мифология земледельцев энеолита, СА, № 1—2, 1965.

Зооморфная символика в это время связана со сменой времени года. На диадеме из Кваццхелеби, поверхность которой разделена на отдельные секторы, в одном секторе изображен олень—бык, с акцентированными атрибутами пола, а в другом — журавль и круг — знак солнца. Нужно полагать, что тут изображены символы двух, уже разделенных друг от друга миров — неба и земли, в увязке с весной, пробуждением плодоносящих сил природы, представленных в единстве земных и небесных сил. Журавль — перелетная птица и ее появление, как и появление других перелетных птиц, везущих солнечный диск на ладье или колеснице, — предвестник активизации солнца. В этом смысле весьма интересен грузинский термин мдзлевари (побеждающий), обозначающий перелетных непевчих птиц, появление которых предвещало весну. Нетрудно догадаться, что они «побеждали» зиму и расчищали путь весне. Аналогично этому звучит и пословица, которая гласит, что «пение одной ласточки не может вызвать весны». Следовательно, нужно полагать, что весну вызвать может пение стаи ласточек.

Судя по всему, в раннеземледельческих культурах изображения животных и птиц следует увязать не с пережитками тотемизма, или охотничьим хозяйством, а скорее всего, с круговым, сезонным исчислением времени, когда время, вслед за увяданием и возрождением природы, определяющим последовательную смену хозяйственных процессов, делится на замкнутые, повторяющиеся циклы. Именно эти представления легли в основу космогонических мифов ранних земледельцев, модификации которых, с относительно незначительными изменениями, сохранились в народном сознании почти до наступления индустриальной эпохи.

Подводя итоги суждениям о космогонических представлениях древних земледельцев Кавказа эпохи энеолита и ранней бронзы, можно заключить, что они центром мироздания считали земную твердь, разделенную посредством координационного креста на четыре стороны, над которой стояло куполообразное «круглое небо». Три края земли были сориентированы по восходу, зениту, заходу солнца, а последний край — сторона тени, отражал его ночное состояние. В соответствии с активностью солнца исчислялось и время, которое на практике ощущалось как циклы хозяйственных работ, связанные с периодической активностью природы. Поэтому весеннее пробуждение природы и наступление нового хозяйственного цикла объяснялось как следствие побочных явлений (появление перелетных птиц, смена шерсти и рогов у животных и т. д.); зарождаются представления об аналогичности живого тела и земли; земля и круговорот жизни природы рассматриваются как явления, аналогичные материнскому началу и материнству. Композиции строятся по принципу креста и круга, в совокупности создавая космогоническую семантику всего изображенного, в которой на передний план выдвигается космогоническая схема, а не сюжет. Святилища, отделенные от жилищ и устроенные на вершинах гор, указывают на космогонический аспект религиозных представлений. Эту эпоху условно можно назвать эпохой зарождения земледельческих мифов.

Дальнейшее развитие космогонических представлений можно проследить на материале средней бронзы. В отличие от энеолита и ранней бронзы, декоративный материал тут содержит более сложную общую концепцию. Наряду с разными символами, такими как свастики, солярные знаки и т. д., появляются и такие изображения, где объединяющим является не композиционная схема, а само содержание, в ко-

торых наряду с религиозными и космогоническими принципами и общими взглядами отражены конкретные представления. Таков, например, декор знаменитого триалетского кубка, сюжет которого много раз пытались толковать специалисты. Нет сомнения, что на фризе кубка, в отличие от ранних схематических композиций, изображена священная сцена. В ней чувствуется глубокое влияние самого культа, в идейной структуре которой семантика сближается и сливается с религией. Древние круглые и крестообразные схемы со своей символикой фиксировали модель мира, но в композициях средней бронзы космогонические схемы как бы обрастают мифом, персонажами, действием. В композиции, кроме высшего существа, восседающего на троне, и антропоморфных одинаковых фигур, стоящих перед ними, фигурирует мировое дерево.

Их всех связывает какое-то действие, несомненно, религиозно-мифического содержания, конкретный смысл которого нелегко установить, но наличие ряда элементов с более или менее известными культовым и мифическим значениями, позволяют определить его общий характер. Процесс культовой выпивки у космогонического дерева, совершаемый группой однородных фигур при наличии других атрибутов культа (жертвенник, потоки воды, собаки) выдают космогонический смысл изображенного мифического сюжета, ибо тут представлены символы всех трех вертикально расположенных миров: неба — верхушка космогонического дерева, земля — средний уровень, на котором расположены все фигуры, и подземный мир — потоки воды, вытекающей из-под корней древа жизни. Вся ситуация, наиболее убедительно истолкованная В. В. Бардавелидзе[7], находит аналогию в грузинской мифологии, где подробно описывается двор высшего божества с древом жизни, растущим у его врат, и сбор детей верховного божества, племенных божеств.

Другая полоса композиции, расположенная под вышеописанной, — шествие чередующихся самок и самцов оленей, носит также глубокий аграрный смысл и как бы подкрепляет обобщенным идейным содержанием конкретный мифологический сюжет верхнего фриза.

Наиболее богатый материал о космогонических представлениях древних кавказцев сохранился из эпохи поздней бронзы и начала железной индустрии. Характерным явлением для этого периода является полное преобладание мифических сюжетов над древними космогоническими схемами, процветание концепции о «доле», «долевых божествах»[8], а также космогоническое осмысление и топографическое разделение тела животных и человека. Этот материал в основном представлен декором бронзовых поясов и топоров, а также фигурками на верхушке жезлов и штандартов из разных областей Кавказа.

На поясах изображены сцены охоты, шествие животных. Охотники часто фаллические, преимущественно гоняются за парой оленей. Нет сомнения, что эти охотничьи сцены символически отображают цикл природных явлений и скорее увязываются с воскресающей и умирающей природой, чем с самой охотой, экономическая роль которой все уменьшалась в жизни земледельческих обществ. Отдельные фигуры в композициях отмечены астральными символами, знаками «доли», что придает всей сцене особое значение и все действие переводит в область мифических и религиозно-космогонических представлений.

---

[7] Бардавелидзе В. В., ук. соч., с. 94—103.

[8] Бардавелидзе В. В., указ. соч., с. 109—113.

Для оценки характера космогонических представлений древних кавказцев очень важно зарождение и развитие представлений о «доле» и «долевых божествах», полубогах — героях или животных. Эти представления развились на основе древней концепции избранничества как одна из форм общения человека с божеством. В искусстве этот ряд представлений наиболее ощутимым стал после астрализации антропоморфных божеств, которые своими знаками, «долями» в виде солнца, луны, звезды отмечали своих избранников. Отмеченных астральными знаками животных мы видим на триалетском поясе, солнечными знаками наделены фаллические фигуры из казбегского клада и т. д. В материалах этой эпохи сильно чувствуется космогоническое осмысление самого тела. На поясах из Такийского могильника лев гонится за дикой козой[9], у которой хвост и рога изображены в виде растений. Олени с такими же гипертрофированными рогами изображены на поясах из Самтавро и Триалети, а на топоре из Кобани олень вместе с огромными ветвистыми рогами имеет и длинный опущенный вниз хвост, оформленный в виде злака. Почти всегда живот человека или животного отличается методом трактовки от других частей тела и тем самым ему придается независимое, различное от остального тела значение. В основном корпус животных заполняется шахматной клеткой. Если сопоставить все это с языковыми данными, получается, что тело соответствует земле, шерсть и рога — растительности, верхняя часть тела, предплечье, грудь, голова, глаза — небу и небесным светилам (в груз. глаз — колесо — солнце). На топорах и поясах уже появляются фантастические животные, «кормящие» детенышей — птиц, рыб, имеющие общее, собирательное значение. Нет сомнения, что этот мифический образ животного воплощает в себе определенные взгляды о мироустройстве создавшего его человека. Так же очевидно, что уже сформировались представления о разных мирах, которые символически представлены в образах птиц (небо), антилоп (земля) и змей и рыб (подземный мир). В этом смысле особого внимания заслуживают штандарты из казбегского клада, где на рогатых головах горного тура, поставленных друг над другом, возвышается фаллическая фигурка. Тут, конечно, рога тура, подобно оленьим рогам, заменяют дерево, и этот мотив прекрасно сохранился в фольклоре..

Для изучения космогонических представлений последующих эпох, вплоть до недавнего прошлого, значительный материал сохранился как в фольклоре и эпосе, так и в религиозных верованиях и быту кавказских народов. Несмотря на многовековое господство христианства и ислама, в народном искусстве сохранились элементы древнейшей идеологии, а художественная форма или декор отдельных предметов до недавнего прошлого почти в точности повторяли мотивы, распространенные в эпоху раннего земледелия. В этом отношении весьма интересны декоры кавказских каменных и деревянных изделий[10], сакральное искусство сванского празднества усопших — *липанал*, новогоднее древо жизни — *чичилаги*, символ солнечного годичного цикла — новогодний *гвергви* и т. д. Древнейшие астральные мотивы сохранились на центральной стойке грузинского крестьянского жилища *дарбази*, которая возвышается непосредственно над очагом и поддер-

---

[9] Мартиросян А. А., Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван. 1964, рис. 55.

[10] Дебиров Г. М., Резьба по камню в Дагестане, М., 1966, табл. I—XXXIV.

живает куполообразное перекрытие *гвиргвини* (в переводе «венец» — «корона»). Центральная стойка *дедабодзи* (мать-столб) сама является объектом культа, и ее связь с перекрытием *гвиргвини* имеет глубокое космогоническое значение: она символ мирового дерева, поддерживает перекрытие — свод — небо *гвиргвини*. Центральные стойки с культовыми очагами на Кавказе засвидетельствованы еще в эпоху энеолита и ранней бронзы.

Путем сопоставления языковых, этнографических и мифических данных вырисовывается модель мира, его пространственное ощущение и вместе с тем формируется представление о составных элементах мироздания, об отдельных мирах (*скнели* — у грузин), расположенных на перпендикулярно пересекающихся линиях. Согласно представлениям грузин, вертикально расположены три мира — верхний, средний, нижний, а горизонтально — передний, средний, задний (термин, обозначающий задний мир, в языке имеет значение «последний» — *уканаскнели* — букв. задний мир). Вертикально расположенные миры были населены в следующем порядке: верхний — небожителями: божествами, птицами, небесными телами и фантастическими существами; средний мир заселяли — люди, животные, растения, а нижний — мир усопших, глубинных вод, дэвов и драконов. Вся эта система окружена внешним *скнели* — *гаресканели*, миром вечной тьмы, внешним пределом мироздания, которая представлялась, как абстрактная застывшая вечность (*укуни* — темный, *укунети* — мир тьмы; *саукуне* — век—столетие—вечность). Особое было отношение с передними и задними мирами, из которых первый считался ясным, светлым, осознанным и открытым взору пространством, соответствующим понятию «здесь», тогда как задний мир, «там» — труднодоступный, закрытый от взора, полный опасностей и неожиданностей, был враждебным миром. Во многих ритуалах, по всему Кавказу, из-за зловещего характера заднего мира строго запрещалось оглядываться назад, ибо задний мир более опасен, чем подземный мир с его амбивалентной семантикой. Эти представления отразились в магических формулах, концовках грузинских сказок:

*Чири ика* — дурное [да будет] там;
*лхини ака* — радость [да будет] здесь;
*като ика* — отруби [да будут] там;
*пквили ака* — мука [да будет] здесь.

Вертикально размещенные миры были разграничены между собой толщей воздуха или земли, а горизонтальные — семью или девятью хребтами, или морем. В некоторых мифах сохранились представления, согласно которым первоначально сформировались представления о горизонтально расположенных элементах мироздания.

Переход из одного мира в другой был доступен только божествам и героям-полубогам, и то в особых случаях. Человек мог совершить подобное только с согласия божества, посредством временной смерти, когда душа, путешествуя с божествами, через определенное время возвращалась к покинутому телу. Так что временная смерть (груз. смерть — *гардацвалеба* — букв. смена облика), необходимая для преодоления границы между мирами, подразумевала переход в иную форму существования, смену облика. Наряду с этим существовали еще множества других средств коммуникации, известных в кавказских мифах, среди которых важнейшее место занимает мировое дерево, оплот мироздания, соединяющее три вертикальных мира. Оно,

увитое лозой, с нанизанными гроздями винограда жизни, стоит у врат бога. Его вариантами считаются гора, столб, башня, спущенная с неба цепь, оленьи или турьи рога, или олень с огромными ветвистыми рогами, по которым можно добраться до неба. Космические преграды также можно преодолеть с помощью божественных животных и птиц, реальных и фантастических избранников божеств — покровителей отдельных миров.

В заключение можно сказать, что вся религиозно-космогоническая система древних кавказцев базируется на общей основе мироощущения. Несмотря на смену этнической среды в определенных регионах, на географическую изолированность отдельных племен и народов, языковые и этнические различия, для исторических форм культуры Кавказа характерна преемственность художественной традиции с глубокой древности до наших дней. Эта преемственность наглядно прослеживается в этнографическом быту Грузии и в общих чертах может быть засвидетельствована в народной культуре исторического населения Кавказа.

Представлена отделом этнографии кавказских народов Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР

თინა მორჩაძე

# ნატახტრის შუა და ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა

ნატახტარის შუა და ადრე ბრინჯაოს ხანის კერამიკული მასალიდან, რომელიც დაცულია ისტორიის ინსტიტუტის მცხეთის საფონდო საცავში (მასალა მიღებულია ვ. ნიკოლაიშვილისაგან), პეტროგრაფული მეთოდებით შესასწავლად, შერჩევით ავიღეთ სხვადასხვა ფერისა და დანიშნულების თიხის ნაწარმის ტიპური ნიმუშები.

აღნიშნული კერამიკა მაკროსკოპულად მოწითალო-აგურისფერი და ღია მოშაო ნაცრისფერია, ხასიათდება წვრილი, საშუალო და უხეშმარცვლოვანი აღნაგობით. იშვიათად შეიმჩნევა საღ მონატეხზე კვარცის ჩანართები. მარილმჟავა კერამიკაზე სუსტად მოქმედებს.

ნატახტარის კერამიკული მასალა მიკროსკოპული კვლევის შედეგად ორ ჯგუფად და ორ ქვეჯგუფად დაიყო:

I ჯ გ უ ფ ი. ამ ჯგუფში გაერთიანებულია მოყავისფრო-მონაცრისფრო და მოშაო-მომწვანო ფერის წვრილმარცვლოვანი კერამიკა, რომლის საღ მონატეხზე მარილმჟავა არ მოქმედებს.

მიკროსკოპის ქვეშ, გამავალ სხივში აღინიშნება ფიფქისებური პელიტომორფული ძირითადი მასა, რომელშიც მირეულია 5—15%-მდე პელიტური ზომის გასამჭლევებელი (ტერიგენული) მასალა. ტერიგენი წარმოდგენილია: პლაგიოკლაზებით, კვარცით, მადნეული მინერალებით.

ჯვარედინ ნიკოლში ძირითადი მასა იზოტროპულია და ოქროსფერი გადაჰკრავს, რაც მიუთითებს რკინის შემცველობაზე (10—15%).

კერამიკის გამოწვის ტემპერატურული რეჟიმი მერყეობს 800—850°-მდე. კერამიკული ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიის დონე მაღალია.

I ჯგუფს განეკუთვნება შემდეგი ნიმუშები:

ნიმ. № 1 — სამარხი № 7. 01/24—III—120, — ქილის ნატეხი; ნიმ. № 5 — სამარხი № 3. 01/24—I—36— ქილის ნატეხი; ნიმ. № 10 — სამეურნეო ორმო № 1. 01/24—III, 138— ქილის ნატეხი.

1 ქ ვ ე ჯ გ უ ფ ი. ამ ჯგუფის კერამიკისათვის დამახასიათებელია მომწვანო-მოშაო და მონაცრისფრო-მოშაო საშუალომარცვლოვანი არაკარბონატული მასალა.

მიკროსკოპის ქვეშ, გამავალ სხივში აღინიშნება ფიფქისებური ალევროპელიტური ძირითადი მასა, რომელშიც 20% რაოდენობით უწესრიგოდ მირეულია ალევროლითური ზომის გასამჭლევებელი მასალა. ტერიგენი წარმოდგენილია: პლაგიოკლაზებით, კვარცით, ქანის ნატეხებით და მცენარეული დეტრიტით.

ჯვარედინ ნიკოლში ძირითადი მასა სუსტად იზოტროპულია.

კერამიკული ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიის დონე საშუალოა, ხოლო გამოწვის ტემპერატურული რეჟიმი 700°—750°C-მდე აღწევს.

I ქვეჯგუფს მიეკუთვნება შემდეგი ნიმუშები:

ნიმ. № 2, სამარხი № 7. ქილის ნატეხი; ნიმ. № 7, სამარხი № 8. 01/24—1—61— ქოთნის ნატეხი.

II ჯ გ უ ფ ი. II ჯგუფის კერამიკა მაკროსკოპულად მოშაო-მონაცრისფრო და მსხვილმარცვლოვანია, საღ მონატეხზე სუსტად კარბონატული.

მიკროსკოპის ქვეშ, გამავალ სხივში შეინიშნება ღრუბლისებური (მარცვლოვანი) ალევროლითური ძირითადი მასა, რომელშიც 50% რაოდენობით მირეულია ფსამიტური ზომის გასამჭლევებელი მასალა. ტერიგენული მასალა წარმოდგენილია: პლაგიოკლაზის, კვარცის, ქლორიტის, ფირფიტებით; შლიფში აღინიშნება რკინის მდიდარი შემცველობა (40%).

კერამიკული ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიის დონე დაბალია, მიკროსკოპში კვლევისას ნათლად შეიმჩნევა დაუმუშავებელი, ცუდად მოზელილი ნედლეული, გასამჭლევებელი მასალა არ არის თანაბრად მირეული, არ არის კარგად მოზელილი, უწესრიგოდ არის ჩაყრილი ძირითად მასაში, რის გამოც გამოწვის შედეგად კუშტებად არის ქცეული. კერამიკის უხარისხოდ გამოწვის გამო, ნაწარმში გაჩენილია გამოუწვავი უბნები, სადაც ტემპერატურა შედარებით დაბალია.

II ჯგუფის კერამიკული ნაწარმის გამოწვის ტემპერატურული რეჟიმი მერყეობს 700°—750°C-მდე.

ამ ჯგუფს განეკუთვნება შემდეგი ნიმუშები:

ნიმ. № 6 — სამარხი № 1, 01/24—1—9 ქილის ნატეხი; ნიმ. № 8 — სამარხი № 2, 01/24—1—22 ქილის ნატეხი; ნიმ. № 9 — სამეურნეო ორმო, № 1, 01/24—III—142 — ქოთნის ნატეხი; ნიმ. № 11 — სამეურნეო ორმო № 2, 01/24—III—162 — ქოთნის ნატეხი.

II ქვეჯგუფი. ამ ჯგუფის კერამიკული მასალა მაკროსკოპულად მოშაომონაცრისფრო და მსხვილმარცვლოვანია, საღ მონატეხზე კვარცის ჩანართები შეინიშნება; მარილმჟავა სუსტად მოქმედებს (სუსტად კარბონატულია).

მიკროსკოპის ქვეშ, გამავალ სხივში აღინიშნება მუქი-მოშაო ღრუბლისებური (მარცვლოვანი) ალევროლითური ძირითადი მასა, რომელშიც უწესრიგოდ არის ჩაყრილი 60% გასამჭლევებელი მასალა. ტერიგენი წარმოდგენილია: პლაგიოკლაზებით, კვარცით, მადნეული მინერალებით და ქანის ნატეხებით. II — ქვეჯგუფის ნიმუშებისათვის დამახასიათებელია რკინის მდიდარი შემცველობა.

ჯვარედინ ნიკოლში ძირითადი მასა იზოტროპულია.

კერამიკული ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიის დონე საშუალოა, მათი გამოწვის ტემპერატურული რეჟიმი მერყეობს 800°—900°C-მდე. ზოგიერთ ნიმუშში ცეცხლის მეორადი კვალიც შეინიშნება მაგ., ნიმ. № 3, სამარხი № 7, 01/24—III—123.

ამ ჯგუფს განეკუთვნება შემდეგი ნიმუშები:

ნიმ. № 3 — სამარხი № 7, 01/24—III—123 — ქილის ნატეხი; ნიმ. № 4 — სამარხი № 3, 01/24—II—32, ბადიის ნატეხი (ღრმა ჯამი); ნიმ. № 12 — სამეურნეო ორმო № 1, 01/24—III—141 — ქილის ნატეხი.

ამრიგად, ნატახტრის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკული მასალის მიკროსკოპული კვლევის საფუძველზე ორი პეტროგრაფული ჯგუფი და ორი ქვეჯგუფი დადგინდა.

I ჯგუფისა და I ქვეჯგუფის კერამიკული ნაწარმი ხასიათდება ძირითადი და მინარევი მასალის ერთი და იგივე მინერალოგიური შედგენილობით, განსხვავდებიან ერთი მეორისაგან: გამოყენებული გასამჭლევებელი მასალის პროცენტული რაოდენობით (1 ჯგუფში ტერიგენი 5—15%-მდეა, I ქვეჯგუფში — 20%), ტერიგენული მასალის ზომით (I ჯგუფში ტერიგენი — პელიტურია; I ქვეჯგუფში ალევროლითური), კერამიკული მასალის დამზადების ტექნოლოგიის თავისებურებით (I ჯგ. კერამიკა მაღალ ტექნოლოგიურ დონეზეა ნამზადი, ისე რომ ნიმ. № 10 იმპორტულს გავს, I ქვეჯგუფში კერამიკა ნამზადია ტექნოლოგიურად საშუალო დონეზე) და გამოწვის ტემპერატურული რეჟიმით (I ჯგუფში t=800°—850°C, ხოლო I ქვეჯგუფში t=700°—750°C).

II ჯგუფისა და II ქვეჯგუფის კერამიკული მასალა ხასიათდება, ძირითადი და ტერიგენული მასალის მსგავსი მინერალოგიური შედგენილობით. განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, მინარევი მასალის პროცენტული შემცველობით (II ჯგ. 50%, II ქვეჯგ. — 60%), გამოწვის ტემპერატურული რეჟიმით (I.I ჯგუფში t=700°—750°C, II ქვეჯგუფში t=800°—900°C), და კერამიკის დამზადების ტექნოლოგიის დონით (II ჯგ. კერამიკა დამზადებულია დაბალ დონეზე, II ქვეჯგუფი — საშუალო დონეზე).

როგორც ვხედავთ, I ჯგ. და I ქვეჯგუფის კერამიკა ხასიათდება ნაზი, წვრილმარცვლოვანი ძირითადი მასით, რომელშიც მინარევი ტერიგენული მასალა მცირეა და მაღალ ტექნოლოგიურ დონეზეა ნამზადი (რის გამოც ზოგიერთი ნიმუში იმპორტულს ჰგავს), და გამოწვის ტემპერატურული რეჟიმი თანდათანობით ზომიერადაა განვითარებული, რაც კერამიკულ ნაწარმს მაღალხარისხოვანს ხდის, ხოლო II ჯგ. და II — ქვეჯგუფის კერამიკა ხასიათდება უხეში, მსხვილმარცვლოვანი მასით, რომელშიც მინარევი ტერიგენული მასალა დიდი რაოდენობითაა შეტანილი და უსისტემოდაა განაწილებული კერამიკულ ნაწარმში (50—60%), ეს ჯგუფი განსაკუთრებულად მდიდარია რკინის შემცველობით (40%) და ტექნოლოგიურად დამზადებულია საშუალო და დაბალ დონეზე, თუმცა ზოგიერთი ნიმუში მაღალ ტემპერატურულ რეჟიმზეა გამომწვარი. ამ ჯგუფის რამდენიმე ნიმუშში ცეცხლის მეორადი კვალიც შეინიშნება.

ამგვარად, ნატახტრის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკულ მასალაში შესაძლებელი გახდა გამოყოფილიყო 2 ჯგუფი და 2 ქვეჯგუფი, რომლებიც ერთი და იგივე ძირითადი და მინარევი მასალით ხასიათდებიან, რაც მიუთითებს რომ ისინი ერთი საკერამიკე ნედლეულისაგან არიან დამზადებული, კერძოდ ე. წ. ქსნის I და II (მონტმორილონიტ-ჰიდრომუსკოვიტური)[1] ტიპის თიხისაგან ხოლო კერამიკის დამზადების ტექნოლოგიის დონე სხვადასხვაა: მაღალი, საშუალო და დაბალიც.

[1] თ. მორჩაძე, შიდა ქართლის ანტიკური პერიოდის კერამიკა, თბ., 1979, გვ. 17.

Т. А. МОРЧАДЗЕ

# НАТАХТАРСКАЯ КЕРАМИКА ЭПОХИ РАННЕЙ И СРЕДНЕЙ БРОНЗЫ


Резюме

В статье с использованием петрографических методов исследованы образцы керамики из Натахтари.

Изученный керамический материал по минералогическому составу подразделен на две группы и две подгруппы.

Установлено, что для изготовления этой керамики использованы глины т. н. ксанского I и II (монмориллонит-гидромусковитового свойства) типа.

Технологический уровень изготовления керамики разный (высокий, средний и низкий), а температурный режим обжига колеблется между 700°—900°С.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა

# დისკუსია და მასხილვა

ზურაბ რატიანი

## უძველეს ქართულ სამართალთა შესახებ*

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის დანართი მუხლების შესახებ დღემდე რამდენიმე განსხვავებული აზრია გამოთქმული[1]. პირველად ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ საკუთრივ ბექა-აღბუღას სამართალი 98-ე მუხლით მთავრდება და, შემდეგ, ცალკე შესავლით, იწყება სხვა სამართალი, რომელიც 77 მუხლისაგან შედგება. ამ დანართის პირველ მუხლებს ივ. ჯავახიშვილმა ბაგრატ III სამართალი უწოდა და ძეგლი XI ს. დამდეგს მიაკუთვნა. დანართის დანარჩენი მუხლების ავტორობისა და შემადგენლობის გარკვევა დიდმა მეცნიერმა მომავალი კვლევაძიების საგნად დასახა. ამის შესახებ გამოკვლევა მან ჯერ კიდევ 1909 წელს დაბეჭდა ალმანახ „ერის" პირველ ნომერში.

შემდეგ. ს. კაკაბაძემ რამდენჯერმე სცადა ივ. ჯავახიშვილის დებულების გაბათილება, მაგრამ ივ. ჯავახიშვილმა საფუძვლიანი მტკიცებით უარყო ს. კაკაბაძის მოსაზრებანი[2].

1938 წელს ფრანგმა მეცნიერმა ჟ. კარსტმა დანართი X—XI სს. ძეგლად, ანუ ასევე ბაგრატ III დროინდელად მიიჩნია[3].

1952 წელს ივ. სურგულაძემ[4], ხოლო 1953 წელს ი. დოლიძემ[5] დანართი მუხლები ბაგრატ IV სამართლად აღიარეს, ამასთან ი. დოლიძემ დანართის ნაწილი კანონიკური სამართლის ფრაგმენტად ჩათვალა, ნაწილიც — ბექა-აღბუღას სამართლის განმეორებად.

ბოლოს, 1972 წელს ა. კიკვიძემ დანართი ბაგრატ პირველის სამართლად ე. ი. IX საუკუნის ძეგლად გამოაცხადა[6].

ვფიქრობ, განსახილველ საკითხზე ა. კიკვიძის მიერ ივ. სურგულაძისა და ი. დოლიძის კრიტიკა ეჭვს არ იწვევს, რასაც ვერ ვიტყვი მის კრიტიკაზე ივ. ჯავახიშვილის მიმართ.

საქმე ის არის, რომ ა. კიკვიძის ძირითადი, გადამწყვეტი არგუმენტია ბაგრატ პირველის მეფეთ-მეფედ ცნობა, ივ. ჯავახიშვილს კი სრულიად გარ-

---

* წაკითხულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების სხდომაზე 1976 წლის 8 ოქტომბერს (იბეჭდება შემოკლებით).

[1] არსებულ მოსაზრებათა კრიტიკული მიმოხილვა იხ. ა. კიკვიძე, ვის ეკუთვნის ბაგრატ კურაპალატის სახელით ცნობილი სამართალი? კრებულში: „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XVI—XVII", თბ., 1972 წ. გვ. 228—232.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928. გვ. 82—93.

[3] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 64—65.

[4] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 73.

[5] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 43—60.

[6] ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 228—243.

კვევით აქვს ნათქვამი; „ბაგრატ I მაინც მეფედ-მეფის წოდებულებას ვერავინ მიაწერდა". ამის წინ, იქვე, ივ. ჯავახიშვილი წერს: „ბ ა გ რ ა ტ I კ ი მ ა შ ი ნ ც ხ ო ვ რ ო ბ დ ა, რ ო ც ა მ ე ფ ო ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ც კ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა ღ დ გ ე ნ ი ლ ი ა რ ი ყ ო". (ქვემოთ, ყველგან, სადაც ავტორი მითითებული არ არის, ხაზგასმა ჩემია — ზ. რ.). ა. კიკვიძის აზრით თითქოს, გიორგი მერჩულის თხზულებით დასტურდება ბაგრატ პირველის მეფედ-მეფობა, მაგრამ ივ. ჯავახიშვილი სავსებით მართალია, როცა წერს: „თუ... „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას" მივუბრუნდებით, ირკვევა, რომ თვით ბაგრატ კურაპალატს მისი თანამედროვენიც მეფეს ეძახდნენ"[7].

ცხადია, მეფე სხვაა და მეფეთ-მეფე — სხვა.

არც ბაგრატიონთა საგვარეულო ქრონიკა და, საერთოდ, არც ერთი სარწმუნო წყარო ბაგრატ I-ს მეფეთ-მეფედ არ იცნობს.

ყველა სანდო წყაროსა და ივ. ჯავახიშვილის სწორი დასკვნის საწინააღმდეგოდ ა. კიკვიძემ მხოლოდ ერთ, ისიც ნაყალბევ საბუთზე თულასძეთა სიგელზე დაყრდნობით დაასკვნა: „ბაგრატ აშოტის ძე კურაპალატი ყოფილა მეფეთ-მეფე".

თულასძეთა სიგელის, მოკლე შინაარსი ასეთია[8]: მეფეთ მეფე ბაგრატს (ყალბი პირით ბაგრატ I კურაპალატს) თხოვნით მიმართავენ თულასძენი, რათა მეფემ განუახლოს მათივე ძველი სასისხლო სიგელი. „ერთობი საპატივო კაცი ყოფილიყო და მ ი ს თ ა ნ ა ს ი გ ე ლ ი ქ ო ნ ე ბ ო დ ა დ ა ი მ ა ვ ე ს ი გ ე ლ ი თ ა ჩ ვ ე ნ ა ხ ლ ა დ დ ა უ მ ტ კ ი ც ე თ დ ა გ ა უ ჩ ი ნ ე თ ს რ უ ლ ი ს ი ს ხ ლ ი ა ს რ ე". ამის შემდეგ ჩამოთვლილია ამ ახლად დამტკიცებული სისხლის განაჩენები და შემდეგ: „ს ხ ვ ა ს რ უ ლ ი ს ი ს ხ ლ ი მ ე ფ ე თ გ ა ნ გ ა ჩ ე ნ ი ლ ი ა ს ო ც ი ა თ ა ს ი ძ ვ ე ლ ი თ ე თ რ ი კ ი რ მ ა ნ ა უ ლ ი დ ა გ ი ვ რ დ ე ბ ო დ ე ს". დაბოლოს, როგორც წესია, მეფე ყველა სასულიერო და საერო ხელისუფალთ მოუწოდებს არ შეცვალონ ეს სისხლის განაჩენი.

აი, ამ წყაროს საფუძველზე დაასკვნა ა. კიკვიძემ, ბაგრატ I მეფეთ მეფე იყოო, ვინაიდანო, წერს იგი: „ყ ა ლ ბ ი ს ი ქ მ ნ ე ლ ს ს ც ო დ ნ ი ა, რ ო მ ბ ა გ რ ა ტ ა შ ო ტ ი ს ძ ე კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ყ ო ფ ი ლ ა მ ე ფ ე თ-მ ე ფ ე". მაგრამ თუ ყალბისმქმნელს, ბაგრატ პირველის მეფეთ მეფობას დავუჯერებთ, მაშინ რატომ არ უნდა დავუჯეროთ მას სხვა ცნობებიც? თუ ასე მივყვებით, გამოვა, რომ ყალბისმქმნელს არა მარტო ბაგრატ I-ის მეფეთ მეფობა სცოდნია, არამედ ისიც, რომ ბაგრატ I ყოფილა, არც მეტი არც ნაკლები, „აფხაზთა, ქართველთა, კახთა და სომეხთა მეფე, შაჰანშა და შარვანშა, და ყოვლისა ჩრდილოეთისა, აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თვით ხელმწიფედ მქონებელ-მპყრობელი".

ასევე „კარგად" სცოდნია ჩვენს ანონიმ ავტორს, რომ IX ს. საქართველოში ფულის ერთეული ყოფილა ძ ვ ე ლ ი თ ე თ რ ი კ ი რ მ ა ნ ა უ ლ ი და იმავე საუკუნეში გელათელიც არსებულა და ბედიელიც, ამათ გარდა, დადიანი, გურიელი და ათაბაგიც სახეზე გვყოლია.

---

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88, მეფობის აღდგენის შესახებ იხ. მ ი ს ი ვ ე. ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 106—131; ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, თბ., 1929, გვ. 108—116.

[8] საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909.

მიუხედავად აღნიშნულისა, კიდევაც რომ ვირწმუნოთ ბაგრატ I-ის მეფეთ მეფობა, თულასძეთა სიგელის მიხედვით მაინც არ მტკიცდება, რომ ბაგრატ I სჯულმდებული მეფეა, რადგან, *ამ სიგელით ბაგრატ მეფე მხოლოდ და მხოლოდ ძველი სასისხლო სიგელის განმაახლებელია. ასეთი ძველი სიგელების განმაახლებელი, როგორც წესი, ყველა ქართველი მეფე იყო, და გამოდის, რომ ყველა სჯულმდებელი — სამართლის შემდგენელი ყოფილა*?! მაგრამ ბაგრატ I თულასძეთა სისხლის განმაახლებელი კი არა, პირველად დამდგენიც რომ ყოფილიყო, მაინც ვერ ჩაითვლებოდა სჯულმდებლად, რადგან სამართლის შედგენა სხვაა და არსებული სამართლის საფუძველზე ერთი გვარისათვის სისხლის განაჩენის დადგენა სხვა.

ახლა ესეც ვიკითხოთ, რატომ მაინცდამაინც ბაგრატ I აირჩია ყალბისმქმნელმა და არა, ვთქვათ, ბაგრატ II ან III? იმიტომ, რომ მას უნდოდა სასისხლო სიგელი რაც შეიძლება ძველად წარმოედგინა, ამით უფრო დამიჯერებენო. ასე რომ, ბაგრატ I-ს ძველი წელთაღრიცხვითაც IX ს-ში რომ ემოღვაწა, ყალბისმქმნელი არც ამის აღნიშვნაზე დაიხევდა უკან, იმდენად „განსწავლული“ ჩანს იგი.

ამრიგად, თულასძეთა სასისხლო სიგელის პირი იმდენად უმეცარი გადამწერის შესრულებულია, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მასზე დაყრდნობით ბაგრატ I მეფეთ მეფედ ვაღიაროთ. როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილის დასკვნა: „ბაგრატ I მაინც მეფეთ მეფის წოდებულებას ვერავინ მოაწერდა“, ძალაში რჩება, მაგრამ, ვინაიდან დიდ მეცნიერს ამ დასკვნის საფუძველზე გამოთქმული მოსაზრება, რომ დანართი წარმოადგენს ბაგრატ III კურაპალატის სამართალს, ზედმიწევნით დასაბუთებული არა აქვს, საჭიროდ მიმაჩნია მისი დასაბუთება.

დავიწყებ იმის გარკვევით, თუ რა პრინციპით არის შედგენილი დანართი მუხლები და რა სახით არის ის ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში შეტანილი.

დანართი მუხლების შესავლის არსებობა და პირველი ორი მუხლის შინაარსი უეჭველად იმის მაუწყებელია, რომ დანართ მუხლებს დასაწყისი — თავი არ აკლია. ამდენად, დანართის დასაწყისიდან ირკვევა, რომ ჩვენს ხელთაა თავიდან — მისი შესავლით დაწყებული ცალკე სამართალი.

სამართლის შედგენილობის გასარკვევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა პრინციპით არის მასში სისხლის ზღვარი დადგენილი. მხედველობაში მაქვს შემდეგი გარემოება, **ფეოდალური საქართველოს სამართლის იმ წიგნებში, რომლებიც მთავარი, ძირითადია, სისხლის ფასი კონკრეტულად არის განსაზღვრული ყოველი სოციალური წოდებისა და ამ წოდებაში შემავალი ყოველი სოციალური ფენისათვის. ასეთებია, ბექა-აღბუღასა და ვახტანგ VI-ის სამართლები. ამავე პრინციპით იყო შედგენილი უძველესი ქართული სამართალი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია**, მაგრამ რომლის არსებობაში ეჭვი არ ეპარებოდა ივ. ჯავახიშვილს. სხვა პრინციპით შედგენილ სამართლებს განეკუთვნება გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ და კათალიკოსთა სამართალი. რა იგულისხმება ამ „სხვა პრინციპში“?

ჯერ კათალიკოსთა სამართლის მაგალითზე ვნახოთ. ამ სამართლის შესავალში **წერია: „დავიდევით სჯულის კანონი და ჩუენცა იმისგან გადმოვიღე-**

ვით; და რაცა იმისაგან არ გადმოვიღევით, ჩუენ ჩუენი მაგიერი არა შეგვმატებია რა.

და სჯულის კანონიცა ასრე ბრძანებს".

მართლაც თითქმის მთელი კათალიკოსთა სამართალი ამგვარად არის შემუშავებული, მაგრამ ვინც ამ ძეგლის მე-14 მუხლს ჩაჰკვირვებია, უთუოდ შეამჩნევდა ერთ თავისებურებას:

მუხლი 14: „ქ. ვინცავინ ებისკოპოზსა და მისსა ქორებისკოპოზსა წინააღმდეგობა ჰკადროს, მართლითა განკითხვითა და გამოძიებითა რჯული არა მოჰკითხოს პატრონმან, მეფემან მ ი ს ა დ ს ი ს ხ ლ ა დ და შეცოდებად მოიკითხოს"[9].

აქ ხაზგასმული ადგილიდან გარკვევით ჩანს, რომ დამნაშავეს, პირველ რიგში „მისად სისხლად" მოეთხოვება პასუხი, მაგრამ კათალიკოსთა სამართლის ვერც ერთ მუხლში ვერ ვიპოვით იმის პასუხს, თუ რამდენია ეს „მისად სისხლად". აქედან ცხადია, რომ, ამ შემთხვევაში, კათალიკოსთა სამართალი ეყრდნობა სხვა სამართალს, სადაც სისხლის ყველა დანარჩენი გარკვევით არის დადგენილი. ვფიქრობ, მაქვს საფუძველი ვთქვა, რომ ის სამართალი, სადაც სისხლის განაჩენი ყველა განხილული შემთხვევისათვის დადგენილია, მივიჩნიოთ ძირითად სამართლად, ხოლო, ამ შემთხვევაში, კათალიკოსთა სამართალი — არა ძირითად სამართლად, რადგან ამ უკანასკნელის პირველისგან დამოკიდებულება მე-14 მუხლით უეჭველია.

ახლა გიორგი ბრწყინვალის სამართალს შევეხოთ. როგორც ცნობილია, ეს სამართალი შედგენილ იქნა საქართველოს მთიანი ნაწილისათვის. ამიტომ, მასში მხოლოდ იმ სოციალური კატეგორიების სისხლია დადგენილი, რომლებიც მხოლოდ მთაში არსებობდა ანდა ბარის ანალოგიური სოციალური კატეგორიისაგან განსხვავდებოდა. ასეთებია, მაგ., ჰეროვანი და მსახური. მაგრამ იმ კატეგორიათა სისხლი, რომელიც ძირითადი სამართლით არის განსაზღვრული, „ძეგლის დადებით" ასევე ძირითადი სამართლის განსაზღვრით იგულისხმება.

ამას წყაროს პირველივე მუხლი ადასტურებს: „ერისთვის სიკუდილი ვით აროდეს კადრებულა, აგრე ნუმცა ვისგან იკადრების.

და თუ ვის ღმერთი შერისხდეს და შეცოდება რამ დიდი დაემართოს და მოკლას ერისთავი ვითა უმსგავსო არის და უსაზომო შეცოდება, აგრეთვე დამეტებული დიდი პატივი და გარდაჯდევინება დარბაზით ეკითხოს. გარდახუეწა, მამულის წაღება და ს ი ს ხ ლ ი მ ი ს გ უ ა რ ს ა ზ ე დ ა დ ა ი უ რ ვ ო ს და გარდაიხუეწოს..."

მაგრამ ერისთავის „გუარსა ზედა" სისხლი და ძეგლის დადებაში დადგენილი არ არის. ცხადია, ეს მუხლი ეყრდნობა სხვა, ძირითადი სამართლის განაჩენს, სადაც ერისთავის — წოდებრივად დიდებულის სისხლი იყო დადგენილი. ასევეა „ძეგლის დადების" მე-4 მუხლითაც: „და თუ აზნაური იყოს განმგებლად და მოკლან, **მის გუარსა ზედა დაიურვონ სისხლი**"[10].

რამდენიც უნდა ვეძებოთ „ძეგლის დადებაში" აზნაურის სისხლი „მის გუარსა ზედა", მასაც ვერაფრით აღმოვაჩენთ.

---

**9 ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 395, ყველა სამართლის მუხლებს ამ გამოცემით ვიმოწმებ.**

10 ქ. ს. ძ. I, გვ. 404.

ვფიქრობ, ახლა ნათელია, რომ **ფეოდალურ საქართველოში არსებობდა სხვადასხვა პრინციპზე აგებული სამართლები.**

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს განსახილველ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის დანართს. ირკვევა, რომ დანართი ეკუთვნის იმ პრინციპზე აგებულ სამართალთა რიცხვს, სადაც სისხლის სრული ზღვარი მთლიანად სხვა — ძირითად სამართალზე დაყრდნობით არის დადგენილი. ამას ადასტურებს დანართის უკლებლივ ყველა მუხლი, სადაც კი სრულ სისხლზეა მითითება. პირველი ასეთია დანართის 104-ე მუხლი: „ვინცა დიდებულმან, ანუ აზნაურმან, ანუ სხუამან ვინმე, მონაზონი ანუ მღდელი მძლავრებით ჴელთა შეიპყრას, რ ა ჲ ს ა ც ა გ უ ა რ ი ს ა ი ყ ო ს მის სისხლისა ხუთი ათასი სხუა ემატოს".

ასევეა 108-ე მუხლიც: „თუ აზნაურმან ანუ დიდებულმან მღდელსა აგინოს, ანუ უქუემოსმან, მ ე ს ა მ ე დ ი ს ი ს ხ ლ ი ს ა დ ა უ უ რ ვ ო ს დ ა დიდად შეეხუეწოს".

არსად, ვიმეორებ, არსად დანართის არც ერთ მუხლში მითითებული არ არის, თუ რამდენია დიდებულის, აზნაურის ან სხვათა სისხლი. ცხადია, ამ შემთხვევაში დანართი ეყრდნობა სხვა, ძირითად სამართალს, სადაც დიდებულისა, აზნაურისა და სხვათა სისხლი ცალ-ცალკეა დადგენილი.

დანართის 109-ე მუხლში ვკითხულობთ: „თუ კაცმან კაცი გუემოს და ეკლესია გაუტეხოს, რაჲსაცა გუარისა იყოს, სრული სისხლი დაუურვოს". მომდევნო 110-ე, 111-ე მუხლებში კი სხვა დანაშაულისათვის დადგენილია ნახევარი და მესამედი სისხლი. 109-ე და მასზე დამოკიდებული 110-ე და 111-ე მუხლები იმით არის საგულისხმო, რომ აქ ლაპარაკია არა რომელიმე ერთ წოდებასა და ფენაზე, არამედ ფეოდალური საზოგადოების ყველა წოდებასა და ფენაზე, დაწყებული დიდებულით და დამთავრებული გლეხით. როგორც აღვნიშნეთ, დანართის მუხლებში კი არც ერთი „გუარის" — წოდებისა და ფენის სისხლი დადგენილი არ არის. ცხადია, აქაც დანართი სხვა — ძირითადი სამართლის მონაცემებს ეყრდნობა.

ასეთივე პრინციპით არის შედგენილი 117-ე და 118-ე მუხლებიც:

მუხლი 117: „თუ კაცმან კაცი ღალატით მოკლას, თორმეტი ათასი ს ი ს ხ ლ ს ა ე მ ა ტ ო ს".

118. „თუ მკუდარი გაძარცოს, თორმეტი ათასი ს ი ს ხ ლ ს ა ე მ ა ტ ო ს" იგივე სურათი გვაქვს: 120-ე, 122-ე, 123-ე, 124-ე, 125-ე, 126-ე, 132-ე, 136-ე, 140-ე, 142-ე, 143-ე, 144-ე, 146-ე, 147-ე, 150-ე, 151-ე, 159-ე, 162-ე, 164-ე, 165-ე 166-ე, 168-ე, 169-ე, და 171-ე მუხლებში.

ყველა ამ მუხლის აქ მოტანა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ორიოდეს კიდევ დავიმოწმებ:

მუხლი 124: „წაპარვითა თუალისა ცურა, ჴელფერჴისა დაგერშა, პირისა დალი ესე სამი ს ი ს ხ ლ ი ს ა ნ ა ხ ე ვ ა რ ი არს".

მუხლი 135: „თუ კაცმან კაცსა ცოლი წაუღოს, ს რ უ ლ ი ს ი ს ხ ლ ი".

მუხლი 146: „თუ კაცმან კაცსა გრძნეულება შეჰყივლოს, ს ი ს ხ ლ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ი დაუურვოს, თუ ვერ გატეხოს".

ამრიგად, დანართის უკლებლივ ყველა მუხლი, სადაც წოდებათა და ფენათა სისხლზეა მითითება, ერთი პრინციპით არის შედგენილი — ეს მუხლები ეყრდნობა, სხვა, ძირითადი სამართლით განსაზღვრულ სისხლის რაოდენობას.

შეიძლება თუ არა დანართის ამგვარი აღნაგობა შემთხვევითი იყოს? ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ თავიდან დანართიც შეიცავდა იმ მუხლებს, სადაც წოდებათა და ფენათა სრული სისხლი იყო განსაზღვრული? იქნებ ამგვარი მუხლების მოშლა შემდგომი რედაქტირების შედეგია? ვფიქრობ, რომ არა. დანართის შესავალი და პირველი მუხლები სამართლის ორგანული დასაწყისია, აქ კი სრული სისხლი დადგენილი არ არის, მაშინ, როცა სისხლის სრული ზღვარი, ჩვეულებრივ, პირველივე მუხლებით არის დადგენილი. ასეა, მაგალითად, ბექა-აღბუღას სამართალში. მთავარი მაინც ის არის, რომ ამგვარ პრინციპზე აგებული სამართლის ძეგლები სხვაც მოგვეპოვება. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ასეთებია გიორგი ბრწყინვალისა და კათალიკოსთა სამართლები. ყოველივე ამის გამო, ვფიქრობ, რომ დანართი თავიდანვე იმ პრინციპით იყო შედგენილი, რომ მასში სრული სისხლი არ ჰქონიათ განსაზღვრული. სრული სისხლი დადგენილი ყოფილა სხვა, ძირითადი სამართლით, რასაც დანართი ეყრდნობა*.

აქედან შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა: *ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის დანართი მუხლების შედგენამდე საქართველოში არსებობდა სამართლის წიგნი, რომელიც იყო ძირითადი სამართალი, სადაც წოდებათა და ფენათა სრული სისხლი იყო განსაზღვრული.* როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასეთი სამართლის არსებობაში ეჭვი არ ეპარებოდა ივ. ჯავახიშვილს.

ახლა ესეც ვიკითხოთ, რა მიზანი ჰქონდა დანართის შედგენას?

ჩვენ ვიცით, რომ გიორგი ბრწყინვალის სამართალი საქართველოს მთის მოსახლეობისათვის იყო შედგენილი.

ვიცით, აგრეთვე, კათალიკოსთა სამართლის დანიშნულება.

ვფიქრობ, დანართის რაობის შესახებ გარკვეულ პასუხს უკვე მისი შესავალი გვაძლევს:

„სახელითა ღმრთისაჲთა დაიწყების საღმრთოჲსა [სჯულსა] გაჩენილი და გასაჩენელი, პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა და მერმე ებისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჰკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღმრთისაჲთა“.

აღდგენილი სიტყვა — „სჯულსა“, ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს, რის გამოც თავისი წიგნის სქოლიოში იგი შენიშნავს: „დედანი აქა-იქ გაფუჭებულია და ჩვენ ვასწორებთ“[11].

სიტყვა — „სჯულსა“, ვფიქრობ, სავსებით სწორად აღადგინა ივ. ჯავახიშვილმა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ მოუცია მის მიერვე ამგვარად გამართული წინადადების კომენტარი. მე კი მგონია, რომ ეს წინადადება ასე უნდა გავიგოთ: *ამ შესავლით იწყება საეკლესიო სამართალი, რომელიც ბაგრატ კურაპალატის ბრძანებით არის შედ-*

* იგივე ითქმის გოშის სამართალზეც (რასაც ცალკე განვიხილავ), იქ დამოწმებული საზოგადოებრივი წოდებანი სავსებით ადასტურებენ, რომ სომხეთი სოციალურად და პოლიტიკურად საქართველოს ორგანული ნაწილი იყო.

11 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თბ., 1928, გვ. 82.

გენილი. „სადმრთოსა სჯულსა“, ვფიქრობ, სწორედ საეკლესიო სამართალს ნიშნავს, ისევე როგორც „განგებითა ღმრთისაჲთა“ — ღმერთის, საეკლესიო წესით დადგენილს.

თუ ჩვენ ამ შესავალს კათალიკოსთა სამართლის შესავლის დასკვნით ნაწილს შევუდარებთ, დავრწმუნდებით, რომ მსგავსება აშკარაა: „დავიდევით სჯულის კანონი და ჩუენცა იმისგან გადმოვიღევით; და რაცა იმისაგან არ გადმოვიღევით, ჩუენ მაგიერი არა შეგჳმატებია რა.

და სჯულის კანონიცა ასრე ბრძანებს“.

ვგონებ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ დანართის შესავლის სიტყვები: „სახელითა ღმრთისაჲთა დაიწყების სადმრთოჲსა სჯულსა გაჩენილი და გასაჩენელი“ და კათალიკოსთა სამართლის შესავლის სიტყვები: „სჯულის კანონიცა ასრე ბრძანებს“, ერთი და იგივე შინაარსის შემცველი ცნებებია, ორივე გვეუბნება, რომ ამ შესავლებით იწყება საეკლესიო სამართლები.

მართლაც დანართი მუხლებით სავსებით დასტურდება ეს დაკვირვება.

მუხლი 101: „თუ ებისკოპოზმან მეფესა შესცოდოს, მეფისაგან ჴელად შეპყრობაჲ არა ეგების, ამად რომე მისდა მუქაფად სასჯელისა დამამტკიცებელი არს.

შეხუეწა, შეკაზმა მართებს ეპისკოპოზსა მეფისა“.

მუხლი 102: „თუ მეფე ებისკოპოზსა გაუწყრეს, გინა უსამართლოდ, გინა სამართლითა, ჴელთა შეპყრობაჲ არც მაშინ მოჴდების, ამისთჳს რომე მეორე მეფე ებისკოპოზი არს და ქრისტიანეთა სჯულის დამამტკიცებელი.

და არცა[12] მეფესა სჯულისა საქმე აქუს, აგრე შეიწყნარენ“.

ამ მუხლების საეკლესიო ხასიათის დადგენას დიდი მტკიცება არ სჭირდება. 102-ე მუხლის ბოლო წინადადება პირდაპირ გვეუბნება, რომ ამ მუხლში დასმული საკითხი არის სჯულის საქმე, ანუ საეკლესიო სამართლის ნორმას განეკუთვნება და თვით მეფესაც კი არა აქვს უფლება ამ სჯულის საქმეში ჩარევისა: „და არცა მეფესა სჯულის საქმე აქუს“, ე. ი. მეფე — თავისი, საერო სამართლით ამ საკითხს ვერ გადაჭრის, ხოლო საეკლესიო სამართლით კი ეს ნორმაა დადგენილიო.

103-ე მუხლი თვით სასულიერო პირთა: მოძღვარის, მღვდლის და მონაზონის მიერ ჩადენილ დანაშაულს შეეხება.

მუხლი 104: „ვინცა, ანუ დიდებულმან, ანუ აზნაურმან, ანუ სხუამან ვინმე მონაზონი ანუ მღდელი მძლავრებით ჴელთა შეიპყრას, რაჲსაცა გუარისა იყოს, მის სისხლსა ხუთი ათასი სხუა ემატოს.

და თუ გუარიანი იყოს ანუ ჴელის მქონებელი, მისსა სისხლსა ნახევარი სისხლი ემატოს“.

ახლა კათალიკოსთა სამართლის მე-14 მუხლიც დავიმოწმოთ:

მუხლი 14: „ვინცავინ ებისკოპოზსა და მისსა ქორებისკოპოზსა წინააღმდეგობა ჰკადროს, მართლითა განკითხვითა და გამოძიებით

---

12 ი. დოლიძეს ვერ გაუგია ამ წინადადების აზრი და „არცას“ ნაცვლად უადგილოდ ჩაუსვამს „რაჲცა“.

რ ჯ უ ლ ი ა რ ა მ ო ჰ კ ი თ ხ ო ს პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ, მეფემან მისად სისხლად და შეცოდებად მოიკითხოს".

აქედან ჩანს, სასულიერო პირის შეურაცხყოფა რჯულის საქმე იყო, საეკლესიო სამართლის სფეროში შედიოდა. დანართის 104-ე მუხლისა და კათალიკოსთა სამართლის მე-14 მუხლის მსგავსება, ვფიქრობ, აშკარაა. მართალია, კათალიკოსთა სამართლის მე-14 მუხლით დამნაშავე ისჯება, როგორც საერო-ხორციელი სასჯელით — სისხლი. ასევე სასულიერო-საეკლესიო სამართლის ძალით — შეცოდება, დანართის 104-ე მუხლში კი მხოლოდ სისხლით სასჯელზეა ლაპარაკი. საერთოდ, თავიდან 160-ე მუხლის ჩათვლით ყველა მუხლში დამნაშავე სისხლის საზღაურით ისჯება, დანართის მხოლოდ 161—170-ე მუხლებში არის გათვალისწინებული დასჯის უმაღლესი საეკლესიო ნორმა — კრულვა, წყევლა და შეჩვენება. დანართის ამ თავისებურებამ აფიქრებინა ი. დოლიძეს, რომ 161—170 მუხლები არის საეკლესიო-კანონიკური სამართლის ნაწყვეტი, დანარჩენი კი საერო სამართალიაო, რადგან იქ შეჩვენება და წყევლა-კრულვა არ იხსენიებაო. მხოლოდ ამის გამო დანართის 99—160 მუხლების არასაეკლესიო სამართლად გამოცხადება არ შეიძლება. თვით კათალიკოსთა სამართლის ყველა მუხლსაც არ ახლავს ეს შეჩვენება და წყევლა-კრულვა, მაგრამ ამის გამო ვინ იტყვის, ეს მუხლები კათალიკოსთა, ე. ი. საეკლესიო სამართალს არ ეკუთვნისო?! აი ის მუხლებიც:

მუხლი 3: „ვინცა ეკლესიას შიგან შევიდეს და საქონელი გამოიტანოს, ეკლესიასა მისი საქონელი მიეზღოს და კაცი დაშავდეს".

მუხლი 4: „ვინცა ძმა მოკლას ანუ მამა, ჴელი მოეკვეთოს და მამულისაგან განვარდეს".

მუხლი 5: „ვინც უბრალო კაცი მოკლას ანუ მგზავრი, ანუ მცველი რისამე ქურდობით, განიპატიჯოს".

მუხლი 6: „ვინცა ქურდობა ქნას, რარიგადაც პირველად წესი ყოფილიყოს, ისრე გარდააჴდევინონ".

ანდა მე-10 მუხლი ავიღოთ: რომლისაც ეპისკოპოზის სამწყოს შიგან ესე იქნებოდეს, უმღდლოდ და, თუ ღონე არ იყოს, უმთავარდიაკუნოდ, ერის კაცის ჴელითა ანუ ზიარება გაეგზავნოს და ანუ აზიაროს, ხუცესი წირვისაგან დააყენოს".

ცხადია, ყველა დანაშაული არ იყო ისეთი მძიმე, რომ დამნაშავისათვის შეჩვენება მიესაჯათ. მაგ., მე-10 მუხლი სწორედ ასეთ არამძიმე დანაშაულს ეხება. მაგრამ ზემოთ მოტანილი მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები იმდენად მძიმე დანაშაულს ითვალისწინებენ, რომ აქ სწორედ შეჩვენება იყო მოსალოდნელი სასჯელად. მით უმეტეს, რომ ა ნ ა ლ ო გ ი უ რ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი დ ა ნ ა რ თ ი ს ს ა თ ა ნ ა დ ო მ უ ხ ლ ე ბ ი შ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა ს ი თ ვ ა ლ ი ს- წ ი ნ ე ბ ე ნ.

ავიღოთ კათალიკოსთა მე-3 და დანართის 167-ე მუხლები. პირველში ეკლესიის გაძარცვაზეა ლაპარაკი, მეორეში საპატიყო ადგილას ქურდობაზე. ეკლესია კი სწორედ საპატიყო ადგილად ითვლებოდა. აი, რა სწერია 167-ე მუხლში: „რომელმანცა კაცმან რა გინდა რა მოიპაროს და გამოაჩნდეს, ორივენი თუალნი დაუწუნენ და ანუ ჴელ-ფერჴი დაეჭრას.

თუ საპატიყოსა ადგილსა არა მოეპაროს, ვინ იყიდდეს, ვითაცა დააფასონ, ეგრე მიჰყიდონ, და ნაპარევი დაუკლებლივ მისსა პატრონსა მისცეს.

და კ რ უ ლ წ ყ ე უ ლ და შ ე ჩ უ ე ნ ე ბ უ ლ ი ყ ა ვ ნ".

ანდა კათალიკოსთა მე-4 და დანართის 161-ე მუხლები შევადაროთ.

მე-4 მუხლში ძმისა, ან მამის მკვლელობისათვის მხოლოდ ხელის მოკვეთა და გაძევებაა დადგენილი, 161-ში კი:

„რომელმანცა, ვინცა გინდა, დიდმან ანუ მცირემან კაცმან, ღალატით ძმა მოკლას და ანუ ღალატით სხუა კაცი, კ რ უ ლ და წ ყ ე უ ლ, შ ე ჩ უ ე ნ ე ბ უ ლ ი ყ ა ვ ნ და უ ს ა ბ ა მ ო ი ს ა ღ მ რ თ ი ს ა პ ი რ ი თ ა.

და ვითარისაცა გუარისა იყოს კაცი იგი, ორკეცი სისხლი დაუურვოს.

და ვინც უშველოს და შეიწყნაროს, კ რ უ ლ და წ ყ ე უ ლ და შ ე ჩ უ ე ნ ე ბ უ ლ ი ყ ა ვ ნ".

ვფიქრობ, საკითხი ნათელია. აქ მხოლოდ კათალიკოსთა მე-5 მუხლსღა მოვიტანთ, რადგან დანართის 161-ე მუხლთან ამისი შედარებაც იგივე სურათს იძლევა:

მუხლი 5: „ვინცა უბრალო კაცი მოკლას ანუ მგზავრი, ანუ მცველი რისამე ქურდობით, განიპატიჯოს".

თუ ეს განსახილველი წყაროების ნაკლულობით არაა გამოწვეული, მაშინ გამოდის, რომ რიგი საეკლესიო სამართლისათვის, თვით უმძიმესი დანაშაულის დროსაც კი არ ყოფილა აუცილებელი, სასჯელად ყოველთვის შეჩვენება დაეწესებინა. ა მ რ ი გ ა დ, კ ა თ ა ლ ი კ ო ს თ ა ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა და დ ა ნ ა რ თ ი ს შ ე ს ა ვ ლ ე ბ ი ს და რ ა ც მ თ ა ვ ა რ ი ა, მ უ ხ ლ ე ბ ი ს შ ე დ ა რ ე ბ ა მ დ ა გ ვ ა რ წ მ უ ნ ა, რ ო მ დ ა ნ ა რ თ ი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ა რ ი ს ს ა ე კ ლ ე ს ი ო ს ა მ ა რ თ ა ლ ი, ანუ დანართი (მ. 99—160) და კათალიკოსთა სამართალი ერთნაირი დანიშნულების საეკლესიო სამართლებია, ხოლო 161—170-ე მუხლები მართლაც სხვა საეკლესიო სამართლის ფრაგმენტია.

ყოველივე ნათქვამის შემდეგ იბადება კითხვა, არასასულიერო პირს, თუნდაც მეფეს, ჰქონდა კი უფლება ებრძანებინა საეკლესიო სამართლის შემუშავება, თუ დანართის შესავალში ბაგრატი შეცდომით არის მოხსენიებული? არათუ მეფეს, მის საერო ქვეშევრდომთაც უფლება ჰქონიათ საეკლესიო სამართლის შედგენა ებრძანებინათ. ამისი დასტურია „ვაჰანის ქვაბთა განგება"— საეკლესიო საკორპორაციო სამართლის ძეგლი, რომელიც ვაჰანის ქვაბთა მონასტრის პატრონთა — თმოგველთა მიერ არის დადგენილი.

არა მარტო დიდებულები, თვით აზნაურებიც კი ასევე უდგენდნენ სამართალს საკუთარ მონასტრებს, რაც კარგად ჩანს იმავე „ვაჰანის ქვაბთა განგებიდან".

(აქ შეიძლებოდა „პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონიც" დაგვემოწმებინა, რომელიც ასევე საერო პიროვნების — გრიგოლ ბაკურიანის ბრძანებით არის შემუშავებული, მაგრამ ეს მონასტერი ქართულ სახელმწიფოში არ შემოდიოდა).

ვფიქრობ, ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ბაგრატ კურაპალატის ბრძანება საეკლესიო სამართლის შედგენის შესახებ.

ზემოთ გაირკვა, რომ ბაგრატ I-ს მეფეთ მეფე არ ეწოდებოდა და ამიტომ დანართიც IX ს-ს ძეგლად ვერ ჩაითვლება. ახლა ვნახოთ, დანართის მუხლების მონაცემები თუ შეესაბამება შესავლის საფუძველზე მიღებულ ამ დასკვნას. ამისათვის განვიხილოთ „დიდებული", რომელიც გარდა შესავლისა, 104-ე 106-ე, 108, 154-ე და 160-ე მუხლებშია დამოწმებული. გარდა ამისა, „დიდებული" კიდევ რამდენიმე მუხლში იგულისხმება.

უკვე შესავალში დიდებული ცალკეა ნახსენები და აზნაური — ცალკე: „...ებისკოპოზთა, დ ი დ ე ბ უ ლ თ ა და აზნაურთა ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი...“.

ასევე ცალკეა ნახსენები დიდებული 104-ე მუხლშიც:

„ვინცა, ანუ დ ი დ ე ბ უ ლ მ ა ნ, ანუ აზნაურმან, ანუ სხუამან ვინმე, მონაზონი ანუ მღდელი მძლავრებით ჴელთა შეიპყრას...“.

საგულისხმოა 106-ე და 107-ე მუხლების შედარება:

მუხლი 106: „თუ ებისკოპოზსა დ ი დ ე ბ უ ლ მ ა ნ აგინოს, ო რ მ ო ც ი ა თ ა ს ი თ ე თ რ ი დაუურვოს და დიდად შეეხუეწოს“.

მუხლი 107: თუ ებისკოპოზსა ა ზ ნ ა უ რ მ ა ნ აგინოს, დიდითა შეხუეწითა ო ც ი ა თ ა ს ი თ ე თ რ ი დ ა უ უ რ ვ ო ს“.

როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე დანაშაულისათვის დიდებული და აზნაური სისხლის ფასს სხვადასხვა რაოდენობით იხდიან, ანუ დიდებული აზნაურზე ორჯერ მეტ სისხლის ფასს იხდის.

108-ე მუხლით კი: „თუ ა ზ ნ ა უ რ მ ა ნ ანუ დ ი დ ე ბ უ ლ მ ა ნ მღდელსა აგინოს, ანუ უ ქ უ ე მ ო ს მ ა ნ მესამედი სისხლისა დაუურვოს და დიდად შეეხუეწოს“.

აქ აღსანიშნავია, რომ დიდებული, აზნაური და უქუემოსი, ე. ი. სამი სხვადასხვა სოციალური კატეგორიაა არის ცალ-ცალკე დამოწმებული.

უაღრესად მნიშვნელოვანია 153-ე, 154-ე და 155-ე მუხლები.

მუხლი 153: „თუ აზნაურნი გაიყარნენ და გლეხიანი იყვნენ, უფროსსა ძმასა საუხუცესოდ ერთი გლეხი; სხუა შუა გაიყონ.

და მონაგები თავ-თავისი გაჰყვეს; და თუ ერთსა მონაგები მეორისა გულისათჳს დავარდნოდეს და ერთისა იყოს, იგიცა შუა გაიყონ“.

მუხლი 154: „თ უ დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი გ ა ი ყ ა რ ნ ე ნ, ე რ თ ი უ კ ე თ ე ს ი ს ო ფ ე ლ ი ს ა უ ხ უ ც ე ს ო დ ა ი ღ ო ნ დ ა ს ხ უ ა შ უ ა გ ა ი ყ ო ნ.

და მონაგებიცა ასრე გააჩინონ“.

მუხლი 155: „თუ გლეხნი გაიყარნენ ძმასა ანუ თავი სახლი, ანუ ერთი ვენახი, ანუ უფროსნი ჴურნი — საუხუცესოდ; სხვა შუა გაიყონ“.

ამაზე გარკვევით თქმა შეუძლებელია, 153-ე, 154-ე, და 155-ე მუხლებში აზნაური, დიდებული და გლეხი იმიტომ არის ცალ-ცალკე ნახსენები, რომ თითოეული მათგანი ცალკე წოდებას შეადგენს. ასე რომ, დიდებულის ოჯახის ყველა წევრი, ისევე დიდებულია, როგორც აზნაურის ოჯახის ყველა წევრი არის აზნაური. 154-ე მუხლი ამას გარკვევით ადასტურებს: „თუ დიდებულნი გაიყარნენ“... ე. ი. ერთ ოჯახში ყველა დიდებული ყოფილა და გაყრის შედეგადაც ყოველი მათგანი ასევე დიდებულად დარჩება. თვით გაყრის შედეგად საუხუცესოდ აზნაურს ერთი გლეხი ერგება და ისიც თუ ჰყავთო, განმარტავს სამართალი (თუმცა ეს გვიანდელი ჩამატებულია, რაზეც სხვაგან მექნება მსჯელობა, მაინც საკითხის არსს სწორად აშუქებს). დიდებულთა გაყრისას, საუხუცესოდ ერთსა და ორ გლეხზე კი არაა ლაპარაკი, არამედ მთელს სოფელზე და ისიც უყოყმანოდ. სჯულმდებელმა იცის, რომ ამდენი ქონება დიდებულს უეჭველად აქვს. ცხადია, დიდებულთა წოდება აზნაურთა წოდებაზე გაცილებით მდიდარი, ძლიერი და მაღლა მდგომი იყო.

ამრიგად, **დანართის მიხედვით, დიდებულთა წოდება სახეზეა**. ეს იმდენად მნიშვნელოვანი არგუმენტია, რომ **მარტო ამის გამო დანართი მუხლების**

**IX ს-ის ძეგლად აღიარება სრულიად გამორიცხულია, ვინაიდან არც ერთი წყარო დიდებულს IX ს-ში ცალკე წოდებად არ იცნობს (იგივე ითქმის დანართ მუხლებში ყმისა და პატრონის ხსენებაზეც, არც ეს ტერმინებია X ს-ზე ადრე დადასტურებული ერთად).**

საერთოდ, დიდებულთა შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთი აზრი არ არსებობს[13]. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით ჩემი დასკვნა ასეთია: „დ ი დ ე ბ უ ლ ი, ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, XIII—XIV ს ა უ კ უ ნ ე ე ბ შ ი, თ უ უ ფ რ ო ა დ რ ე ა რ ა, მ თ ე ლ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ი ყ ო ც ა ლ კ ე ს ო ც ი ა ლ უ რ ი წ ო დ ე ბ ა“.

მ. ბერძნიშვილმა ყველა ძირითად წყაროზე დაყრდნობით დაასკვნა: „დიდებულები, როგორც აზნაურთა საერთო მასიდან გამოყოფილი წრე, უკვე X ს-ში ჩანან... საერთოდ XI საუკუნისათვის დიდებულთა არსებობა უკვე ჩვეულებრივი ფაქტია. მათი ხსენება წყაროებში საკმარისად ხშირია. ამასთან გარკვევით ჩანს აზნაურთაგან მათი მკვეთრი გამოყოფილობა... X საუკ. ბოლოდან დიდებულები აზნაურებისა და ერისთავებისაგან განსხვავებულ ცალკე წრეს შეადგენენ“[14].

„მატიანე ქართლისას“[15] და ქართული სამართლის უძველესი ძეგლების მონაცემები ამგვარი დასკვნის უფლებას, მართლაც იძლევა, მაგრამ ეს დასკვნა სრული არ არის. **X საუკუნის დასაწყისიდან მაინც, და იმავე საუკუნის II ნახევრიდან უთუოდ, დიდებულები აზნაურებისაგან გამოყოფილ „ცალკე წრეს“ კი არ შეადგენენ, არამედ უკვე ჩამოყალიბებული არიან ცალკე წოდებად, აზნაურთა წოდებაზე მაღლა მდგომად.** ვფიქრობ, ამაში დანართი მუხლების ანალიზმა უეჭველად დაგვარწმუნა.

შეიძლება ასეთი კითხვაც კი დაებადოს მკვლევარს — იქნებ დიდებულის ამგვარად მოხსენიება დანართ მუხლებში გვიანდელი მოვლენაა, ანდა იქნებ თავიდან დიდებული სულაც არ იყო დანართში ნახსენები? თუ ასეა, მაშინ როდის უნდა შეეტანათ დანართში დიდებულნი? ცხადია, იმ დროს როცა დიდებულნი უკვე წოდებად იყვნენ ჩამოყალიბებულნი. ბექას დროს კი, ე. ი. XIII ს. ბოლოს, დიდებულნი უკვე აშკარად ცალკე წოდებას შეადგენენ. ვითომ ბექას ან აღბუღას შეტანილია დიდებული დანართ მუხლებში? განვიხილოთ ეს საკითხი. ამასთან ერთად იმასაც მივადევნოთ თვალი, სხვა რა ცვლილებები შეიტანეს ბექა-აღბუღამ დანართ მუხლებში, ან თუ შეიტანეს რაიმე ცვლილებები საერთოდ.

ჯერ ის უნდა ითქვას, რომ ძველი ქართული სამართლის არც ერთი ძეგლი მომდევნო საუკუნეებში საგანგებოდ, არსებითად შეცვლილი არ ყოფილა. როცა სამართლის ძეგლი იმდენად მოძველებულია, რომ მასზე დაყრდნობა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა, მაშინ ამ მოძველებული ძეგლის შეცვლა-გადაკეთებას კი არ მიმართავდნენ, არამედ ადგენდნენ სრულიად ახალ სამართლის წიგნს. ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინც ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლებს გულდასმით გადაიკითხავს. ამასთან,

---

13 ზ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს სოციალური წყობა XIII—XIV საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 65—76.

14 მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს XI—XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 40—41.

15 ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 271, 275, 280, 284..., ქ. ს. ძ. თბ., 1965, II, გვ. 4, 10, 18, 24...

უთუოდ ისიც აღსანიშნავია, რომ სამართლის ძველი ძეგლები დროთა ვითარებაში მაინც განიცდიდნენ გარკვეულ, როგორც უნებლიე, ისე ნებსით ცვლილებებს. მაგრამ ეს ცვლილებები სამართლის ძეგლის კერძო საკითხებს ეხებოდა და მის ძირითად შინაარსს სულაც ვერ ცვლიდა.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ დიდებულის საკითხს. ვფიქრობ, დიდებული, თავიდანვე, ძეგლის შედგენისთანავე იყო მასში შეტანილი. ბექა-აღბუღას რომ არსებული ტრადიციის საწინააღმდეგოდ, დიდებული დანართ მუხლებში შეეტანათ, მაშინ ისინი ასევე შეიტანდნენ მსახურსაც. მსახური ხომ ბექა-აღბუღას სამართლით ისევე ცალკე სოციალური კატეგორიაა, როგორც დიდებული, აზნაური ან გლეხი. მაგრამ დანართში მსახურთა ხსენებაც კი არ არის. ეს კი იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ მაშინ, როცა დანართი შეადგინეს, მსახურები ჯერ კიდევ ცალკე სოციალურ წოდებად არ იყვნენ ჩამოყალიბებულნი, ანდა ყოველშემთხვევაში, მათ, როგორც ცალკე წოდებას, ჯერ კიდევ იურიდიული აღიარება არ ჰქონიათ.

თუკი დიდებული მართლა ბექა-აღბუღამ შეიტანეს დანართში, მაშინ მსახურთა გარდა, აღბუღა მაინც, უეჭველად ვაჭრებსაც შეიტანდა. მაგრამ, არც მსახურთა და არც ვაჭართა გაყრაზე დანართი არაფერს ამბობს, მაშინაც, როცა, როგორც დავრწმუნდით, დიდებულის, აზნაურისა და გლეხის გაყრას დანართის სათანადო მუხლები ეთმობა. ვაჭართა სისხლი მხოლოდ აღბუღას სამართლით არის განსაზღვრული, რის საფუძველზე დავასკვენი, რომ მხოლოდ XIV ს II ნახევარში მოიპოვეს ვაჭრებმა უფლება, ფეოდალურ სამართალს იურიდიულად ეღიარებინა ისინი ცალკე წოდებად[16].

ამრიგად, რადგან დანართში მსახურთა და ვაჭართა გაყრაზე არაფერია ნათქვამი (ამას გარდა მსახური საერთოდ არ არის ნახსენები), ხოლო დიდებულთა, აზნაურთა და გლეხთა გაყრას ეხება 153-ე, 154-ე და 155-ე მუხლები. ცხადია, ეს დიდებულნი, აზნაურნი და გლეხნი თავიდანვე — ძეგლის შედგენისთანავე იყო შეტანილი მასში. ვიმეორებ, დიდებულნი რომ შემდგომი ჩამატებული იყოს, მასთან ერთად უეჭველია, ასევე ჩაამატებდნენ მსახურებსაც და ვაჭრებს.

ვგონებ, დავრწმუნდით, რომ:

**1. დანართი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება IX ს-ში შეედგინათ.**

**2. დანართი არის არაძირითადი სამართალი და სრული სისხლის განსაზღვრისას ეყრდნობა, სხვა — ძირითად სამართალს (აქედან მტკიცდება, რომ ეს ძირითადი სამართალი დანართზე ადრე არსებობდა).**

**3. დანართი არის ბაგრატ კურაპალატის ბრძანებით შედგენილი საეკლესიო სამართალი.**

მაგრამ რა საბუთი გვაქვს ისეთი, რომლითაც უეჭველად მტკიცდება, რომ ეს სამართალი ნამდვილად ბაგრატ III-ის ბრძანებით იქნა შედგენილი?

ვფიქრობ, ესაა „მატიანე ქართლისას“ ის ადგილი, რომლითაც მთავრდება ბაგრატ IV-ის მეფობის აღწერა: „იყო კაცი სახითა უმშვენიერესი ყოველთა კაცთასა, სრული სიბრძნითა, ფილოსოფოსი ენითა, სვანი ბედითა, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა, მოწყალე შეცოდებულთათვის, უხვ ალაგთა ზედა. **ხოლო ჟამსა მისთა ქუეყანასა დაწყნარება არა ჰქონდა: ეკ-**

---

16 ზ. რატიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 146—152.

**ლესიანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ იკითხვებოდეს**“[17]. დამოწმებული ციტატის ბოლო ორი სიტყვა — **„ვერ იკითხვებოდეს“** ხომ პირდაპირ გვეუბნება, რომ ქვეყნად სამართალი არ მოქმედებდა, არეულობის გამო მართლმსაჯულება სდუმდა, განუკითხაობა, განუსჯელობა იყო. ძნელი დასაჯერებელია, რომ თუნდაც სამართლის მოქმედი, არათუ შემდგენელი, მეფე ამგვარად მოეხსენებინა სარწმუნო წყაროს, და რადგანაც ეს არის მემატიანის ბოლო სიტყვა ბაგრატ IV-ზე უნდა ვიფიქროთ, მას არავითარი სამართალი არ შეუდგენია.

**ამის შემდეგ, ივ. ჯავახიშვილის მსგავსად, ბუნებრივია, სამართლის შემდგენელად ბაგრატ III უნდა ვაღიაროთ.**

კიდევ ერთი საბუთი უჭერს მხარს ამგვარ მტკიცებას. ესაა ბაგრატ IV-ის სიგელი ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულე დავის შესახებ. იქ ნახსენებია „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“: მღვდელთ მოძღუარნი, ერისთავთ ერისთავნი, ერისთავნი და აზნაურნი. რადგან დავრწმუნდით, რომ ბაგრატ IV-ს სამართალი არ შეუდგენია, ამიტომ ეს სამართლის მცოდნე პირები სხვა, ადრიდანვე არსებული სამართლის მცოდნენი იქნებოდნენ; ცხადია, მათ ეს „საბჭოთა საქმენი“, იმ სამართლით ჰქონდათ შესწავლილი, რომელიც უკვე არსებობდა ბაგრატ IV-მდე, აი, სწორედ ეს იყო ბაგრატ III-ის ბრძანებით შედგენილი: **1. საერო, ძირითადი სამართალი და 2. საეკლესიო, არაძირითადი სამართალი,** საკუთრივ ჩემი კვლევის საგანი ამჟამად.

ვფიქრობ, ახლა კი მაქვს საფუძველი ვთქვა, დანართი შედგენილია მეფე ბაგრატ III კურაპალატის ბრძანებით მთელი საქართველოსათვის.

ბაგრატ III დანართის ანუ მისივე ბრძანებით შედგენილ საეკლესიო სამართალში იწოდება მეფეთ მეფედ, უფრო ზუსტად, ის მეფეთ მეფე ბაგრატი, რომელიც დანართის შესავალშია ნახსენები, არის ბაგრატ III.

ხოლო „მატიანე ქართლისა“ ბაგრატ III-ს ასე ახასიათებს: და „ვთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა: ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათჳს“[18].

ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით, „ბაგრატ III კურაპალატობის პატივი, ხოლო გურგენს (მამამისს — ზ. რ.) მაგისტროსობა 1001 წ. მიუღიათ; ამგვარად, ბაგრატ III ამიერითგან იყო აფხაზთა მეფე და ქართველთა კურაპალატი... რაკი ამ დროს ქართველთა მეფეთ მისი მამა გურგენი ითვლებოდა, მას შეეძლო ყოფილიყო მხოლოდ „ქართველთა კურაპალატი“[19].

„1008 წელს გარდაიცვალა გურგენ მეფე და ბაგრატი „ეუფლა ტაოს“-აც... ეხლა — კი ბაგრატ III გახდა მეფეთ-მეფედ, აფხაზთა და ქართველ მეფედ“[20].

„სახელოვანი მეფე უკვე ხანში შესული იყო, „მჴცითა მშვენიერითა შემ-

---

[17] ქ. ც., I, გვ. 315.

[18] ქ. ც. I, გვ. 282.

[19] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 128.

[20] იქვე, გვ. 129.

კული", როდესაც ტაოში, ციხესა ფანასკერტისასა, მყოფი გარდაიცვალა 1014 წ. მაისის 7, დღესა პარასკევსა"[21].

ამის საფუძველზე ახლა იმის დაზუსტებაც შეიძლება, თუ ბაგრატ III-ის ბრძანებით საეკლესიო სამართალი როდის უნდა შეედგინათ.

ცხადია, ვიდრე იგი კურაპალატი და მეფეთ მეფე არ გახდებოდა, მაშინ რომ ებრძანებინა სამართლის შედგენა, არც დასაჯერებელია და, რაც მთავარია, შესავალშიც არავინ აღნიშნავდა ბაგრატის კურაპალატობასა და მეფეთმეფობას. როგორც ვნახეთ, 1001 წლიდან ბაგრატ III კურაპალატია, ხოლო 1008 წლიდან კი, მეფეთ მეფეც არის.

ამიტომ ბაგრატ III-ის ბრძანებით საეკლესიო სამართალი უნდა შეედგინათ 1008—1014 წლებს შუა.

დაგვრჩა გასარკვევი, რატომ ყველგან ეპისკოპოსია და არა კათალიკოსი ნახსენები ბაგრატ III-ის ბრძანებით შედგენილ საეკლესიო სამართალში.

ა. კიკვიძის აზრით, სამართალში ეპისკოპოსი იმიტომ სწერია, რომ ეს სამართალი არა მთელი საქართველოს, არამედ მისი ერთი ნაწილის, შავშეთისა და კლარჯეთისათვის იყო შედგენილიო და ეს ეპისკოპოსები არიან მაწყვერელი და საფარელი, ხოლო სამცხეს ფლობდა ბაგრატ I-ის ძმა — ადარნასე. აწყურიცა და საფარაც ხომ სამცხეში შედის. ა. კიკვიძით გამოდის, რომ ბაგრატ I-მა სხვისი — ადარნასეს სამეფოს ეპისკოპოსებს უბრძანა სამართლის შედგენა, ხოლო თავისი სამეფოს ეპისკოპოსნი სრულიად უყურადღებოდ დატოვა. ვითომ დასაჯერებელია ასეთი რამ? არა მგონია. სამღვდელოებისათვის არათუ სამართლის შედგენის ბრძანება, არამედ ერთი რიგითი ბერისათვის ბრძანებაც კი არ შეეძლო ბაგრატ I-ს. ეს კარგად აქვს შენიშნული თვითონ ა. კიკვიძეს: „როცა ბაგრატ კურაპალატს გრიგოლ ხანძთელმა მოახსენა იშხანის მნიშვნელობის შესახებ და ახსენა საბა იშხნელი, ბაგრატმა წერილი მისწერა საბას და თავისთან დაიბარა. „ხოლო მივლინებულნი იგი მივიდეს და აუწყეს კურაპალატსა, ვითარმედ არა ნებავს მას კაცსა ღმრთისასა მისვლა აქა". (ცხ. გრ. ხანძთ. გვ. კთ—ლ.), მაშინ ფრიად განაწყენებულმა კურაპალატმა შესჩივლა გრ. ხანძთელს და სთხოვა მიეწერა წერილი იშხნელისათვის. ამის შემდეგ იშხნელი მივიდა კურაპალატთან. კურაპალატმა იშხნელს საყვედურის კილოთი უთხრა: „ჯერ არს ჴელმწიფეთა მორჩილება რაჲსთვის არა მოხუედ პირველსა მოწოდებასა?".

საბამ უპასუხა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყნისა ჴელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა, ქუეყანისა და ქუესკნელისა... ვერვის ეჴელმწიფების მონება ორთა უფალთა, არამედ აწ სიტყვითა ძმისა და მოძღურისა ჩუენისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა" (იქვე, გვ. ლ.).

„ამაზე მეტად შეუძლებელი იყო გამოჩენა ეკლესიის უპირატესობისა საერო ხელისუფლებისადმი. უბრალო ბერი მეფეს ეუბნება — შენ არ გემორჩილები და არც შენი სიტყვით მოვსულვარ აქაო"[23].

ამის შემდეგ ძნელი დასაჯერებელია მტკიცება: ბაგრატ I-მა სხვისი სამეფოს ეპისკოპოსებს უბრძანა და შეადგენინა კიდეც სამართალიო.

---

21 იქვე, გვ. 131.

22 ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 234—238.

23 იქვე, გვ. 236.

მაშ რითი უნდა აიხსნას დანართ მუხლებში ეპისკოპოსისა და არა კათალიკოსის ხსენება?

საქმე ის არის, რომ ივ. ჯავახიშვილის სრულიად ეჭვმიუტანელი დასკვნით: ...„**კათალიკოზი** (იოანე საბანისძის, გ. მერჩულისა და ყველა სხვა ისტორიკოსთა თხზულებებში) **იგივე ეპისკოპოზი იყო**, ნუ უფრო სწორად რომ ითქვას, როგორც იგი ჩვეულებრივ იწოდებოდა, „ყოვლად-ღირსი მთავარ ეპისკოპოზი, კათოლიკოსი და ყოვლისა საქართველოჲსა დიდი მამამთავარი" (ხაზი — ივ. ჯ.) იყო (რ. — უ. ძეგლისწერა, ქ — კბი, II, 62)"[24].

ასევე განმარტავს ამ ტერმინებს ლექსიკოგრაფი ნ. ჩუბინაშვილი: «ეპისკოპოსი ზედამხედველი, მღვდელმთავარი; კათალიკოსი უპირატესი მღუდელთმთავარი ეკლესიათა ზედა რომლისამე სამფლობელოსათა, ვითარცა იყო საქართველოსი, католикос, первенствующий епископ»[25].

ასევეა თვით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულშიც, რომლის შემადგენელი ნაწილია ჩემი კვლევის საგანი — ბაგრატ III საეკლესიო სამართალი. მაგალითად, კრებულის ზანდუკში, § 51 სწერია: „ვინც კათალიკოზს და ეპისკოპოს, მღდელთა ურიგო კადროს და აგინოს"[26].

ამის გასწვრივ მითითებულია ბერძნული სამართლის 387-ე, სომხურის 187-ე, კათალიკოსთა მე-18 და ბაგრატ III კურაპალატის 108-ე, 122-ე და 123-ე მუხლები. ამათგან ბაგრატისა და სომხური სამართლის მუხლებში უშუალოდ მღვდლებზეა ლაპარაკი, ხოლო ბერძნულსა და კათალიკოსთა სამართლებში მღვდლებსა და ეპისკოპოსებზე. კათალიკოსი კი არც ერთგან არ იხსენიება. რატომ? იმიტომ, რომ ზანდუკში ცალკე გამოყოფილი კათალიკოსი, მითითებულ მუხლებში ეპისკოპოსად სწერია.

ამრიგად, ბაგრატ III კურაპალატის ბრძანებით შედგენილ საეკლესიო სამართალში მოხსენებული არიან ჯერ მთელი საქართველოს ეპისკოპოსები და მათ შორის კათალიკოსი (შესავალში), ხოლო შემდეგ 101-ე, 102-ე, 103-ე, 106-ე, 107-ე მუხლებში მოხსენებული ეპისკოპოსი არის იგივე კათალიკოსი, რადგან კათალიკოსი უპირველესი ეპისკოპოსითა შორის, ახუ „იგივე ეპისკოპოზი იყო".

ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ბაგრატ III სამართლის 106-ე და 107-ე მუხლებით.

მუხლი 106: „თუ ეპისკოპოზსა დიდებულმან აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოს და დიდად შეეხუეწოს".

მუხლი 107: „თუ ეპისკოპოზსა აზნაურმან აგინოს, დიდითა შეხუეწითა ოცი ათასი თეთრი დაუურვოს".

ჩვეულებრივ, ქართული ფეოდალური სამართლის ძალით, დამნაშავე დაზარალებულს უხდის მისი — დაზარალებულის სისხლის საზღაურს, მაგრამ ამ ორივე მუხლში პირიქითაა, დამნაშავე თავისი სისხლის ფასს უხდის დაზარალებულს, რატომ? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში დაზარალებულის სისხლის ფასი საერთოდ არ არის განსაზღვრული, რადგან ეს დაზარალებული არის ეპისკოპოსი ანუ კათალიკოსი ანუ მეორე მეფე. მეფის სისხლი კი განუსაზღვრელია. აქ რომ რიგითი ეპისკოპოსი იყოს ნაგულისხმევი, მაშინ —

---

24 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, ტფ. 1929, გვ. 9.

25 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 209, 242.

26 ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1963, I, გვ. 13.

მისი — ამ ეპისკოპოსის სისხლის საზღაურს გადაიხდიდა დამნაშავე, რადგან ჩვეულებრივ ეპისკოპოსის სისხლი განსაზღვრულია, მაგრამ აქ ნახსენები ეპისკოპოსი არის უპირველესი ეპისკოპოსთა შორის ანუ კათალიკოსი და ამიტომაა მისი სისხლი განუსაზღვრელი.

ნათქვამს კიდევ უფრო ნათელს ხდის მომდევნო, 108-ე მუხლი: „თუ აზნაურმან ანუ დიდებულმან მღვდელსა აგინოს, ანუ უქუემოსმან, მესამედი სისხლისაჲ დაუურვოს და დიდად შეეხუეწოს. „აი, აქ კი ჩვეულებრივად დამნაშავე დაზარალებულს უხდის მისი — დაზარალებულის სისხლის მესამედს, რადგან მისი — აქ მღვდლის სისხლი საერთოდ (სხვა, ძირითადი სამართლით) განსაზღვრულია.

ამრიგად გაირკვა ისიც, თუ რატომ სწერია ჩვენს წყაროში ეპისკოპოსი და არა მაინც და მაინც კათალიკოსი.

ახლა საჭიროა ზემორე დასკვნების შევსება, კერძოდ, რადგან ბაგრატ III-ის ბრძანებით შედგენილი საეკლესიო სამართალი მთელი საქართველოსათვის იყო განკუთვნილი და ეს სამართალი სისხლის ზღვარს ადგენს სხვა, ძირითად სამართალზე დაყრდნობით, ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ის ძირითადი სამართალიც მთელი, ერთიანი საქართველოსათვის უნდა ყოფილიყო გამიზნული. ხოლო, რადგანაც ბაგრატ III-მდე საქართველო ერთიანი არ ყოფილა, ცხადია, ის ძირითადი, საერო სამართალი, სადაც სისხლის სრული ზღვარი იყო დადგენილი, ასევე ბაგრატ III კურაპალატის ბრძანებით, და ესეც დაახლოებით იმავე დროს, ან ცოტა ადრე (საეკლესიო სამართლის შედგენამდე), ე. ი. 1008—1014 წლებში უნდა შეედგინათ.

ახლა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნისა და მისი დანართის — ბაგრატ III კურაპალატის ბრძანებით შედგენილი საეკლესიო სამართლის, საერთო სათაურიც გავიხსენოთ, „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“, ასე ეწოდება მას ოფიციალურად. „**შეცოდება**“... (ხაზი — ივ. ჯავახიშვილისაა). დანაშაულებას ჰნიშნავდა, წერს ივ. ჯავახიშვილი[27]. მაშასადამე, „**შეცოდებისა ყოვლისავე**“ ნიშნავს ყოველგვარ დანაშაულს, ანუ სულიერსაც და ხორციელ დანაშაულს, ამიტომ სამართლის სათაურით ნათქვამია, რომ ეს სამართალი არის, როგორც საერო, ასევე საეკლესიო სამართალთა კრებულიო. ვფიქრობ, „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“ ამგვარად უნდა გავიგოთ.

თვით დანართის შესავალი ხომ ამ სიტყვებით იწყება: „სახელითა ღმრთისაჲთა დაიწყების საღმრთოჲსა (სჯულსა) გაჩენილი...“ და მთავრდება ასე: „ერთბამად გაჩენილი განგებითა ღმრთისაჲთა“. ვფიქრობ, ხაზგასმა, რომ ამას იქით „დაიწყების საღმრთოჲსა სჯულსა... ბაგრატ კურაპალატისა... ბრძანებითა... გაჩენილი განგებითა ღმრთისაჲთა“, პირდაპირ გვეუბნება, რომ ამ შესავლით იწყება ბაგრატ III კურაპალატის ბრძანებით შედგენილი საეკლესიო სამართალი.

ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

საქართველოსა შუა საუკუნეების სამართლის წიგნები შედგენილია გარკვეული წესის მიხედვით, კერძოდ, მათში:

---

27 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II ტფ., 1929, გვ. 256.

1. განსაზღვრულია სრული და არასრული სისხლი მოცემული საზოგადოების ყველა წოდებისა და ფენისათვის. ასეთებია ბაგრატ III-ს, ბექა-აღბუღას, ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნები. ამათ ვუწოდებ ძირითადი სამართლის წიგნებს; 2. განსაზღვრულია სრული სისხლი მხოლოდ ზოგიერთი სოციალური კატეგორიისათვის და არასრული სისხლი ყველა სოციალური კატეგორიისათვის. ასეთია გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნი; 3. განსაზღვრულა მხოლოდ არასრული სისხლი ყველა სოციალური კატეგორიისათვის. ასეთია ბაგრატ III-ს საეკლესიო სამართლის წიგნი; 4. სისხლი საერთოდ არ არის განსაზღვრული. ასეთია კათალიკოსთა სამართლის წიგნი. გიორგი ბრწყინვალის, ბაგრატ III-ს საეკლესიო და კათალიკოსთა სამართლის წიგნებს ვუწოდებ დამოკიდებული სამართლის წიგნებს; 5. სრული სისხლის ფასი, განსაზღვრული ძირითად სამართლებში სავალდებულოა მათზე დამოკიდებული სამართლებისათვის; 6. ბაგრატ III-ს საეკლესიო სამართალმა ჩვენამდე მოაღწია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის დანართი მუხლების სახით, ბაგრატ III ბრძანებით ეს საეკლესიო სამართალი 1008—1014 წლებს შუა შეუდგენიათ; 7. ბაგრატ III-ს ბრძანებით ასევე შეუდგენიათ ძირითადი სამართალი, უშუალოდ საეკლესიო სამართლის შედგენის წინ. ბაგრატ III-ს ძირითადი სამართალი დღეისათვის დაკარგულად ითვლება; 8. ბაგრატ III-ის ძირითადი და საეკლესიო სამართლები მოქმედებდნენ სრულიად საქართველოში უძველესი ქართული სამართლის წიგნების სახით.

З. П. РАТИАНИ

## О ДРЕВНЕЙШИХ ГРУЗИНСКИХ СУДЕБНИКАХ


Резюме

В статье установлено, что средневековое право Грузии представляют судебники, в которых:

1. определена полная и неполная плата за кровь для всех социальных категорий данного общества;

2. определена полная плата за кровь лишь для некоторых социальных категорий и неполная — для всех социальных категорий;

3. определена только неполная плата за кровь для всех социальных категорий;

4. вообще не определена плата за кровь;

5. плата за полную кровь, определенная в основных судебниках, была обязательна для всех других судебников;

6. дополнительные статьи судебника Бека и Агбуга представляют собой церковное право, в котором определена неполная плата за кровь для всех социальных категорий. Этот судебник составлен по приказу царя Баграта III, между 1008—1014 годами;

7. Баграт III составил и основное право, в котором была определена полная и неполная плата за кровь всех социальных категорий. Это право было выработано непосредственно перед составлением церковного права Баграта III. Основной судебник царя Баграта III считается утерянным;

8. основное и церковное права Баграта III были действующим правом всей Грузии и представляли собой древнейшие грузинские судебники.

## ᲣᲜᲒᲠᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲚᲐᲘᲝᲨ ᲢᲐᲠᲓᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ქართული საზოგადოებრიობა კარგად იცნობს თვალსაჩინო უნგრელ ისტორიკოს-ქართველოლოგსა და მწერალს, პროფესორ ლაიოშ ტარდის, რომელიც აი უკვე სამი ათეული წელია, რაც დიდ და ნაყოფიერ კვლევით მუშაობას ეწევა უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობისა და საქართველოს ისტორიის დარგში.

ლაიოშ ტარდი დაიბადა 1914 წლის 28 ივლისს ბუდაპეშტში. კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, დაამთავრა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ორი ფაკულტეტი — იურიდიული და ფილოლოგიური, ხოლო ბოლოს სამეცნიერო მუშაობას შეუდგა ისტორიის დარგში. 1954 წელს მან დაიცვა დისერტაცია და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიიღო.

ამიერიდან მისი სამეცნიერო სტატიები, ნარკვევები, ცალკეული გამოკვლევები ხშირად იბეჭდება ქართულ, რუსულ, უნგრულ და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო თუ სალიტერატურო პრესის ფურცლებზე. გარდა ამისა, ლაიოშ ტარდი რამდენიმე ცალკეული წიგნისა და მონოგრაფიის ავტორია. საქართველოსა და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე დაწყებული XIII საუკუნიდან დღემდე ლაიოშ ტარდიმ 200-ზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა. მისი ზოგიერთი ნაშრომი ეხება რუსეთ-უნგრეთისა და უნგრეთ-უკრაინის ურთიერთობასაც. ლაიოშ ტარდის ნაშრომები იბეჭდება არამარტო უნგრეთში, არამედ ავსტრიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ორი ნაშრომი, რომლებიც მან ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა პარიზში: ერთი, საქართველო-უნგრეთის ურთიერთობაზე XIII—XVIII საუკუნეებში, ხოლო მეორე, ქართლის მეფე სიმონ I-ის საგარეო პოლიტიკაზე ევროპის არქივებში მოპოვებული მასალების საფუძველზე.

დიდია ლაიოშ ტარდის ღვაწლი უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობათა კვლევის დარგში. 1973 წლის 8 მაისს თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ლაიოშ ტარდიმ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „შუაევროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა XVI საუკუნეში“.

1980 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე გამოაქვეყნა ლაიოშ ტარდის სადოქტორო დისერტაციის შემოკლებული ვარიანტი სათაურით: „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში“. აქ ლაიოშ ტარდიმ მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანა ბევრი დღემდე სრულიად უცნობი მასალა; ახალი ცნობებით გაამდიდრა ჩვენი ისტორიოგრაფია

და წყაროთმცოდნეობა იმის შესახებ, თუ როგორი წარმოდგენისა იყო XVI საუკუნის შუაევროპული სახელმწიფოების და, პირველ რიგში, უნგრეთის საზოგადოებრიობა საქართველოზე, ქართველ ხალხზე, მის გმირულ ბრძოლაზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლაიოშ ტარდის ნაშრომებში გამოყენებულია დოკუმენტები და მასალები უნგრულ, გერმანულ, ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ და პორტუგალიურ ენებზე. საქართველოსა და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობის საკითხებზე ლაიოშ ტარდის კვლევის წარმატება განაპირობა, ჯერ ერთი, იმან, რომ გარდა თავისი მშობლიური უნგრულისა მან კარგად იცის რუსული (სამუშაოდ იყენებს ქართულს) და დასავლეთევროპული ენები; მეორე, სისტემატურად მუშაობს ევროპის ქვეყნების არქივებსა და წიგნსაცავებში, სადაც მან მიაკვლია ისეთ უნიკალურ მასალას, რომელიც შუქს ჰფენს აქამდე ბურუსით მოსილ საკითხებს. ლაიოშ ტარდის კონტაქტი აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებასთან და თანამშრომლობს მასთან.

ლაიოშ ტარდის ქართველოლოგიური მოღვაწეობა 50-იანი წლების დასასრულს დაიწყო. იგი ხშირად ჩამოდის საქართველოში, მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები აქვს ქართველ მეცნიერებთან, აღრმავებს თავის ცოდნას ქართულ ენაში. მას შესანიშნავი, ქართული ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს თავის ბინაზე ბუდაპეშტში, სისტემატურად ღებულობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს.

1959 წელს ერთდროულად გამოქვეყნდა ლაიოშ ტარდის ორი გამოკვლევა: „იაკობ რეინეგსისა და იანოშ კოჰარის მოღვაწეობა კავკასიაში XVIII საუკუნის II ნახევარში" და „იანოშ ორლაი — უნგრელი მოგზაური საქართველოში". ისტორიულ-ბიოგრაფიული ხასიათის რომანი „იაკუბ ბეი", რომელიც ბუდაპეშტში 1962 წელს გამოქვეყნდა, ხოლო თბილისში ქართულად ითარგმნა და 1971 წელს გამოქვეყნდა, ერეკლე II-ის დროის საქართველოს, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობას ეხება.

1965 წელს ბუდაპეშტში გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან", რომელიც ქართულად 1968 წელს ითარგმნა და გამოქვეყნდა თბილისში. მისი ცალკეული ნარკვევები დაიბეჭდა პარიზში, ქართველოლოგიურ ჟურნალში „ბედი ქართლისა, რევიუ დე ქართველოლოჟი", ასევე ავსტრიაში, იტალიასა და ჰოლანდიაში.

მთელი რიგი წლების განმავლობაში ლიოშ ტარდი იყო სეჩენის სახელობის ბუდაპეშტის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მეცნიერ თანამშრომელი, ხოლო 1968—1975 წწ. — უნგრეთის ცენტრალური არქეოლოგიური ბიბლიოთეკის დირექტორი, 1977 წლიდან ლაიოშ ტარდი ატილა იოჟეფის სახელობის სეგედის უნივერსიტეტის პროფესორია; 1980 წლიდან იგი კითხულობს ლექციების კურსს: „შუა საუკუნეების კავკასიის ქვეყნების, კერძოდ საქართველოს სახელმწიფოს ისტორია".

ლაიოშ ტარდი მთელი რიგი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებისა და სიმპოზიუმების აქტიური მონაწილეა. კერძოდ, 1979 წელს საერთაშორისო სიმპოზიუმზე იტალიაში, რომელიც მიეძღვნა კავკასიის ხალხების კულტურის

საკითხებს, პროფესორ ლაიოშ ტარდი გამოვიდა მოხსენებით თემაზე: „XVI საუკუნის საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები“.

პროფესორ ლაიოშ ტარდის ნაშრომები ქართული სტამბის საკითხებსაც შეეხება. მან იტალიაში მიაკვლია 1775 წელს პარმში ჯოვანი ბატისტა ბოდონის მიერ დაბეჭდილ ქართულ ტექსტს და ასევე ახალ მასალებს ცნობილი უნგრელი მესტამბის მიკლოშ კიში ტოტფალუშისა და ქართული სტამბის ისტორიის შესახებ.

ლაიოშ ტარდის ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევენ როგორც უნგრეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მოვიტანთ ზოგიერთი მათგანის შეფასებას: უნგრული სამეცნიერო ჟურნალი „სტუდა სლავიკა“ წერს: „ლაიოშ ტარდიმ თავის ნაშრომებში გააშუქა მთელი რიგი უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მასალები უნგრეთ-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან XIX საუკუნეში“. სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ჟან ობენი წერს: „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და, კერძოდ, საქართველოსთან უნგრეთის ისტორიული ურთიერთობის კვლევის საქმეში ლაიოშ ტარდის განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის. მისმა ღრმა საარქივო მუშაობამ შესანიშნავ შედეგებამდე მიგვიყვანა“. საბჭოთა ჟურნალ „ისტორია სსსრ“-ის (1965 წ. № 6) შეფასებით. „ლაიოშ ტარდის ნაშრომები (უნგრეთ-რუსეთის კულტურულ-ეკონომიურ კავშირებზე) დამყარებულია ვრცელ წყაროებზე და მკითხველის დიდ ინტერესს იწვევენ“.

ლაიოშ ტარდი არჩეულია უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობითი კომისიის, უნგრეთის ორიენტალისტთა საზოგადოების გამგეობისა და პარიზის სააზიო საზოგადოების წევრად; იგი პარიზის სამეცნიერო ქართველოლოგიურ ჟურნალ „ბედი ქართლისა — რევიუ და ქართველოლოჟი“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრია და 1968 წლიდან ამ ჟურნალში სისტემატურად აქვეყნებს ქართველოლოგიური ხასიათის სტატიებს. ლაიოშ ტარდი უნგრეთ-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის წევრია.

უნგრეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ დიდად დააფასა პროფესორ ლაიოშ ტარდის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, კერძოდ, მისი ღვაწლი ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის მეგობრობის გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში. იგი დაჯილდოებულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მაღალი ჯილდოთი— შრომის ვერცხლის ორდენით, საპატიო ნიშნით „სოციალისტური კულტურისათვის“, უნგრეთ-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ქართველი კოლეგები ულოცავენ ქართული კულტურის უანგარო მოამაგეს პროფესორ ლაიოშ ტარდის დაბადების 70 წლისთავს, უსურვებენ მას ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ ნაყოფიერ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ილია ტაბაღუა
გურამ შარაძე

# ჩვენი მილოცვები

მიმდინარე წლის 3 სექტემბერს გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-არქეოლოგს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ანდრია აფაქიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ანდრია აფაქიძე წარმატებით მოღვაწეობს ჩვენი მეცნიერების ასპარეზზე. იგი ფაქტიურად პირველი ქართველი სტუდენტი იყო, რომელიც საგანგებოდ არქეოლოგიის დარგში სამუშაოდ მომზადდა. ამიტომ იყო, რომ ე. წ. არქეოლოგიის ინსტიტუტში, რომელმაც მცირე ხანს იარსება 30-იანი წლების შუახანებში განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში, იგი ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელის — განსვენებული გიორგი ნიორაძის გვერდით ინსტიტუტის ერთადერთი თანამშრომელი იყო. ამავე 30-იანი წლების მეორე ნახევარში ანდრია აფაქიძე მნიშვნელოვან გათხრებს ატარებს ბაკურციხეში, რომლის მასალების ანალიზიც მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა გახდა. იგი აქტიური მონაწილეა აგრეთვე ამავე ხანებში იბერიის, ე. ი. ძველი ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისა, რომელსაც ჯერ აკად. ივ. ჯავახიშვილი, ხოლო შემდეგ აკად. ს. ჯანაშია ხელმძღვანელობდნენ. მათი გარდაცვალების შემდეგ კი თვით იგი ჩაუდგა სათავეში. ამ მსოფლიო მნიშვნელობის გათხრების შედეგები მისი თანაავტორობითა და რედაქტორობით რამდენიმე წიგნად გამოქვეყნდა სერიაში „მცხეთა, არქეოლოგიური გათხრების შედეგები“. ომის შემდგომ წლებში იგი ხელმძღვანელობდა ანტიკური ხანის ძეგლების გათხრას თანამედროვე ბიჭვინთაში და შემდგომში სამ წიგნად გამოაქვეყნა კიდეც ამ გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები. ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქების შესწავლას მიეძღვნა მისი სადოქტორო ნაშრომი, რომელიც მან წარმატებით დაიცვა უკვე 50-იან წლებში.

მეცნიერების დარგში ანდრია აფაქიძის დიდი დამსახურების აღიარება იყო ის, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ იგი აირჩია ჯერ წევრ-კორესპონდენტად, ხოლო შემდეგ თავის ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად.

დიდია ანდრია აფაქიძის დამსახურება როგორც მეცნიერხელმძღვანელისა და მეცნიერების ორგანიზატორისა. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალი ახალგაზრდა მუშაკი არქეოლოგიის დარგში, რომელთაც წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

მთელი რიგი წლების მანძილზე ანდრია აფაქიძე ხელმძღვანელობდა ისეთ დიდ სამეცნიერო დაწესებულებას, როგორიცაა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, შემდეგ კი სათავეში ედგა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიის განყოფილებასა და მთლიანად იმ ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორს.

ამჟამად ანდრია აფაქიძე მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ხელმძღვანელობს ჩვენი მეცნიერების ამ დიდმნიშვნელოვან უბანს მეცნიერებათა აკადემიაში.

დღეს, ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მისი მრავალრიცხოვანი კოლეგები და მოწაფეები უსურვებენ იუბილარს ჯანმრთელობას და მომავალშიც წარმატებით საქმიანობას ქართული საბჭოთა მეცნიერების ასპარეზზე.

მიმდინარე წლის 30 მაისს ქართული ხელოვნების თვალსაჩინო მკვლევარს, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს 70 წელი შეუსრულდა.

ვ. ბერიძის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახს და იმ გარემოს, სადაც მომავალი მეცნიერი აღიზარდა. ცნობილმა ქართველმა ფილოლოგმა და ლინგვისტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვუკოლ ბერიძემ და პედაგოგმა ელისაბედ ჩხეიძემ ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს შვილს ქართული ენისა და კულტურისადმი სიყვარული. მეცნიერი დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებს I საცდელ-სა-

ჩვენებურ შრომით სკოლას, სადაც „ზნეობრივი სიწმინდის, მეგობრობისა და სიყვარულის სული ტრიალებდა".

ინდუსტრიულ ინსტიტუტში სწავლის დროს იჩინა თავი ვ. ბერიძის მიდრეკილებამ ქართული ხუროთმოძღვრების კვლევისადმი, რამაც განსაზღვრა მისი შემდგომი ცხოვრების გზა. 1941 წელს, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსებიდანვე, გიორგი ჩუბინაშვილის მიწვევით ვ. ბერიძემ დაიწყო ამ ინსტიტუტში მუშაობა. აქ დაუკავშირდა ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელს გიორგი ჩუბინაშვილს და მასთან ერთად განვლო გრძელი და რთული გზა ახალი დისციპლინის — ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სკოლის დამკვიდრებისა და აღიარებისა. ვ. ბერიძე ახლად დაარსებულ ინსტიტუტის სწავლულ მდივნად აირჩიეს, შემდეგ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო, ხოლო 1973 წლიდან ამავე ინსტიტუტის დირექტორია.

ვ. ბერიძის პირველი სამეცნიერო შრომა 1934 წელს გამოქვეყნდა და ნახევარი საუკუნის მანძილზე მისი შრომების რიცხვმა სამ ასეულს გადააჭარბა.

ვ. ბერიძის კვლევის საგანი ქართული ხუროთმოძღვრებაა. მის შრომებში არქიტექტურული ძეგლები განხილულია ქვეყნის ისტორიის, სოციალური განვითარების ფონზე, ქართული ხუროთმოძღვრების ზოგად საკითხებს ეხება მისი მონოგრაფიული გამოკვლევები: „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება", «Архитектура Грузии», «Древнегрузинская архитектура», «Грузинская архитектура с древнейших времен до начала XX века», «Некоторые аспекты грузинской купольной архитектуры», „სამცხის ხუროთმოძღვრება", ორტომიანი ნაშრომი „XVI—XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია", „ტაოკლარჯეთის ძეგლების ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში". მეცნიერი წლების მანძილზე აგროვებდა მასალას ძველ ქართველ ხელოვნებზე. ენციკლოპედიური ლექსიკონები — „ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები" და „ძველი ქართველი ოსტატები" ქართველ მშენებელ ოსტატთა, ოქრომჭედლებელთა და კალიგრაფთა შესახებ, ამ კვლევის შედეგია.

მეცნიერის შრომებში სათანადო ადგილი უკავია თბილისის თემას (ლურჯი მონასტერი, თბილისის მეტეხი, ნარიყალა და სხვ.). ქალაქის განვითარების ზოგად საკითხებს ეხება მისი გამოკვლევები „თბილისი საუკუნეთა მანძილზე", „XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით", „XIX საუკუნის თბილისის ისტორიიდან" და ორტომიანი გამოკვლევა „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801—1917 წლებში".

ვ. ბერიძე მრავალმხრივი მეცნიერია, ქართული ხუროთმოძღვრების გარდა მას ეკუთვნის გამოკვლევები ქართულ საბჭოთა ხელოვნებაზე. „საქართველოს სსრ ხელოვნება (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)", «Искусство Советской Грузии» (ნ. ეზერსკაიას თანაავტორობით), „ლადო გუდიაშვილი", „ნიკო ფიროსმანაშვილი", „დავით კაკაბაძე" და სხვა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ვახტანგ ბერიძეს ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში. ამ მიზანს ემსახურება მისი შრომების პუბლიკაციები უცხოეთში, საზღვარგარეთ წაკითხული ლექცია-მოხსენებები.

ჩვენი კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანია ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმები. 1974 წლიდან დღემდე ოთხი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა, რომელიც მთლიანად ქართული ხელოვნების შესწავლას მიეძღვნა (ორჯერ იტალიაში და ორჯერ ჩვენთან). ვინც თავისი საქმიანობით ოდნავ მაინც დაუკავშირდა ამ სიმპოზიუმებს მან ნათლად იგრძნო ის დიდი და მძიმე შრომა რაც მისმა ორგანიზატორმა და თაოსნმა ვახტანგ ბერიძემ იტვირთა, და ამ საერთაშორისო ფორუმთა წარმატება მისი ღვაწლის შედეგიც იყო.

წარმოუდგენელია მეცნიერი პედაგოგიური მოღვაწეობის გარეშე. ვ. ბერიძემ პირველი ლექცია მეხუთე კურსის სტუდენტმა 1935 წელს წაიკითხა და მას შემდეგ, არ შეუწყვეტია ერთხელ დაწყებული საქმე.

ამ დაუცხრომელ საქმიანობასთან ერთად მას არასოდეს არ მოუკლია ყურადღება ქართული კულტურისადმი, რომელიც მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა და ყოველთვის მღელვარებით განიცდის ჩვენი მწერლობის, თეატრის, მუსიკის, გამარჯვებასა და წარუმატებლობას.

ვ. ბერიძე, ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საბჭოთა მთავრობამ შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა, ხოლო ქართულმა საზოგადოებამ გულთბილად აღნიშნა შესანიშნავი მეცნიერისა და ადამიანის იუბილე.

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგია უერთდება მრავალრიცხოვან მილოცვებს და უსურვებს სახელოვან იუბილარს ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

ცნობილი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის ლეონიდე გორგილაძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 30-იანი წლების დასასრულს მანამდე მან მრავალმხრივი განათლება მიიღო თბილისის უნივერსიტეტსა და მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1938 წლიდან ლ. გორგილაძე მუშაობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, 1946 წლიდან განაგებდა თბილისის უნივერსიტეტში მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრას, ახლა კი იქვე ხელმძღვანელობს მეცნიერული კომუნიზმის კათედრას, იმავდროულად ხელოვნებით კითხულობდა და კითხულობს ფილოსოფიის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის კურსს.

ლ. გორგილაძე გამოჩენილი საზოგადოებათმცოდნეა, ახალი და უახლესი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ყველაზე ავტორიტეტული მკვლევარია, გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერული კომუნიზმისა და მისი წინამორბედი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისა და თეორიის პრობლემებზე. მრავალი წელია მკვლევარი იკვლევს, კერძოდ, ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული განმანათლებლობისა და საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და დამკვიდრების ისტორიას. ამ პრობლემების ფუნდამენტური კვლევის პირველი შედეგები მან მოკლედ გადმოგვცა 1951—1956 წლებში გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში", უფრო ვრცლად — სადოქტორო დისერტაციაში „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან" (1961 წ.), ხოლო დახვეწილად და დაწვრილებით — ნაშრომში იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში" (1963 წ.). ამ ნაშრომებმა დიდი როლი შეასრულა ახალი და უახლესი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში. მათში ახლებურად არის ახსნილი საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და პირველი მარქსისტული ორგანიზაციის დაარსების არაერთი საკითხი. ქართული განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების შესწავლისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ლ. გორგილაძის მიერ დასაბუთებულ დებულებებს იმის თაობაზე, რომ რევოლუციონერ-დემოკრატი ქართველი განმანათლებლები (თერგდალეულები), ისევე როგორც მათი რუსი და დასავლეთევროპელი მასწავლებლები, იყვნენ ფეოდალიზმის ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი ცხოვრების მედროშენი.

ლ. გორგილაძის სპეციალური კვლევის საგანია სოციალისტურ მოძღვრებათა და მეცნიერული კომუნიზმის ისტორია და თეორია. მისი ორტომიანი ნაშრომი „სოციალიზმის ისტორიიდან" (1967—1970 წწ.) უტოპიურ-სოციალისტური აზროვნების ისტორიის თანმიმდევრული გადმოცემის პირველი ცდაა ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში. დეტალურადაა გადმოცემული მეცნიერული კომუნიზმის ისტორია და თეორია მის მონოგრაფიაში „მეცნიერული კომუნიზმის ისტორიიდან" (1980 წ.). ლ. გორგილაძის თანაავტორობითა და რედაქტორობით შეიქმნა და გამოქვეყნდა 1970 წელს მეცნიერული კომუნიზმის დამხმარე სახელმძღვანელო, მისივე თანარედაქტორობითა და ხელმძღვანელობით ქართულად გამოიცა მეცნიერული კომუნიზმის ახლანდელი სახელმძღვანელო.

ლ. გორგილაძის ხელმძღვანელობით აღიზარდა ქართველ საზოგადოებათმცოდნეთა არაერთი თაობა, კვალიფიკაცია აიმაღლა მრავალმა მეცნიერმა და აქტივისტმა.

ღვაწლმოსილ მეცნიერსა და მოღვაწეს აკადემიკოს ლ. გორგილაძეს მის მრავალრიცხოვან კოლეგებთან და მოწაფეებთან ერთად ჟურნალ „მაცნეს" სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს დაბადების 70 წლისთავს, მთავრობის მაღალ ჯილდოს — ხალხთა მეგობრობის ორდენს და უსურვებს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შემოქმედებითს შრომას საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეობის საკეთილდღეოდ.

გამოჩენილ საბჭოთა ისტორიკოსს, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფ. გიორგი ძიძარიას დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

მომავალი მეცნიერი დაიბადა აფხაზეთის სოფ. ლიხნში, გლეხის ოჯახში, მამამისი ბოლშევიკური საბრძოლო რაზმის „კიარაზის" წევრი იყო.

მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის სახ. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1939 წ.) გ. ძიძარია აფხაზეთში ბრუნდება და მუშაობას იწყებს ამჟამინდელ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. ი. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტო-

რიის ინსტიტუტში. 1966 წლიდან იგი ამ ინსტიტუტის დირექტორია. ინსტიტუტში გ. ძიძარიამ თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორგანიზატორმა და ღრმა მკვლევარმა, მეცნიერმა-ისტორიკოსმა. 1946 წ. მან დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1958 წ. სადოქტორო დისერტაცია. 1960 წ. მას მიენიჭა პროფესორის წოდება. 1974 წ. არჩეულ იქნა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1939 წლიდან გ. ძიძარია ლექციებს კითხულობდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1957—1966 წწ. იგი ამ ინსტიტუტის რექტორი იყო. აფხაზეთის ა. მ. გორკის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბების შემდეგ გ. ძიძარია იქვე კითხულობს XIX—XX სს-ის აფხაზეთის ისტორიის კურსს. ხელმძღვანელობს სსრ კავშირის ისტორიის კათედრის ფილიალს.

გ. ძიძარიას სამეცნიერო ინტერესების დიაპაზონი მეტად ფართოა. მის კალამს ეკუთვნის 370-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი. მათ შორის 40-ზე მეტი მონოგრაფია, წიგნი, კრებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ძიძარიას ისეთი ფუნდამენტური ნაშრომები როგორიცაა: „1866 წ. აჯანყება აფხაზეთში" (1955 წ.), „სახალხო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობები მე-19 ს. აფხაზეთში" (1958 წ.), „აფხაზეთის რუსეთთან შეერთება და მისი ისტორიული მნიშვნელობა" (1960 წ.), „მუჰაჯირობა და მე-19 ს. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები" (1975 და 1982 წწ.), „რევოლუციამდელი აფხაზეთის ინტელიგენციის ფორმირება" (1979 წ.), „დეკაბრისტები აფხაზეთში" და სხვ.

გ. ძიძარია თავის შრომებში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ხალხთა მეგობრობის ისტორიის გაშუქებას. წიგნში „საუკუნო, ურღვევი მეგობრობა" (1972 წ.), რომელიც მან დაწერა პროფ. ზ. ანჩაბაძესთან ერთად ნაჩვენებია ქართველი და აფხაზი ხალხების ძმური მეგობრობის ღრმა ისტორიული ფესვები. პროფ. ი. კაჭარავას თანაავტორობით გ. ძიძარიამ გამოსცა წიგნი „ქართველი და აფხაზი ხალხების ერთობლივი ბრძოლის ისტორიიდან" (1981 წ.), რომელშიც გაშუქებულია მოძმე ხალხების ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ XIX ს-ის დასასრულს და XX ს-ის დასაწყისში. ამ წიგნის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს გ. ძიძარიას ნაშრომი „ქართველი და აფხაზი ხალხების ერთობლივი ბრძოლის ეპიზოდები საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1917—1921 წლებში" (1983 წ.).

გ. ძიძარიას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის შესწავლა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წიგნები: „აფხაზეთის ისტორიის ნარკვევები. 1910—1921 წწ." (1963 წ.), „საბჭოებისა და კიარაზის როლი აფხაზეთის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში. 1917—1921 წწ." (1971 წ.), „საბჭოთა ხელისუფლება აფხაზეთში 1918 წ." (1972 წ.), „კიარაზი" (1981 წ.) და სხვ.

1977 წ. ხელახლა გამოიცა გ. ძიძარიას წიგნი „ვ. ი. ლენინი და აფხაზეთი" (პირველი გამოცემა 1970 წ.) გ. ძიძარია ავტორია აგრეთვე ბიოგრაფიული ნარკვევებისა სერგო ორჯონიკიძის, ნ. ლაკობას, ე. ეშბას, ს. კუხალეიშვილის, ვ. ლაკობას, ვ. ლადარიას, ვ. აგრბასა და სხვა მრავალ რევოლუციურ მოღვაწეთა შესახებ.

დიდ მუშაობას ეწევა გ. ძიძარია ისტორიული მასალების მოძიების და გამოცემის საქმეში. აქ, უპირველეს ყოვლისა, დასახელებული უნდა იყოს წიგნები: „ბრძოლა ოქტომბრისათვის აფხაზეთში. 1917—1921 წწ. დოკუმენტებისა და მასალების კრებული" (1967 წ.), „აფხაზეთის მშრომელები ვ. ი. ლენინს" (1970 წ.), „ს. ზვანბა, ეთნოგრაფიული ეტიუდები" (1955 წ.) და სხვ.

გ. ძიძარია სკკპ წევრია 1940 წლიდან. იგი სამჯერ იყო არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო სკკპ 26-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 17—26-ე ყრილობების დელეგატი. ამჟამად გ. ძიძარია საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრი, საქ. სსრ საზოგადოება „ცოდნის" აფხაზეთის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრია.

გ. ძიძარიას, როგორც გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, დამსახურება სათანადოდ არის დაფასებული პარტიისა და მთავრობის მიერ. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორი ორდენით, სსრ კავშირის ხუთი მედლით. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ცხოვრების 70 წლისთავს და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავს გ. ძიძარია ხვდება შემოქმედებითი ძალების აღმავლობის პერიოდში. მას მრავალი შესანიშნავი ჩანაფიქრი აქვს. ვუსურვებთ ძვირფას გიორგი ალექსის ძეს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემდგომ მაღალნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## ი. გელბი სამხრეთ შუამდინარეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის შესახებ ძვ. წ. III ათასწლეულში

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაო ყურადღება მიიპყრო ი. გელბის კონცეფციამ ძველი შუამდინარეთის სოციალურ-ეკონომიკური წყობილების შესახებ. ფაქტობრივად ამ კონცეფციის კრიტიკულ განხილვას მიეძღვნა გამოჩენილი საბჭოთა ისტორიკოსის ი. მ. დიაკონოვის ვრცელი სტატია ჟურნალში „Вестник Древней Истории“[1]. მისი თვალსაზრისის განხილვას ჩვენ ვხვდებით ი. მ. დიაკონოვის სხვა ნაშრომებშიც, აგრეთვე ზოგიერთ ჩვენს ნაშრომში[2] და სხვა ავტორებთანაც. ი. გელბის ნაშრომები ჩვენს ყურადღებას იქცევენ იმითაც, რომ იგი ფართოდ იცნობს საბჭოთა სპეციალისტების ნაშრომებს, სათანადო ანგარიშს უწევს მათ და აგრეთვე იმ მეთოდოლოგიას, რომელზეც ისინი არიან დაფუძნებული (საზოგადოებრივი განვითარების მარქსისტულ კონცეფციას). ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, საჭიროა ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება უფრო ახლოს იცნობდეს აღნიშნულ პრობლემაზე ი. გელბის კვლევა-ძიების შედეგებს.

ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ასირიოლოგი — ძველი შუამდინარეთის ისტორიის მასალების შესანიშნავი მცოდნე და მკვლევარი ი. გელბი დიდი ხანია რაც დაინტერესებულია სამხრეთ შუამდინარეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის საკითხით. როგორც თვით აღნიშნავს, პირველად იგი ამ საკითხს შეეხო 1955 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში. მასში ლაპარაკი იყო ძველი მესოპოტამიის მოსახლეობის, უფრო სწორად იქაური უშუალო მწარმოებელთა ორი ფენის შესახებ, ნათქვამი იყო, კერძოდ, რომ მრავალრიცხოვან „ყმებთან“ შედარებით აქ მონებისა და მონა-გოგონების რიცხვი მეტად მცირე იყო[3]. რადგანაც უკვე აქ გამოჩნდა ი. გელბის მიერ უშუალო მწარმოებელთა ამ ორი ფენის სახელდება „მონებისა“ (slaves) და „ყმების“ (serfs) სახით, საჭიროა ითქვას, რომ თვით იგი ხაზს უსვამს უკანასკნელი ტერმინის პირობით ხასიათს, რადგანაც, წერს იგი, ტერმინი „ყმა“ ძველი მახლობელი აღმოსავლეთის უშუალო მწარმოებელთა აღსანიშნავად უარყოფით ემოციებს იწვევს ზოგიერთ მარქსისტ მეცნიერში შუა საუკუნეებთან, ფეოდალურ სამყაროსთან მისი ასოციაციის გამო, მე მივესალმებოდი ყველა სხვა ტერმინს, რომელიც უფრო შესაფერისი იქნება[4]. იგი იმასაც შენიშნავს, რომ თვითონ მის ნაწერებში შეიმჩნევა მერყეობა ამ ფენის სახელდებაში, თუმცა მას თეზისისათვის ამ ორი სოციალური კლასის არსებობის შესახებ არასოდეს გადაუხვევია. 1960 წელს მოსკოვში აღმოსავლეთმცოდნეთა XXV საერთაშორისო კონგრესზე წაკითხულ მოხსენებაშიც „სოციალური სტრატიფიკაცია ძველ აქადურ პერიოდში“[5]. ი. გელბი იცავს თეზისს ერთმანე-

---

[1] იხ. И. М. Дьяконов, Рабы, илоты и крепостные в ранней древности, ВДИ, 1973, № 4, გვ. 3—29.

[2] იხ. მაგ., Г. А. Меликишвили, Некоторые аспекты вопроса о социально-экономическом строе древних ближневосточных обществ, ВДИ, 1975, № 2, და სხვ

[3] იხ. I. T. Gelb, Definition and Discussion of Slavery and Serfdom, Ugarit—Forschungen. Internationales Jahrbuch für die Altertumskunde Syrien-Palästinas, Bd. 11, 1979, გვ. 293.

[4] იხ. იქვე, გვ. 291. სხვათა შორის, მე არ მესმის რატომ არის უკეთესი და უფრო მარქსისტული ამ კატეგორიის მწარმოებელთა მონებად გამოცხადება. ი. დიაკონოვის კრიტერიუმი — ისინი არ ფლობენ საწარმოო საშუალებებს და არაეკონომიურ იძულებას განიცდიან — ერთნაირად მიუდგება მონებსაც და შუა საუკუნეების ყმებსაც.

[5] იხ. I. T. Gelb, Social Stratification in the Old Akkadian Period, „Труды XXV Международного конгресса востоковедов„, I, М., 1962 გვ. 225 — 226. შდრ. იქვე, გვ. 243—244 (მისი გამოსვლა დისკუსიაში შუმერისა და აქადის სოც.-ეკონ. ისტორიის საკითხებზე).

თისაგან განსხვავებული „მუშათა ანუ ყმათა ნახევრადთავისუფალი კლასისა“ (ძირითადი მწარმოებელი კლასისა) და მცირერიცხოვანი მონების კლასის შესახებ. ამ მოხსენებაში ი. გელბი ეხება მოსახლეობის ზედა და ქვედა ფენებს შორის ურთიერთობის საკითხს ძირითადად სარგონიდებისა და მისი წინა (პრესარგონიდული) და მომდევნო (ური-III) პერიოდების მასალების მიხედვით. „ძველბაბილონური“ წყაროები, რომლებიც გვისახავენ ადრეული პერიოდებისაგან სრულიად განსხვავებულ სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურას მხოლოდ კონტრასტის საჩვენებლად და სხვა ასეთი მიზნით არიან დროდადრო მოხმობილი (კონგრესის მასალებში დაბეჭდილ ტექსტში მხოლოდ კვლევის შედეგები — დასკვნები არის წარმოდგენილი).

1965 წელს იგი უკვე აღნიშნავს, რომ „ყმათა“ კლასი უკეთესია იწოდებოდეს „guruš“-თა კლასად, ხოლო ტერმინ „ყმას“ შეიძლება მოვეშვათ შუა საუკუნეების ფეოდალიზმთან მისი კავშირის გამო. ამ მხრივ ტერმინ guruš-ს უპირატესობა აქვს მასთან შედარებით. შუმერულში იგი, მართალია, უბრალოდ „კაცსაც“ აღნიშნავს, მაგრამ აქვს წარმოებული მნიშვნელობაც — აღნიშნავს ნახევრადთავისუფალთა კლასს თავისუფალთა და მონების კლასისაგან განსხვავებით. მართალია, 1972 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში იგი კვლავ „ყმა“ ტერმინს ხმარობს, მაგრამ აშკარაა რომ მასში იგი უბრალოდ მონებისაგან განსხვავებულ, მონებსა და თავისუფალთა შორის მდგომი „ნახევრადთავისუფალთა“ სოციალურ ფენას გულისხმობს.

ყველაზე უფრო გამოკვეთილად, ამბობს ი. გელბი თავის 1979 წელს გამოქვეყნებულ ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, მისი თვალსაზრისი ამ საკითხზე ჩამოყალიბებულია „პროგრამულ სტატიაში“ „From Freedom to Slavery“, რომელიც 1972 წელს გამოქვეყნდა[6]. ამიტომაც ჩვენ პირველ ყოვლისა სწორედ ი. გელბის ამ ნაშრომში წამოყენებულ დებულებებს გადმოვცემთ. ეს ნაშრომი, ისევე როგორც შემდეგში გამოქვეყნებული სხვა ნაშრომები, ი. გელბს მიაჩნია ნაწილად იმ დიდი მონოგრაფიისა, რომლის გამოქვეყნებასაც იგი ვარაუდობს. მასში იქნება ლაპარაკი მიწისმფლობელობის საკითხებზე და აგრეთვე, სოციალურ სტრუქტურაზე, „დამოკიდებულ მწარმოებელთა“ (მუშაკთა, მშრომელთა) ორ ფენაზე — „მონებსა“ და „ყმებზე“. ავტორის ყურადღების არეშია ფარას, სარგონიდების (ე. ი. აქადის დინასტიის), წინასარგონიდული ხანის და ურის III დინასტიის პერიოდის ეთარება, თუმცა მხედველობაშია მიღებული აგრეთვე მესოპოტამიის ისტორიის უფრო გვიანდელი პერიოდების ამსახველი მასალაც.

სამართლიანად აღნიშნავს ი. გელბი, რომ დამოკიდებულ უშუალო მწარმოებელთა კლასის წარმოშობა და ზრდა-განვითარება უნდა განხილულ იქნეს საზოგადოების საერაუდებელი განვითარების შუქზე წინაისტორიული პირველყოფილი სახალხო საზოგადოებიდან პროტოისტორიულ ქალაქურ საზოგადოებისაკენ (დასავლეთის მკვლევართა ჩაილდის, რენდფილდის და სხვათა ტერმინოლოგიით) ანდა პირველყოფილი-თემური საზოგადოებიდან მონათმფლობელურ საზოგადოებისაკენ • (მარქსისტული ტერმინოლოგიით). ავტორი ამ გადასვლის დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნევს შემდეგს: 1) საერთო (თემური) მიწა, რომელიც ეკუთვნოდა ტომებს, თემებს და დიდ ოჯახებს მითვისებულ იქნა ამ ნათესაური ჯგუფების მეთაურთა მიერ და თანდათან გადავიდა მეფის, ტაძრის ან წარჩინებულთა ფართო საზოგადოებრივი სამეურნეო კონტროლის ქვეშ; 2) ტომების, თემების ან დიდი ოჯახების მეთაურები თანდათან ხდებიან მმართველ კლასად, ახალ მიწისმფლობელ არისტოკრატიად, რომელიც იმავე დროს სახელმწიფო მოხელეებს განასახიერებდა; 3) თავისუფალი გლეხობა კი სათემო მიწაზე — ტომების, თემების და დიდი ოჯახების დარჩენილი წევრებისაგან ქმნის მთავარ დამოკიდებულ სამუშაო ძალას ფართო საზოგადოებრივ მეურნეობაში.

ადრეული პერიოდის მიმართ ი. გელბი მიდის დასკვნამდე, რომ მწარმოებლურ შრომაში ჩაბმულთა დიდი ნაწილი თავისუფალ მწარმოებლებს კი არ წარმოადგენდა, არამედ ფართო საზოგადოებრივ მეურნეობაში მომუშავე დამოკიდებულ მშრომელებს. ის რომ „თავისუფალი მწარმოებლის“ ცნება ავტორის მსოფლმხედველობაში ახალი დროის ვითარების გავლენით არის ფიქსირებული, ჩანს იქიდან, რომ ამასთან დაკავშირებით იგი მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ ამ ადრეულ ხა-

[6] ეს სტატია წარმოადგენს მიუნხენის „XVIII ასირიოლოგიურ შეხვედრაზე (1970 წ.)“ წაკითხული მოხსენების გადამუშავებულ ვარიანტს, იხ. Ignace T. Gelb, Fromm Freedom to Slavery, „Bayerische Akademie der Wissenschaften. Philosophisch—historische klasse. Abhandlungen, Neue Folge, Heft 75, München, 1972.

ნაში დაქირავებული შრომა ძალზე იშვიათია მესოპოტამიაში, ძველ დროს ტერმინები lu-ḫun-gá და á, ძველბაბილონური პერიოდისაგან განსხვავებით, იშვიათად გვხვდება, დაქირავებული შრომის შესახებ კონტრაქტები უცნობია ური III-ის ხანაზე უფრო ადრე, ამ პერიოდში კი მხოლოდ სპორადულად ჩნდებიან, მაშინ როცა ძველბაბილონურ და უფრო გვიანდელ ხანებში მათ საკმაოდ ეხედებით.

ავტორის აზრით სწორედ ნახევრადთავისუფალ დამოკიდებულ მწარმოებელთა შრომა არის უმთავრესი მესოპოტამიაში და, საერთოდ, ძველ ახლო აღმოსავლეთში, მიკენურ და ჰომეროსისეულ საბერძნეთში, გვიანდელ სპარტაში, კრეტაზე, თესალიაში და საბერძნეთის სხვა რეგიონებში ათენის გამოკლებით, ისევე როგორც ინდოეთში, ჩინეთში და სხვ. იგი გამოიყენება წარმოებაში ნაწილობრივ ან მუდმივად სახელმწიფოს, ტაძრების საზოგადოებრივ მეურნეობებში და მსხვილი მიწისმფლობელების მიერ, რომლებიც ამავე დროს სახელმწიფო მოხელეებს წარმოადგენენ. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ისეთი მონური შრომა, როგორიც იყო საბერძნეთ-რომში. უკანასკნელი დამახასიათებელი იყო მხოლოდ კლასიკური საბერძნეთისათვის (სადაც ამგვარ მონურ შრომას ძირითადად მანუფაქტურებში და მაღაროებში იყენებდნენ), რომისათვის (ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ლატიფუნდიებში) და კოლუმბის შემდგომი ხანის ამერიკისათვის (პლანტაციებში).

როგორ შეიძლება შექმნილიყო დამოკიდებულ მწარმოებელთა კლასი? როგორია მისი წყაროები. ი. გელბის მიხედვით ესაა: 1. დაქვემდებარებული ეთნოსი; 2. უცხოელთა პირატული მონობა; 3. შინნაშობი მონობა; 4. ადგილობრივი გაღატაკებული კლასები, 5. უცხოელი სამხედრო ტყვეები. ავტორი სწორად სვამს საკითხს: შესაძლებელია კი მმართველი კლასების მიერ თავისი საკუთარი ხალხის გაღატაკებული მასების მონებად გადაქცევა? შესაძლებელია კი თუნდაც უცხო სამხედრო ტყვეების მასების ეფექტური გამოყენება მონათა სტატუსის პირობებში? პასუხი ორივე შემთხვევაში უარყოფითია. კერძოდ, ეკონომიკისა და სახელმწიფო აპარატის სისუსტე შეუძლებელს ხდიდა თვით უცხოელ ტყვეთა მასების მასიურად მონებად გადაქცევა-გამოყენებას. აი, ავტორის მიხედვით, როგორი ღონისძიებები ტარდებოდა დამოკიდებული ხალხის უფრო ეფექტური გამოყენებისათვის: 1) ადგილობრივი ხალხის მონობის (ე. ი. სავალო კაბალის) შეზღუდვა სამი (ან ექვსი) წლით და შეზღუდვები ასეთი მონების გაყიდვაზე; 2) მიწის ნაკვეთების მიცემა ან სხვაგან მოსული მოსავლით სარგებლობა ღატაკი ხალხისათვის, როდესაც ისინი ნაწილობრივ თავის და ნაწილობრივ მეურნეობის პატრონთან მუშაობდნენ; 3) ტაძრის მიერ ბოგანო და ცხოვრების სახსრის არმქონ, ხალხის შემოკრება, რომელთაც იგი უჩენდა ცხოვრების სახსარს, მაგრამ მათი სახით თავისთვის იაფ მუშახელს იძენდა; 4) სამხედრო ტყვეთა სტატუსის შეცვლა არათავისუფლიდან ნახევრადთავისუფალზე, მათი მიწაზე დასმა, დასახლება და გამოყენება ტაძრისათვის სამსახურისათვის, ანდა მეფეთა დამცველ სამხედრო რაზმებში. საერთოდ ჯარში.

ნამდვილ მონებად გამოყენება, შენიშნავს ავტორი, არაპრაქტიკული და არაეფექტური იყო წარმოებაში მესოპოტამიის ისტორიის როგორც ადრეულ, ისე გვიანდელ ხანაში. ცნობილია, რომ ახალასურულ პერიოდშიც, ასურელთა სამხედრო ძლევამოსილების ჟამს, დატყვევებულ მოსახლეობას მონებად კი არ იყენებდნენ, არამედ ასახლებდნენ ქვეყნის სხვა ადგილებში. ის რომ მესოპოტამიამ არ იცის მონათა აჯანყებები აგრეთვე მოწმობს აქ მონობის ფართო გავრცელების აზრის წინააღმდეგ.

განსაკუთრებით საინტერესოა ი. გელბის ცდა კონკრეტული ნიშნების მიხედვით განასხვაოს ერთმანეთისაგან შუამდინარეთის მწარმოებელი მოსახლეობის ორი ფენა — „მონები“ და „დამოკიდებული მუშაკები“ („ყმები“). თვით ავტორი შენიშნავს, რომ მან იცის, რომ არის გამონაკლისები („იშვიათი შემთხვევები“), როდესაც ირღვევა დადგენილი ნიშნები, მაგალითად: მონა ატარებს მამის სახელს, აქვს პროფესია, ჰყავს ცოლ-შვილი, ადგილობრივი წარმოშობისაა (თვითგაყიდვა და სხვ.), ან კიდევ „დამოკიდებულნი“ იყიდებიან, დამღა აზით, მუშაობენ ქალაქის სახელოსნოებში და სხვ., მაგრამ ეს გამონაკლისები არ არღვევენ საერთო კანონზომიერებას, საერთო წესს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მრავალი სხვადასხვა ნიშნით მშრომელი მოსახლეობის ეს ორი ფენა მკვეთრად განირჩევა ერთმანეთისაგან: „მონები“ (arád, gemé, sag და სხვ.) მამის სახელით არ მოიხსენიებიან, „დამოკიდებულნი“ — კი, მათ ოჯახი არ აქვთ, მეორეთ — აქვთ, იგივე ითქმის პროფესიის ქონებაზეც, „მონები“ უცხოელებია, ტყვეები, „დამოკიდებულნი“ — ადგილობრივნი, გაღატაკებულნი, პირველნი იყიდებიან, მეორენი — არა, პირველნი დამღას ატარებენ, მეორენი — არა, თავისუფალი გადაადგილება არც ერთ კატეგორიას არ შეუძლია, თუმცა მეორეთ როგორც „მიწერილთ“

(glebae adscripti), „მონები“ ქალაქებში არიან და მომსახურეობის სფეროში გამოიყენებიან, „დამოკიდებულნი“ კი სოფლად და წარმოების სფეროში. პირველნი მთელი დროის განმავლობაში არიან დაკავებულნი, მეორენი კი შეიძლება ნაწილობრივ, მაგრამ შეიძლება მთლიანადაც, „საწარმოო საშუალებანი“ „მონებს“ არ გააჩნიათ, „დამოკიდებულთ“ — კი, იურიდიულად პირველთ მცირეოდენი უფლებები აქვთ, მეორეთ — დიდი. რაოდენობრივად „მონები“ მცირერიცხოვანია, „დამოკიდებულნი“ კი — მრავალი.

ნამდვილი მონები, ი. გელბის აზრით, თითქმის არავითარ როლს არ ასრულებდნენ მატერიალური დოვლათის წარმოებაში, guruš-თა კლასი კი წარმოადგენდა ნახევრადთავისუფალ მწარმოებლებს, გლეხებსა და ხელოსნებს — ადგილობრივ ღარიბ მოსახლეობას. მათ ოჯახები ჰქონდათ და ცხოვრების სახსარს ჰპოვებდნენ საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული პრებენდით ან რენტის პირობით მიღებული პატარა ნაკვეთიდან. ესენი არიან, მისი აზრით, რომაელთა glebae adscripti-ს ტიპის მწარმოებლები. ქვეყნის ეს ძირითადი მწარმოებელი ძალა გამოიყენებოდა უმთავრესად სოფლის მეურნეობაში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ წარმოებაში.

რაც შეეხება ქალებს („gemé“ — მონა ქალი) და მათ ბავშვებს, რომლებიც მუშაობდნენ საზოგადოებრიე მეურნეობაში და რაციონს იღებდნენ, ისინი, ჩანს, მარტოხელებია, არ აქვთ ოჯახები, არც რაიმე საკუთრება, მთელი დროის მანძილზე სატაძრო მეურნეობაში მუშაობენ. მათი სტატუსი ი. გელბის აზრით, არათავისუფალთა, ნახევრადთავისუფალთა და თავისუფალთა შორის არ არის მთლად ნათელი.

ნახევრადთავისუფალი გურუშები მუშაობდნენ ოიკოსური ტიპის საზოგადოებრივ მეურნეობაში. (ესაა მთლიანი სოციალ-ეკონომიკური კომპლექსი, თვითდამაკმაყოფილებელი და ავტარკიული. აქ შედიან, როგორც მეურნეობის მესაკუთრენი, ისე მისი მუშა პერსონალი, ნაგებობები, პირუტყვი, საძოვრები, ბაღები, ტყე, მუშა პირუტყვი).

რადგანაც ჩვენ გვაქვს მეტად მცირე ინფორმაცია დამოუკიდებლად მეურნეობის მწარმოებელ თავისუფალ მიწისმოქმედთა შესახებ, უნდა ვიფიქროთ, გელბის აზრით, რომ მათი რიცხვი მცირე იყო. ი. გელბი არ ეთანხმება ი. დიაკონოვის თვალსაზრისს, რომელიც ფიქრობს, რომ რაოდენობრივად მწარმოებლის დომინანტ ტიპს წარმოადგენდა არა ნახევრადთავისუფალი guruš-ი (კლიენტები ანუ ყმები), ან მონები, არამედ თავისუფალი მეთემე გლეხობა. ჩემი რეკონსტრუქციით, დასძენს იგი, თავისუფალი გლეხობა და თემურ-ტომობრივი საკუთრება მიწაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდათ წინაისტორიულ და პროტოისტორიულ პერიოდებში ბინადარ მიწისმოქმედებაში (ეკონომიკაში), ხოლო შემდეგში იმ ცვლილებათა შემდეგ, რომელიც ამორეველთა შემოჭრას მოჰყვა, ანდა პრიმიტიულ დონეზე მდგომ რეგიონებში (მაგალითად Nuzi-ს არეალში). მაგრამ მყარი ცენტრალიზებული სახელმწიფო ორგანიზაციისა და საკმაოდ განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის პირობებში სასოფლო თემების ხელთ არსებული მიწის ფონდი ადგილს უთმობს საზოგადოებრივ მიწის ფონდს, რომელიც იმყოფება სასახლის, ტაძრის და არისტოკრატიის (=მოხელეთა) კონტროლქვეშ.

მცირერიცხოვანი ზედაფენა შედგება მმართველისაგან, არისტოკრატიისაგან, ქურუმებისა და ვაჭრებისაგან, ხოლო ასევე მცირერიცხოვან დაბალ ფენას ჰქმნიან მონები, გამოყენებული მომსახურების სფეროში (შინამოსამსახურეებად), დაბოლოს მათ შორის არის მრავალრიცხოვანი guruš-თა ფენა — მთავარი მწარმოებელი ძალა სოფლის მეურნეობასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების საქმეში ვრცელ საზოგადოებრივ მეურნეობაში. ღიად რჩება, — გელბის მიხედვით, — ამათ გარდა (ამ საზოგადოებრიე მეურნეობის გარეშე) კიდევ თავისუფალი გლეხებისა და ხელოსნების არსებობის საკითხი — ისინი უმნიშვნელო რაოდენობით შეიძლება არსებულიყვნენ, მაგრამ ძველი შუამდინარეთის მატერიალურ წარმოებაში არ ასრულებდნენ ასე თუ ისე შესამჩნევ როლს. ეკონომიკური თვალსაზრისით, ფიქრობს ი. გელბი, სწორი იქნება თუ ჩვენ განვასხვავებთ არა სამ, არამედ ორ კლასს — ერთი მხრივ, ზედა ფენას და, მეორე მხრივ, მთელ დანარჩენ მოსახლეობას. ეს უკანასკნელი მოიცავს მთელ დამოკიდებულ მწარმოებელ ფენას, არა მარტო guruš-თა და მონების, არამედ აგრეთვე ე. წ. „თავისუფალი გლეხობისა და ხელოსნების“ ჩათვლით, რომელიც ადრე თუ გვიან აგრეთვე ხდებოდა დამოკიდებული მსხვილი მეურნეობისაგან (მისი მფლობელისაგან) მათი მხრით წყლით, მუშა პირუტყვით, სამუშაო ინვენტარით, სათესლე მარცვლით და წარმოების სხვა საშუალებებით მომარაგების მეოხებით.

თავის გამოსვლაში ამავე კონფერენციაზე ი. დიაკონოვის მოხსენებასთან („სოციალ-ეკონომიკურ კლასები ბაბილონეთში და სოცია-

ლური სტრატიფიკაციის ბაბილონური კონცეფცია“) დაკავშირებით, ი. გელბი უარყოფდა ეკონომიკის ორი სექტორის დიაკონოვისეულ კონცეფციას და აღნიშნავდა, რომ სარგონისწინა პერიოდის ლაგაშის ტექსტებში და სხვა წყაროებში ჩანს, რომ რაციონი ხალხის გარკვეულ ნაწილს საზოგადოებრივ მეურნეობაში ეძლეოდა მხოლოდ წლის 4—5 თვის პერიოდში. ეს, როგორც ჩანს, იყო ხალხი, რომელიც ნაწილობრივ მუშაობდა საზოგადოებრივ სექტორში, დანარჩენ დროს კი თავის საკუთარ მეურნეობას ანდომებდა, მაშასადამე ჰქონდა საკუთარი საწარმოო საშუალებანი. ი. გელბი თანახმაა, რომ ივარაუდოს ე. წ. „თემური“ (დიაკონოვის „თემურ — კერძო“) სექტორის არსებობა ამორეველთა შემოსვლის შემდეგ, კასიტების ხანაში, აგრეთვე შორეულ (პერიფერიულ) პრიმიტიულ დონეზე მდგომ რეგიონებში (ნუზი). მაგრამ არა ისეთ სავსებით ორგანიზებულ სახელმწიფოსა და ეკონომიკის ერთარებაში, როგორსაც ვხედავთ სარგონიდებისწინა, სარგონიდების ან ურის III დინასტიის დროის ბაბილონეთში. „კერძო“ ამ დროს შეიძლება ყოფილიყო დიდმოხელეთა დიდი მამულები, მაგრამ ისინი არც ჩაითვლება მთლად „კერძოდ“, რადგანაც ამავე დროს საზოგადოებრივში შედიოდა, როგორც სახელმწიფო მოხელეების მამულები[8].

ამავე პრობლემატიკას ეხება ი. გელბი 1979—1980 წლებში გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაშრომში. ასე მაგალითად, 1980 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „Comparative Method in the Study of the Society and Economy of the Ancient Near East“ („Rocznik Orientalistyczny, XLI) იგი კვლავ აღნიშნავს, რომ მესოპოტამიის ეკონომიკაში დომინანტურ როლს ასრულებდა ოიკოსური ეკონომიკა. ასეთ ოიკოსურ მეურნეობებში ძირითად სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ ნახევრადთავისუფლები, guruš-ები, რომაელთა glebae adscripti-ს ანალოგიური მწარმოებლები. მათგან ისინი, ვინც ფლობდა საწარმოო საშუალებებს — მიწას მიღებულს რენტისა თუ გადასახადის პირობით — იგი წლის ერთი ნაწილის განმაელობაში მუშაობდა იმ მეურნეობაში, საიდანაც მას მიწა მისცეს, ხოლო ისინი ვისაც ასეთი ნაკვეთი არ გააჩნდა, მეურნეობისათვის მუშაობდა მთელი წლის მანძილზე და იღებდა რაციონს ასევე მთელი წლის მანძილზე.

1979 წელს გამოქვეყნებულ სტატიაშიც „Household and Family in the Early Mesopotamia“ (Orientalia Lovaniensia Analecta, Leuven) ი. გელბი უარყოფს, რომ ამ უძველესი ხანის მესოპოტამიაში მწყემსებისა და ნახევრადმომთაბარეთა მცირე სამოსახლოებს გარდა იყო დამოუკიდებელ წვრილ მიწისმოქმედთა (გლეხების) სოფლები. წვრილი გლეხობა, რომელიც ქვეყანაში ცხოვრობდა, ქმნიდა ოიკოსური გაერთიანებების ნაწილს. აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ „ურბანიზაციის დასაწყისში“ შუამდინარეთში ჩვენ ვხედებით ორგვარ მეურნეობას: 1) საოჯახოს, მიწის ნაკვეთით, რომელიც ნათესაური ჯგუფის მფლობელობაშია და 2) საზოგადოს — მიწით, რომელიც იმყოფება სასახლის, ტაძრის ან არისტოკრატიის (=მოხელეთა) კონტროლ ქვეშ. დროთა განმავლობაში, ი. გელბის მიხედვით, ნათესაური ჯგუფების მეთაურები იქცევიან მმართველ კლასად და კერძო-საოჯახო საკუთრება იცვლება კერძო-ინდივიდუალური საკუთრებით, ხოლო საზოგადო საკუთრება ექსპლუატირებულია მმართველი კლასის სასარგებლოდ. ამრიგად, ავტორის აზრით, ადრედინასტიურ და სარგონიდულ ხანაში უნდა განვასხვავოთ მეურნეობის შემდეგი ტიპები: 1) საზოგადოებრივი: ა) სასახლის, სამეფო, ბ) ტაძრის, გ) მოხელეთა და 2) კერძო: ა) კერძო-საოჯახო, ბ) კერძო-ინდივიდუალური. ეს ორი სახე საკუთრებისა ნაწილობრივ ფარავდა ერთმანეთს. მაგალითად, ოჯახს ან ინდივიდუუმს, რომელსაც საკუთარი მამული ჰქონდა, შეიძლებოდა ჰქონოდა (ან უფლება ჰქონდა ჰქონოდა) საზოგადო მიწაც, ან კიდევ იმ შემთხვევაში, როდესაც მოხელენი საზოგადო მიწას ფაქტობრივად საკუთრებად აქცევდნენ. დიდი საზოგადო მეურნეობა მოიცავდა მისი (მაღალი თუ დაბალი რანგის) მოხელეების მცირე მეურნეობებს.

ი. გელბი ყურადღებას აქცევს იმას, რომ გამოთქმა „É („სახლი“) ამისი და ამისი“ ფართოდ გავრცელებული ადრეულ ხანაში, თანდათან ქრება სარგონიდების ხანაში და ური — III-ის დროს მისი კვალი აღარ ჩანს და ეს მიაჩნია მაჩვენებლად იმისა, რომ ადრეულ ხანაში, სარგონიდების ხანის ჩათვლით,

---

[8] ი. დიაკონოვი შენიშნავს, რომ თუ მას სწორად ესმის, ი. გელბი 1970 წელს უარყოფდა არა იმდენად კერძო მეურნეობების არსებობას, არამედ უარყოფდა განსაკუთრებული, სასახლე-ტაძრის უზენაესი საკუთრების გარეშე მყოფი სათემო-კერძო სექტორის არსებობას — იხ. **И. М. Дьяконов.** დასახ. ნაშრომი, **ВДИ**, 1973, № 4, გვ. 5, შენ. 8.

მიწათმფლობელობაში არსებული ფართო კერძო-საოჯახო სექტორი აღარ ჩანს მომდევნო ური-III-ის ხანაში.

ი. გელბი აანალიზებს ური—III-ის ხანის ლაგაშის სატაძრო მეურნეობების მასალებს და ასკვნის, რომ სატაძრო პერსონალში ოთხი კლასი განირჩევა 1) ab-ba-ab-ba „უხუცესები" — მეურნეობის მმართველი იერარქია, 2) engar nu-banda-gud სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი პერსონალი, 3) erin მუშები — ჯარისკაცები, ჩაბმული მშვიდობიან დროს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, ხოლო ომის დროს - ლაშქარში. 4) სხვადასხვა პერსონალი, ჩაბმული სასოფლო-სამეურნეო საქმის გარეშე საქმიანობაში.

წინასარგონიდული და ური-III-ის ტექსტების თანახმად ეს დაჯგუფებები შეიძლება შემდეგი ნიშნებით დახასიათდეს: 1) მოხელენი და ზედამხედველნი: ეწევიან სრულფასოვან ოჯახურ ცხოვრებას, მთელ დროს მეურნეობისათვის მუშაობენ, ფლობენ საწარმოო საშუალებებს — მიწას, შეუძლიათ მიიღონ დამატებითი რაციონი; 2) ხელოსნები და სხვა საქმიანობაში ჩაბმული პირები: აქვთ ოჯახები; თუ აქვთ მიწა — მეურნეობაში მუშაობენ მხოლოდ დროის ერთ მონაკვეთში, რომლის დროსაც იღებენ რაციონს; თუ არა აქვთ საწარმოო საშუალებები (მიწა), მთელ დროს მუშაობენ (საზოგადოებრივ) მეურნეობაში და მთელი წლის მანძილზე იღებენ რაციონს. 3) მუშაკნი — მოლაშქრენი: აქვთ ოჯახები, აქვთ ნაკვეთები, მუშაობენ დროის ერთ მონაკვეთში საზოგადო მეურნეობაში და ამ დროის მანძილზე იღებენ რაციონს. 4) მარტოხელა ქალები და ბავშვები და საზოგადოების სხვა „განკიცხულნი": არ გააჩნიათ ოჯახები, მთელი დროის მანძილზე მეურნეობაში მუშაობენ, არ გააჩნიათ საწარმოო საშუალებანი და მთელი წლის მანძილზე იღებენ რაციონს.

ახასიათებს რა მეურნეობებს, აღნიშნავს, რომ მასში (ასეთ „სახლში") მთავარი ნაგებობა იყო არა „მემამულის" სახლი, არამედ საწყობი, იყო შეიძლება აგრეთვე კოშკური ნაგებობა მტრებისაგან დასაცავად. მეურნეობის მფლობელნი წლის უმეტეს დროს ატარებდნენ სამოქალაქო სამსახურში ქალაქში, სადაც მათ შეიძლება ჰქონოდათ თავისი მთავარი საცხოვრებელი; ზოგიერთი ძირითადი წედლეულის მიხედვით (ქვა, ლითონები) დიდი მეურნეობები („სახლები") ავტარკიული, თვითდამაკმაყოფილებლები იყვნენ; არსებობდა შრომის დანაწილება; ზემოთქენ მიმავალი სოციალური მობილობა გარკვეულად შეზღუდული იყო.

საყურადღებოა ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით აგრეთვე ი. გელბის მიერ ამავე 1979 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „Definition and Discussion of Slavery and Serfdom" (Ugarit—Forschungen, Bd. 11), რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ.

ი. გელბი აქ იხსენიებს საბჭოურ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც მთელი ძველი ხანა აზიასა, ახლო, შუა და შორეულ აღმოსავლეთში, კლასიკური პერიოდი მიკენური. ჰომეროსისეული და კლასიკური ბერძნულ-რომაულის ჩათვლით, ხასიათდება როგორც წარმოების წესი, დაფუძნებული წარმოების საშუალებებს მოკლებული მშრომელების შრომაზე (აქ ერთიანდებიან როგორც კლასიკური სამყაროს მონები, ისე ძველი მახლობელი აღმოსავლეთის და სხვ. ნახევრადთავისუფალი „ყმები"). შემდეგ იგი ეხება საგანგებოდ ძვ. წ. III ათასწლეულის მესოპოტამიას, და იხსენიებს ი. დიაკონოვის შეხედულებას guruš-თა შესახებ, რის საფუძველზეც ის სწორად თვლის თეზისს ამ საზოგადოების, ისევე როგორც ხამურაბის დროინდელ ბაბილონეთის „მონათმფლობელურობის" შესახებ. ი. დიაკონოვი უარყოფსო ამ საზოგადოების მწარმოებელთა მიმართ ტერმინ „ყმის" გამოყენებას, რადგანაც შუა საუკუნეების ყმებს გააჩნდათო „წარმოების საშუალებანი", ხოლო მესოპოტამიის „კლიენტები" ასეთს არ ფლობდნენ. ი. დიაკონოვი, განიხილავს რა ი. გელბის მიერ ფიქსირებულ ნიშნებს მესოპოტამიის მწარმოებელი მოსახლეობის ორი სხვადასხვა კატეგორიისათვის, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეკონომიკურად მათ შორის განსხვავება არაარსებითია — ორივენი მოკლებულნი არიან საწარმოო საშუალებებზე საკუთრებას და სამუშაოს ასრულებდნენ მათი პატრონებისათვის. ყველა მათ იგი „მონური ტიპის" მუშაკებად მიიჩნევს. ი. გელბი აქვე აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში გამოითქვა სხვა თვალსაზრისიც ამ საკითხზე (მითითებს გ. მელიქიშვილის სტატიებზე: Acta Antiqua 1974-სა, „Народы Азии и Африки", 1972-სა და „Вестник Древней истории" 1975-ში[9]).

---

[9] ორი უკანასკნელი სტატიის თარგმანი გამოქვეყნებული ყოფილა აშშ-ში, იხ. „Soviet Anthropology and Archeology", XV/2—3 (1976—1977), გვ. 29—49 და XVII/$_1$, 1978, გვ. 25—72.

მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა შესაბამისად, — აღნიშნავს ი. გელბი, და სტრუვეს, ტიუმენევის, დიაკონოვის და სხვათა წინააღმდეგ, მელიქიშვილი მკვეთრად განარჩევს მახლობელი აღმოსავლეთის დამოკიდებულ მწარმოებლებს კლასიკური მონური შრომისაგან, ათავსებს პირველთ „აზიურ“ სტრუქტურაში, რომელიც, მისი აზრით, წინ უსწრებსო კლასიკურ მონათმფლობელობას.

ი. გელბი თავის ამ ნაშრომშიც იცავს თეზისს დასახელებული ორი კატეგორიის მუშაკთა განსხვავების შესახებ. აღნიშნავს, რომ „მონები“ აქ მცირერიცხოვანი კლასია და ძირითადად არა წარმოებაში, არამედ მომსახურების სფეროში (შინამოსამსახურეებად) არიან დასაქმებული. ისინი უმთავრესად უცხო წარმოშობისანი არიან. ძირითადს მატერიალური წარმოების პროცესში წარმოადგენდა ნახევრადთავისუფალ გურუშთა შრომა (როგორც მესოპოტამიაში, ძველ აღმოსავლეთში საერთოდ, მიკენურ და ჰომეროსისეულ საბერძნეთში, გეიანდელ სპარტაში, კრეტაზე, თესალიაში და საბერძნეთის სხვა ადგილებში, ათენის გამოკლებით, აგრეთვე ინდოეთსა და ჩინეთში). ასეთი მწარმოებლები საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებული შეიძლება ყოფილიყვნენ მწარმოებლური შრომის სფეროში მთელი სამუშაო დროის, ან დროის ერთი ნაწილის განმავლობაში, შეიძლება ჰქონოდათ ან არ ჰქონოდათ საწარმოო საშუალებები მიწის ნაკვეთის სახით (იგი მათ მიღებული შეიძლება ჰქონოდათ სახელმწიფოსაგან, ტაძრისაგან და „დიდი მიწისმფლობელისაგან“). ჰყოლოდათ ოჯახები ან არც ჰყოლოდათ.

აქ ჩვენ მოვიტანეთ ძირითადად ის დასკვნები, სადამდეც მიჰყავს ი. გელბი მის მიერ უზარმაზარ კონკრეტულ მასალაზე ჩატარებულ სკრუპულოზურ მუშაობას — მასალაზე, რომლის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მცოდნე ამჟამად ის არის. ამ დასკვნების მიმართ ჩვენ მხოლოდ მცირეოდენი შენიშვნები გვაქვს, რადგანაც ვიზიარებთ მის ძირითად თეზისს ამ ორი კატეგორიის მწარმოებელთა — გურუშთა და მონების კლასების განსხვავების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ რომ ეკონომიკურად უფრო სწორია მათი ყველა დანარჩენ მწარმოებლებთან (მათ შორის თავისუფალ მეთემე გლეხობასთან) გაერთიანება ერთიან ექსპლუატირებულ მასად (იხ. ზემოთ). რა თქმა უნდა, არ არის შესაფერისი ტერმინი „ყმა“ გურუშთა კლასის აღსანიშნავად (არც ი. გელბი იცავს ამას კატეგორიულად). ამას გარდა, საფიქრებელია, რომ არა მარტო ი. დიაკონოვი, რომელიც ამ გურუშთა კატეგორიის ხალხს უწოდებს „подневолные люди рабского типа“-ს, არამედ თვით ი. გელბი, ერთგვარად აჭარბებს ამ კატეგორიის ხალხის არათავისუფლების (იგი მათ „ნახევრადთავისუფლებს“ ეძახის) და ექსპლუატაციის ხარისხის განსაზღვრაში. უფრო სწორი იქნება ისინი მივიჩნიოთ საზოგადოებრივ მეურნეობაში მომუშავე უფლებრივად და ეკონომიკურად დამცრობილ თავისუფალთა ფენად. უნდა გვახსოვდეს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის მუშქენუს და სხვა „სამეფო ხალხის“ ფენა— ძველი გურუშების ეს მემკვიდრენი — თუ უფლებრივად და ეკონომიკურად სხვა თავისუფლებთან შედარებით დამცრობილად გამოიყურებიან, მეორე მხრივ სამეფო ხელისუფლების მხრით საგანგებო მფარველობით და შეღავათებით სარგებლობენ და იერარქიის კიბეზე აღმასვლაც ალბათ მათთვის უფრო ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო, ვიდრე სამეფო ეკონომიკური კომპლექსისა და სამეფო „მსახურეული ფენის“ გარეშე მდგომი მოსახლეობისათვის.

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი საკითხი, განხილული პრობლემატიკის ბევრი მხარე, ასპექტი არ არის ნათელი. ბევრი რამ არ ვიცით ჩვენ უძველესი დროის შუამდინარეთის მოსახლეობის სოციალური ფენების შესახებ, კერძოდ გურუშთა ფენის იურიდიული სტატუსის, ეკონომიკური მდგომარეობის, გადაადგილების უფლებისა და სოციალური მობილობის შესახებ. ერთი მაინც ნათელია პირადად ჩვენთვის — ადგილობრივი მოსახლეობის ეს მრავალრიცხოვანი ფენა — მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მოსახლეობის ეს ძირითადი ნაწილი არასგზით არ შეიძლება მონებს ანდა თუნდაც „მონური ტიპის მუშაკებს“ წარმოადგენდნენ — საამისოდ ამ შედარებით ახალგაზრდა, განუვითარებელ („ადრეკლასობრივ“) სახელმწიფოს არავითარი საშუალება და ძალა არ გააჩნდა (სამხედრო საქმეშიც, საჭიროების ჟამს, იგი სწორედ ამ ფენას ეყრდნობოდა და იყენებდა — იხ. ზემოთ). ამიტომ ამ საზოგადოებისა და სახელმწიფოს „მონათმფლობელურობაზე“ ლაპარაკი არაფრით არგუმენტირებული არ არის.

**გიორგი მელიქიშვილი**

## Н. А. БРЕГАДЗЕ. ОЧЕРКИ ПО АГРОЭТНОГРАФИИ ГРУЗИИ.

**Тбилиси, «Мецниереба», 1982 г., 263 с.**

Исследованию вопросов, связанных с сельским хозяйством, отводится важное место в мировой этнографии. Систематически развивается историко-этнографическое изучение земледелия как в отдельных странах, так и в рамках международного научного сотрудничества.

Немало статей и монографий советских ученых посвящается вопросам происхождения и развития сельскохозяйственных растений и животных. В числе подобных работ — исследование Н. А. Брегадзе «Очерки по агроэтнографии Грузии», изд. «Мецниереба», Тбилиси, 1982 г. Оценивая эту монографию, следует остановиться на тех главных пунктах, которые имеют значение для европейской этнографии с точки зрения современной ориентации. Следует также отметить, что, хотя в заглавии книги и фигурирует название «Очерки», но эти очерки подчинены целостной, спаивающей их проблеме и способствуют определению единой концепции. Притом, в них нет компиляции — наряду с уже известным, представлен новый материал и дается его интерпретации.

Работа Н. Брегадзе — результат анализа многочисленного материала, главная цель которого показать значение земледельческой культуры и культуры пшеницы в Грузии для общечеловеческой культуры, показать, что дала Грузия миру. А для выполнения такой высокой цели не достаточно быть только историком или этнографом, но надо быть историком культуры и использовать все знания и результаты других научных дисциплин. Подход же к обрабатываемому материалу — комплексная разработка данных, комплексное решение проблемы. Это значит, что в Грузии очень хорошая агроэтнографическая школа, руководимая академиком Г. С. Читая, школа, которая базируется на теоретических концепциях акад. И. А. Джавахишвили.

В рассматриваемой книге на основе многочисленных конкретных данных из области истории хозяйства показано, какую роль сыграл грузинский народ в развитии культуры пшеницы и общего земледелия. Дается анализ археологического и этнографического материалов в компаративном разрезе; показана зависимость вариационных своеобразий от региональных природных условий; резюмированы достижения народной агротехники, выявлены новые, практически ценные народные способы в производственной деятельности земледельца. Некоторые новые результаты исследования этнографического характера могут служить и практическим потребностям современного сельского хозяйства. И в этом аспекте работа Н. Брегадзе не только пример, но и импульс для дальнейшей ориентации в данной области исследования.

В книге показано, какую функцию имеет язык при объяснении происхождения и развития культуры пшеницы. Если бы эту работу написал только филолог, он не смог бы использовать эти данные так, как их использует историк культуры. Тут дается не только семантический анализ, но и новая интерпретация явлений, связанных с грузинской агрикультурой, экономикой, историей, общей историей культуры, этноботаникой и т. д. Анализируемый в книге лингвистический материал дает возможность идентификации сортов, показать происшедшие в их развитии перемены. Теоретически и методологически показано, как можно объяснить взаимоотношения между развитием слов и процессами явлений, названными этими словами. Это не только результат для агроэтнографии, но это теоретическое и методологическое обобщение, имеющее значение для теории науки. С этой точки зрения рассматриваемая работа служит примером того, как можно использовать лингви-

стический материал для этнографического и, более широко, культурно-исторического исследования.

Привлекает внимание подход Н. Брегадзе к оценке пережитков духовной культуры. В нашей науке — тенденция оценивать лишь прогрессивные явления, имеющие перспективу дальнейшего развития в современных условиях. При этой концепции мы часто забываем другую часть пережитков духовной культуры, у которой нет этой перспективы, но они все еще существуют. И вот в работе Н. Брегадзе дается правильная аргументация необходимости их изучения с учетом того факта, что они живучи и вера в них все еще держится в мышлении человека. Это заставляет нас выявить основу их происхождения, показать их функцию в жизни народа и причины их жизнеспособности.

Интересна и интерпретация новогодних пережиточных обрядов, разъяснению первоначального значения и функций которых служит изучение взаимосвязи между аграрным и официальным календарями.

Особо ценно то, что данные духовной культуры используются для разъяснения базисных явлений, уровня хозяйства, материальных условий жизни на определенной ступени общественного развития.

Важно и то, что результаты историко-этнографического исследования используются для решения вопросов общей истории земледелия и культурных растений.

Всему отмеченному способствовал не только функциональный подход к рассматриваемому материалу или его типология, анализ, но комплексное изучение проблемы, комплексность не только в использовании данных, но и в их резюмировании. Работа Н. Брегадзе синтетического характера. В ней на основе научного синтеза дается научное обобщение и это — правильная наука. Читатель не знает, автор —этнограф, археолог, лингвист или биолог. Это и не важно. Важно то, что это — хорошая работа.

Уже много сделано с точки зрения специализации науки, но все еще остается задача искать в науке лучшие участки, где есть проблемы и вопросы, требующие разъяснения. На данном этапе развития науки следует их искать между дисциплинами, где этих проблем наиболее. Самые большие перспективы и возможности для нашей работы дают контактные зоны соприкосновения археологии, этнографии, биологии и т. д. И в работе Н. Брегадзе решены вопросы из области всех этих наук, а не только этнографии, что служит примером для метода нашей работы, образа мышления, нашего отношения к проблеме. Часто найти проблему труднее, чем ее решить. Н. А. Брегадзе и нашла проблемы, и успешно их решила. Поэтому ее работа важна не только для грузинской этнографии. но и для грузинской науки, так как это — путь, по которому мы должны идти, чтобы решить новые проблемы. Нам уже ясно, на какие аспекты следует обращать внимание.

Кроме того, книга Н. Брегадзе резюмирует то, что было написано по этой проблематике. Однако, это — не только научный синтез проделанной до сих пор работы, но вместе с тем и источник, основа для дальнейших работ, исходная точка для последующих исследований. В этом смысле «Очерки» важны не только для Грузии и Кавказа, но и для европейской этнографии.

И под конец, много мест на Земле (Центральная Азия, Южная Америка, Европа), где схожие с Кавказом условия для горного земледелия, но знаем очень мало мест, где так хорошо была бы разработана эта проблематика, как в Грузии, с точки зрения этнографии и истории культуры. Это еще раз доказывает, что в Грузии хорошая школа с хорошими традициями изучения агроэтнографии, имеющими глубокие корни. Эти традиции развиваются и успешно продолжаются.

У нас в Чехословакии и в Западной и Центральной Европе у агроэтнографии старые традиции, но и у этих старых традиций, вижу, есть возможность учиться методам у грузинских агроэтнографов. Это значит, что агроэтнография Грузии на хорошем пути. Здесь очень много нового. То, что уже сделано в Грузии, нас еще ждет; такая работа у нас впереди.

ЯН ПОДОЛАК.

(г. Братислава, ЧССР)

# ქრონიკა და ინფორმაცია

## სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის „საისტორიო-ფილოლოგიური ჟურნალი“ 1983 წელს

სომხური „საისტორიო-ფილოლოგიური ჟურნალის“ 1983 წლის პირველი ნომერი საიუბილეოა — რიგით მესამე (გამოდის 1958 წლიდან). ჟურნალი იხსნება ა. გრიგორიანის სტატიით, რომელიც ეძღვნება ცნობილი სომეხი ფილოლოგის, ლინგვისტისა და ლექსიკოგრაფის სტეფანოს მალხასიანცის (1857—1947) დაბადების 125 წლისთავს. სტ. მალხასიანცმა თავისი ცხოვრების ექვს ათეულ წელზე მეტი იღვაწა არმენოლოგიის განვითარებისათვის. შესანიშნავი გამოკვლევები შექმნა მოვსეს ხორენაცისა და ფავსტოს ბუზანდის შესახებ და თარგმნა მათი შრომები ახალ სომხურ სალიტერატურო ენაზე. აქვე საუბარია მალხასიანცის ოთხტომიან „სომხური ენის განმარტებით ლექსიკონზე“.

შემდეგი ნაშრომი ეკუთვნის ს. ალაბაბიანს სათაურით: „სომხური ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა 1920—1930-იან წლებში“. ავტორი მიუთითებს სომხური საბჭოური ლიტერატურის ჩასახვისა და ფორმირების წლებში, მისი მხატვრულ-იდეური პრინციპების ჩამოყალიბების დროს, ლიტერატურული კრიტიკის დიდ მნიშვნელობაზე. მოცემული აქვს გამოჩენილი ლიტერატურათმცოდნეების, კრიტიკოსებისა და პუბლიცისტების შემოქმედებითი პორტრეტები.

ჩიკაგოელი მკვლევარი ერიკ ხემპი სომხურ ენაზე ბეჭდავს სტატიას: — „ზოგიერთი აფრიკატის შესახებ სომხური ენის ისტორიაში“, სადაც თვალს ადევნებს აფრიკატების განვითარებას ძველ სომხურ ენაში. მაგალითების ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ ენის განვითარების პროცესში, განსაკუთრებით adრეულ ეტაპებზე, შეინიშნება როგორც აფრიკატების დაშლა (როცა იკარგება ფრიკატიული ნაწილი), ასევე მათი კომპონენტების შერწყმა.

მოსკოვში მომუშავე მკვლევრის ი. ბარსეღოვის ნაშრომის სათაურია: **„Консульские учреждения в истории Армении“**,[1] აქვე დაბეჭდილია მეორე მოსკოველი მკვლევრის ლ. ლელეკოვის წერილი — **„К семантике и типологии храмовых сооружений армянского язычества“**. ს. დარონიანი აქვეყნებს: — „მ. ნალბანდიანი და სტ. ეოსკანიანი“. აღნიშნულია, რომ XIX ს-ის დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომი ეს ორი გამოჩენილი სომეხი პუბლიცისტი გამოირჩევა იდეური ერთიანობით ფეოდალურ-კლერიკალურ იდეოლოგიასთან ბრძოლაში ეროვნული პროგრესისათვის.

მ. აკოფჯანიანი ბეჭდავს: — „დასავლეთ სომხური დემოკრატიული ჟურნალი „მიუთიუნი“ (კავშირი). 1860 წელს ჟურნალი დააარსეს ქ. იზმირის მაშტოცის სახელობის სკოლის მოწინავე კურსდამთავრებულებმა ხალხთა მასების განათლებისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით. ორკვირეული ჟურნალი „მიუთიუნი“ მალე აკრძალა ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

ვენეციელ მოღვაწეს პ. ზეკიანს ეკუთვნის სტატია — „ხოჯა საფარი შაჰ-აბასის ელჩი ვენეციაში“, სადაც მოტანილია მასალები სომეხი ვაჭრის ხოჯა საფარის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ. მან შაჰ-აბასის დავალებით 1610 წელს იმოგზაურა ვენეციაში. იმ ხანებში ირანისა და ვენეციის ხელისუფალნი დაინტერესებული იყვნენ შეექმნათ ევროპული და აზიური სახელმწიფოების ანტითურქული ბლოკი. ხოჯა საფარის მისიას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

გ. ორდოიანს ეკუთვნის — „მიმიკური ხელოვნება კილიკიის გარემოში“. თეატრალური ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად კილიკიის სომხეთში გავრცელებული ყოფილა მიმიკური ჟანრი დაკავშირებული უძველეს რელიგიურ-საკულტო რიტუალებთან. შუა საუკუნეების წერილობითი წყაროების მიხედვით მიმიკური წარმოდგენები შეიცავდნენ აგრეთვე ბალაგანური თეატრის ელემენტებს.

გ. სარგისიანის ნაშრომის სათაურია „გპუკბოლორაპარის მონასტერი“. აღნიშნული ძეგლი განეკუთვნება შუა საუკუნეებს და მდება-

---

[1] რუსულ ენაზე გამოქვეყნებული წერილების სათაურები მოგვაქვს უთარგმნელად და ანოტირების გარეშე.

რეობს ახლანდელი რაზდანის რაიონის სოფ. არზაკანიდან ჩრდ. დასავლეთით 3—4 კმ-ის მანძილზე, წერილში მოტანილი და განხილულია მონასტრის XIII ს-ის წარწერები, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ როგორც ამ ძეგლის შესასწავლად, ასევე საერთოდ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვისაც.

ა. მარგუნი რუსულ ენაზე აქვეყნებს: — „К вопросу о происхождении и развитии сюжета и жанра (миф-эпос-сказка), მოსკოველ მკვლევარს ე. ანტონოვას ეკუთვნის „Изобразительное искусство и система мировосприятия древних земледельцев Востока". გ. ასატრიანის სტატიის სათაური: „Инфинитивы в среднеперсидском и парфянском (на материале турфанских текстов)".

დისკუსიის განყოფილება მკითხველს სთავაზობს ფ. ანთაპიანის — „ფილონის შეიდი დაწერილის განმარტებისათვის", რომელიც მიეწერება იოვანეს სარკავაგს". სტატიაში განხილულია ნაწარმოების ავტორის ვინაობის საკითხი, გაანალიზებულია ადრე მიღებული დასკვნები. სტატიის ავტორი უარყოფს ადრინდელ შეხედულებას იოვანე სარკავაგის ავტორობის შესახებ და ენის შესწავლის საფუძველზე სხვა პირს მიაწერს მას.

პუბლიკაციის განყოფილება გვქდავს — „სურენ სპანდარიანის ახლადაღმოჩენილ სტატიას". პუბლიკაციის ავტორმა მ. არზუმანიანმა სომხურ გაზეთში „ნორ დარში" („ახალი საუკუნე") 1911 წლის 24 ოქტომბრის ნომერში შენიშნა სტატია „ვისაც ზეესი სჯის, მას ჯერ გონებასართმევს" — ხელმოწერილი იყო უცნობი ფსევდონიმით. ენისა და სტილის მიხედვით არზუმანიანმა ის ს. სპანდარიანს მიაკუთვნა. სტატიაში მხილებულია დამნაშავეთა ცილისწამება გაზეთის რედაქტორის მიმართ.

აქვეა რეცენზიები. კ. მირუმიანისა ს. არეშატიანის წიგნზე: „შუა საუკუნეების სომხეთის ფილოსოფიურ სკოლათა ისტორიისათვის". წიგნი მიძღვნილია XIV ს-ის აღ. სომხეთის კათოლიკური ცენტრების წორწორისა და ქურნის სკოლების სამეცნიერო-ლიტერატურულ საქმიანობისადმი. რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს ნაშრომს.

შემდეგი რეცენზია ეკუთვნის ლ. ჩუგასზიანს ჰაიდე და ჰელმუტ ბუშჰაუზენების კატალოგზე, რომელიც ეძღვნება ვენის მხითარიანთა კონგრეგაციის სომხური ხელნაწერების 1961 წლის ორ გამოცემას. აქვეა ა. იაკობსონის რეცენზია ა. აივაზიანის წიგნზე („А. А. Айвазян. Памятники армянской архитектуры Нахичеванской АССР"). რეცენზენტი ავტორს მიუთითებს მყარი საფუძვლის გარეშე ძეგლების დაძველების ტენდენციაზე, ლაპარაკობს გვიან შუა საუკუნეების სომხური ბაზილიკების კომპოზიციის გენეზისის საკითხებზე, საერთოდ დადებით შეფასებას აძლევს აივაზიანის ნაშრომს, რომელმაც სამეცნიერო მიმოქცევაში შეიტანა ნაკლებადცნობილი, მაგრამ მნიშვნელოვანი მასალა გვიან შუა საუკუნეების სომხეთის არქიტექტურიდან.

ინფორმაციის განყოფილებაში მოთავსებულია გ. ესაიანის — „მაკარავანქის შუა საუკუნეების კერამიკა", ა. ბაზიანცის (მოსკოვი)— „Новый документ о М. Налбандяне" და ა. კაკოვკინის (ლენინგრადი) „Новый памятник армянской эпиграфики из Крыма". ქრონიკის განყოფილება მკითხველს აცნობს სომხეთის სსრ მეცნ. აკადემიის საერთო კრების მასალებს, რომელიც მიეძღვნა კარლ მარქსის დაბადების 165 და გარდაცვალების 100 წლისთავს.

1983 წლის „საისტორიო-ფილოლოგიური ჟურნალის" მეორე და მესამე ნომრები ერთ ტომად არის გამოცემული. სტატიების განყოფილება იხსნება ხ. ბარსეღიანის — „კარლ მარქსის პირველი თარგმანები სომხურ ენაზე", სადაც განხილულია 1880-იანი წლებიდან 1920-იანი წლების ჩათვლით შესრულებული თარგმანები. ლაპარაკია პირველ მთარგმნელებზე, მათ კავშირზე „შრომის განთავისუფლების ჯგუფთან" და ფრ. ენგელსთან. ხაზგასმულია ს. შაუმიანის ღვაწლი ამ საქმეში. აქვეა ა. სურგულაძის სომხურ ენაზე დაბეჭდილი წერილი: — „გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი პროგრესული მნიშვნელობა (ტრაქტატის 200 წლისთავის გამო). ე. ჯრბაშიანი აქვეყნებს: — „თუმანიანის პროზის პრინციპებს", ხოლო ა. აბრამიანი: — „გლაძორის უნივერსიტეტს", რომელშიც საუბარია XIII—XIV სს-ის სომხური კულტურის განვითარებაში ამ უნივერსიტეტის დიდ მნიშვნელობაზე, ჩამოთვლილია სასწავლო საგნები (გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა).

გ. ტირაციანს ეკუთვნის: — „К античным истокам армянской раннесредневековой культуры (по археологич. данным), ხოლო ს. არუთუნიანის სტატიაში, „სომხური ეპოსის დამსახურებული მკვლევარი (კ. მელიქ-ოჰანჯანიანის 90 წლისთავის გამო)" აღნიშნულია სომხ. სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსის, აღმოსავლეთმცოდნე არმენისტის კარაპეტ ოჰანჯანიანის დამსახურება სომხური ეპიკური ფოლკლორის

და, განსაკუთრებით, „დავით სასუნცის“ შესწავლის საქმეში.

ნ. თაჰმიზიანს ეკუთვნის სტატია, — „ოვანეს პლუზი ერზნკაცი, როგორც შუა საუკუნეების სომხური მუსიკის თეორეტიკოსი“. XIII ს-ის სომეხი მოაზროვნე, გრამატიკოსი და პოეტი ერზნკაცი აქ წარმოდგენილია როგორც მუსიკის თეორეტიკოსი. ლ. ოვანესიანის წერილი — „სომხურ ენაში ირანული ნასესხობების შესახებ“, აფიქსირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სიტყვის ძირი ირანულია, მაგრამ წარმოებულია სომხური აფიქსებით, ანდა, როდესაც კომპოზიტში ერთ-ერთი კომპონენტი სომხურია.

ა. თორმანიანის ნაშრომია: „ბულგარეთის შუა საუკუნეების ორი ძეგლის არქიტექტურული ურთიერთობის საკითხისათვის ამიერკავკასიის ხუროთმოძღვრებასთან“. სტატიის მიზანია ლიტერატურაში არსებული ვითარების დაზუსტება ბაჩკოვოს XI ს-ის ეკლესია-აკლდამისა და ასენის ციხესიმაგრის XIII ს-ის ღვთისმშობლის ეკლესიის არქიტექტურაში სომხურ-ქართული არქიტექტურული ფორმებისა და ელემენტების არსებობასთან დაკავშირებით. პარალელური მასალა მოტანილია ტაოს ძეგლების არქიტექტურიდან.

„მოვსეს ხორენაცი და იოვანე დრასხანაკერტაცი“ ასეთი სათაური აქვს ა. სარგისიანის ნაშრომს, სადაც ლაპარაკია X ს-ის ისტორიკოსის დრასხანაკერტაცის მიერ თავის ნაწარმოებში V ს-ის მემატიანის მ. ხორენაცის „სომხეთის ისტორიით“ სარგებლობის შესახებ, მხოლოდ ისე, რომ მასალა გამოყენებულია არა პირდაპირ, არამედ გადამუშავებული სახით.

რ. მათევოსიანის ნაშრომია: — „ტერუთიუნი“, როგორც ვასალურ-სიუზერენული ურთიერთობის სისტემის ამსახველი ტერმინი“ (IX—X ს. პირველი მესამედი). აღნიშნულია, რომ განსახილველ ხანაში ამ ტერმინით აღინიშნებოდა სახელმწიფოსა და მსხვილი ფეოდალების მემკვიდრეობითი მამულები, ასევე ვასალიტეტი, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი.

„ტერმინი ჰაზარაპეტი“, ამ სათაურით ქვეყნდება ს. კოსტანიანის ნაშრომი. მასში ლაპარაკია როგორც ტერმინის წარმომავლობაზე, ასევე მის მნიშვნელობაზე. სხვადასხვა ხანაში ამ ტერმინით აღინიშნებოდა ქვეყნის უმაღლესი მმართველი (მეორე პირი მეფის შემდეგ), მეფის სასახლის მეურნეობის გამგებელი, უმაღლესი მოსამართლე, საჭურისების უფროსი და სხვ.

ა. ქიოსიანი ბეჭდავს „ვაღარშაპატისადმი მიძღვნილ ანანია სანაინეცის ოდას“. ნაწარმოები დაწერილი უნდა იყოს 1045—1046 წწში, ბაგრატიანთა დედაქალაქის ანისის დაცემის შემდეგ. ტრადიციული წარმოდგენით, ქრისტიანული სარწმუნოების მიღებიდან ვაღარშაპატი-ეჩმიაძინი ისტორიული სომხეთის დედაქალაქი იყო.

ს. კარაპეტიანის წერილში — „არცახის ოლქის ორი ჯვარგუმბათოვანი ეკლესია“ — საუბარია გარდმანისა და ხაჩენის X—XIII სს-ის ეკლესიებზე ხუნისავენქზე და ამენაფრკიჩზე.

ინგლისელი თვალსაჩინო მათემატიკოსის დევიდ ქენდალის სტატია „სრულყოფილების სკოლა“, შეიცავს საინტერესო მოსაზრებებს როგორც ძველი საუკუნეების მთელ რიგ ავტორთა შესახებ, ასევე დავით ანჰაღთის მათემატიკურ აზროვნებასთან დაკავშირებით.

ს. საიადოვის ნაშრომის სათაურია: **„Тифлисские ведомости“ об Армении и армянах**, ასევე რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული მოსკოველი მკვლევრის ა. იუხტის წერილი: **„Русско-армянская компания „персидского торга“ в середине XVIII века“**. ლენინგრადში მომუშავე ტ. იზმაილოვა ბეჭდავს: **„Декор двух датированных и локализованных армянских рукописей XII века“**. ლ. აკობიანის სტატიის სათაურია: „Особенности мелодического строения шараканов и их отражение в хазовом (невменном) письме.

დისკუსიის განყოფილებაში დაბეჭდილია ლ. ტერ-გრიგორიანის — „ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთათვის“ სომხური თარგმანის არქეტიპი“. აქამდე ძირითადად მიღებული იყო, რომ ბასილი კესარიელის ნაწარმოები, სომხურად თარგმნილი 420-იან წლებში, შესრულებულია ბერძნული დედნიდან. ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად ლ. ტერ-გრიგორიანი ასკვნის, რომ სომხური თარგმანი სირიულ ტექსტზეა დაფუძნებული.

„სევანის ღვთისმშობელი“ და მისი შექმნის დრო“, ასე ეწოდება ა. არაქელიანის წერილს. ხელოვნებათმცოდნეებს შორის ამ ტილოს შესრულების დროსა და ავტორზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული. მხითარ სებასტაცის ცნობაზე დაყრდნობით, სტატიის ავტორი ფიქრობს, რომ „სევანის ღვთისმშობელი“ შესრულებული უნდა იყოს XVII ს-ის პირველ ნახევარში. ავტორის ვინაობის გარკვევა არ ხერხდება. აქვე ნ. ყორღანიანი რუსულ ენაზე აქვეყნებს წერილს — **„К вопросу о насильственном переселении армян шахом Аббасом I“**.

**სამეცნიერო ინფორმაციის** განყოფილებაში

წარმოდგენილია პლოვდიველი მკვლევრის ვ. ჩერჩიანის „ადრიანოპოლისის სომხური კოლონია“, სადაც საუბარია აღმ. თრაკიის ქალაქ ადრიანოპოლისის სომხური მოსახლეობის დამკვიდრების გარემოებაზე XVII ს-ის დასაწყისში. აქვე დაბეჭდილია ა. ოვაკიმიანის сербские книги, напечатанные в типографии в армянских Мхитаристов в Вене“, ხოლო ჰარვარდელი (აშშ) მკვლევარი ტომსონ რობერტი აქვეყნებს ბიბლიოგრაფიას „არმენოლოგიური სტატიები დასავლეთის ჟურნალებში 1966—1981 წწ-ში“.

1983 წ. მეოთხე ნომერში ქვეყნდება ე. არუთუნიანის ნაშრომი: „ანტიკური ტრადიციები ადრე შუა საუკუნეების სომხეთის ხუროთმოძღვრებაში“. მასში აღნიშნულია, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში სომხური ხუროთმოძღვრება (V—VII სს.), ეყრდნობა როგორც ადგილობრივს (სომხური ელინიზმი), ასევე ანტიკური საბერძნეთისა და რომის ტრადიციებს. რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბაზილიკური (სამნავიანი, ერთნავიანი) ეკლესიების დაგეგმარების სტრუქტურაში და არქიტექტურულ დეტალებში.

მოსკოველი მკვლევარი ვიაჩ. ივანოვი ბეჭდავს: „Выделение разных хронологических слоев в древнеармянском и проблема первоначальной структуры текста гимна Ва(х)агну“, რუსულ ენაზევეა წარმოდგენილი ვ. ხაჩატურიანის: „Образование армянской колонии в Астрахани“.

შემდეგი წერილი ეკუთვნის ლონდონელ არმენისტს ვრეჟ ნერსესიანს სათაურით: „ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ძვირფასი ლექსიკოგრაფიული ხელნაწერი“. აქვე დაბეჭდილია ლ. ბაბაიანის — „პოლიტიკური ორიენტაციის ანარეკლი V—VII სს-ის სომხურ ისტორიოგრაფიაში“. სტატიაში ზოგადად ნაჩვენებია ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და სასულიერო ფეოდალების პოლიტიკური ორიენტაციის გადამწყვეტი მნიშვნელობა.

„სომხურ-ბიზანტიური ურთიერთობანი და „მართა მთავარი“ 646 წ.“, ასეთი სათაურით ქვეყნდება ე. დანიელიანის სტატია, რომელშიც ხაზგასმულია სებეოსის მონაცემებზე დაყრდნობით ბიზანტიისა და ატროპატაკანის (რომლის განაპირა მთიან ოლქებსაც აღნიშნულ პერიოდში „მართა სამთავრო“ ეწოდებოდა) აგრესიული დამოკიდებულება სომხეთის მიმართ, რაც 646 წელს ბიზანტია-მარების ხელშეკრულებით დასრულდა.

რ. საჰაკიანი აქვეყნებს: — „К оценке французской политики в Киликии 1918—1922 гг.“ ლენინგრადელ მკლევარს ვ. შანდროვსკაიას ეკუთვნის — „Исаак Комнин — правитель Иверии“, ა. ფაფაზიანი ბეჭდავს: — „Новые эпиграфические данные о последних отпрысках армянской феодальной знати в Сюнике“ ა. იაკობსონის ნაშრომის სათაურია: „Сельджукские отклики на темы армянской средневековой архитектуры“.

დისკუსიის განყოფილება მკითხველს სთავაზობს გ. პეტროსიანის „კიდევ ერთხელ ანანია შირაკეცის „კრიტიკონის“ შესახებ“. VII ს-ის მეორე ნახევარში ა. შირაკეციმ შექმნა უძრავი კალენდარი — „კრიტიკონი“. სტატიაში განხილულია მისი პროექტის წარმოშობის ისტორია.

„Вопросы градостроительства Урарту“ ასეთი სათაურით იბეჭდება კ. ჰოვანისიანის წერილი, ხოლო ი. დიაკონოვი აქვეყნებს — „К предистории армянского языка (о фактах, свидетельствах и логике)“.

„ისტორიულ-კულტურული ნარკვევის“ განყოფილებაში ვხვდებით კ. იუზბაშიანის სტატიას — „ლაზარ ფარპეცი“. ავტორი იძლევა V ს-ის სომეხი ისტორიკოსის ლიტერატურულ პორტრეტს. ლაპარაკობს „ვაჰან მამიკონიანისადმი გაგზავნილ ეპისტოლესა“ და „სომხეთის ისტორიის“ ღირსებებზე, აფასებს მათ როგორც წყაროს.

პუბლიკაციის განყოფილებაში იბეჭდება ა. ფაფაზიანის — „ზოგიერთი თურქული დოკუმენტი ოსმალეთის იმპერიის არამუსლიმან ხალხებზე“. წარმოდგენილია სომხურად თარგმნილი სულთნის ფირმანები და ოფიციალური დადგენილებანი.

„ქრონიკაში“ მოთავსებულია ა. ჰაკობიანის ინფორმაცია: „სამეცნიერო სესია ლენინგრადში, მიძღვნილი ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიისადმი“. სხვებთან ერთად ჰაკობიანი ასახელებს სესიის ქართველ მონაწილეებს და მათ შრომებს, მიძღვნილს ქართული წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი საკითხებისადმი, კერძოდ, რ. კიკნაძემ წაიკითხა „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბება“, გ. ალასანიამ — „ძველი ქართული ისტორიოგრაფიის კლასიფიკაციის საკითხები“, მ. ჩხარტიშვილმა — „წყაროებზე მითითების წესი „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის მიხედვით“, ხოლო მოსკოველმა მკვლევარმა გ. წულაიამ — „ფეოდალურ საქართველოში ისტორიული ცოდნის დაგროვების ადრეული ეტაპი და მისი ეთნოკულტურული ტენდენციები“.

ლიანა დავლიანიძე